

# ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართველური ენათმეცნიერება

მაკა კაჭკაჭიშვილი

ორენოვნების საკითხი საქართველოში ჯავახეთის მაგალითზე

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის  
დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო სელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ინგა კიკნაძე



2009

## შინაარსი

### შესავალი

4-6

### თავი 1. ორენოვნების სოციალური ასპექტები

7-28

1. ენათა კონტაქტები და ორენოვნება
2. სოციალურ საკითხთა მნიშვნელობა ორენოვნების კვლევისას

### თავი 2. ბილინგვიზმისა და ბიკულტურიზმის ურთიერთმი- მართების საკითხი ჯავახეთში

29-47

### თავი 3. ბილინგვიზმთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები ჯავახეთში

48-64

1. დომინანტი ენა ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში
2. მეორე ენის ათვისების პირობები

### თავი 4. ორენოვნება ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში

65-145

1. ორენოვანი სიტუაციის არსებობის ისტორიული პირობები
2. ინდივიდისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთმიმართება
3. კვლევის მეთოდები
4. ერთენოვანი და მრავალენოვანი კოლექტივის ურთიერთობის საკითხი
5. სოციალურ-კომუნიკაციური სისტემა
6. ენობრივი ერთობა
7. ენები და მათი ნაირსახეობები
8. ბილინგვიზმი და დიგლოსია
9. ენათა გამოყენების სფეროები
10. ენათა ფუნქციები
11. კომუნიკაციური სიტუაცია, სოციალური როლი და სტატუსი
12. ენის ფლობის დონე
13. ენობრივ სიტუაციაზე მოქმედი ფაქტორები
14. თანამედროვე ენობრივი პილიტიკის განხორციელების საკითხები
15. ორენოვნება ჯავახეთში ტიპოლოგიური თვალსაზრისით

### დასკვნა

146-152

### ლიტერატურა

153-159

## შ ე ს ა გ ა ლ ი

უხსოვარი დროიდან მოყოლებული ქართველ ხალხს ურთიერთობა პქონდა მსოფლიოს მრავალ ხალხთან თუ ეთნიკურ ჯგუფთან. ეს კონტაქტები გეოგრაფიული მეზობლობით ან კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობით იყო შეპირობებული. ქართული ენის სტრუქტურასა და ლექსიკაში აისახა კიდევ ეთნოკულტურული კონტაქტები.

უცხოური ენობრივი ფენების გამოვლენა ნათლად მიანიშნებს ქართველების ისტორიული განვითარების გზაზე და მათ სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებზე სხვადასხვა წარმოშობის ხალხებთან. ამასთანავე, ქართულ ენასაც თავისი წვლილი შეუტანია სხვა ენათა ისტორიულ განვითარებაში. სხვა კულტურულ ენებთან უთანასწორო ბრძოლიდან ქართული ხშირად გამოსულა გამარჯვებული და ამით ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახის შენარჩუნებისათვის მტკიცე საფუძველი შეუქმნია.

მეცნიერები ხაზს უსვამენ ენის წიაღში შემონახული ეროვნული თვითმყოფადობის მნიშვნელობას: „ქართული ენის კონტაქტები თუ გენეზისური ურთიერთობები არქაული ცივილიზაციის შემქმნელი ხალხების ენებთან მჭერმეტყველურად დადადებს ძველი სამყაროს ეთნოლოგიური ტიპის ჩამოყალიბებაში ჩვენი შორეული წინაპრების მონაწილეობას. უმთავრესად ენის მონაცემების საფუძველზე ვლინდება ქართველების ოდინდელი მიმართებები წინა აზიისა და შუამდინარეთის ხალხებთან, რომელთაც დაარწიეს საკაცობრიო კულტურის პირველი აკვანი. ენა ცოცხალი მუზეუმია. მასში დაცული ენობრივი ექსპონატები მანიშნებელია ხალხის ცხოვრების რეალიების, საუკუნეთა სიღრმეებში შემუშავებული ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი თვისებებისა“ (ძიძიგური 1974: 207).

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი რეგიონის, ჯავახეთის ენობრივი იერსახე მრავალმხრივ და მრავალგზის იცვლებოდა, ჩვენი ქვეყნის ისტორიით განპირობებული უცხო ტომთა შერევისა და კოლონიზაციის გამო.

ჯავახეთის ენობრივი სიტუაცია ორენოვნებისა და მრავალენოვნების სხვადასხვა ფაზასა და ფორმას გადიოდა.

ბუნებრივია, რომ ენობრივი განახლების ან სახეცვლილების პროცესის დასაწყისსა და დასასრულს შორის, რაც არ უნდა ჩქარი და გადამწყვეტი ყოფილიყო ის, განთავსებული იყო შუალედური ეტაპების საკმაოდ გრძელი ჯაჭვი. ეს შუალედური რგოლები ორენოვნების სხვადასხვა ფორმით ხასიათდებოდა (დაწყებული სმენითი ფაზით, როდესაც მოსაუბრეს მხოლოდ ესმის მეორე ენა, მაგრამ მასზე ლაპარაკი არ შეუძლია, დამთავრებული ორი ენის სრული და თავისუფალი ფლობით).

ენათა კონტაქტების, მისი სპეციფიკისა და კანონზომიერებების კვლევა თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ენათმეცნიერული კვლევების ამ გზით წარმართვა აღნიშნული პრობლემის აქტუალურმა ხასიათმა განაპირობა. მეოცე საუკუნის ლინგვისტური აზროვნების ფორმირების პროცესში ცხადად გამოიკვეთა ენათა კონტაქტების არსებითი როლი და ფუნქცია.

მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა ენათმეცნიერების ახალი დარგი - სოციოლინგვისტიკა. ამ მხრივ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში, რუსეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში.

თანამედროვე საზოგადოებაში ასევე მწვავედ დგას ორენოვნების ანუ ბილინგვიზმის პრობლემა. იგი უკვე პოლიტიკის საკითხად იქცა. საქართველოში ბილინგვიზმი, მართალია, საუკუნეთა განმავლობაში მოქმედებდა, მაგრამ ეს პრობლემა სტიქიურად წყდებოდა. ამჯერად არავინ დავობს ამ პრობლემის მეცნიერული დამუშავების აუცილებლობაზე.

საქართველოს ხელისუფლება ჯავახეთში გაეროს, ეუთოს, საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროგრამებს ბიზნესის განვითარების, ინფრასტრუქტურის აღდგენის, სახელმწიფო ენის სწავლების მხარდასაჭერად. მიზანი არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონის დანარჩენ საქართველოსთან დაახლოება და იქ მცხოვრები მოსახლეობის სახელმწიფოსთან ინტეგრაციაა.

ამ პროცესების ფონზე განსაკუთრებით აქტუალურია ენობრივი პოლიტიკის საკითხი. რეგიონში არაქართველ მოსახლეობას ყველა პირობა აქვს შექმნილი მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, საკუთარი კულტურული ინტერესების დაკმაყოფილების, პრესის, თეატრის, ხელოვნების სხვა დარგების განვითარების თვალსაზრისით.

დღეს ჯავახეთთან მიმართებით ხშირად საუბრობენ ენობრივ კონფლიქტზე, იქ გავრცელებული ენების სტატუსის ცვლილებაზე. რეალურად კი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების შეჯახება ხდება და ოუმცა ენობრივი წინააღმდეგობა არ არის პირველადი, ხმამაღლა პირველადად სწორედ ის სახელდება. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი ენობრივი პოლიტიკაა. სწორი ენობრივი პოლიტიკის შემუშავება კი ენობრივი სიტუაციის განსაზღვრის საფუძველზე ხდება.

ჯავახეთში ენობრივი სიტუაციის ცვლილების ტენდენციები შეინიშნება. მნიშვნელოვანია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, განვითარების კურსის, ჯავახეთში გავრცელებული სხვა ენების სახელმწიფო ენასთან დამოკიდებულების, ენათა ფუნქციონირების საკითხის გარკვევა, იმ გარეგანი ფაქტორების გათვალისწინება, რომელთა ზემოქმედებითაც შეიძლება შეიცვალოს ჯავახეთის ენობრივი სიტუაცია, განისაზღვროს ენობრივი დაგეგმვის მიმართულება.

## თავი 1

### ორენოვნების სოციალური ასპექტები

#### 1. ენათა კონტაქტები და ორენოვნება.

წმინდა თეორიული საკითხებიდან, რომლითაც ენათმეცნიერები ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევისას დაინტერესდნენ და რომელსაც ძირითადად მხოლოდ ინდოევროპულ მასალაზე დაყრდნობით წყვეტდნენ, ენათა კონტაქტები საზოგადოებრივი და სახელწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად იქცა.

ტერმინი „ენათა კონტაქტები“ პირველად შემოთავაზებული იქნა ანდრე მარტინეს მიერ. ფართო გამოყენება-გავრცელება პოვა ურიელ გაინრაიხის ნაშრომში „Languages in contact“ (გაინრაიხი 1953).

„ენათა კონტაქტებმა“ შეცვალა ენათმეცნიერებაში მანამდე დ. შუხარდტის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „ენათა შერევა“. როგორც ცნობილია, „ენათა შერევის“ ცნება მიუღებელი აღმოჩნდა არა მხოლოდ ისეთი ენათმეცნიერებისთვის, როგორებიც იყვნენ ა. მეიკ, კ. სეპირი, რომელთათვისაც გრამატიკული წყობის, უფრო ზუსტად ორი ენის მორფოლოგიის შერევა მიუღებელი იყო, არამედ იმ ენათმეცნიერთათვისაც, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობდნენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ენათა შერევა“ დღესაც იხმარება და მსგავსად ტერმინისა „სესხება“ ან „ენათა ურთიერთგავლენა“ გამოიყენება ენათა კონტაქტების ზოგადი მოვლენების დასახასიათებლად და არ გულისხმობს ენათა კონტაქტების რთულ პროცესებს, ვთქვათ, ლექსიკაში, როდესაც ორი (ან მეტი) ენიდან ერთი წარმოდგენილია როგორც „გამცემი“, ხოლო მეორე როგორც „მიმღები“ მხარე.

საკითხის ამგვარად წარმოდგენა წვეულებრივია გენეტიკური მიდგომის დროს, როდესაც საკვლევ ენაში ამა თუ იმ „არაფუძისეული“ ელემენტის წარმოშობის საკითხი განიხილება. იმ პერიოდშიც კი, როცა ენათმეცნიერება ცალკეული ენის ცვლილებით და მათი დივერგენციული განვითარებით ინტერესდებოდა, ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი აღიარებდა, რომ მოვლენები, განსაზღვრული როგორც „სესხება“ და „გავლენა“, ერთი ენიდან მეორეში უცხო ელემენტების გაჩენას არ შეესაბამებოდა. იგი ეკუთვნოდა ენათა დაახლოების

პროცესს, მათ კონვერგენციას, ისევე მრავალმხრივსა და მრავლისმომცველს, როგორც დივერგენციაა.

უ. ვაინრაიხი „ენათა კონტაქტებს“ განმარტავს როგორც ერთი და იმავე პიროვნების მიერ ორი ან მეტი ენის რიგრიგობით გამოყენებას. თვით პიროვნებას ორი ან მეტი ენის მატარებელს უწოდებს (ვაინრაიხი 1953ა: 1). ენათა კონტაქტების ამგვარი განმარტება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ბევრ კითხვას უპასუხოდ ტოვებდა. ე. ჰაუგენი გამოყოფს იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც ენათა კონტაქტების შესწავლის დროს გადაწყვეტას საჭიროებდნენ.

„ამ (ვაინრაიხის) განმარტებაში არაფერია ნათქვამი ამა თუ იმ ენის ფლობის დონეზე, ენებს შორის არსებული განსხვავების ხარისხზე, მათი გამოყენების პირობებზე, ან ამ დროს წარმოქმნილ ინტერფერენციაზე. აქსიომად მიღებულია, რომ არსებობს ორი განსხვავებული ენობრივი სისტემა და რომ, როგორც წესი, ტაქსტში შეიძლება მიუთითო მომენტზე, როდესაც მოლაპარაკე ერთი ენობრივი სისტემიდან გადადის მეორეზე“, - აღნიშნავს მეცნიერი (ჰაუგენი 1972ა: 62).

საკითხი ვერც ამ დებულებამ ამოწურა, რადგან ამგვარი ამოცანის გადაწყვეტა რეალურად ძალიან რთულია, მით უმეტეს, რომ მეტყველების პროცესში ორი სისტემის ზუსტ გადაფარვას მივყავართ ინტერფერენციამდე. იგი განიმარტება როგორც მოცემული ენის ნორმებიდან გადახრა, რომელიც წარმოიქმნება ორენოვანი მატარებლის მეტყველებაში ორი ან მეტი ენობრივი სისტემის ფლობისას (ლელ 1990: 197)

ნათელია, რომ ამგვარი განმარტებით იფარება ენათა კონტაქტების სფეროში ისეთი მრავალფეროვანი მომენტები, რომლებსაც ლინგვისტები განიხილავენ როგორც ორენოვნებას, სუბსტრატს, ენათა კონვერგენციას, ენათა შერევას, ენათა შერწყმას, უცხოურ აქცენტს და ა. შ.

„ენის განვითარება, – თვლიდა დ. შუხარტდი, – იქმნება დივერგენციისა და კონვერგენციისაგან. პირველი იკვებება იმპულსებით, რომლებიც ადამიანის ინდივიდუალური საქმიანობიდან მომდინარეობს, მეორე კი ურთიერთგაგების დასამყარებლად საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებს“ (შუხარტდი 1950: 78).

დ. შუხარტდისგან დამოუკიდებლად, მასზე ადრეც კი, მსგავს დასკვნამდე ი. ა. ბოდუენ დე კურტენე მივიდა. მონათესავე ენების იტორიულ-შედარებით აღწერას და იმ ენათა შეპირისპირებას, რომლებიც გენეტიკურად დაკავშირებული არ იყვნენ, მაგრამ ხასიათდებოდნენ თავისი გეოგრაფიული და

საზოგადოებრივ-ისტორიული ერთგვაროვნებით, ი. ა. ბოდუენ დე კურტენე განიხილავდა როგორც ენის თეორიისათვის პრინციპულად მსგავს ამოცანებს (ბოდუენ დე კურტენე 1963: 263-372).

ი. ა. ბოდუენ დე კურტენეს აზრი, რომ ენათა კონტაქტების დროს ხდება ამა თუ იმ ელემენტის არა მხოლოდ სესხება, არამედ ენის ცალკეული ნაწილებისთვის დამახასიათებელი განსხვავების ხარისხის შესუსტება ე. ი. მთელი სისტემის გამარტივება, განავითარა და დააზუსტა ლ. გ. შჩერბამ. მან წამოაყენა თეზისი, რომ ენათა კონტაქტები იწვევს აღსანიშნის იმგვარ დამსგავსებასა და განზოგადებას, რომ აღმნიშვნელთა განსხვავება შენარჩუნებულია და ამ პროცესის ორივე დინება სხვადასხვა სახის ორენოვნებითაა შეპირობებული (შჩერბა 1958ა: 40-53). პროცესის ამგვარი ფუნქციური და დინამიკური ანალიზი გვხვდება პრაღის ლინგვისტური სკოლის მეცნიერთა ნაშრომებში.

ა. დიბოლდი ენობრივ კონტაქტს განიხილავდა სასწავლო სიტუაციასთან კავშირში (learning situation). სასწავლო სიტუაციაში მეცნიერი გულისხმობს ისეთ სოციოლოგიურ სიტუაციას (sociological situation), როდესაც ინდივიდი სწავლობს მშობლიურისაგან განსხვავებული კულტურული და ენობრივი სისტემის ელემენტებს. ფაქტობრივად, დიბოლდი ენობრივ კონტაქტებს თვით ამ სასწავლო სიტუაციას უწოდებდა: „ლინგვისტები ენობრივ კონტაქტად თვით სასწავლო სიტუაციას განიხილავენ, ხოლო სასწავლო სიტუაციად კი ბილინგვიზაცია (bilingualisation) მიიჩნევა (დიბოლდი 1961ა: 98).

ენობრივი კონტაქტის, როგორც სიტუაციის, გაგება ნიშანდობლივია ბ. ჰავრენაკისთვისაც. ტერმინს „ენათა კონტაქტი“ ის მიიჩნევს მისაღებად, ამავე დროს საკმაოდ ფართო მნიშვნელობის მქონედ და შენიშნავს, რომ ის „ლინგვისტური თვალსაზრისით არ აღნიშნავს სხვას არაფერს, თუ არა ენობრივ სიტუაციებს“ (ჰავრენაკი 1972ა: 94). როზენცვაიგი ტერმინის შემდეგნაირ ახსნას გვთავაზობს: „ენობრივი კონტაქტები ჩვენ გვესმის, როგორც სამეტყველო ურთიერთობა ორ ენობრივ კოლექტივს შორის“ (როზენცვაიგი 1972ა: 3). მეცნიერი აღნიშნავდა, რომ ენათა კონტაქტების პროცესის ლინგვისტური აღწერა პრინციპულად ერთი და იგივეა იმის მიუხედავად, მხედველობაში მივიღებთ ამ პროცესის მდინარებას აწმუოსა და მომავალში (ინტერფერენცია) – თუ წარსულში (კონვერგენცია) (როზენცვაიგი 1972ბ: 3).

როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს მეცნიერთა შეხედულებები, ნათელია, რომ ენათა კონტაქტების შესწავლისას თავიდანვე სამმა ძირითადმა პრობლემამ იჩინა თავი: ინტერფერენციამ, კონტაქტების პირობებში ენათა კონვერგენციამ და ორენოვნებამ. ჩვენი ინტერესის საგანს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს.

ორენოვნება, თავისთავად, არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ ჩვეულებრივსა და საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ლინგვისტებისთვის მისაღებია თვალსაზრისი, რომ მრავალენოვნება განიხილებოდეს როგორც გამონაკლისი, ხოლო ერთენოვნება როგორც წესი.

ამ იდეალიზებულ შეხედულებას საკუთარი წყაროები გააჩნია. მათ შორის ერთ-ერთი არის იმ ევროპული და ამერიკული ქვეყნების გამოცდილების გადმოტანის ცდუნება, რომლებიც ისტორიულად სანმოკლე პერიოდში ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. მიზანი იყო ენის, როგორც ნაციონალური სიმბოლოს, სრული სტანდარტიზაცია.

ამ თვალსაზრისის მეორე წყარო უკავშირდება იმ ფაქტს, რომ განვითარების პირველ ეტაპზე სტრუქტურულ ლინგვისტიკას ესაჭიროებოდა ტექსტები, რომლებიც, როგორც აღწერის ობიექტი, სინქრონიული და თვისებრივად ერთგვაროვანი იქნებოდა.

ორენოვნება ანუ ბილინგვიზმი რთული მოვლენაა, რომელმაც სხვადასხვა დისციპლინათა ყურადღება მიიქცია. შესაძლოა, სწორედ ეს იქცა ამ მოვლენის სხვადასხვაგვარი განმარტების მიზეზად. ორენოვნება საკმაოდ მრავალმხრივი მოვლენაცაა. მეცნიერები მის მიმართ ინტერესს სხვადასხვა თვალსაზრისით იჩენენ. ენათმეცნიერები უმეტესად ორენოვნებას (იგულისხმება სამ და მეტენოვნებაც) ყურადღებას აქცევენ ინტერფერენციის კუთხით, რომელიც შეიძლება დაფიქსირდეს როგორც მორფოლოგიის, ისე ფონეტიკისა და სინტაქსის დონეზე.

ორენოვნებაში (ხშირად იმავე კონტექსტში ხმარობენ არა მხოლოდ ორი ენის კონტაქტს, არამედ მეტისას, ანუ მრავალენოვნებას), ენათმეცნიერები ჩვეულებრივ ორი ენის ფლობას და საურთიერთო სიტუაციიდან გამომდინარე ერთი ენიდან მეორეზე რეგულარულ გადართვას გულისხმობენ. იმ ფაქტის გააზრება, რომ ყველა ეს მოვლენა დაკავშირებულია სიტუაციებთან, როდესაც ერთი ენის მატარებელი მეორე ენასაც იყენებს, ქმნის წინაპირობებს. ამ შემთხვევაში არსებით მნიშვნელობას ორენოვანი სიტუაციის შესწავლა იძენს.

ორენოვნების ასეთი ზოგადი და ფართო გაგება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პერმან პაული და მისი კლასიკური ნაშრომი „ენის ისტორიის პრინციპები“ (პაული 1960). ბილინგვიზმის ამგვარი გაგება შემდგომ დაზუსტდა და დაკონკრეტდა.

ორენოვანი მატარებლის მეტყველებაზე დაკვირვება ქმნის საფუძველს, ვისაუბროთ ორი განსხვავებული ენობრივი სისტემის „თანაარსებობაზე“.

ორი ენის კონტაქტის დროს მათი ცვლილებების დონე, მიმართულება და სიჩქარე, რომელიც შეიძლება ერთ-ერთი ენის სრული გაქრობითაც დამთავრდეს, საბოლოოდ სოციალურ-ისტორიულ პირობებზეა დამოკიდებული. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საუბარია დიდ კოლექტივთა ხანგრძლივ კონტაქტზე, ხოლო ინდივიდის მეტყველებაში ორიდან ერთი ენა სწორედ კონტაქტის გაწყვეტით ქრება.

ასე რომ, ორენოვანი მატარებლები თუ რა დონეზე განსაზღვრავენ ენათა კონტაქტების პროცესის მიმდინარეობას, ამ ადამიანების სამეტყველო ქცევებსა და ორენოვნების სოციალურ გარემოებებს შორის არსებული კავშირების სწორად გააზრებით დგინდება.

ამ კავშირს განსაკუთრებული ყურადღება ლ. კ. შჩერბაშ მიაპყრო, როდესაც მიუთითა, რომ ინდივიდში ორი ენის თანაარსებობის ხასიათი დამოკიდებულია მეორე ენის შესწავლის პირობებზე.

„თუ A ენის მატარებელი ეუფლება B ენას B ენის მატარებლისგან, რომელმაც თავის მხრივ A ენა არ იცის, ამავე დროს თუ ურთიერთობა B ენაზე მიმდინარეობს და B ენის მატარებელს A ენის საზოგადოებაში პერიფერიული ადგილი უჭირავს, რაც ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებასთან მისი კავშირები შემოიფარგლება მცირერიცხოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი ფუნქციით, მაშინ A ენის მატარებელში A და B ენები შექმნიან ასოციაციების ორ განსხვავებულ სისტემას, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი არ ექნებათ“ (შჩერბა 1958ბ: 47-48). აღმხრდელისაგან ნასწავლი მეორე ენის მატარებლის მაგალითზე ლ. კ. შჩერბაშ აჩვენა, რომ ამ სახის ორენოვნებისას A ენის მატარებლის მიერ B ენიდან მხოლოდ რამდენიმე ცალკეული სიტყვის სესხება დასტურდება.

თუ მეორე ენის ათვისება მიმდინარეობს იმ პირობებში, რომელშიც ორი ენის მატარებლები ურთიერთობენ სხვადასხვა, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან

მრავალრიცხოვან სიტუაციებში, მოხდება ერთი ენიდან მეორეზე გადართვა. თუ „თარგმნიან აზრებს ერთი ენიდან მეორეზე, მაშინ ხდება ორივე ენის აღმნიშვნელთა განზოგადება ისეთი ერთიანი ენის ჩამოყალიბებამდე, რომელსაც გამოხატულების ორი საშუალება გააჩნია“ (შჩერბა 1958გ: 50).

ლ. კ. შჩერბას მიერ გამოვლენილი ორენოვნების ეს ტიპები მრავალენოვნების ორ უკიდურეს შემთხვევას წარმოადგენს.

ორენოვნების კვლევებმა, რომლებიც არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში მიმდინარეობდა, მნიშვნელოვნად გააფართოვა მეცნიერთა შეხედულება ამ ენობრივ მოვლენაზე. იმაზე მეტად, ვიდრე ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ისეთ გეოგრაფიულ ცნებებზე დაყრდნობით, როგორიც არის მარგინალური და არამარგინალური ორენოვნება, ან სოციალური ფაქტორის დაყვანა მხოლოდ კონტაქტში მყოფი ენების მეტი ან ნაკლები პრესტიულობის გარკვევამდე.

ა. დ. შვეიცერი ორენოვნებას სოციოლინგვისტური თვალსაზრისით განიხილავდა და მიიჩნევდა, რომ ბილინგვიზმი არის „ორი ენის თანაარსებობა ერთსა და იმავე სამეტყველო კოლექტივის ფარგლებში, რომელიც ამ ენებს სოციალური სიტუაციიდან და სხვა საკომუნიკაციო აქტის პარამეტრებიდან გამომდინარე შესაბამის კომუნიკაციურ სფეროებში იყენებს“ (შვეიცერი 1977ა: 115).

მეცნიერის ამ მოსაზრებას იზიარებს ა. კ. უდაკინი. მკვლევარი ორენოვნებას განიხილავს ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ ასპექტში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეორე ენის მნიშვნელობის გააზრებას, ბილინგვიზმის განვითარების ეტაპებს, ასევე ახასიათებს სხვადასხვა ტიპის ბილინგვიზმს. ა. კ. უდაკინის აზრით, ა. დ. შვეიცერის მიერ შემოთავაზებული განმარტება ახასიათებს ნებისმიერი სახის კოლექტივს, იქნება ის პატარა სოციუმი თუ მთელი ქვეყანა. შესაძლებელი ხდება ისეთი ენობრივი სიტუაციების განხილვაც, როდესაც მეორე ენა გამოიყენება არა მთლიანი საზოგადოების, არამედ მისი ერთი ნაწილის, შესაძლებელია პრივატული ფენის მიერ. ა. კ. უდაკინს ამგვარი სიტუაციის მაგალითად მოჰყავს ძველი ადმოსავლეთის იმპერიების, შეასაუქნების სახელმწიფოების, XIX საუკუნის რუსეთის სამეფო კარისთვის დამახასიათებელი ენობრივი სიტუაციები. ბილინგვიზმის ამ ტიპს მეცნიერი ფუნქციონალურ ანუ სოციალურ ბილინგვიზმს უწოდებს (უდაკინი 1981ა: 238).

რაც შეეხება ინდივიდუალურ ბილინგვიზმს, ა. პ. უდაკინი საჭიროდ მიიჩნევს ფორმულირების გავრცობას და ბილინგვიზმში ენის პასიურ, თუმცა კარგად ცოდნასაც მოიაზრებს. ენის სრულყოფილ ფლობას ფუნქციური ბილინგვიზმის ძირითად მახასიათებლად არ მიიჩნევს. მეცნიერს ფორმულირების გაფართოების გამართლებად ისიც მოჰყავს, რომ ხშირად ბილინგვი, რომელიც კარგად უფლება საერთაშორისო ენას, საერთოდ ან საკმაოდ ძლიერად ივიწყებს მშობლიურს, ანუ გადადის სხვა კომუნიკაციურ სისტემაზე. ამ ვითარების გათვალისწინებით მეცნიერი გამოყოფს ბილინგვიზმის კიდევ ერთ ტიპს – კატეგორიულ, ანუ აკადემიურ ბილინგვიზმს, რომლის შემაღლენლობაში განიხილავს ტექნიკურ, ანუ პრაქტიკულ ბილინგვიზმს (ე.ი. ენის შესწავლას სპეციალური სამეცნიერო თუ პროფესიული მუშაობისთვის). როგორც განმარტებიდან გამომდინარეობს, კატეგორიული ანუ აკადემიური ბილინგვიზმი ვრცელდება იმ პირებზე, რომლების ენას უფლებიან სხვადასხვა ტიპის სკოლებში თუ კურსებზე (შეიძლება დამოუკიდებლადაც), მაგრამ აუცილებლად სტანდარტული აკადემიური სახელმძღვანელოების გამოყენებით, ასათვისებელი ენის ლექსიკურ-გრამატიკული წესების, ფონეტიკური კანონების შესწავლის შედეგად.

მეცნიერი წერს: „ამ ტიპის ბილინგვიზმს ჩვენ განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობთ, რადგან მყარად გვჯერა, რომ კატეგორიათა გააზრებული შეპირისპირებით მეორე ენის ათვისება შემეცნების პროცესის მყარ საფუძველს წარმოადგენს. ბილინგვიზმის ორ ტიპს შორის გადაულახავი წინაღობა არ არსებობს იმდენად, რამდენადაც ფუნქციური ბილინგვიზმი კატეგორიული ბილინგვიზმის ბაზაზე იბადება, ხოლო კატეგორიათა (კატეგორიული ბილინგვიზმი) მოქმედება იმ ენათა ევოლუციის საფუძველს წარმოადგენს, რომლებიც ფუნქციური ბილინგვიზმის პირობებში ურთიერთზემოქმედებენ“ (უდაკინი 1981ბ: 239).

ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მის მიერ გამოყოფილ ბილინგვიზმის ტიპებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ფუნქციური ბილინგვიზმის განხილვა ისტორიულ ჭრილში მეტადაა შესაძლებელი და დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ფუნქციური ბილინგვიზმის საყოველთაოდ გავრცელების შესახებ საუბარი გაჭირდება.

ჩვენი აზრით, ორივე ტიპის ბილინგვიზმში ივარაუდება არა მხოლოდ საერთაშორისო ენების უდიდესი გავლენა ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე, არამედ, ამ უკანასკნელთა ზემოქმედებაც იმ ინდივიდების მეშვეობით, რომელთაც უცხო ენები კონკრეტული მიზნით შეისწავლეს (პედაგოგიური, მთარგმნელობითი საქმიანობებისთვის).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს არა ბილინგვიზმის ტიპებს შორის განსხვავებები, არამედ დგება ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობის, მათი ურთიერთგავლენის, საზოგადოებრივ პროგრესში მათი როლის განსაზღვრის პრობლემა, თავს იჩენს ინდივიდის და მისი მეშვეობით საზოგადოების შემეცნებაზე მეორე ენის გავლენის საკითხი.

როგორც უკვე ვთქვით, ბევრი მკვლევარი იზიარებს მოსაზრებას, რომ ორენოვნება არის ენათა კონტაქტების განსაკუთრებული შემთხვევა. ის შეიძლება სხვადასხვაგვარად გავიგოთ.

დღესაც ითვლება, რომ ორენოვნებაში იგულისხმება მეორე ენის ყოველგვარი ზეგავლენა ფართო გაგებით, იმის მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, როგორ ვლინდება ის - კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად, ვსაუბრობთ ორი ენის ნამდვილად ფლობაზე, თუ მხოლოდ რომელიმე ენასთან კონტაქტზე (მაგალითად: სკოლაში შესწავლილ ენაზე ან მხოლოდ პასიურ ფლობაზე).

რუსულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირში ძირითადად მხოლოდ ნაწილობრივი ორენოვნება იყო გავრცელებული, რასაც ასაბუთებს კიდევ უ. დ. დეშერიევი (დეშერიევი 1958: 80), თუმცა ჩვენ ვიზიარებთ იმ ენათმეცნიერების თვალსაზრისს, რომლებიც არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას.

მ. დიაჩკოვი გამომდინარე იქიდან, რომ ორენოვნება განიხილება როგორც ერთი ინდივიდის მიერ ერთზე მეტი ენის მონაცვლეობით გამოყენება, ასკვნის, რომ არანაირი ცალმხრივი ორენოვნება არ შეიძლება არსებობდეს. მისი აზრით, არსებობს მხოლოდ კომბინირებული სიტუაცია, რომლის დროსაც ერთი და იმავე ერთენოვანი და მრავალენოვანი სოციუმის ფარგლებში არსებობენ მისი ორენოვანი და ერთენოვანი წევრები. მეცნიერის აზრით, „მსგავს სიტუაციას, განსაკუთრებით მაშინ, თუ თავს იჩენს სოციალური დაძაბულობა, მივყავართ ერთი სოციუმის მეორესთან დაპირისპირებამდე, გამყოფი ხაზი კი გაივლება არა ეროვნული, არამედ ენობრივი ნიშნის მიხედვით“ (დიაჩკოვი 2002: 13). ჩვენი

აზრით, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ სოციალური დაბაბულობისას გამყოფი ხაზი სწორედ სოციალური ნიშნის მიხედვით გაივლება.

ორენოვნება მნიშვნელოვანია ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისითაც. ჩვენ ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით. აქ აღვნიშნავთ, რომ ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით ორენოვნება იყოფა აღრეულ და გვიანდელ ეტაპებად. აღრეული ეტაპი გულისხმობს მეორე ენის ათვისებას ბავშვობის ასაკში, ხოლო გვიანდელი ეტაპი კი მეორე ენის ათვისებას ზრდასრულ ასაკში. მეორე და სხვა შემდგომი ენების ათვისების დროზე დამოკიდებულია არა მხოლოდ მათი შეთვისების სიმტკიცე, არამედ ინდივიდის პიროვნული თავისებურებების ჩამოყალიბებაც.

ორენოვნების ერთ-ერთი მახასიათებელია ერთი ინდივიდის მიერ ორი სხვადასხვა ენის ფლობის დონის განსაზღვრა. ორი ენის სრულყოფილი, თავისუფალი და ყოველმხრივი ცოდნა, რა თქმა უნდა, ძალიან განსხვავდება მეორე ენის მხოლოდ საბაზისო ცოდნის შეთვისებისაგან. მაგრამ საკითხის სირთულე, რომელსაც მოსაუბრე გრძნობს თითოეული ენის ცალკეული ნორმის „დუბლირებისას,“ მისი წარუმატებლობის საერთო მახასიათებელი თრიგე შემთხვევაში ერთნაირია.

ბილინგვიზმს ორენოვანი სიტუაციის ანალიზთან მივყავართ. ამ უკანასკნელს კი მის აღწერასთან. ორენოვანი სიტუაციის ლინგვისტური აღწერა შეიძლება წარმოვიდგინოთ ენობრივი ვარიაციების სიმრავლედ, რომელსაც ფლობს ორენოვანი მატარებელი. ასევე იგულისხმება მათი გამოყენების წესების დადგენა ამა თუ იმ სფეროში საზოგადოებრივი თუ პირადი ურთიერთობის გათვალისწინებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვეთილია ბილინგვური ენობრივი სიტუაციის აღწერის ორგვარი შემთხვევა. პირველი შემთხვევის დროს მკვლევარი არ ეხება ენებს შორის განსხვავების საკითხებს. თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა დამაჯერებლად და დასაბუთებულად მიიჩნევს თვალსაზრისს, რომ „ენების ფლობის, მაგალითად, ერთი მხრივ, ფრანგულისა და ვიეტნამურის და მეორე მხრივ, ფრანგულისა და პროვანსულის შემთხვევები უნდა განიხილებოდეს როგორც არსებითად ერთი და იგივე მოვლენა. რადგან პრობლემა, რომელიც მოსაუბრის წინაშე იჩენს თავს, ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა – შესაბამის კონტექსტში დაიცვას ენობრივი ნორმები. თუ ეს ნაკლებად მოახერხა, მაშინ შეიჭრას ერთი სისტემიდან მეორეში. ისიც

დადასტურებულია, რომ მსგავს სისტემებთან შედარებით მკვეთრად განსხვავებული ენობრივი სისტემების აღრევა სულაც არ არის „უფრო იოლი“ (ვაინრაიხი 1972ბ: 26-27).

ორენოვნების აღწერისას ენათმეცნიერის ამოცანაა, დაადგინოს კოლექტივის იმ კოდების, ანუ ენობრივი საშუალებების ნუსხა, რომელსაც მისი წევრები იყენებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთი არხიდან მეორეზე გადართვისას. ამგვარი აღწერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენობრივად ჭრელი რეგიონების შესწავლისას იძენს.

ორი ენის ფლობის შედარებითი ხარისხის გადმოცემა და მათი ზუსტი აღნიშვნა ლინგვისტური ტერმინებით შეუძლებელია. ეს არის ორენოვნების მრავალრიცხოვანი ასპექტებიდან ერთ-ერთი, რომლის კვლევისას ლინგვისტმა აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს ფსიქოლოგიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. მიგვაჩნია, რომ თვით ლინგვისტური ხაზით კვლევის დროსაც მისი ორი გზით წარმართვა შეიძლება. პირველი გულისხმობს შემდეგს: მკვლევარმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სხვადასხვა სტილსა და კოდზე, რომლებიც, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ერთი საერთო ენის ქვეშ ერთიანდებიან. ამგვარი აღწერა მოიცავს ენის ყველა ნაირსახეობას, რომელზეც კი საუბრობენ როგორც იქ, სადაც ის გაბატონებულია, აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც იგი უმცირესობის სასაუბრო ენაა.

არსებობს ამ პრობლემისადმი მიღებულის სხვაგვარი გზაც - შემოისაზღვროს კვლევა ერთი რომელიმე ენობრივი კოლექტივის საზღვრებით. ამ შემთხვევაში აღწერის ობიექტად იქცევა ყველა ის ენობრივი კოდი, რომელიც გამოიყენება ამ კოლექტივში იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ ენას შეესაბამება ის გენეტიკურად. ამ შემთხვევაში მკვლევარი თავისი თვალთახედვიდან გამორიცხავს ენების იმ ნაირსახეობებს, რომლებიც სხვა ადგილებში შეიმჩნევა, მაგრამ ამ კოლექტივისთვის „ფუნქციური“ არ არის.

ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაციის აღწერისას ჩვენ მეორე ვარიანტი მივიჩნიეთ უფრო მისაღებად, ვინაიდან ის ენობრივი მატარებლების ენობრივ ქცევებს უდარებს ერთმანეთს და ენობრივი ცვლილებების სოციალური ფაქტორების განპირობებულობის გამოვლენის მეტ საშუალებას იძლევა.

ენობრივი სიტუაციის ანალიზისას ჩვენ არ განვიხილავთ ინდივიდუალურად რეალიზებულ ორენოვნებას, როგორც ენობრივი განვითარების მნიშვნელოვან მოვლენას. ასეთად მივიჩნიეთ კოლექტიურ ორენოვნებას.

ორენოვნების ანალიზისას რა თვალთახედვა, კვლევის რომელი გზაც არ უნდა ამოვირჩიოთ, ერთი რამ უდავოა: ის არც ერთ შემთხვევაში არ იქნება სრულყოფილი, თუ არ ვითვალისწინებთ ორენოვნების განმაპირობებელ და მის განმსაზღვრელ ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს, როგორიცაა ისტორიულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ანუ ბილინგვური ენობრივი სიტუაციის შესასწავლად პირველ ეტაპზე მისი სოციალური ასპექტების განხილვაა აუცილებელი.

„ორენოვანი სიტუაციები განვითარების – კონფლიქტსა და თანაფარდობას შორის. პრაქტიკულად ძნელია მოძებნო სრული თანაფარდობის შემთხვევა, ისევე როგორც სრული კონფლიქტისა. ყველა კონფლიქტს თავისი მოგვარების ნიშნები აქვს. ორენოვანი კოლექტივი, როგორც წესი, ისწრაფვის საკუთარი ენობრივი კონფლიქტის მოგვარებისაკენ, რომლის მეტ-ნაკლებად მინელებისთანავე თავს ახალი დაძაბულობა იჩენს“, - მიიჩნევს მ. უი (უი 1972: 83).

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ მეცნიერების თვალსაზრისი ბილინგვიზმთან დაკავშირებით მეტნაკლებად განსხვავებულია. საბოლოოდ, ბილინგვიზმში ანუ ორენოვნებაში ჩვენ ვგულისხმობთ ინდივიდის მიერ ერთსა და იმავე საკომუნიკაციო სიტუაციაში ორი ენის გამოყენებას, რომელთაგან თითოეული აირჩევა კონკრეტული გარემოს სიტუაციის შესაბამისად.

## 2. სოციალურ საკითხთა მნიშვნელობა ორენოვნების კვლევისას.

ვიდრე შევეხებოდეთ უშუალოდ ორენოვნებისა და მისი კვლევისას აქტუალურ სოციალურ საკითხებს, აუცილებლად მიგვაჩნია, მოკლედ მიმოვინალოთ ენისა და არსებული სოციალური პირობების ურთიერთმიმართების საკითხი.

ლინგვისტები გამოკვეთენ, რომ თავისი დანიშნულებით (ყურადღება მახვილდება სწორედ დანიშნულებაზე) ენა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ღირებულების მოვლენაა. ესაა მისი არსებითი, განმსაზღვრელი ნიშანი. რა თქმა უნდა, ენას დამოუკიდებელი, შინაგანად შეპირობებული სისტემები და სტრუქტურები მოეპოვება, მაგრამ მათი სრულყოფილი შესწავლა და შეცნობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით.

ენა სოციალურია ამ სიტყვის სხვა გაგებითაც: როგორ აფასებს, იყენებს მას საზოგადოების ესა თუ ის ფენა. ასე რომ, ენა თავისი მქონებლის არა მხოლოდ ვინაობას გამოხატავს, არამედ რაობასაც, მისი სოციალურ-პოლიტიკური მახასიათებელიცაა. ამიტომ ამ თვალსაზრისით ენას განმარტავენ, როგორც საზოგადოებრივი მოქცევის ფორმას (ლაბოვი 1972ა: 13).

ენის სოციალურ კონტექსტში განხილვას ენათმეცნიერებაში მოჰყვა ახალი მიმართულების - სოციოლინგვისტიკის გაჩენა.

ტერმინი „სოციოლინგვისტიკა“ პირველად 1952 წელს ამერიკელმა სოციოლოგმა პერმან კარიმ გამოიყენა (დირექტი 2001ა: 2). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მეცნიერება ენის სოციალურად შეპირობებულობაზე ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გაჩნდა. სოციოლინგვისტიკის ფესვები უფრო ღრმაა და ისინი არა ამერიკულ, არამედ ევროპულ ენათმეცნიერებაშია საძიებელი.

სოციალური პირობების მიღმა მეცნიერები მოიაზრებენ გარეგანი ფაქტორების კომპლექსს, რომელშიც რეალურად ფუნქციონირებს და ვითარდება ენა: საზოგადოებას, რომელიც იყენებს ენას, ამ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, ენის მატარებელთა შორის განსხვავებებს ასაკის, სოციალური სტატუსის, კულტურისა და განათლების დონის, საცხოვრებელი ადგილის მხრივ. ასევე განიხილება საურთიერთო სიტუაციიდან გამომდინარე განსხვავებები მათ ენობრივ ქვევებს შორის.

ცნობილია, რომ ენა სოციალური თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ არის. პირველი წერილობით დაფიქსირებული დაკვირვება, რომელიც ამას ადასტურებს, ეპუთვნის მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ესპანეთში სალამანკის უნივერსიტეტის მასწავლებელს გონსალო დე კარეასს. ის მკვეთრად ასხვავებს ენის სოციალურ სახესხვაობებს: „უნდა აღინიშნოს, რომ ენას პროვინციებში დამკვიდრებული დიალექტების გარდა აქვს სხვა სახესხვაობებიც, რომლებიც უკავშირდება ასაკს, ამ პროვინციებში მცხოვრებთა მდგომარეობას. არსებობს სოფლის მცხოვრებთა ენა, უბრალო ადამიანების, ქალაქების, დიდგვაროვანი ბატონების, სწავლული ისტორიკოსების, უხუცესების, მქადაგებლების, ქალების, კაცებისა და თვით ბავშვების ენა“ (დირექტი 2001ბ: 11).

თანამედროვე სოციოლინგვისტიკაში კვლევის არა მხოლოდ ობიექტი, მიზნები და ამოცანებია ნათლად გამოკვეთილი, არამედ კვლევის შემდეგ

საყურადღებო შედეგებიც არსებობს. შედეგები კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს მის „ენათმეცნიერულ“ ბუნებას.

ამერიკელი მკვლევარი, ენათმეცნიერების ამ ახალი მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი უ. ლაბოვი თვლის, რომ ენის სრულფასოვანი შესწავლა გულისხმობს მისი სოციალური კონტექსტის გათვალისწინებას (ლაბოვი 1972გ: 13).

თუ ამ თვალსაზრისს გავიაზრებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ მკვლევარს აინტერესებს არა საკუთრივ ენა, არა მისი შინაგანი სტრუქტურა, არამედ ის, რასაც ადამიანები იყენებენ. ამაში მონაწილეობს ყველა ფაქტორი, რომელთაც შეუძლიათ ენის გამოყენებაზე გავლენის მოხდენა.

„რომელიმე ენის დაწვრილებითი და ზუსტი შესწავლა, - აღნიშნავდა რ. იაკობსონი, - შეუძლებელია იმ გრამატიკული და ლექსიკური წესების გარეშე, რომელსაც იყენებენ მოსაუბრები თავიანთი სოციალური მდგომარეობის, სქესის, ასაკის გათვალისწინებით. ენის საერთო აღწერისას ამგვარი წესების ადგილის განსაზღვრა საკმაოდ რთული ამოცანაა“ (იაკობსონი 1931: 287).

მეცნიერი გულისხმობს არა ენის იდეალურ მატარებელს, არამედ რეალურ ადამიანებს, რომლებიც მეტყველების პროცესში, შესაძლოა, ბევრ ენობრივ ნორმას არღვევენ, შეცდომებს უშვებენ, ერთმანეთში ურევენ სხვადასხვა ენობრივ სტილს და ა. შ. მნიშვნელოვანია აიხსნას, რით არის გამოწვეული ენის გამოყენების თავისებურებები.

ამჟამად მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საზოგადოების სტრუქტურასა და ენის სოციალურ სტრუქტურას შორის დამოკიდებულება საკმაოდ რთულია. ენის სოციალური დიფერენციაციისას აისახება არა მხოლოდ საზოგადოების ამჟამინდელი მდგომარეობა, არამედ წინანდელი ვითარებაც, მისი სტრუქტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, ამ სტრუქტურის ცვალებადობა წარსულში საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

რ. ბელი აუცილებლად მიიჩნევს, გვახსოვდეს ენათმეცნიერთა მიერ არაერთგზის გამოთქმული და დღესაც საკმაოდ აქტუალური თეზისი იმის შესახებ, რომ ენობრივი განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საზოგადოების განვითარების ტემპებს. მეცნიერი ამით ხსნის იმას, რომ ენა, თავისი დანიშნულების მიხედვით - როგორც დამაკავშირებელი რგოლი

რამდენიმე თაობას შორის - უფრო კონსერვატორულია, ვიდრე ესა თუ ის სოციალური სტრუქტურა (ბელი 1980: 103).

ისეთ სოციალურ კატეგორიებს, როგორიცაა „სტატუსი“, „სოციალური როლი“ მკვლევართა ერთი ნაწილი განიხილავს, როგორც ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებენ ენის სტილურ ვარირებაზე. მოსაუბრისადმი (რომელიც განაპირობებს მეტყველების ვარირებას), როგორც ერთ-ერთი ფაქტორისადმი ყურადღება, ასევე სოციალური და სიტუაციური ნიშნებიდან გამომდინარე მოსაუბრეთა სხვადასხვა ტიპების გამოყოფა დამახასიათებელია სტილისტიკისთვის. ასეთია, მაგალითად, უ. ლაბოვის თავისი დროისთვის საკმაოდ ნოვატორული გამოკვლევა, სადაც ინგლისური ენის თანამედროვე ამერიკული ვარიანტის ფონეტიკური თავისებურებები განიხილება მოსაუბრეთა სოციალური განფენილობისა და მეტყველების სტილური ნაირსახეობების კონტექსტში (ლაბოვი 1972გ: 13).

ე. პოლივანოვი თვითონ ენობრივი ევოლუციის სოციალური შეპირობებულობის იდეას ახლად არ მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ის გამომდინარეობს აქსიომიდან, რომლის თანახმადაც ენა საზოგადოებრივი მოვლენაა და, ბუნებრივია, მისი განვითარება ვერ იქნება მთლიანად ავტონომიური. მეცნიერისთვის მთავარია, იმის გარკვევა, თუ ენობრივ ცვლილებებზე კონკრეტულად როგორ ახდენენ გავლენას საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, როგორია ამ გავლენის მექანიზმი (პოლივანოვი 1978: 78).

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ სოციალური ფაქტორები არაერთგვაროვანია და განსხვავებული ლინგვისტური დირებულება აქვთ. ერთი ნაწილი გლობალურია, მოქმედებს ენობრივი სტრუქტურის ყველა დონეზე. მეორე ნაწილი მეტ-ნაკლებად იწვევს მხოლოდ ზოგიერთი ენის განვითარებას. გლობალური სოციალური ფაქტორების მაგალითებია: ენობრივი მატარებლების წრის შეცვლა, განათლების გავრცელება, ადამიანების ტერიტორიული გადაადგილება (მიგრაცია), ახალი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ენის გამოყენების ზოგიერთ სფეროზე ახლებურად მოქმედებს, მეცნიერების განვითარება, მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლეები, გამოგონებები (არავინ დავობს იმაზე, რომ თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ყოფაში, მაგალითად, წიგნის ბეჭდვა, რადიოს, ტელევიზიის დანერგვა იქცა სოციალურ ფაქტორებად, რომელთაც გავლენა იქონიეს ენის გამოყენებაზე. საქმიანობის ბევრ სფეროში

მასობრივი კომპიუტერიზაცია ამა თუ იმ ფორმით აისახება ენაში, ასევე ენის მატარებელთა სამეტყველო ქცევაზე). ენის მატარებელთა შემადგენლობის შეცვლა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც გლობალური სოციალური ფაქტორი, იწვევს ცვლილებებს ფონეტიკაში, ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში, სინტაქსში და შედარებით ნაკლებად, ენის მორფოლოგიაში.

კერძო სოციალური ფაქტორის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე სალიტერატურო ენის შეთვისების ტრადიციის შეცვლა. რას მეცნიერებს ამის დასტურად მოჰყავთ ამ პერიოდში რას ინტელიგენტთა და დიდებულთა წრეში ზეპირი ტრადიციის დამკვიდრების შემთხვევა, როდესაც ოჯახის უფროსი თაობიდან უმცროსი თაობა ენას შეისწავლიდა შიდა საოჯახო ურთიერთობებისას ზეპირი წარმოთქმის გზით: „სალიტერატურო ენის მატარებლების დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით გავრცელდა სალიტერატურო ენასთან ურთიერთობის განსხვავებული ფორმა – წიგნური (იგულისხმება სასწავლო სახელმძღვანელოც). ამ ფაქტორმა გავლენა იქონია წარმოთქმის წესებზე: ტრადიციულ საწარმოთქმო ფორმებთან ერთად გავრცელდა ახალი, ორთოგრაფიულ სახესთან უფრო მიახლოებული სიტყვები“ (ვინოგრადოვი ... 1984: 87).

საზოგადოებაში ენის ფუნქციონირების საკითხი, როგორც უკვე ვთქვით, აქტიურად განიხილებოდა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე ორი ძირითადი მიმართულებით: უკვე ხსენებულ პრაღის ლინგვისტურ სკოლასა და პეტერბურგის ლინგვისტურ სკოლაში, უპირველესად მის დამაარსებელი ი. ა. ბოდუენ დე კურტენეს მიერ.

ენის საკითხებს საზოგადოებასთან მიმართებით განიხილავდნენ ა. მეივ, განსაკუთრებით კი ჟ. ვანდრიესი (ვანდრიესი 1937: 49). ანალოგიური იდეები თავს იჩენდა ფ. სოსიურთანაც (სოსიური 2002).

ფ. სოსიური ხაზს უსვამდა ენის სოციალურობას, უპირისპირებდა მას ინდივიდუალურ მეტყველებას. მეცნიერის აზრით, „ენობრივი კოლექტივი ვერ ახდენს გავლენას ვერც ერთ სიტყვაზე. საზოგადოება ენას იდებს ისეთად, როგორიც ის არის“, საიდანაც გამომდინარეობს, რომ „ენაში რევოლუცია შეუძლებელია“ (სოსიური 2002: 67). მხედველობაში პქონდა სალიტერატურო ენის, საიდუმლო ენებისა და არგოს ნორმირება, ისეთი ხელოვნური ენის შექმნა, როგორიც ესპერანტოა. ამგვარმა მიღვომამ თავი თავი მისი მოსწავლეების ნააზრევშიც იჩინა – ე. პოლივანოვი, ლ. იაგუბინსკი და სხვა.

ენის საზოგადოებაში ფუნქციონირების საკითხებს განიხილავდნენ პრაღისა და ლონდონის ლინგვისტურ სკოლებში, მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა ის ე. სეპირის კონცეფციაში.

პრაღელებისთვის მნიშვნელოვანი ენის ფუნქცია განიხილებოდა ენის საზოგადოებაში გამოყენების გათვალისწინებით. უკვე „პრაღის ლინგვისტური წრის თეზისებში“ ხაზგასმული იყო სამეტყველო ქმედების სოციალურ დანიშნულება.

ამასთან დაკავშირებით პრაღელები სწავლობდნენ ენაში ვარირების საკითხებს (ფუნქციური სტილის კონცეფცია) და ენის ნორმირების პრობლემებს. ადგენდნენ კონცეფციას სალიტერატურო ენებზე, ქმნიდნენ სალიტერატურო ენების ისტორიას, როგორც გამორჩეულ ლინგვისტურ დისციპლინას.

ლონდონის ლინგვისტური სკოლის ენათმეცნიერები მნიშვნელობის კონტექსტური კონცეფციის შემუშავებისას სწავლობდნენ ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის სოციალურ კონტექსტს და მას განიხილავდნენ ენისა და კულტურის კავშირში.

ე. სეპირი და მისი სკოლის ლინგვისტები, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ინდიელი ხალხების ენებისა ადა კულტურის კომპლექსურმა შესწავლამ, სწავლობდნენ ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხებს, ენის როლს სოციალურ გარემოში, ასევე განიხილავდნენ ენობრივ კოლექტივზე მისი გავლენის საკითხებს.

1940 წელს იაპონიაშიც ჩამოყალიბდა სკოლა, რომელიც უპირველეს ყოვლისა ენის სოციალური ფუნქციონირების საკითხებს სწავლობდა.

ენობრივი კომუნიკაციისას სოციალური კონტექსტის გათვალისწინება პრინციპულად მნიშვნელოვანია ბრიტანული სკოლის სისტემური ლინგვისტიკისათვის – მ. ჰოლიდეისა და მისი მიმდევრებისათვის (ჰოლიდეი 1968).

სოციოლოგიურ ასპექტთა კვლევა მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების რუსი და ჩეხი მეცნიერების ნაშრომების შემდეგ გარკვეული ხნით შეჩერდა. მეოცე საუკუნის 60-იან წლებში კი განახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, უპირველესად ჩ. ფერგიუსონის (1921-1998), უ. ლაბოვის (1972), უ. ვაინრაიხის ნაშრომებში. ამერიკელ მეცნიერთა ნაშრომები არაერთგვაროვანია.

გამოყოფენ სინქრონიულ სოციოლინგვისტიკას, რომელიც სწავლობს ენისა და სოციალური ინსტიტუტების დამოკიდებულებას. დიაქტონიული

სოციოლინგვისტიკა კი უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს იმ პროცესებზე, რომლებიც ასახავენ ენის განვითარებას საზოგადოების განვითარებასთან კავშირში.

მეცნიერები ცალკე ყურადღებას უთმობენ ენობრივ დამოკიდებულებებსა და პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს დიდ სოციალურ გაერთიანებებში – სახელმწიფოებში, რეგიონებში, კუცელ სოციალურ ჯგუფებში, რომლებიც პირობითად ამა თუ იმ სოციალური ნიშნით გამოიყოფა (მაგ: ასაკობრივად, განათლების დონით და ა.შ.).

ასევე აანალიზებენ იმ ენობრივ პროცესებს, რომელთაც ადგილი აქვთ რეალურად არსებულ, მაგრამ რაოდენობრივად მცირერიცხოვან ენობრივ მატარებელთა ჯგუფებში – ოჯახში, სათამაშო ჯგუფში, თანამშრომელთა წრეში. თეორიულად მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

- ენობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებისა და მათი სოციალური ბუნების დასაბუთება. აქვე განიხილება ის კანონზომიერები, რომლებიც ენის თვითგანვითარებითაა შეპირობებული.
- ენის ფუნქციონირების სოციალურობით შეპირობებულობის კვლევა. ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში ენის გამოყენების დამოკიდებულება სოციალურ და სიტუაციურ ცვლილებებზე.
- იმ სამეტყველო ურთიერთობათა ანალიზი, რომლისთვისაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა კომუნიკაციაში მონაწილე სოციალური როლების ერთობლიობა, ამა თუ იმ სამეტყველო აქტების რეალიზაციისათვის საჭირო სოციალურ-ფსიქოლოგიური პირობები, მოსაუბრეთა ერთი კოდიდან მეორეზე გადართვის უნარი და ა.შ.
- ერთ სოციუმში არსებობის პირობებში ენათა ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთგავლენის შესწავლა. კონტაქტში მყოფი ენების ინტერფერენციისა და სესხების პრობლემების გარკვევა. ხანმოკლე ენობრივი წარმონაქმნების - ინტერდიალექტების, კოინეს, პიჯინის - ფორმირების პროცესის თეორიული დასაბუთება.

თეორიტიკოსებმა ადრე გააცნობიერეს, რომ ენის სოციალურ ფაქტორებზე დამოკიდებულება აუცილებლად უნდა გამყარებულიყო მასობრივი ემპირიული მასალით (ბუნებრივია, მასალა მასობრივი უნდა ყოფილიყო იმდენად,

რამდენადაც საჭირო იყო სოციალური, ჯგუფური და არა ინდივიდუალური კავშირი ენის მატარებელსა და ენობრივ გარემოს შორის).

რუსეთში 6. პანოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში უ. ლაბოვი იყვნენ პირველი მეცნიერები, რომლებმაც მეოცე საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმართეს ექსპერიმენტს, როგორც კვლევებისთვის აუცილებელ ეტაპს და როგორც გარკვეული თეორიული დებულებების დასაბუთებისთვის საჭირო ქმედებას. შეიძლება ითქვას, რომ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ექსპერიმენტულ სოციოლინგვისტიკას.

თანამედროვე ექსპერიმენტი საკმაოდ შრომატევადია და დიდ ორგანიზაციულ ძალისხმევას საჭიროებს. ექსპერიმენტატორი ცდილობს, მიიღოს წარმომადგენლობითი და შეძლებისდაგვარად ობიექტური მონაცემები ადამიანთა ენობრივი ქცევების შესახებ, ენობრივი ერთობის არსებობის ამა თუ იმ მხარეზე. ასეთი მონაცემები უნდა ახასიათებდეს განსხვავებულ ენობრივ ჯგუფებს, რომლებიც ერთიანობაში ენობრივ საზოგადოებას ქმნიან.

მეცნიერების ბევრი დარგი თავის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად წყვეტს საკითხებს, რომლებიც უფრო მეტად კონკრეტული ხასიათის არიან და პრაქტიკული დანიშნულება აქვთ. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც.

ენათმეცნიერთა წინაშე დგება ისეთი საკითხები, როგორიცაა მშობლიური და უცხო ენის სწავლება. ენის სწავლების ტრადიციული მეთოდიკა ეყრდნობა ლექსიკონებსა და გრამატიკებს, რომლებიც ძირითადად აფიქსირებენ ენის შინაგან სტრუქტურულ თავისებურებებს და სიტყვების გამოყენების სისტემით განპირობებულ წესებს, სინტაქსურ კონსტრუქციებს.

ამ დროს ენის რეალური გამოყენება რეგულირდება მოსაუბრეთა სოციალური მახასიათებლებით და გარემოებებით, რომლებშიც ენობრივი ურთიერთობები მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ენის სწავლება ეფექტურია მაშინ, როდესაც მისი სწავლების მეთოდიკაში, სასწავლო ლიტერატურაში გათვალისწინებულია არა მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტური წესები და რეკომენდაციები, არამედ სხვადასხვა „გარეგანი“ ფაქტორიც.

თავისებურებების აღსაწერად სოციოლინგვისტიკა სპეციფიკურ ცნებებს იყენებს: ენობრივი ერთობა, ენობრივი სიტუაცია, სოციალურ-კომუნიკაციური სისტემა, ენობრივი სოციალიზაცია, კომუნიკაციური კომპეტენცია, ენობრივი

კოდი, ბილინგვიზმი, დიგლოსია, ენობრივი პოლიტიკა და სხვა (ჩვენ მათ განმარტებებს ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის აღწერის დროს შევეხებით).

შევეცდებით, ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის აღწერისას თითოეული მათგანი გავაანალიზოთ.

ენათა კონტაქტებისადმი სოციოლინგვისტური მიდგომა კი ენების თანაარსებობით განპირობებული სიტუაციის შესწავლას გულისხმობს. კონტაქტების დროს თითოეული ენის თვითმყოფადობა და მრავალმხრივობა ასევე მრავალფეროვანსა და არაერთგვაროვან სურათს ქმნის. თანდათან უფრო ცნობიერდება ენის ფაქტორის დიდი როლი არა მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნისათვის, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებშიც.

სწორი ენობრივი პოლიტიკა გახდა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის უშუალო შემადგენელი ნაწილი. მ. ტაბიძე ჩამოთვლის თანამედროვე ენობრივი პოლიტიკის ძირითად ტენდენციებზე გავლენის მქონე შემდეგ ფაქტორებს:

1. როდის მოხდა განსხვავებულ ენათა შეხვედრა არეალში;
2. რამდენად განსხვავებული ან მონათესავე ენები ხვდება ერთმანეთს;
3. რომელი ჭარბობდა: ავტოქტონური თუ „მოსული“;
4. რა თანაფარდობა იყო და არის „მოსულისა“ და „დამხვდურის“ „კულტურათა შორის;
5. რა ეტაპებს გადიოდა ავტოქტონური მოსახლეობა სახელმწიფოებრივი მოწყობის გზაზე და რამდენად ერეოდა მის პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში სხვა სახელმწიფო;
6. რამდენად შეეხო დამხვდურის ეთნოკულტურული გავლენა მოსულ მოსახლეობას და მისი „ენობრივი ცნობიერებისათვის „რამდენად მისაღებია ავტოქტონური მოსახლეობის ენის მოხმარება და, პირიქით, რამდენად იმოქმედა „მოსულის“ ენამ დამხვდურზე;
7. ბილინგვიზმის რა ხარისხთან გვაქვს საქმე არეალში;
8. ენობრივი კონტაქტები მშვიდობიანად მიმდინარეობს, თუ ენობრივ კონფლიქტია გადაზრდილი;
9. რამდენად არის მზად მოსახლეობა მიიღოს და ფუნქციური მრავალფეროვნებით მოიხმაროს (სახელმწიფო ყოფის ყველა სფეროში) საკუთარი ან სხვისი ენა (ტაბიძე 2005: 31).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დიბოლდი ამას „სასწავლო სიტუაციას“ უწოდებდა. მოგვიანებით იგი ტერმინით „ენობრივი სიტუაცია“ შეიცვალა

(დიბოლდი 1961ბ: 97). ეს უკანასკნელი, მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, მეტად მოსახერხებელი და ფართო მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა.

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ენობრივი სიტუაცია მოიცავს ეთნოლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და საკუთრივ ლინგვისტურ ასპექტებს.

ინფორმაცია ენისა და სხვადასხვა სოციოლოგიურ ასპექტთა ურთიერთმიმართების შესახებ მნიშვნელოვანია იმ პრობლემებისა და პრაქტიკული ქმედებების შესამუშავებლად, რომლებიც სახელმწიფოს ენობრივ პოლიტიკას ქმნიან.

ენობრივი პოლიტიკა განსაკუთრებულ სიფაქიზება და სიფრთხილეს მოითხოვს. ასევე აუცილებელია მრავალი ფაქტორის გათვალისწინება განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვეყანა პოლიეთნიკური და მრავალენოვანია. ასეთ სახელმწიფოებში ენისა და მისი საკომუნიკაციო ფუნქციების საკითხები, რომლებიც სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოიყენება, მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკური მართვის მექანიზმებს, ეროვნული თანხმობისა და სოციალური სტაბილურობის საკითხებს.

ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი სერიოზული ბერკეტია კანონი ენის შესახებ. მართალია, მისი შემუშავება იურისტების კომპეტენციაა (სწორედ მათ უნდა ჩამოაყალიბონ ზუსტად და არაწინააღმდეგობრივად მდგომარეობა, რომელიც ეხება, ვთქვათ, სახელმწიფო ენის სტატუსს, მის ფუნქციებს, სახელმწიფო ენის მონოპოლიურ გამოყენებას განსაკუთრებით მნიშვნელოვან სოციალურ სფეროებში, „ადგილობრივი“ ენების გამოყენების რეგლამენტირებას და ა. აშ.), მაგრამ სწორი კანონის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ენის ფუნქციონირების ყოველმხრივი ცოდნის საფუძველზე, ენის სისტემის ყველა ნაირსახეობის გათვალისწინებით (სპეციალური ტემინოლოგია, სამეცნიერო ენა, დიპლომატიური დოკუმენტების ენა, ოფიციალურ-საქმიანი ურთიერთობების ენა და ა.შ.). ასევე საჭიროა მაქსიმალურად სრული წარმოდგენა იმაზე, „რა შეუძლია“ და „რა არ შეუძლია“ მოცემულ ენას მრავალფეროვან სოციალურ და სიტუაციურ პირობებში გამოყენებისას.

თეორიის ჩამოყალიბება და პრაქტიკული შედეგების განზოგადება ხშირად დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ენობრივი სიტუაციის ხასიათზე. მრავალენოვან ქვეყნებში ერთი სახის პრობლემებია, ერთენოვანში - მეორე. ეროვნული ერთგვაროვნების პირობებში აქტუალურია სალიტერატურო

ენის ნორმირებისა და კოდიფიცირების, ნაციონალური ენის სხვა ქვესისტებთან მისი ურთიერთობის პრობლემა.

მყარი ენობრივი კანონზომიერებების დამკვიდრება შეიძლება განპირობებული იყოს არა მხოლოდ პიროვნული თავისებურებებით, არამედ არსებული სოციალური მოვლენებით, რომელიც არის იმ კოლექტივში, სადაც ენათა კონტაქტები მიმდინარეობს.

ლ. ბლუმფილდი ხაზგასმით ამბობს, რომ ენობრივ მოვლენათა გავრცელება დამოკიდებულია სოციალურ ფაქტორებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობის ინტენსივობა და სხვადასხვა ჯგუფის საზოგადოებრივი პრესტიჟი (ბლუმფილდი 1933: 78). განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის ხაზგასმა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების საერთოობა, რელიგიური ერთიანობა და განსაკუთრებით კი შერეული ქორწინებანი, რომელიმე პოლიტიკური ერთიანობის ფარგლებში იწვევს ენობრივ ერთიანობას.

სოციალურ მოვლენათა გავლენის გათვალისწინება კანონზომიერია ორენოვნების კვლევისას. „სოციალური“, რა თქმა უნდა, ფართო გაგებით იხმარება. ის მოიცავს არა მხოლოდ სოციალურ ფენებს, არამედ ითვალისწინებს ასაკობრივ, განათლების, მიგრაციულ და სხვა ფაქტორებსაც.

ენათა კონტაქტების დროს საზოგადოების კლასობრივი, კლანური თუ კასტური დაპირისპირების ხაზგასმა შეიძლება ამა თუ იმ ენის გამოყენების გააქტიურებით. ინდიელთა ტომების მაგალითი ამის დადასტურებაა. სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას ტოდის ტომი, ხოლო კოტა და ბადაგა ემსახურებიან მას. თითოეული ტომი ლაპარაკობს მხოლოდ თავის ენაზე სხვა ტომის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროსაც.

ასე რომ, თითოეულმა იცის სამივე ენა, მაგრამ უფლება აქვს, ილაპარაკოს მხოლოდ თავის ენაზე, რადგან, სხვაგვარად დაირღვეოდა კასტური იერარქიის პრინციპი. ანალოგიური ურთიერთობა ათამილისა და ტულუს კასტურ დიალექტებს შორის აგრეთვე აზისა და აფრიკის, ამერიკის ბევრ რეგიონში (ჯორბენაძე 1989: 44).

საზოგადოების რომელიმე ფენაში სოციალური დიფერენციაცია ვლინდება ამა თუ იმ ენის უპირატესობით. ელიტარული საზოგადოება თავის გამოჩენის მიზნით ჩვეულებრივ ცდილობდა, სხვადასხვა ფენისაგან თავისი განკურძოებულობა ენითაც გამოეხატა. როგორც წესი, დედაენის ნაცვლად უცხო

ენებს ეძალებოდა. ასეთი იყო მეოცე საუკუნის ქართული ელიტარული საზოგადოების უპირატესად რუსული ენა.

ზოგიერთ საზოგადოებაში შეიძლება ენის არჩევა პრაქტიკული მოსაზრებებით იყოს განპირობებული. ე. ჰაუგენი კანადელთა ენობრივ ქცევებზე დაკვირვებისას აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი ფრანგული აქცენტი ინგლისურ ენაზე მოსაუბრისათვის სოციალური თვალსაზრისით ნაკლებად მომგებიანი იყო, ვიდრე ამერიკაში, სადაც, კოქვათ, ფრანგი აღმზრდელისათვის ეკონომიკურად განსაკუთრებით მომგებიანი იყო ხაზგასმით გამოეკვეთა ფრანგული აქცენტი, როგორც სიმბოლო თავისი „ავტორიტეტული“ წარმომავლობისა (ჰაუგენი 1972: 64).

სოციალურ ფაქტორს უკავშირდება მეტყველების ასაკობრივი ნიშნით შეპირობებული დიფერენციაციაც. ახალგაზრდობა ნებით თუ უნებლიერ ცდილობს, დაუპირისპირდეს უფროს და თავის მომდევნო თაობას არა მხოლოდ ქცევით, არამედ მეტყველებითაც. ამ შემთხვევაში ახალგაზრდობის მიერ თვითგამორჩევისა და საზოგადოებაში თვითგანმტკიცების სურვილია მეტყველების ამ ნაირსახეობის წარმოქმნის საფუძველი.

ერთი რამ აშკარაა: ენათა კონტაქტების სფეროში ბევრი რამ, რომელიც იკვლევა მხოლოდ ენათმეცნიერული, წმინდა ლინგვისტური ნიშნით, სინამდვილეში ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ხასიათის მოვლენებია. ლინგვისტებმა, რომელთაც აღწერეს ენათა კონტაქტების კონკრეტული გამოვლინებები, ამავდროულად დიდი და საინტერესო მასალა დააგროვეს ამ საკითხების არაენობრივი კვლევისათვის. იგულისხმება ცნობები იმ ვითარებაზე, რომლებშიც ენობრივი ერთობის წევრებმა შეისწავლეს, ან გამოიყენეს ესა თუ ის ენა. ასევე უამრავი სოციალური ფაქტორი, რომელმაც განაპირობა სხვადასხვა ენის შესწავლა და გამოყენება, მოსაუბრის ენისადმი დამოკიდებულება.

## თავი 2

### ბილინგვიზმისა და ბიკულტურიზმის ურთიერთმიმართების საკითხი ჯავახეთში

სოციოლინგვისტიკას აქცენტი სხვადასხვა ენის სტრუქტურის სახესხვაობაზე და მათ გამოყენებაზე გადააქვს. სწორედ ამ უკანასკნელის შესწავლისას ხდება აქტუალური ენების როლისა და ფუნქციების გარკვევა. ეს კი პირდაპირ კავშირშია იმ კულტურულ რეალიებთან, რომელშიც ხდება მათი ფუნქციონირება.

რ. სირაძე წერს: „განსახოვნების ეროვნული საფუძვლები დევს ენაში. ენა ეროვნული კულტურის სახეა. ენაში ჩანს არა მხოლოდ საკუთრივ ეროვნული, არამედ ისიც, თუ რას ითავსებს და ითვისებს ეროვნული კულტურა. ამის იმპულსს იძლევა ენა. ენაში აისახება ორგანულ კულტურულ ურთიერთობათა წარმონაქმნიც და უცხო კულტურათა ანექსიის შედეგებიც. ამიტომ ენობრივი შეპირისპირებანი საშუალებას ქმნის განსახოვნების ტიპოლოგიური ბუნების კვლევისათვის“ (სირაძე 2001: 22).

არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ განსხვავებული ენები ერთი კულტურის ფარგლებში, ამაგდროულად, ერთი და იგივე ენა სხვადასხვა კულტურის გავრცელების არეალზე შეიძლება გამოიყენებოდეს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ორენოვნების და ორგვარი კულტურის არსებობა ყოველთვის არ თანხვდება ერთმანეთს.

კულტურასთან მიმართებითაც ისევე არსებობს აქცენტები, რომლებიც შემხვედრი მოდელების ინტერფერენციის შედეგია. მათგან გათავისუფლება ისევე რთულია, როგორც ენობრივი აქცენტებისგან.

წვენთვის საინტერესო ენობრივ არეალთან მიმართებით პასუხი უნდა გავცეთ შემდეგ კითხვას: ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაცია რეალურად ერთი კულტურის ფარგლებში არსებობს თუ სხვადასხვა კულტურათა ურთიერთმიმართების გავლენის შედეგია.

ე. ჰაუგენი, რომელიც ამერიკელი ნორვეგიელების მეტყველებას სწავლობდა, საზს უსვამდა ფაქტს, რომ ამერიკაში ნორვეგიელი და ინგლისური ენების მატარებელი ყოველთვის არ გვევლინება ორი კულტურის მატარებლად. ენიდან სესხების შემთხვევებიც ნაკარნახევია იმით, რომ ახალ კულტურას შეუხამოს მშობლიური ენა. ამ პროცესის დამთავრებისთანავე მას ერთი ენიდან მეორეზე

თავისუფლად და დარწმუნებით გადასვლა შეუძლია. ასეთ დროს მის ირგვლივ არსებული ორენოვნების გარემოში კულტურასთან მიმართების თვალსაზრისით თავს უცხო სხეულად არ გრძნობს (ჰაუგენი 1953ბ: 72].

„კომუნიკაციის პროცესი ენობრივი კოლექტივებით რომ შემოსაზღვრულიყო, კაცობრიობის კულტურათა ისტორია არანაკლებ მრავალფეროვანსა და ჭრელ სურათს აჩვენებდა, ვიდრე ეს ენობრივი თვალსაზრისით გვაქვს. მაგრამ საქმე სხვაგვარადაა. რაიონებში, სადაც ენობრივი სხვადასხვაობა მკვეთრად არის გამოხატული (როგორიც არის კავკასია, ახალი გვინეა, ნორვეგიაში პლატოს პროვინცია, მექსიკაში იოხავას რაიონი და ა.შ), არ განსხვავდება შესაბამისი ეთნიკური სიჭრელით. კულტურის თვალსაზრისით გასაოცარი ერთფეროვნება და ამავე დროს ენობრივი სხვადასხვაობის არსებობა იმას ამტკიცებს, რომ ურთიერთობებმა შეიძლება გადალახონ და ლახავენ კიდეც ენობრივ საზღვრებს. ეს კი მხოლოდ მრავალენოვანი მატარებლის შუამავლობის წყალობით ხდება შესაძლებელი“, - აღნიშნავდა უ. ვაინრაიხი (ვაინრაიხი 1972ბ: 25).

უ. ვაინრაიხის ამ მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ორენოვან მატარებელს შეუძლია ფლობდეს ორ ენაზე ნაკლებ ენობრივ სისტემას, ასევე ორი კულტურის მატარებელს შეუძლია ფლობდეს ორზე ნაკლებ კულტურას. მთლიანობაში იმის დაშვება, რომ ორენოვნების ხარისხი ბიკულტურიზმის ხარისხის პირდაპირპორციულია, ჭეშმარიტებად მხოლოდ ერთი შეხედვით გამოიყერება. საკმარისია, ეს საკითხი კონკრეტული ენის მასალის საფუძველზე განვიხილოთ (თუნდაც ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაციის მაგალითზე), აღმოჩნდება, რომ იგი მცდარია.

როდესაც კულტურულ თავისებურებებზე დაკვირვება დავიწყეთ, მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ამა თუ იმ ენის ლექსიკური მარაგი გარკვეულწილად შესაბამისი კულტურის ინვენტარს წარმოადგენს. მთლიანობაში კი იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი აღწერა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ყველაზე დიდი თანადამოკიდებულება სწორედ ლექსიკის სფეროშია შესაძლებელი. ლექსიკა ხომ მნიშვნელობას გამოხატავს. ესე იგი იტევს იმას, რისგანაც არის შემდგარი მოცემული კულტურა.

კულტურის გავლენა ენის ისეთ სტრუქტურულ და ენობრივ ელემენტებზე, როგორიც არის მორფოლოგია, ფონოლოგია და სინტაქსი, ნაკლებად შესამჩნევია. კულტურის სფეროში ცვლილებებზე ისინი ვერ რეაგირებენ. ასე რომ, მათზე ბიკულტურიზმის გავლენის საკითხი დიად რჩება და შემდგომ

კვლევას საჭიროებს. ლინგვისტები, რომლებიც ამ პრობლემათა კვლევით არიან დაკავებულნი, აქტიურად თანამშრომლობენ ფსიქოლინგვისტიკასთან, ეთნოლინგვისტიკასთან და გლობოპოლიტიკასთან.

ენის როლი სხვადასხვა ენობრივ სიტუაციაში შეიძლება სახვადასხვაგვარი იყოს. ჰ. ჰაიმსი აღნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ, გარკვეულ დონემდე მართლაც ცხოვრობენ სხვადასხვა სამყაროში. ენობრივი უნარები ნაწილობრივ კულტურულ რეალიებს ქმნიან (ჰაიმსი 1972ა: 240).

იმისი მტკიცება, რომ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა კულტურას განეკუთვნებიან, ფლობენ არა მხოლოდ ერთსა და იმავე ბუნებრივ კომუნიკაციურ შესაძლებლობებს განსხვავებული ადათ-წესების პირობებში, არამედ გარკვეული ხარისხით განსხვავებულ კომუნიკაციურ სისტემებს, ადასტურებს, რომ კულტურული ფასეულობები და რწმენა ნაწილობრივ ქმნის ენობრივ რეალიებს.

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ჯავახეთის ენობრივ არეალში საკმარისია შევისწავლოთ კომუნიკაციური სიტუაციების განსხვავების ხარისხი, რომ ნათელი მოეფინება ერთგვარი და განსხვავებული კულტურების არსებობის პრობლემას.

გ. სეპირიცა და ვ. ორფიც მიმართებათა პირველი ეტაპის ფორმულირებისას ენას თვლიან შედეგად. მათ მიერ გამოყოფილი ლინგვისტური მიმართებების ორი ტიპიდან პირველი კულტურის ნაწილი გადის ენობრივ არხს, ხოლო მეორეში ენა გადის კულტურის არხს.

ჯერ უორფმა (უორფი 1941: 75-93), შემდეგ ტრაგერმა (ტრაგერი 1959: 31-35), ფიშმანმა (ფიშმანი 1960: 323-339), ჰაიმსმა (ჰაიმსი 1961ბ: 22-54) ერთხმად აღიარეს, რომ ზემოთდასმული პრობლემა ეტაპობრივ კვლევას საჭიროებს. ზოგადად კი იგი სტრუქტურისა და მისი გამოყენების დამოკიდებულების გარკვევად მოიაზრება. მეცნიერები კვლევის სამ საფეხურს გამოყოფენ.

1. **აღწერა და კავშირები.** ეს გულისხმობს ენობრივ თავისებურებათა გამოკვეთას და იმის ჩვენებას, რომ მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. ამ საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა ერთი ნაწილი კი ამ როლს განიხილავს როგორც შესაძლებელს. ე. სეპირის მტკიცება, რომ „ენა არის ყველაზე მასიური და ყოვლისმომცველი დღემდე ცნობილ ყველა ხელოვნებასთან შედარებით. იგი თაობათა უდიდესი, ანონიმური და

გაუცნობიერებელი შრომაა“. ასევე ნიუმენის დასკვნა, რომ „ნებისმიერი ენა ხელოვნების რომელიმე დარგს ჩამოჰვავს იმდენად, რამდენადაც მას გააჩნია მასალის გარკვეული შეზღუდული რაოდენობა“, - ექვემდებარება სტილურ მიზნებს, რომლებიც აღმოჩენილნი არიან და ყოველთვის აღმოჩნდებიან ენობივი კოლექტივების მიზნებად, იძლევა იმ დასკვნის გაკეთების უფლებას, რომ ენობრივი და კულტურული მოდელები შეიძლება თანხვდეს ერთმანეთს.

2. მეორე ნაბიჯი ფუნქციური როლის გამოკვეთას გულისხმობს. იგი კულტურაში ენის როლის განსაზღვრის თვალსაზრისით განიხილება. პ. პაიმსი თვლის, რომ მიჩნილი ადგილი შეიძლება იყოს კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში – შეგნებული თუ სტიქიური ფილოსოფია, ღირებულებების სისტემა, ესთეტიკა, კულტურაში ჩართულობა, კულტურის ტიპი თუ სტადია, აზროვნება, ქცევა (პაიმსი 1972გ: 236).
3. მესამე ნაბიჯი დამოკიდებულების ხასიათისა და მიმართულების დადგენას გულისხმობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მესამე ეტაპზე უნდა მოხდეს აღწერილის თავისებურებების ახსნა და კულტურაში მისი ადგილის განსაზღვრა.

ზემოთქმულს თუ განვაზოგადებთ და ენობრივ სიტუაციაში შემავალ კომპონენტებს განვიხილავთ რომელიმე საზოგადოებაში არსებული კომუნიკაციური სისტემების კონტექსტში, დავინახავთ, რომ მართებული აღმოჩნდება პ. პაიმსის თვალსაზრისი – „ეს არის კოლექტიური აზროვნების გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება, მაგრამ არა ადეკვატური გამოხატვა თვით ამ აზროვნებისა“ (პაიმსი 1972დ: 242).

მოგვიანებით, როდესაც მეცნიერებმა უფრო დაწვრილებით შეისწავლეს სოციალური კონტექსტი, რომელშიც ენა გამოიყენებოდა, აღმოჩნდა, რომ ენობრივი სტრუქტურის ბევრი ელემენტი ექვემდებარება სისტემურ ვარირებას. ეს ყოველივე აისახება როგორც ენის ცვლილება დროში, როგორც ექსტრალინგვისტური სოციალური პროცესები.

როგორც სოციალური ქცევის ფორმა, ენა სოციოლოგიის ინტერესებში უფრო შედის, თუმცა ამ უკანასკნელს ენა, როგორც თავისთავადი მოვლენა არ აინტერესებს. იგი მის ინტერესებში ხვდება იმდენად, რამდენადაც ბევრი სოციოლოგიური პროცესის ამსახველი და შემნახველია. ენობრივი ცვლილებები

თავისთავად დიდ გავლენას სოციოლოგიურ პროცესებზე ვერ ახდენს. ისინი რადიკალურად ვერ აისახებიან ცალკეული ადამიანების ბედზე. პირიქით, როგორც უ. ლაბოვი თვლიდა, „ენობრივი ქცევის ფორმა სწრაფად იცვლება მოსაუბრის სოციალური მდგომარეობის ცვლასთან ერთად. ზუსტად ეს მოქნილობაა, ენას სოციალური ცვლილებების ინდიკატორის ფუნქციას რომ ანიჭებს (ლაბოვი 1972დ: 256).“

თანამედროვე ანთროპოლოგიურ კვლევებში უდიდესი როლი ენიჭება ენის სტრუქტურასა და კულტურის სხვა ასპექტებს შორის ანალოგიების ძიებას. მეცნიერები, რომლებიც ბოლო დროს ამ პრობლემატიკას სათანადო ყურადღებას აქცევენ ორ დიდ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში ერთიანდებიან ვ. უორფის მოსაზრების გამზიარებლები, რომლებიც სხვადასხვა მრავალფეროვანი საშუალებებით ცდილობენ, აღმოაჩინონ შესაბამისობა რომელიმე კონკრეტულ სოციუმსა და მის კულტურულ ღირებულებებს, აღქმის სისტემებს და პრაქტიკულ ქცევებს შორის.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან მკვლევარები, რომლებიც ცდილობენ ადამიანური ქცევის საერთო თეორიის ფორმულირებას. ამ თეორიის მიხედვით ენა, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, წარმოადგენს მხოლოდ სპეციფიკურ ობიექტს.

ვ. ბოკი თავს ამ უკანასკნელთა რიგს მიაკუთვნებს და თვითონაც ავლებს ანალოგიებს ენის სტრუქტურასა და საზოგადოების სტრუქტურას შორის. ამგვარ მიდგომას საფუძვლად ედება მტკიცება, რომ ყველა ენობრივი ფორმა, მორფემები, სინტაქსური და მორფოლოგიური სტრუქტურები წარმოადგენენ უფრო ფართო კატეგორიის ქვეჯგუფს.

ასევე ფართო კატეგორიად მიიჩნევენ მეცნიერები კულტურულ ფორმებს. თუ გავიზიარებთ რედფილდის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც კულტურა არის „ტრადიციული ერთობა გაგებისა, რომელიც თავისი მატერიალური შედეგების მოქმედებით რეალიზდება“, მაშინ კულტურის ცნება უფრო მრავლისმომცველი გახდება (რედფილდი 1941: 132).

ვ. ბოკი კულტურულ ფორმას მიიჩნევს „ურთიერთდამოკიდებულ და ნაწილობრივ ნებით მიღებული გაგების, სარწმუნოების და შეთანხმების ერთობლიობად, რომლებიც ნაწილდება სოციალური ჯგუფის წევრებზე. ეს ჯგუფი ზემოქმედებდა ან ზემოქმედებს თავისი წევრების ქცევებზე“ (ბოკი 1972ა: 383).

ჩვენთვის მისაღებია მოსაზრება, რომ ენობრივი ფორმაც კულტურული ფორმაა, იმდენად, რამდენადაც საერთო ჯამში ენობრივი ერთიანობის წევრებს შორის არსებობს თანხმობის ძალიან მაღალი მაჩვენებელი. ჯგუფისთვის ცნობილი მორფემების, ფონემების პოტენციური გადანაწილება მოქმედებს კოლექტივის წევრების ენობრივ ქცევებზე. ეს ქცევები რჩება როგორც ქვე, ისე ზეცნობიერის სფეროში. ამ ზემოქმედების რეგულარულობა იმდენად დიდია, რომ ლინგვისტს შეუძლია საკმაოდ ხანმოკლე დაკვირვებითაც აღწეროს ენობრივი სტრუქტურა. როგორც პომსკი წერს, „რომელიმე ენის სტრუქტურის აღეკვატური აღწერა ეს არის ენობრივი ფორმების რაოდენობის წარმოდგენა ოპოზიციური ტერმინებით და მათი პოტენციური შესაძლებლობების დაფიქსირება“. (პომსკი 1972: 346) ზუსტად ასევე, მსგავსი საშუალებებით შეიძლება აღიწეროს სხვა კულტურული ფორმების ერთეულები, მათ შორის დამოკიდებულებები.

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება რამდენიმე ძირითად საკითხზე. ერთ-ერთი სოციალური როლებს ეხება.

ენობრივი ფორმების მსგავსად სოციალური როლებიც ქმნიან კულტურული ფორმების გარკვეულ ქვეჯგუფს.

თითოეული როლი შედგება ინდივიდთა კლასების ქცევებისაგან. სხვაგვარად მათ შეიძლება „შემსრულებლები“ ვუწოდოთ. ეს ქცევითი მოლოდინები ქმნის მოცემულ სოციალურ როლს. მათ ეწოდებათ ამ როლის ატრიბუტები. ასეთი ან რამდენიმე ამგვარი ატრიბუტი გახდავთ საკრიტერიუმო, „საყრდენი“ (ასე უწოდებდა მას ნადევლი) იმ თვალსაზრისით, რომ ისინი წარმოადგენენ შემსრულებლის უფლებას, პქონდეს მოცემული როლის ფუნქცია. სხვა ატრიბუტები, რომლებიც მათ უკავშირდება ან მათ შედეგს წარმოადგენს შეიძლება განიხილებოდეს როგორც თავისუფალი ან დამოკიდებული ქცევის ვარიანტი (ნადევლი 1957: 32).

ამგვარი მიდგომის დროს სოციალური როლის ენობრივ ანალოგად იქცევა მორფემა თავისი თავისუფალი და დამოკიდებული ალომორფებით. მორფემები წარმოადგენენ შინაარსის მატარებელ კატეგორიებს, ფონემები - მათ ატრიბუტებს. ნებისმიერი ენობრივი სისტემა გუობს მოწესრიგების ერთ რომელიმე საშუალებას და კრძალავს მეორეს. ფ. ბოკი საინტერესოდ ავლებს პარალელს ენობრივ ერთეულებს, ენის შინაგან სტრუქტურასა და სოციალურ როლებს შორის. „პირველ ყოვლისა, ქცევითი ატრიბუტები - როგორც

აბსტრაქტულები, მაგ., მსუბუქი ხუმრობა, იურიდიული უფლების განხორციელება, ასევე კონკრეტულები (მსმენელისადმი მიმართვა), კერძის მომზადება, შეიძლება განეკუთვნონ სხვადასხვა როლებს ერთი მოცეული კულტურის ფარგლებში. ატრიბუტი შეიძლება გამოვიდეს მოცემული კულტურის ფარგლებიდან“ (ბოკი 1972ბ: 385).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგიერთ ენობრივ ატრიბუტს თავისთავად, ცალკე აღებულს, არ გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ის მნიშვნელოვანი მატარებელი მხოლოდ სხვა ატრიბუტთან ურთიერთობაში ხდება, რომელიც რომელიმე სოციალურ როლს შეესაბამება.

ზემოთ განხილული ენობრივი ერთეულები როლის შინაგან სტრუქტურას შეადგენენ. მნიშვნელოვანია ამგვარი ერთეულების გარეგანი დისტრიბუციის დადგენა. სოციალური როლების გარეგანი დისტრიბუცია განისაზღვრება პირველ რიგში სხვა როლებთან მისი დამოკიდებულების გარკვევით.

რ. მორტონი ამ საკითხს განიხილავს როგორც ერთ-ერთ ძირითადს. ის იყენებს ტერმინს „როლების ნაერთი“ და ამ ტერმინში გულისხმობს როლური დამოკიდებულების იმ კომპლექსს, რომელთა მატარებლები არიან პიროვნებები იმდენად, რამდენადაც თითოეულს გარკვეული სოციალური სტატუსი გააჩნია (მორტონი 1957: 110).

ის ხაზს უსვამს, რომ თითოეულ სოციალურ სტატუსს უკავშირდება არა ერთი, არამედ რამდენიმე სოციალური როლი. მკვლევარს მაგალითად მოჰყავს ამერიკის შეერთებული შტატების სკოლის მასწავლებლის სტატუსი. მეცნიერს მიაჩნია, რომ ამერიკელ სკოლის მასწავლებელს გააჩნია თავისი გამორჩეული როლების ნაერთი, რომელიც მოიცავს მოსწავლეებს, კოლეგებს, სკოლის დირექტორს, ინსპექტორს, სახალხო განათლების განყოფილებას, პროფესიულ ასოციაციებსა და ხშირად ადგილობრივ საქველმოქმედო ორგანიზაციებს. მკვლევრის ნააზრევში მნიშვნელოვანია ის, რომ განმარტავს სხვადასხვა სოციალურ როლს შორის კონფლიქტის არარსებობის ფაქტს. იგი აანალიზებს სოციალურ მექანიზმებს, რომლებიც როლების ამ ერთობებს ქმნიან. ასუსტებენ სხვადასხვა სახის როლის ზემოქმედებას მატარებლის სტატუსზე. ნებისმიერი როლის ატრიბუტი, ფლობენ რა განხორციელების განსხვავებულ შესაძლებლობებს, შეიძლება როლების გამო შეიცვალო.

ვ. ბოკის ანალოგიით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ჯავახეთის სინამდვილეში, ვთქათ, ჩვეულებრივი სკოლის მასწავლებლის სტატუსს

როლების რომელი ნაერთი შეესაბამება. ესენია: მოსწავლე, კოლეგა, უმუალო ხელმძღვანელი (სკოლის დირექტორი), სკოლის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, ადგილობრივი რესურს-ცენტრის ხელმძღვანელობა, სამცხე-ჯავახეთის მასწავლებელთა ასოციაცია, მშობელი და ა. შ.

დავაკვირდეთ, არსებული სოციალური როლებიდან მასწავლებლის სტატუსს ჯავახეთში რომელი როლები შეესაბამება. მასწავლებლის სოციალური როლი აღვნიშნოთ A-თი, დავასახელოთ მასთან პროფესიული თვალსაზრისით ახლოს მყოფი სოციალური როლები: სკოლის მოსწავლე, კოლეგა მასწავლებელი, დირექტორი, სამინისტროს წარმომადგენელი და ისინიც, შესაბამისად, აღვნიშნოთ სათანადო ასოებით B, C, D, E.

სოციალური როლი	სოციალური როლების შესაძლო ნაერთი			
	I ვარიანტი	II ვარიანტი	III ვარიანტი	IV ვარიანტი
„სკოლის მოსწავლე“ B	_ (BA)	_ (BC)	_ (BD)	_ (BE)
„კოლეგა მასწავლებელი“ C	+ (CA)	_ (CB)	+ (CD)	+ (CE)
„დირექტორი“ D	+ (DA)	_ (DB)	+ (DC)	+ (DE)
„სამინისტროს წარმომადგენელი“ E	+ (EA)	_ (EB)	+ (EC)	+ (ED)

შენიშვნა: როდესაც ვწერთ, რომ მოსწავლისა და დირექტორის სოციალური როლები შეუთავსებელია, რა თქმა უნდა, გგულისხმობთ არა მომავალში, არამედ მოცემულ მომენტში.

აშკარაა, რომ სოციალური როლი მოიცავს ნაერთებს. თუ რომელი რეალიზდება, დამოკიდებულია იმაზე, ნაერთის რომელ როლთან A, B, C, D ... შედის კომბინაციაში. ეს ყოველივე საინტერესოა კულტურასთან მიმართების გასარკვევად ერთი ენის სტრუქტურის ფარგლებში. ჩვენი ინტერესის საგანს კი ორენოვნება და მისი კულტურასთან შესაბამისობა წარმოადგენს. თუ ჯერ ერთენოვან კოლექტივში (მხოლოდ ქართულენოვანში ან მხოლოდ სომხურენოვანში) რომელიმე სოციალურ როლს და მის შესაძლო კომბინაციებს

დავადგენთ, შემდეგ იმავეს ორენოვანი კოლექტივის მაგალითზე განვიხილავთ, დავინახავთ, რომ სხვაობა, ფაქტობრივად, მინიმალურია. ანუ სოციალური როლი არ იცვლება იმის მიხედვით, მისი მატარებელი ერთენოვანია თუ ორენოვანი.

შეიძლება რომელიმე სოციალური როლი ამა თუ იმ ენობრივი ერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე კოლექტივში არ არსებობდეს. ეს ხელს ვერ უშლის კულტურული ერთიანობის შენარჩუნებას. მაგ., საჯარო მოხელეთა ენობრივი ერთობისათვის და სოფლის მეურნეობით დასაქმებული ადამიანების ენობრივი კოლექტივისათვის სხვადასხვა სოციალური როლებია დამახასიათებელი (პირველ შემთხვევაში: რაიონის ხელმძღვანელი, ქალაქის გამგებელი, სასამართლოს თანამშრომელი და ა.შ., მეორე შემთხვევაში მესაქონლე, მიწათმოქმედი). ეს განსხვავება ამ ორ კოლექტივს ხელს ვერ უშლის, რომ პქონდეს ერთნაირი ტრადიციები, რიტუალები, საკვები, ტანსაცმელი, თავი მიაკუთვნონ ერთსა და იმავე კულტურას.

მეორე საკითხი, რომელსაც გვინდა შევეხოთ, არის სოციალური სივრცე და სოციალური დრო.

კულტურულ ფორმათა არსებობისა და რეალიზებისათვის ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალურ დროსა და სივრცეს. სოციალური როლის შესრულება დამოკიდებულია სიტუაციაზე. ეს უკანასკნელი სწორედ ის კულტურული ფორმაა, რომლებიც სოციალურ დროსა და სოციალურ სივრცეშია განვიხილი.

ფ. ბოკი სიტუაციას განმარტავს როგორც „კულტურულ ფორმას“, რომელიც პირველ ყოვლისა შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც სხვა კულტურულ ფორმებთან სრულ შესაბამისობაშია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიტუაცია განიხილება როგორც თავისებური ოთხგანზომილებიანი რუკა. მასზე განთავსებულია სოციალური როლები. მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ შენობის რადაც ნაწილი საკლასო ოთახია, ეს ნიშნავს, რომ მხედველობაში გვაქვს შემდეგი: მოსალოდნელია, რომ დროის რომელიდაც სოციალურად განსაზღვრულ მონაკვეთში (მეცადინეობის დროს) ამ სივრცეში მოხდება „მასწავლებლის“ და „მოსწავლის“ სოციალური როლების მანიფესტაცია (ბოკი 1972გ: 387).

ფ. ბოკის ამ თვალსაზრისიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალური როლების მანიფესტაცია (ასევე კულტურული ფორმებისა) შეიძლება შეპირობებული იყოს სივრცისა და დროის ერთეულებით. თავის მხრივ ეს

უკანასკნელი სოციალურად განისაზღვრება. მართლაც, თუ დავაკვირდებით სხვადასხვა სოციალურ სიტუაციას, (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ერთენოვნებაა თუ ორენოვნება), დავინახავთ, რომ თითოეული მათგანი სპეციფიკური შინაგანი სტრუქტურის მქონეა და მოიცავს სოციალურ სივრცეს და სოციალურ დროს. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ცალკე აღებული სიტუაცია მოიცავს შინაგან დისტრიბუციას, რომელიც სოციალური დროის პარამეტრებშია განვითარებული. ვთქვათ, კლასი სასწავლო კვირაში, სემესტრში და სკოლის შენობაში, სტუდენტებში. ზუსტად ისევე, როგორც სოციალური როლებია განაწილებული როლების სხვადასხვა სახეობებად.

მეცნიერთა მოსაზრებების გათვალისწინებით და ჩვენთვის საინტერესო ენობრივი არეალის თავისებურებებიდან გამომდინარე შეიძლება შევადგინოთ ცხრილი, სადაც ნათლად გამოჩნდება პულტურული ფორმების სოციალური სივრცისა და სოციალური დროის ერთგვაროვნება ერთენოვნებისა და მრავალენოვნების შემთხვევაში.

სიტუაცია: „ლექცია“	სოციალური დრო: „მეცადინეობის პროცესი,, სოციალური სივრცე:		
„აუდიტორია“	სოციალური როლი		
ქართული	სომხური	ქარ.-სომ;	სომ.- ქარ; სომ.-რუს.
მასწავლებელი +	მასწავლებელი +	მასწავლებელი +	
სტუდენტი +	სტუდენტი +	სტუდენტი +	
პოლეგა +; -	პოლეგა +; -	პოლეგა +; -	
მშობელი -	მშობელი -	მშობელი -	

+ აუცილებელი დასწრება

— გესაძლო დასწრება

ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაციის მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ კონცეპტუალური ფუნქციების საერთო მოცულობა, რომელსაც ასრულებს ესა თუ ის ენა (ქართული, სომხური, რუსული), ზოგადად ერთი და იგივეა.

ისეთი ფუნქციის სახეები, როგორიცაა დროის აღნიშვნა, სივრცის, თარიღის, პირის და ა. შ. გამოხატვა უნივერსალურია.

ზემოთჩამოთვლილ ენებს შორის განსხვავებას ქმნის ის, რომ ამ ფუნქციების გამოვლენა და მათი იერარქია სხვადასხვა ენებისათვის ერთი და იგივე არ არის.

ის, რაც განეკუთვნება ერთ ენობრივ კოლექტივში ერთ ენას, შეიძლება შეეხოს მეორე ენას სხვა კოლექტივში.

ამავე დროს ენა ერთ-ერთი სემიოტიკური სისტემად სხვა სისტემებს შორის. ის, რაც ენობრივ კატეგორიას განეკუთვნება ამ კოლექტივში, შეიძლება ჟესტებს, პლასტიკას, რიტუალს განეკუთვნოს მეორეში.

ენისა და კულტურის ასპექტები შესაძლოა შეიცვალოს იმ ასაკთან მიმართებით, რომელშიც ადამიანი ენას ეუფლება. კულტურის სხვადასხვა სფეროები საერთოდ სხვადასხვაგვარად შეესაბამება ენას. რიტორიკა, სოციალიზაციაში ენის შეამავლობის ხარისხი, სხვადასხვა აღმსარებლობა, ლირებულებები, ახალშობილებთან ურთიერთობის პრაქტიკა, საერთოდ, ბავშვებთან ურთიერთობა, ერთი ენიდან მეორე ენაში გადაინაცვლებს.

ის ფუნქციური განსხვავებები, რომელიც ჯავახეთში სხვადასხვა ენას აქვს, პირდაპირ უკავშირდება იქ არსებულ სოციოკულტურულ ფაქტორებს.

ჯავახეთში ენის ძირითადი 4 ფუნქცია (თითოეულ მათგანს, რომლებიც ჩეხური ლინგვისტური სკოლის მეცნიერთა გამოკვლევების დასკვნათა საფუძველზე გამოიკვეთა, ჩვენ ცხრილში მოვიყვანთ და ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში არსებულ ენებს შევუსაბამებთ), ორ სოციოლინგვისტურ ფაქტორს, ლირებულებას უკავშირდება.

თითოეულ ენას, რომელზეც მეტყველებენ ჯავახეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, გააჩნია საერთო და აუცილებლად განმასხვავებელი ფუნქცია. მაგალითად, რუსულმა ჩვენთვის საინტერესო არეალში იტვირთა შეამავალი ენის ფუნქცია, რაც არც ქართულსა და არც სომხურს არ აქვთ. ჩვენი აზრით, მიზეზი ის არის, რომ ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის კომპონენტი ენების გამოყენების სფეროებიდან (ყოველდღიური ყოფითი სიტუაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განათლება და სხვა) რუსული უმრავლესობას მოიცავს (თმობს მხოლოდ რამდენიმეს: ოჯახური ურთიერთობები, დვოისმსახურება).

ეს საერთო და განმასხვავებელი ფუნქციები მიემართებიან ისეთ სოციოკულტურულ კანონზომიერებებს, როგორიც არის, საკუთარი ენისადმი

მიჯაჭვულობა. სხვაგვარად მას „ენობრივ სიამაყეს“ უწოდებენ. პრესტიჟის ფუნქცია მიემართება ენობრივ სიამაყეს.

უნდა ადგნიშნოთ ისიც, რომ მეტყველების ნორმატიული და არანორმატიული, ჟარგონული ფორმები არსებობს ყველა ნორმალურ სამეტყველო კოლექტივში. ამ თვალსაზრისით თითოეული ენის მდგომარეობას თუ დავაკვირდებით, შეიძლება ამგვარი სურათიც მივიღოთ. შედარებისათვის მცირერიცხოვან ენობრივ კოლექტივში მოქმედ თურქულ ენასაც მოვიყვანთ. (ჯავახეთში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც იციან თურქული ენა, რა თქმა უნდა, არა მისი ლიტერატურული ფორმა, არამედ დიალექტი).

+ ადგნიშნავთ ფუნქციის ქონას:

- ადგნიშნავთ ფუნქციის არქონას.

ენების ფუნქციები და შესაბამისი სოციოკულტურული კანონზომიერებანი	ქართული	რუსული	სომხური	თურქული
განმასხვავებელი ერთგულება	+	+	+	+
გამაერთიანებელი ერთგულება	+	+	+	-
პრესტიჟი სიამაყე	-	+	- (+)	+
ენობრივი სისტემა - ნორმის აღქმა	+	+	+	-

თურქულ ენას სამი ჯგუფი არა აქვს. მიზეზად რამდენიმე ფაქტორს მივიჩნევთ - 1. თურქული ენის გამოყენების ვიწრო სფერო.

2. თურქთა ეთნიკური ჯგუფის ორენოვანი კოლექტივის  
არარსებობა

3. თურქეთის სუსტი პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენა  
რეგიონზე

როდესაც კულტურასთან მიმართების კონტექსტში რუსულ ენაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ ჯავახეთში მცხოვრები დუხობორების განსხვავებულ სოციოკულტურულ ვითარებას. მათი დამოკიდებულებები, ლირებულებები, ყოველდღიური ცხოვრების, წესი საკმაოდ გამორჩეულია და ხაზს უსვამს ამ თემის თვითმყოფადობას. მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, ჩაკეტილი ცხოვრების წესი, თვითიზოლაციისკენ მიღრეკილება ხელს უწყობს მათ, დაამკვიდრონ და ერთგულონ საკმაოდ მყარ სოციოკულტურულ კანონზომიერებებს.

ისინი ინარჩუნებენ საკუთარ წეს-ჩვეულებებს, ყოველდღიურ რელიგიურ რიტუალებს და ენა მათთვის ამის განსახორციელებლად უცილებელი ატრიბუტია: საკუთარი შეხედულებების სამყაროსადმი განსხვავებული დამოკიდებულებების გამო მათ ხშირად აქვთ კონფლიქტი განსხვავებულ სოციოკულტურული წყობის მქონე კოლექტივებთან. მაგალითად იმის გამო, რომ წყალს მიიჩნევენ რელიგიურ სიწმინდედ და მას უკავშირებენ ბევრ რიტუალს, მეზობელი სოფლის მოსახლეობას ხშირად უარს ეუბნებიან სარწყავი არხების, ან თუნდაც დასალევი წყლის მიღების გაყვანაზე. ამის გამო ხშირად იქმნება გაუგებრობები და რეგიონის ხელისუფლებას ხშირად ალტერნატიული გზების მოძიებაც კი უწევს.

ამგვარი კონფლიქტები ენობრივ კონფლიქტად თუ არ იქცევა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დუხობორები რუსულენოვან კოლექტივს მიეკუთვნებიან. რუსული ენის ადრინდელ მდგომარეობაზე რომ არაფერი ვთქვათ. ის დღეს რეალურად კიდევ ასრულებს შუამავალი ენის როლს და როგორც გამოკითხვამ აჩვენა (ვაულისხმობთ ჩვენ მიერ დაახლოებით 2 000 რესპონსის მიერ შევსებული კითხვარებიდან მიღებულ ინფორმაციას), 63% მას ფლობს.

აქ კიდევ ერთ საკითხზე გვინდა ყურადღების გამახვილება. ბოლო წლების სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოსა და ჯავახეთში მცხოვრები დუხობორების დიდმა ნაწილმა დატოვა ჯავახეთი და სამშობლოს

დაუბრუნდა. მათ სოფლებში კი ხელისუფლებამ საქართველოს დამეწერილი რაიონებიდან აჭარელი მოსახლეობა ჩაასახლა. ჩასახლება უკანასკნელ წლებში მოხდა. მიმდინარეობს ახალმოსულთა ადაპტაციისა და დამკვიდრების პროცესი. ჯერ რაიმე სერიოზულ გავლენებზე ან ურთიერთგავლენაზე საუბარი არცერთი თვალსაზრისით (არც დემოგრაფიულით და არც ენობრივით) არ შეიძლება.

რაც შეეხება სომხებისა და „ბოშების“ ურთიერთობებს, ლინგვისტურად ეს ორი ჯგუფი ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. (დაწვრილებით მათ შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ) „ბოშები“ ქმნიან განსაკუთრებულ ქვეჯგუფს. მათი ენობრივი ნაირსახეობა მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში ფიქსირდება. დღეს სტატუსის მხრივ დაბალ საფეხურზე დგანან და პრესტიჟითაც ჩამოუვარდებიან. ბოშური წარმომავლობის მოსახლეობასთან შედარებით სომები მოსახლეობა უფრო პრესტიჟულ ჯგუფად ითვლება.

ეროვნულ უმცირესობათა ენების მატარებლების შეფასებით, (ჩვენს შემთხვევაში სომხების, რომლებიც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებად მხოლოდ საქართველოს მასშტაბით შეიძლება ჩაითვალონ, რადგან რეალურად რეგიონში ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ და უმცირესობაში ქართველები ხვდებიან), მათი ენა მათივე ეროვნული კუთვნილების ინდიკატორია. მაგრამ მისი გამოყენების არე შედარებით შეზღუდულია და სოციალური პრესტიჟიც არც ისე მაღალია. მართალია, ეს შეიძლება მოგვეჩენოს წინააღმდეგობრივად, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დგება, თუ მხედველობაში მივიღებთ ეროვნულ უმცირესობათა ენების მატარებლების სოციალურ მდგომარეობას.

ხშირად ზოგიერთი ენა ითვლება უფრო პრესტიჟულად მისი მატარებლების სოციალური სტატუსის გათვალისწინებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ენის პრესტიჟი, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, დაკავშირებულია არ თვით ენასთან, არამედ სოციალურ კლასთან და მასზე მოლაპარაკეთა სტატუსთან. სახელმწიფო ენის ფლობასთან ცალსახადად დაკავშირებული სოციალური პრესტიჟის მოპოვება.

ჯავახეთის მსგავსი რეგიონებისთვის აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ბიკულტურული აღზრდის უპირატესობაზე. ადამიანი მეორე ენის ათვისებასთან ერთად უცხო, მისი მშობლიური კულტურისაგან განსხვავებულ კულტურასაც უფლება (ისევე როგორც მშობლიურს), მაღლდება მისი ინტერკულტურული კომპეტენცია. იგი ტოლერანტული ხდება სხვა კულტურების, ზოგ შემთხვევაში კონფესიების მიმართ, ფართოვდება მისი კულტურული

სივრცე, რაც საბოლოოდ ეხმარება მას, გამოიმუშავოს მრავალკულტურულ საზოგადოებაში დამკვიდრებისა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კონსტრუქციული თანაცხოვრების ჩვევები, გახდეს სოციალურად სოლიდარული.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს არ უხდებათ კულტურული ორიენტაციის შეცვლა უმრავლესობასთან სრული ინტეგრაციისთვის. ჯავახეთში არსებული რეალობა, თანაცხოვრების დამკვიდრებული წესი აძლევს მათ საშუალებას, რომ შეინარჩუნონ, დაიცვან მშობლიური ენა და გადასცენ შემდგომ თაობებს, აგრეთვე იყვნენ აბსოლუტურად ადეკვატური და მომზადებული სახელმწიფო ენისა და ქართული კულტურის, სოცილური გამოწვევების წინაშე.

სადაც არ უნდა იყოს, რომ როცა მშობლიურ ენაზე ვსაუბრობთ, ვიცით, როგორ მოვახდინოთ სიტუაციასთან ადაპტირება, სამეტყველო აქტს წარვმართავთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ნაცნობ ადამიანს მივმართავთ, რა თემის ირგვლივ ვსაუბრობთ და კომუნიკაციის რომელ საშუალებებს (ტელეფონი, წერილი, ლია ბარათი და ასე შემდეგ) ვიყენებთ. უცხო ენაზე საუბრისას კომუნიკაციის დამყარებას ვცდილობთ, საკუთარი ჩვევების მეორე ენაზე გადატანით. აქედან გამომდინარე, მაღლიერებას გამოვთქვამთ ან ბოდიშს ვიხდით ისეთ სიტუაციებში, რომელიც ჩვენს საკუთარ კულტურაში მოითხოვს მადლობის თქმას ან ბოდიშის მოხდას. თუმცა ხშირად ასეთი საქციელი უცხო კულტურის ჩარჩოებში ვერ ჯდება და გაუგებრობებსაც კი იწვევს. მაგალითად, ესპანელები ფრანგებს პირფერებად მიიჩნევენ, რადგან ეს უკანასკნელი ხშირად იხდიან ბოდიშსა და მადლობას. მეორე მხრივ, ფრანგებმა შეიძლება ესპანელები მიიჩნიონ ზედმეტად ფამილარულებად და უზრდელებადაც კი, რადგან ისინი შენობით მიმართავენ უცნობებსაც კი. სინამდვილეში, ესპანელები, უბრალოდ, იყენებენ ურთიერთობის საკუთარ წესებს, რაც საფრანგეთისთვის უცხოა.

ამ უკანასკნელის მსგავსი მაგალითის მოყვანა ჯავახეთის რეალობაშიც შეიძლება. ჯავახეთში ცხოვრების პირველ წლებში ჩვენი გაკვირვება გამოიწვია ფაქტობრივად, საყოველთაოდ ქცეულმა (ძალიან მცირე გამონაკლისით) „შენობით“ მიმართვის წესმა, რომელიც გრცელდებოდა უცნობებზეც, ასაკობრივად და თანამდებობრივად უფროსებზეც. განსაკუთრებით თვალშისაცემი და „მყვირალა“ ხდებოდა ეს, როდესაც ბილინგვი ადამიანი, სომეხი ეროვნების სტუდენტი (ჯავახეთში 2000 წელს გაიხსნა თსუ ჯავახეთის უცხოა.

ფილიალი, სადაც სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და ერთად სწავლობდნენ ქართველი და სომები ეროვნების ახალგაზრდები) ქართულად საუბრობდა.

ამ მოვლენას საკმაოდ საინტერესო გაგრძელება მოჰყვა. გარკვეული დროის შემდეგ, იმ ხშირი ურთიერთობების შედეგად, რომელიც სასწავლო პროცესს ახასიათებს, ჩვენ მიმართვის ფორმების თავისებური „კანონზომიერების“ დამკვიდრების მოწმენი გავხდით: უნივერსიტეტის შენობაში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ამ პროცესთან დაკავშირებული საუბრებისას სტუდენტებმა აქტიურად დაიწყეს „თქვენობით“ მიმართვები, თუმცა საკმარისი იყო, გარემოს შეცვლა ან საუბრის თავისუფალ თემებზე გადატანა, რომ იგივე სტუდენტები უბრუნდებოდნენ მიმართვის მათვის ჩვეულ ფორმებს.

როგორც ჩანს, იქ არსებულ სინამდვილეში ჯავახეთის უნივერსიტეტი იქცა მცირე გარემოდ, რომელიც ურთდროულად აცნობდა და ბუნებრივად ამკვიდრებდა კიდევ ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ ურთიერთობებს. ეს პროცესი მიმდინარეობდა ძალდაუტანებლად და ბუნებრივად. ცვლილებებს ორივე მხარე გრძნობდა. ჩვენ პირველად სწორედ ჯავახეთში მოვისმინეთ გამოთქმები: „ქართველივით გაცვია (გემოვნებით და სადად)“; „ქართველივით ლაპარაკობ (მშვიდი ტონით და თავაზიანი ფორმების გამოყენებით)“.

სოციოკულტურული ცოდნა ქართველთა შესახებ ჯავახეთში მცხოვრებ სომებს ბავშვებს ალბათ მიეწოდებოდათ კიდეც, მაგრამ როგორც ჩანს, იოლი შესაძლებელია, ეს ცოდნა დარჩეს შემეცნების ფარგლებს გარეთ, ანდა სტერეოტიპების გავლენით შემსწავლელის წარმოდგენა არასწორად ჩამოყალიბდეს. ამან საბოლოოდ წარუმატებელ სოციალურ კომუნიკაციამდე შეიძლება მიგვიყვანოს. საილუსტრაციოდ გამოდგება ვთქვათ, პუნქტუალობისა და სტუმრობის წესი ანდა სატელეფონო კომუნიკაციის ჩვევები განსხვავებულ კულტურებში. თუკი ქართულ სინამდვილეში დაუპატიუებლად სტუმრად მისვლა განუსაზღვრელი დროით ან გვიანი სატელეფონო ზარი ჩვეულებრივი მოვლენაა, სხვაგან ეს მიუღებელია.

საინტერესოა, როგორ აისახა ჯავახეთში არსებულ სოციოკულტურულ სინამდვილეში იქ არსებული ენობრივი სიტუაცია. აუცილებლად მივიჩნევთ, წინასწარ შევნიშნოთ, რომ დასკვნებს მხოლოდ გამოკითხულთა პასუხების

საფუძველზე ვაკეთებთ. ვერ დავიჩემებთ, რომ ქვემოთ ნათქვამი ნიშანდობლივია ჯავახეთის თითოეული მკვიდრისათვის მის მთელ ტერიტორიაზე.

დუხობურებს გააჩნიათ ყველაზე მეტი რიტუალი და წესი, რომელიც არაბუნებრივ ძალებს უკავშირდება. ისინი სასწაულებრივად ხსნიან სხვადასხვა მოვლენებს, ყველაფერს პირველ ყოვლისა რელიგიას უკავშირებენ. ქრისტიანებისაგან განსხვავებით, რომლებიც სასწაულებს ღვთის ნებას მიაწერენ, დუხობორებ მისტიკური ძალების სჯერათ და მათ მიაწერენ იმავე სასწაულებს. ქართველებსა და სომხებს ბუნებრივი მოვლენებისადმი უფრო ჯანსაღი დამოკიდებულება ახასიათებთ. ნაკლებად ცდილობენ მათ არაბუნებრივ ძალებთან დაკავშირებას.

დუხობურთა ენობრივ კოლექტივში ყურადღება ზუსტ და ხშირ გამონათქვამებზე მახვილდება. ქართველებსა და სომხებში კი შედარებით იშვიათად. მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვდასხვა ტრადიციული თუ რელიგიური რიტუალი სრულდება.

ემოციების ხმამაღლა გამოხატვა განსაკუთრებით ნიშნდობლივია სომებთათვის, მათ მოჰყვებიან ქართველები. რამე მკვეთრი ნიშანდობლივი განსხვავება არ არსებობს. რაც შეეხება დუხობორებს, ისინი საკუთარ ემოციებზე კონტროლს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

ტრადიციული თქმულებებს ქართველებიც, სომხებიცა და დუხობურებიც სათუთად უფრთხილდებიან, ინახავენ მიტებს, ბალადებს, თქმულებებს, სიმღერებს.

მოკლედ და ზუსტად აზრის გამოთქმა ქართველებს ურჩევნიათ. სომხები ანალოგიებსა და მცირე ბუნდოვანებას ამჯობინებენ. რაც შეეხება დუხობურებს, მათ იგავური მეტყველებისკენ აქვთ მიღრეკილება.

ქართველებისა და დუხობორების ხუმრობა უფრო სიმართლის პირში თქმას ჰგავს. ეს უკანასკნელნი შედარებით ნაკლებად აგრესიულნი და უფრო „რბილნი“ არიან. რაც შეეხება ტყუილს, ეშმაკობას მოსახლეობა აღიარებს, რომ ამ მხრივ სომხები გამოირჩევიან. სხვადასხვა ხრიკების მოფიქრება და „სხვათა დაცურება“ ითვლება, რომ მათ მოგონილია.

უფროსებთან დამოკიდებულებისას სამივე შემთხვევაში მნიშვნელობას იძენს ადრესტის სოციალური როლი და მისი სტატუსი ამა თუ იმ საზოგადოებაში. ძალიან დიდია ასევე ტრადიციისა და მენტალიტეტის გავლენა, რომელიც უფროსი ასაკის ადამიანებთან განსაკუთრებულ პატივისცემას ავალებს

ნებისმიერი ენობრივი ერთობის წევრს. არცთუ შორეული წარსულის ანალოგიით მამის სახელით მიმართვა კვლავ აქტუალურია სხვა ენის წარმომადგენლებისთვის. ძალიან ნელა მკვიდრდება ქართული ფორმები: „ბატონო“, „ქალბატონო“.

კულტურასთან კონტაქტში გვინდა კიდევ ერთ საინტერესო საკითხს შევეხოთ. ეს არის ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა რელიგიური მსოფლებელი.

კაცობრიობის სულიერი ამაღლება იმით გამოიხატა, რომ ადამიანის არსობის განმსაზღვრელი სულ უფრო მეტად ხდებოდა კულტურის მონაპოვარი ანუ ის, რაც თვით ადამიანის აზრისა და შემოქმედების ნაყოფი იყო: ენა, რწმენა და მატერიალური ფასეულობანი – როგორც შედეგი ადამიანთა შემოქმედებითი მოღვაწეობისა, როგორც სულიერ მისწრაფებათა ხორცშესხმა.

ისტორიულმა პირობებმა რეგიონში თავი მოუყარა სხვადასხვა აღმსარებლობისა და მრწამსის ადამიანებს: მართლმადიდებელ და კათოლიკე ქრისტიანებს, გრიგორიანელ ქრისტიანებს, მაკმადიანებს, სექტანტებს. სხვადასხვა დროს აღმსარებლობა პირდაპირ მიუთითებდა მორწმუნის ენობრივ კუთვნილებაზე. ამ საკითხს ისტორიული პირობების მიმოხილვისას დაწვრილებით შევეხებით. აქ მოვიყვანო ალექსანდრე ფრონელის საინტერესო დაკვირვებას. ის 1900 წელს რუსეთის მთავრობისგან შუამავლად დაინიშნა, ოთხი-ხუთი წელი დაჲყო ჯავახეთში და საკუთარი თვალით ნახა არსებული მდგომარეობა:

„ქართველთა სოფლები დღევანდელ ჯავახეთში აქა-იქ კივკივობენ, როგორც აზვირთებულ ზღვა-ოკეანეზე აფრაჩამოშვებული და საჭეებჩამომტვრეული ნავები. ბევრია დღევანდელ ჯავახეთში ქართველობა სამთავე წესისა: მართლმადიდებელნი, კათოლიკენი და მაკმადიანენი მეუქსედ-მეშვიდედ ნაწილს წარმოადგენენ სომხის ტიბიკონზე მდგომი კათოლიკენი ცხოვრობენ სოფელ ხიზაბავრაში, ხულგუმოში, ბავრაში, კართიკამსა და ტურცხისში. სომხის ტიბიკონს რომ ვახსენებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ტომით და ჩამომავლობით ქართველი, აი, თუნდ ხიზაბავრელი, სომხურ ენაზე ისმენს წირვა-ლოცვას ჯავახეთის ქართველი მაკმადიანი ან სრულიად აღარ ლაპარაკობს ქართულად, ან თუ ლაპარაკობს, ისე ცუდად, რომ ძლივს მიხვდები მისი ლაპარაკის არსე“ (ფრონელი 1991ა: 65).

ბუნებრივია, ისტორიული პირობების ცვლილებამ ეს ვითარებაც შეცვალა. დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ ჯავახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში ქრისტიანული რელიგიური კულტურა შენარჩუნდა. ეს კულტურა კი მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში მშობლიურენოვანი იყო და არსად არ უშვებდა უცხო ენის პრიმატს.

ეს მცირე ჩამონათვალიც საკმარისია, რომ დავასკვნათ - ჯავახეთში არსებულ ენობრივ სიტუაციაში ერთენოვანი და ორენოვანი ენობრივი კოლექტივებისთვის ერთგვაროვანი სოციალური როლების, სოციალური სივრცისა და სოციალური დროის არსებობა ერთნაირი კულტურული ფორმების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

მიუხედავად ენობრივი სხვადასხვაობისა, ჯავახეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობას არაფერი უშლის ხელს, რომ პქონდეთ მსგავსი ტრადიციები, რიტუალები საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სისტემა, თანამედროვე ბინის ტიპები. და თქმა უნდა, არსებობს განსხვავებები, რომლებიც მხოლოდ ეროვნულ თვითმყოფადობას უსვამს ხაზს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენთვის საინტერესო ენობრივ არეალში ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით დასტურდება შემთხვევა - ორენოვნება ერთი კულტურის, ქრისტიანულის, ფარგლებში.

### თავი 3

## ბილინგვიზმთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური საკითხები ჯავახეთში

სხვადასხვა ენობრივი მატარებლის ენობრივი ქცევა განსხვავებულია. ზოგი მათგანი რამდენიმე უცხო ენას ისევე კარგად და სრულყოფილად ფლობს, როგორც მშობლიურს. ინტერფერენცია მათ მეტყველებაში თითქმის შეუმჩნეველია. სხვები მეორე ენას მშობლიურზე საგრძნობლად სუსტად ფლობენ. მათ მეტყველებაში მკვეთრად შეინიშნება ინტერფერენცია. ერთნი იოლად გადაერთვებიან ერთი ენიდან მეორეზე. სხვებს ამისთვის მეტი ძალისხმევა სჭირდებათ.

ორენოვნების განსხვავებულ სიტუაციებში ერთმა და იმავე ადამიანმა შესაძლებელია თავი განსხვავებულად გამოავლინოს. შეიძლება მისი ქცევა დროის მსვლელობასთან ერთად შეიცვალოს ან, შესაძლოა, დაბადებიდანვე ენობრივი ქცევის ერთი გარკვეული ფორმისადმი იყოს მიღრეკილი (უზნაძე 1967).

ყველა ეს ცვალებადობა ენის ფსიქოლოგიის კვლევის საგანია და ზუსტ შესწავლას საჭიროებს. უცხო ენის შესწავლის „საზიანო“ მხარესა და მშობლიური ენის ცოდნასთან მის კავშირზე ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუმცა დღეს პრობლემა აქტუალური გახდა და აზრთა სხვადასხვაობაც უფრო გამოიკვეთა.

უცხო ენის ყველა მასწავლებელმა იცის, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი წარმატებით სწავლობს უცხო ენას, ვიდრე მეორე, მაგრამ ამ წარმატების წინასწარ გასათვლელად გარკვეული ტესტების მიხედვით მსჯელობა (რა თქმა უნდა, თვით სწავლების პროცესზე დაკვირვების გამორიცხვით) ჯერჯერობით მხოლოდ საწყის ეტაპზეა. უკვე გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადრეული ორენოვნება ამაღლებს უცხო ენების შესწავლის უნარს, მეცნიერულად ჯერ კიდევ დაუსაბუთებელია. თუმცა ფაქტია, რომ თუ ოჯახში რუსულად ან ქართულად მოლაპარაკენი არიან, და ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურად გამოიყენებენ ამ ენებს, ბავშვი შემდგომში უკეთ და ადვილად ეუფლება მათ. ბუნდოვანია აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში ერთი ენიდან მორეზე გადართვის უნარი ან მისი საპირისპირო მიღრეკილება საზიანო საფრთხის თავიდან აცილებაა, თუ, უბრალოდ, ვარჯიშის უშუალო შედეგია.

მეორე ენის ათვისების შესახებ მეცნიერებს არაერთგვაროვანი შეხედულებები ჰქონდათ. 6. პომსკი გამოთქვამდა ოვალსაზრისს, რომ ადამიანს გააჩნია ენის „შეთვისების“ საზიანო უნარი. ამავე დროს ლ. პიაუე ხაზს უსვამდა, რომ ენები იბადება და ვითარდება ჩვენს ირგვლივ დაინტერესებული ადამიანების აქტიური ურთიერთზემოქმედების წყალობით (ანსპოგა . . . 2005: 67).

ფსიქოლოგიაში შენიშნულია, იმისათვის რომ ადამიანმა აითვისოს სხვა ენის სისტემა, მან უნდა დააგროვოს სათანადო გამოცდილება. ენობრივი განვითარება იზოლირებულად არ მიმდინარეობს. ის ყოველთვის გარკვეულ სოციალურ გარემოსთან (გარემომცველ სამყაროსთან) არის დაკავშირებული.

როგორც პაუგენი აღნიშნავს, „ენის ათვისება ერთდროულად ორ სფეროში მიმდინარეობს – კოგნიტიურსა (შემცნებითი) და ლინგვისტურში (ენობრივი). კოგნიტიურ სფეროში გამონათქვამების შინაგანი სტრუქტურა იქმნება, სიტუაცია ანალიზდება.“

ლინგვისტურში ენობრივი საშუალებების ასიმილაცია მიმდინარეობს (შეითვისება სიტუაციი, ახალი კონსტრუქციები, მეტყველების მოდელები). ენობრივი საშუალებები ახალ სიტუაციას ერგება და საჭიროებისამებრ იცვლება კიდეც. ბუნებრივი ურთიერთობები ვერ წარიმართება მხოლოდ შესწავლილი სტანდარტული ფრაზებით, ისინი ენობრივ სიტუაციაში უნდა ჩაერთონ“ (პაუგენი 1953ბ: 58).

ნეკროპათოლოგთა ვარაუდი, რომ არსებობს ტვინის გარკვეული ნაწილი, რომლის საშუალებითაც რეგულირდება ენებზე გადართვა და ჯანმრთელ ადამიანებს სხვადასხვაგარად უვითარდებათ, გარკვეულად სკეპტიკურად გამოიყურება. ორენოვანი მატარებლის, უფრო ფართოდ, ორენოვანი კოლექტივის ენობრივ ქცევებს თავისი ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფსიქოლოგიური ფაქტორები გააჩნია. ისინი ცვალებადია, მაგრამ ენობრივი სიტუაციის შესწავლისას მისი გათვალისწინება აუცილებელია.

ფსიქოლოგიურ ასპექტებს უკავშირდება ორი უმნიშვნელოვანების საკითხი. პირველი - ძირითადი ანუ დომინანტი ენის რაობისა და ორენოვნების სხვა კომპონენტებთან მისი ურთიერთობიმართების გარკვევას ემსახურება. მეორე კი იმ პირობების გამოვლენას გულისხმობს, რომელშიც მეორე ენის ათვისება ხდება (აქვე შესაძლებელია მეორე ენის ფლობის დონეც გაირკვეს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ენობრივ არეალში ამ საკითხს მხოლოდ ზოგადად განვიხილავთ).

## 1. დომინანტი ენა ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში.

ნებისმიერი ადამიანი ენის დაუფლებისას განიცდის როგორც ხელისშემწყობი, ისე ხელისშემწლელი ფაქტორების გავლენას. მათი არსებობა დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლებშიც ორენოვანი მატარებლები სწავლობენ ენებს და იყალიბებენ ენობრივ ქცევებს. აქ ყურადღებას იქცევს ისეთი ცნება, როგორიცაა პირველი ენა, ძირითადი თუ დომინანტი ენა. თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ადამიანი სრულად ფლობს თავის მშობლიურ ენას, შემდეგ სწავლობს სხვა ენებს, რომლებიც მშობლიური ენის მხრიდან ინტერიურენციას განიცდიან და რომ მშობლიური გავლენას ახდენს შესწავლილ ენებზე, ინდივიდის მეტყველებაზე საკითხისადმი ძალიან მარტივ დამოკიდებულებას გამოხატავს.

გასათვალისწინებელია, რომ თუ „მშობლიურ ენას“ განვსაზღვრავთ როგორც პირველად ათვისებულ ენას, მაშინ აშკარაა - იგი შესაძლოა თვითონ იქცეს ინტერიურენციის ობიექტად სხვა ენებისაგან. იმ ენებისგან, რომლებიც ინდივიდმა შემდეგ შეისწავლა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენ ვერ მოვიძიეთ მშობლიური ენის საყოველთაოდ მიღებული განმარტება. მშობლიური ენა მეცნიერთა ნაწილისათვის სოციალური მოვლენაა, ნაწილისათვის – ბიოლოგიური. პირველი მოსაზრების მიხედვით მშობლიურია ენა, რომელსაც ბავშვი პირველად ითვისებს, მეორეს მიხედვით კი მშობლიური ენა ისეთი სოციალური მოვლენაა, რომელსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული გენეტიკაში (ჩვენ სწორედ ამ მოსაზრებას ვიზიარებთ). ზოგჯერ მშობლიური გაიგივებულია პირველ ენასთან და დედაენასთან (სტოკველი 2005).

ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილი თვლის, რომ მათი მშობლიური ენა არის სომხური. მეორე ნაწილი კი მშობლიურად რუსულს ასახელებს, რადგან სომხურის ნაცვლად მათ ბავშვობიდანვე ოჯახში რუსულად ესაუბრებოდნენ, რუსულად აზროვნებენ და განათლების ენაც რუსული იყო. სომხური მათ მოგვიანებით შეისწავლეს. ვაღიარებთ, რომ მკვეთრი ზღვრის დადებას მშობლიური ენის, დედა ენის, პირველი ენის ცნებებს შორის ვერ ვახერხებთ. ეს ტერმინები დაკონკრეტებასა და დაზუსტებას საჭიროებენ. გამომდინარე თვითონ გამოკითხულთა

დამოკიდებულებიდან, შეიძლება ითქვას, რომ მათთვის მშობლიური პირველად ათვისებულ ენად აღიქმება.

იმის გარკვევა, ორენოვანი მატარებლებისთვის მოცემული ორი ენიდან კონკრეტულად რომელია ძირითადი, დომინანტი და რომელია ინტერფერენციის ძირითადი წყარო (თუ საერთოდ ამ თვალსაზრისით ერთი შეიძლება იყოს მთავარი, მეორე მეორეხარისხოვანი), საკითხის ორი სხვადასხვა მხარის კვლევას ნიშნავს. დაკვირვება უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რათა გაითვალისწინოს, რომ ორენოვანი მატარებლის მეტყველებამ ინტერფერენცია შესაძლებელია ორივე მხრიდან განიცადოს.

ე. პაუგენის აზრით, საჭიროა, შემუშავდეს წმინდა ფსიქოლოგიური კრიტერიუმები იმის განსაზღვრისთვის, რომელი ენაა ძირითადი მოცემული ორენოვანი მატარებლისთვის და შემდეგ შეეფარდოს ამგვარად განსაზღვრულ დომინანტს შესაძლო ენობრივი შედეგები“ (პაუგენი 1953გ: 293).

ერთი ენის მეორეზე ფიქოლოგიური დომინირება შესაძლებელია დადგინდეს სხვადასხვა ხარისხის სირთულის ტესტების საფუძველზე. მაგალითად, გაირკვეს ორი ენიდან რომელი უფრო მოსახერხებელია, ვთქვათ, ისეთი ბრძანების გასაცემად, რომელიც სწრაფად და ზუსტად უნდა შესრულდეს.

შეიძლება საკითხი ამგვარადაც დაისვას - რომელ ენაზე „ფიქრობს“ ორენოვანი მატარებელი. ამისთვის უნდა შემოწმდეს შეთავაზებული ორი ენიდან სტიმულებზე რეაგირებისას რომელს უფრო დიდი მონდომებით ირჩევს. ანუ, ენის შედარებით სრულფასოვანი ფლობისას დომინანტად ითვლება ენა, რომელსაც მატარებელი ინდივიდი თავისი ცხოვრების მოცემულ მომენტში მეტად იყენებს.

მისაღებად მიგვაჩნია აზრი, რომ დომინანტობა წარმოადგენს ამგვარი ტიპის ფაქტორების რთულ კომბინაციას, სადაც თითოეულ მხარეს თავისი წონა და მნიშვნელობა აქვს და სადაც თითოეული მხარე თავის მოთხოვნებს უყენებს დომინანტ ენას. ამ მოთხოვნების მიხედვით შევეცდებით, განვსაზღვროთ დომინანტი ენა ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაციის შემადგენელ კომპონენტებს შორის.

ენის შედარებით სრულფასოვნად ფლობა: ენის ზეპირად გამოყენების გამყარებისთვის მხედველობითი რეაქციები ძალიან მნიშვნელოვანია. ორენოვანი მატარებლისთვის, რომელიც ფლობს მხოლოდ ერთი ენის გრამატიკას, სხვა ენის ზეპირი ფლობის მიუხედავად, ეს იქნება დომინანტი.

ამ პირობის მიხედვით ჩვენთვის საინტერესო ენობრივ არეალში დომინანტად ჩაითვლება ენა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, ანუ არის განათლების მიღების ენა. ასეთი ერთი გამოკვეთილი კომპონენტი ჯავახეთის ენობრივ სიტუაციას არ გააჩნია. თვალი ისტორიასაც რომ გადავავლოთ, ყველა კოლონიზაციის ენა (თურქული, რუსული) გარკვეული დროის განმავლობაში იქცა სწავლების ენად, მაგრამ მხოლოდ გარკვეული დროით.

ისტორიული ფაქტორების ზემოქმედების გამო ჯერ თურქულმა განდევნა ქართული, შემდეგ თურქულს თვითონ ჩაენაცვლა რუსული, ამ უკანასკნელს კი თითქმის თანასწორად სომხური და ქართული. მართალია, დღეს შეიმჩნევა ქართულის მცირედი უპირატესობის მოპოვების ტენდენცია, მაგრამ ეს პროცესის მხოლოდ დასაწყისია და რამე მნიშვნელოვან შედეგებზე საუბრის საშუალებას არ გვაძლევს.

ასე რომ, ენის სრულფასოვანი ფლობის თვალსაზრისით ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაციის ვერც ერთ კომპონენტს დომინანტს ვერ დავარქმევთ.

**შესწავლის პირობები და ასაკი:** ჩვეულებრივ, ითვლება, რომ ენას, რომელსაც ეუფლებიან პირველად, ამ ნიშნით უკვე მთავარია. თუმცა აქ საჭიროა შევიტანოთ შენიშვნა. მაგალითად: ემიგრაციის შემთხვევაში მუდმივი გამოყენებისა და ინტენსიური პრაქტიკის გამო პირველი ენა ახალი ენისაგან შესაძლოა შევიწროვდეს. მეორე მხრივ, პირველ ენასთან დაკავშირებული ემოციური, დამოკიდებულებები და განცდები იშვიათად გადაეცემა სრულად სხვა ენებს. მეორე ენებიდან კი ბავშვობაში ათვისებულ და პრაქტიკით გამყარებულ ენას ორენოვანი მატარებლის ცნობიერებაში მეტი შანსი აქვს, იყოს საპატიო მდგომარეობაში იმ ენებთან შედარებით, რომლებიც მოგვიანებით შეისწავლა.

ჯავახეთში არსებულ ენობრივ სიტუაციაში ხშირად იქმნება ისეთი ბუნებრივი გარემო, როდესაც მშობლიურისა და მეორე ენის შეთვისება თითქმის თანადროულად ხდება, თანაც ბავშვობიდანვე. ამის გამო დომინანტობის განმსაზღვრელად ვერც ამ მოთხოვნას ჩავთვლით.

**ურთიერთობები:** მიუხედავად იმისა, რომ ორენოვან მატარებელს შეუძლია ორივე ენას სრულფასოვნად ფლობდეს, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ უფრო ხშირად უწევს მიმართოს ერთ ენას და არა მეორეს. თანაბარი პირობების დროს რომელიმე ენის უფრო ხშირი გამოყენებისას, იგი შეიძლება იქცეს დომინანტად.

როდესაც ამ მოთხოვნის მიხედვით ვცდილობდით დომინანტი ენის გარკვევას, რამდენიმე პრობლემამ იჩინა თავი:

ა) ძნელი აღმოჩნდა ზუსტად თანაბარი პირობების შექმნა, რადგან ძალიან მცირე, ნიუანსური განსხვავებაც არჩევანზე ზეგავლენას ახდენდა.

ბ) შესაძლოა ენის გამოყენების რომელიმე სფეროში ორენოვანი მატარებელი ერთი ენით უფრო ხშირად სარგებლობდა, მაგრამ ეს სფერო (თუნდაც სფეროები) არ იყო იმ რაოდენობის და იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ენის დომინანტობა განესაზღვრა. ამ ნიშნის მიხედვით ჩვენთვის საინტერესო ენობრივ არეალში დომინანტად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა როგორც ქართული, ისე სომხური ენა.

**მოსაუბრის საზოგადოებრივი წინსვლა:** გარკვეულ სოციალურ პირობებში ერთი ან მეორე ენის ფლობა მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ შესწავლის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, არამედ ადამიანის საზოგადოებრივ კიბეზე აღმასვლისათვის. ამ შემთხვევაში ის ეცდება, არა მხოლოდ ისწავლოს შესაბამისი ენა, არამედ სრულფასოვნად დაუუფლოს მას, ე. ი. გადალახოს პოტენციური ინტერფერენცია. ეს არის კიდევ ერთი წყარო დომინანტი ენის არსებობისათვის.

ეს ფაქტორი ყოველთვის საკმაოდ სერიოზულად მოქმედებდა და მოქმედებს ჯავახეთში. საზოგადოებრივი წინსვლის თვალსაზრისით გარკვეულ პერიოდში აუცილებელმა რუსულმა ენამ მკვეთრად დაკარგა ეს ფუნქცია. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე მას ენაცვლება ქართული ენა. პროცესს რამდენიმე არაენობრივი და არაფსიქოლოგიური ფაქტორი უწყობს ხელს: ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გამყარება, ქართულ კონომიკურ სივრცეში გაწევრიანების სურვილი, ქართული განათლების მიღების სურვილი. ამ და სხვა მსგავს ფაქტორებს ემატება, როგორც უკვე ვთქვით, რუსული ენის გამოყენების სფეროების მკვეთრად შემცირების ტენდენცია.

ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები ენის დომინანტობის განსასაზღვრად სრულია. მნიშვნელოვანია თითოეული ენის გამოყენების სფეროების დადგენა, მით უმეტეს მაშინ, როცა ენებს ისინი მკვეთრად გამიჯნული აქვს. ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით. ჩვენ მხოლოდ ის მოთხოვნები მიმღვიხილეთ, რომელთაც, ვთვლით, რომ მეტი კავშირი აქვს ფსიქოლოგიურ მხარესთან.

იმ ასპექტის გვერდით, რომლებიც ორენოვან მატარებელში მისი ცხოვრების მოცემული მომენტისათვის რომელიმე ენის დომინანტად გამოვლენას განსაზღვრავენ, თავს იჩენს სამეტყველო ურთიერთობის კონკრეტულ სიტუაციებში სხვადასხვა ცვალებადი მდგომარეობა, რომელიც ორენოვანი მატარებლის ქცევებში შეიძლება აისახოს. მაგ: თუ მოსაუბრე ფლობს მხოლოდ ერთ ენას, მაშინ ორენოვანი მატარებელი იძულებული ხდება, პოტენციური ინტერფერენციის დიდი ნაწილი დათრგუნოს და ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვაზე უარი თქვას მაშინ, როდესაც ორი ენის მცოდნესთან საუბრისას შეუძლია ერთი ენიდან მეორეზე გადართვა და ინტერფერენტული მოვლენებიც მეტად იჩენს თავს..

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ორენოვან მატარებლებს აქვთ ტენდენცია იმ თემებითა და თანამოსაუბრეებით შემოისაზღვრონ, რომლებიც ერთი ამ მეორე ენისათვის უფრო მოსახერხებელია. ასეთ ორენოვან მატარებელს, შესაბამისი სიტუაციებიდან გამომდინარე, თავისუფლად შეუძლია ისაუბროს თითოეულ ენაზე ცალ-ცალკე, მაგრამ ამ მხრივ ყოველგვარმა ძალადობრივმა შერევამ შეიძლება მნიშვნელოვანი ინტერფერენცია გამოიწვიოს. მასშტაბები და ინტერფერენციის ხასიათი შეიძლება მოსაუბრის ემოციური მდგომარეობისა და გადადლის ხარისხის მიხედვით შეიცვალოს. ინტერფერენციის გადალახვა საჭიროებს ძალებს, რომლებიც ყოველთვის და იოლად შეიძლება იყოს გახარჯული.

ორენოვნებას ფსიქოლოგები თანდათან მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ის ძალიან მნიშვნელოვან წყაროდ იქცა ზოგადად ენის ფსიქოლოგიის შესასწავლად (იუნესკო 1953).

ფსიქოლოგებმა ორენოვნების ორი ტიპი გამოყვეს და მათ კონკრეტულ კვლევას ბევრი ნაშრომი მიუძღვნეს. მათი დასკვნები ენათმეცნიერთა კვლევის შედეგებს დაემთხვა. ტესტებმა აჩვენა, რომ ორენოვან მატარებელთაგან ერთნი მიღრეკილნი არიან ორივე ენა აღიქვან, როგორც ერთი მთლიანი სისტემის ორი მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილი; მეორენი კი უფრო მეტად ფლობენ ორ, შესაბამისობაში მყოფ, მაგრამ განსხვავებულ სისტემებს.

ეს განსხვავება ჩნდება ამ ენების დაახლოებით მსგავსი გამონათქვამების გარკვეული ხარისხით სემანტიკური დამოუკიდებლობის გამო. იყო მცდელობა, გამოევლინათ პირობები, რომლის შემთხვევაშიც ორენოვნების თითოეული ტიპი

ვითარდება. ტესტის საშუალებით დემონსტრირებული იყო დამოკიდებულება წინასწარ განსაზღვრული ენისადმი.

ქ. ვაინრაიხის დაკვირვებით, კანადელები დადებითად გამოეხმაურნენ ზოგიერთ პირს, როდესაც მათი ინგლისური საუბარი მოისმინეს და უარყოფითად პირებს, რომელთა ფრანგული საუბარი მოისმინეს. წინასწარ არ იცოდნენ, რომ მოსაუბრები ერთი და იგივენი იყვნენ. საინტერესოა, რომ ფრანგული ენის მიმართ ამგვარი რეაქცია ჰქონდა როგორც ინგლისურად მოსაუბრე, ასევე ფრანგულად მოლაპარაკე კანადელებს (ვაინრაიხი 1953გ: 54-55).

## 2. მეორე ენის ათვისების პირობები და თავისებურებები.

„ენა გარემომცველი სამყაროს გასაღებია – რაც მეტია ეს გასაღები, მით უფრო ფართოვდება სამყაროს საზღვრები“, - აღნიშნავენ ფსიქოლოგები.

ადამიანთა დიდი ნაწილი ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც რამდენიმე ენაზე ლაპარაკობენ. დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ორ ან მეტენოვანი მატარებელია. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, (მაგალითად, ისლანდია) რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ერთ ენაზე საუბრობს.

რეგიონში, სადაც წარმოდგენილია ორი ან მეტი ენა, გარკვეული ენობრივი პრობლემები განათლების საკითხებთან დაკავშირებითაც დგება. განსაკუთრებით მწვავე ეს პრობლემები აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთ შტატებში აღმოჩნდა, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობდა ესპანური, ინგლისური და ინდიელთა ენები.

მიზანშეწონილად მიგვაჩინია, აქვე შევეხოთ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებულ გლობალური ბილინგვიზმის საკითხს, რომლის ფორმულაც ასეთია – ინგლისური ენა + მშობლიური ენა.

აღნიშნული მოვლენის გავრცელებას, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო ამ პერიოდში მიმდინარე ისტორიული და ეკონომიკური პროცესების განვითარებამ, რომელმაც ინგლისური აქცია პრესტიჟულად მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში, როგორც ენობრივი უმრავლესობის, ისე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა შორის. მოვლენა გავრცელდა საქართველოში და ინგლისურის შესწავლის საკითხი საკმაოდ აქტუალურ პრობლემად იქცა ჯავახეთშიც. მშობლების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თუკი მისი შვილი სკოლაში სათანადოდ ისწავლის ინგლისურს, ეს მას შემდგომში გაუადვილებს

შრომის ბაზარზე ადგილის მოპოვებას. როგორც უკვე ვთქვით, ეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ფაქტია. ზოგან პროცესი უფრო შორსაც წავიდა. მაგალითად, შვეიცარიის ზოგიერთ გერმანულენოვან კანტონში დღეისათვის ინგლისური ენა უფრო პრესტიულად ითვლება, ვიდრე სხვა სახელმწიფო ენები. მშობლები და სამუშაოზე დამქირავებლები თხოულობენ, რომ ინგლისურის სწავლება უფრო ინტენსიური გახდეს, ვიდრე ფრანგულის ან გერმანულის. ამრიგად, ინგლისურ ენას ირჩევენ უკვე პირველ ენად.

არსებობს ფართო დიდაქტიკური ლიტერატურა იქ არსებულ ლინგვისტურ პრობლემებზე. მათგან სასკოლო განათლების პირობებში კულტურულ-ენობრივი ინტერესერენციის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დირებულია იუნესკოს მოხსენება (იუნესკო 1953).

ნებისმიერ ქვეყანაში ეროვნული (სახელმწიფო) ენის ფლობა აუცილებელი უნდა იყოს, თუმცა ჯავახეთის რეალობა, სამწუხაროდ, სხვა სურათს გვიჩვენებს. სახელმწიფო ენის გარეთ დგომა ნებისმიერ ინდივიდს წამგებიან პოზიციაში აყენებს. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ენის არმცოდნეთ არ შეუძლიათ ინფორმაციის მიღება – მათ არ ესმით გაგონილი და ვერ იგებენ წაკითხულს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ უდგებიან მიზნობრივად, უქმნიან ვითომდა სასათბურე პირობებს და ესაუბრებიან მათვის გასაგებ (ხშირად რომელიმე უცხო, მესამე) ენაზე. ბუნებრივია, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ასეთმა მიღგომამ საზოგადოებისაგან სახელმწიფო ენის არმცოდნეთა გარიყვა, მარგინალიზაცია და საბოლოოდ იზოდაციაც კი გამოიწვიოს.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ უცხო ენის გამოყენება შესაძლებელია აკმაყოფილებდეს ძირითად ზედაპირულ მოთხოვნილებებს, მაგრამ კულტურული კომუნიკაციის ფარგლებში, ადამიანის ცხოვრების სიღრმისეულ ასპექტებთან მიმართებით, სხვა სურათი იქმნება. მაშინაც კი, როდესაც კონტაქტი მყარდება ორივე მხარისათვის ნაცნობ ენაზე, კომუნიკაციის ხარისხს განსაზღვრავს თანამოსაუბრეთა ენობრივი კომპეტენცია, ამდენად, ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში კომუნიკაცია შეზღუდულია და არც შეიძლება სრულყოფილი იყოს.

საკითხი - როგორ ითვისებენ ენას, ორენოვნების ანალიზისას ცენტრალურია იმის მიუხედავად, ეს ენა სკოლაში ისწავლება თუ მის ფარგლებს გარეთ. ეს ფსიქოლოგიის (ამ შემთხვევაში სწავლების ფსიქოლოგიის) განსაკუთრებული სფეროა და როგორც უკვე ვთქვით, ისეთ

საკითხებს მოიცავს, როგორიცაა ენობრივი უნარები, ენობრივი სიახლეების გაზომვა, ორენოვნების გავლენა გონიერივ შესაძლებლობებზე და პიროვნების მთლიანობის (ხასიათის) ფორმირება.

მეორე ენის ათვისება ჩვენ გვესმის როგორც ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ისეთი ენის დაუფლების პროცესი, რომელიც განსხვავდება შესწავლილი მშობლიური (ან პირველი) ენისაგან. მეორე ენის ათვისება რომ უკეთ გავიაზროთ, საჭიროა გავიგოთ, რა პროცესებს გაივლის ის მეორე ენის ათვისებისას (ეს ნიშნავს საკითხის ფსიქოლოგიური ასპექტით განხილვას), კონკრეტულად რას სწავლობს ადამიანი მეორე ენის ათვისებისას (ეს შეიძლება ლინგვისტურ ასპექტად მივიჩნოთ), და რა განაპირობებს მეორე ენის ათვისების დროს მეტ ან ნაკლებ წარმატებულობას (ეს საკითხის სოციალური ასპექტით განხილვას ნიშნავს)?

თითოეულ შეკითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს და მეცნიერული დავის საგანს წარმოადგენს. თვით მეორე ენის ათვისების კვლევა უამრავ სხვადასხვა მეცნიერებებთანაა დაკავშირებული. ფსიქოლინგვისტიკაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებულმა კვლევებმა აშკარა გახადა, რომ მშობლიური ენის ათვისება მიმდინარეობს არა იმიტაციისა და წახალისების, არამედ ცდისა და კონსტრუირების გზით (ტრასკი 2004: 167-170). დღეს მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მეორე ენის შესწავლაც სწორედ მშობლიური ენის ათვისების თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს, ანუ აქცენტი უნდა გადავიდეს ენის თავისუფალი, ბუნებრივი, ქვეცნობიერი ათვისების პროცესზე.

მეორე ენის ათვისება ხშირად განიხილება როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკის ნაწილი, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება ენობრივ სისტემას და ენის დამოუკიდებლად სწავლების პროცესს, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მეორე ენის სწავლებისას აღიარებულია, რომ იგი ორიენტირებული უნდა იყოს ენის ბუნებრივ დაუფლებაზე.

ქართულ თანამედროვე დასავლურ სამყაროში ენის ათვისების პირობებისა და მისი რთული მექანიზმების კვლევასთან დაკავშირებით სულ უფრო ხშირად ახსენებენ ფსიქოლოგ ლ. ვიგოტსკის სახელს. მეცნიერი ცალსახად აღნიშნავს, რომ უნდა განსხვავდეს ენის აზრობრივი განვითარების კანონები და მათი გარეგნული ფორმირება, გამოხატული გრამატიკულ წესებში. ის, რაც

გრამატიკის თვალსაზრისით შეცდომაა, აზროვნების დონეზე შეიძლება არსობრივად მნიშვნელოვანი და ფასეული იყოს (ანსპოკა 2005გ: 12).

განსაკუთრებით მახვილდება უურადღება ორენოვნებაზე, რომლის ყალიბდება ადრეულ ასაკში, ანუ ბავშვობაში და ორენოვნებაზე, რომელიც ზრდასრულ ასაკში ყალიბდება. ორენოვნების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანის ბავშვობა (კროუფორდი 2003: 151-160), ე. ი. ის პერიოდი, როდესაც ენობრივი სისტემები მოზარდის გონებაში მხოლოდ ყალიბდება. ბავშვთა ორენოვნება უფრო ლირებულად და უფრო მყარადაც ითვლება. ამიტომ ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა გამოკვლეული ბავშვურ ასაკში შეთვისებულ ორენოვნებაზე.

ასე ფიქრობენ დღეს, თუმცა ამ საკითხზე რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობდა. XIX საუკუნის ბოლოს ერთ-ერთი ინგლისელი პოროფესორის მტკიცებით, საშინელება იქნებოდა, ბავშვს რომ პქონოდა საშუალება, ერთნაირად სცოდნოდა ორი ენა, ვინაიდან ასეთი ბავშვის ინტელექტუალური და სულიერი განვითარება წარიმართებოდა არა ორჯერ სწრაფად, არამედ ორჯერ უფრო ნელა. აღნიშნულ გარემოებებში გონებრივი განვითარების ფორმირება და ხასიათის ჩამოყალიბება საგრძნობლად შეფერხდებოდა. ორი საუკუნით ადრე ორი ეროვნების მატარებლობა ეჭვს იწვევდა, ბილინგვალები ითვლებოდნენ პოტენციურ მოდალატებად. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ორ ან მეტ კულტურას მიეკუთვნებოდა, არ უნდა ყოფილიყო სანდო, ვინაიდან ამოსავლად იყო მიჩნეული დებულება, რომ ადამიანი უნდა ყოფილიყო ერთენოვანი, მრავალენოვნება კი მიიჩნეოდა დათის რისხვად, რომელიც კაცობრიობას სდევს ბაბილონის გოდოლის დროიდან (პადრიაგ თ რიაგერი... 2007).

ჩვენს დროში ეს მიდგომა მნიშვნელოვნად შეცვლილია. საგანგებო მსჯელობის საგნადაა ქცეული ორენოვნებისა და ინტელექტის ურთიერთმიმართების საკითხი. ცნობილია, რომ ენის შესწავლა ისეთივე გარჯიშია ტვინისთვის, როგორც სპორტი – კუნთებისთვის.

მნიშვნელოვანია ბავშვის სრულფასოვანი „ენობრივი განვითარება“ იმ ასაკში, როდესაც ყალიბდება მისი პიროვნული ნიშნები, იღვიძებს ინტელექტი. სამეტყველო შთაბეჭდილებების მრავალფეროვნებაზე, სიდრმესა და სისწორეზე იქნება დამოკიდებული მომავალში ბავშვის მიერ ენის გამოყენების ხარისხი (ანსპოკა 2005გ: 63).

მეტყველების განვითარება აისახება ბავშვის თვითაღქმაზე მაშინ, როდესაც საკუთარი აზრის გამოხატვის, სხვათა გაგების უნარზე ხდება დამოკიდებული მისი ბედი, მისი ადგილის განსაზღვრა საზოგადოებაში (მეგობრები, სკოლა, ლიდერად ყოფნის შესაძლებლობა, უნივერსიტეტის არჩევა).

მეორე ენის ათვისება შეიძლება სამი სახით მიმდინარეობდეს. პირველი პირობითად შეიძლება იყოს არაფორმალური ათვისება ბუნებრივ კონტექსტში.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც ენის შესწავლა ბავშვის ირგვლივ არსებულ ენობრივ გრემოში ხდება ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, თავისთავად.

მეორე სახედ შეიძლება მიგიჩნიოთ ფორმალური სწავლება-სწავლა საკლასო გარემოში, რაც სკოლაში, გაკვეთილზე ორგანიზებულ და ხელოვნურად შექმნილ ენობრივ გარემოს გულისხმობს. მესამე შერწყმული ვითარებაა – ათვისება როგორც ბუნებრივ, ისე საკლასო გარემოში.

ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში ქართველ და სომებს ბავშვებს მეორე ენის ათვისების თვალსაზრისით განსხვავებული პირობები ექმნებათ.

სომებს ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ, ურთიერთობა მშობლიურ ენაზე წარმართონ ყოველდღიურად საჭირო საკომუნიკაციო სიტუაციებში, ვთქვათ, მაღაზიის გამყიდველთან, ექიმთან, თანატოლთან, ანუ მშობლიურ ენაზე ურთიერთობის დეფიციტს ვერ გრძნობენ. მეორე ენის შესწავლა კი მათგან გარკვეულ ძალისხმევას საჭიროებს – რუსული ენისა ნაკლებად, ქართულისა – მეტად. რუსული მათ მშობლების მეტყველებიდან ესმით. ისინი უქმნიან ბავშვს საკმაოდ ძლიერ მოტივაციას. იმის გამო, რომ მასმედიის ენა ჯავახეთში ძირითადად სომხური და რუსულია, საყვარელ სატელევიზიო გადაცემებსაც ბავშვი ამ ენაზე ისმენს. ოჯახში უფროსების ცხოვრების წესიდან გამომდინარე მისი მომავლის გეგმები, ოცნებები მეზობელ სახელმწიფოებს უკავშირდება.

ქართული ენა სომები ბავშვისთვის მხოლოდ სკოლაში შესასწავლი ენაა, რომელზე კომუნიკაციის საჭიროებასაც ის მხოლოდ გაკვეთილზე გრძნობს. არც ერთი კომუნიკაციური ამოცანის გადაწყვეტა გაკვეთილის მიღმა მას ამ ენაზე არ უწევს. არსებობს კიდევ ერთი საკმაოდ გაგრცელებული ტენდენცია: სომები მშობლების უმრავლესობა არჩევს, შვილს განათლება რუსულ სკოლაში მიაღებინოს. ბუნებრივია, ესეც სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე.

მეორე ენის ასათვისებლად განსხვავებული გარემო ექმნება ქართველ ბავშვს. მისი მშობლიური და განათლების ენა ქართულია, მეორე ენა – სომხური, მაგრამ განსხვავებით სომები ბავშვისაგან, მას მეორე ენის

შესასწავლად განსაკუთრებული მაღლისხმევა არ სჭირდება. მისი საკომუნიკაციო გარემო სომხურია – სომხურ ენაზე ურთიერთობს მაღაზიაში, ქუჩაში, მეგობრებთან, მეზობლებთან. მასზეც მოქმედებს ყველა ფაქტორი, მაგრამ ბილინგვიზმის სასარგებლოდ, ის ქართულ-სომხური ბილინგვაა.

ჯავახეთში ქალაქის (ახალქალაქი, ნინოწმინდა) სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა ბილინგვაა. იკვეთება გარკვეული კანონზომიერება: სომები ბავშვებში დასტურდება სომხურ-რუსული, ხოლო ქართველ ბავშვებში ქართულ-სომხური ბილინგვიზმი.

საქართველოში დღეს პირველად დაისვა ორენოვანი განათლების საკითხი. იგი ჯერ კიდევ გადაწყვეტის პროცესშია და, ბუნებრივია, თავის დროზე გარკვეულ გავლენას იქონიებს ჯავახეთში არსებულ ენობრივ სიტუაციაზე. ვინაიდან ჯავახეთში დღეს უკვე რეალურად არსებობს სკოლები, სადაც ინერგება ბილინგვური სწავლება, საჭიროდ მივიჩნიეთ, ამ საკითხე ყურადღების გამახვილება.

ბილინგვური (ორენოვანი განათლება) გულისხმობს, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, როდესაც შესაძლებელია, სწავლების ენად ორი ენის გამოყენება (მაგალითად, თურქული ეთნიკური უმცირესობის ენა ავსტრიაში ან გერმანული, როგორც მეორე ენა, რუსეთში, ინგლისური – ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში). ამდენად, მეორე ენა ხდება არა მხოლოდ შესასწავლი ობიექტი, არამედ, ამავდროულად, ურთიერთობის საშუალება და სწავლების ენა, ხოლო, მეორე მხრივ, ბილინგვური განათლება გულლისხმობს მშობლიური და მსოფლიო კულტურის ღირებულებების შეცნობას მშობლიური და უცხო ენის საშუალებით, როდესაც უცხო ენა იქცევა საშუალებად, იარაღად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის კულტურულ-ისტორიული და სოციალური გამოცდილების შემცნებისა.

XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო მწვავე დისკუსია, თუ რა გავლენას ახდენს ორენოვანი გნათლება ადამიანის ინტელექტზე. არსებული გამოკვლევები ძირითადად ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხს ეხება.

შედეგები შეიძლება მოკლედ ორ ძირითად დებულებად ჩამოვაყალიბოთ: ა) ყოველი ენა განუყოფლად არის დაკავშირებული აზროვნებასთან; ბ) აზროვნება დამოუკიდებელი პროცესია, ხოლო მეტყველება მხოლოდ აზრის გამოსახატავი კოდია. ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელმაც დაადასტურა, რომ ორენოვანი

განათლება არ ნიშნავს ორ ენაზე აზროვნებას, სამაგიეროდ, ამდიდრებს მშობლიურ ენაზე აზროვნების უნარს (კიტროსკაია 2001: 3).

პიროვნებას, რომელიც ორენოვან განათლებას იღებს, ეძლევა საშუალება შეადაროს, გააანალიზოს და შეუპირისპიროს ერთმანეთს შესასწავლი საგნების შინაარსი სხვადასხვა საგანმანათლებლო კულტურულებში, რაც, საბოლოოდ, მის ინტელექტუალურ განვითარებას ემსახურება.

ადამიანს ექმნება ფსიქოლოგიური და ემოციური კომფორტის განცდა და გარდა ამისა, იგი მნიშვნელოვანია კულტურული და სოციალური თანასწორობის თვალსაზრისითაც. საკამათო არ არის, რომ ეს ხისტი, ძალდატანებითი პოლიტიკის წყალობით არ უნდა ხდებოდეს. ამგვარი ქმედება გაუმართლებელია. ოჯახს, საზოგადოებას უნდა შეეთავაზოს განათლების ალტერნატიული მოდელები, აეხსნათ თითოეული მათგანისძლიერი და სუსტი მხარეები და საბოლოოდ თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება.

საქართველოს განათლების სისტემა ყოველთვის აგრძელებდა ტრადიციას, რომლითაც შესაბამის სკოლაში უმცირესობათა ენა წარმოადგენდა სწავლების ძირითად ენას. აღნიშნული სისტემის დადებითი ასპექტი არის ის, რომ ენობრივ უმცირესობებს შესაძლებლობა ეძლევათ, განათლება მშობლიურ ენაზე მიიღონ. მეორე მხრივ, ამგვარი განათლების სისტემა ყოფს ბავშვებს ეთნიკური და ლინგვისტური ნიშნით, რაც ხელს უშლის მოქალაქეობრივი შემეცნების განვითარებას და ყოველთვის რჩება ისეთი გრძნობა, რომ ესა თუ ის ადამიანი არის სხვადასხვა ეთნოლინგვისტური ჯგუფის წევრი. ბავშვები აღარ ცდილობენ, ჰქონდეთ განსხვავებული ლინგვისტური უნარ-ჩვევები, რაც, სამწუხაროდ, უარყოფით გავლენას ახდენს მათს პროფესიულ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

იმისათვის, რომ ორენოვანი განათლების უპირატესობაზე საუბარი მხოლოდ ზოგადი მსჯელობა არ გამოვიდეს, ჩვენ უშუალოდ გავეცანით ბილინგვური სწავლების პირველ შედეგებს ჯავახეთში, დავინტერესდით მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულებებით ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჯავახეთში ბილინგვური განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2006 წელს შვეიცარულმა ორგანიზაცია „სიმერამ“ დაიწყო მრავალენოვანი განათლების პროექტის განხორციელება (პროექტი მიმდინარეობდა ქვემო ქართლშიც, თუმცა ჩვენ მოვიძიეთ მხოლოდ ჯავახეთთან დაკავშირებული ინფორმაცია). პროექტს ჰქონდა სამი ძირითადი მიზანი: დაენერგა მრავალენოვანი

განათლება 2006-2007 სასწავლო წელს სამცხე-ჯავახეთის სკოლებში; მოქმედებინა სათანადო მეთოდიკური მასალა, უზრუნველეყო მასწავლებლების გადამზადება, პროექტში ჩაერთო მშობლები და თემის ლიდერები საჭირო და აუცილებელი ჩვევების განვითარებისა და მასწავლებლების, მშობლებისა და პოლიტიკური ლიდერების მიერ პოროგების სწორად გაგებისა და აღქმის მიზნით. საგანმანათლებლო პოლიტიკის შემქმნელებთან ერთად სავარაუდო სტრატეგიები შეემუშავებინა საქართველოში.

საპილოტე პროექტი განხორციელდა ჯავახეთის რეგიონის 6 სკოლაში – 4-ახალქალაქში და 2-ნინოწმინდის რაიონში. შვეიცარული ორგანიზაცია „სიმერას“ წარმომადგენელი ლიგიტა გრიგულე აღნიშნავს, რომ „მრავალენოვანი განათლების პროექტისათვის შერჩეული და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის შესაძლებლობებსა და რეალობასთან ადაპტირებული იქნა ენების განვითარების მხარდაჭერისა და ენობრივი მემკვიდრეობითი განათლების პროგრამა, რომლის პილოტირება მოხდა 2006-2007 სასწავლო წლის განმავლობაში საცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის 12 დაწყებითი სკოლის 18 კლასში“ (გრიგულე 2008ა: 180).

საქართველოს რეგიონებში პროგრამის განხორციელების მართლზომიერება განისაზღვრა იმით, რომ იგი შესაბამებოდა ადგილობრივი თემის, მშობლების მოლოდინებს და უმცირესობის ენობრივი სტატუსის საკითხებს.

საპილოტე მოდელები მოიცავდა ორენოვან მოდელებს, სადაც ქართული ენის გადანაწილება მერყეობს მთლიანი სასწავლო საათების 17%-დან 29%-მდე და სამენოვან მოდელებს, სადაც ქართული ენის საათები შეადგენდა 15-17%-ს, მესამე ენის საათები -2-5%-ს (აღნიშნულ მოდელებში მოსწავლეთა უმრავლესობისთვის მშობლიური ენა არის სომხური). მოდელში ენის საათების განაწილება ხდება საგნის შესაბამისად ან საგნისა და პიროვნების მიხედვით.

პირველი საპილოტე წლის შედეგებმა დაადასტურა, რომ შესაძლებელი და აუცილებელია, მეორე ენაზე ჩასატარებელი გაკვეთილების რაოდენობის გაზრდა. გაკვეთილების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას უზრუნველყოფს მშობლების დამოკიდებულება და ინტერესი ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებით.

სასწავლო წლის ბოლოს საპილოტე პროექტის მასწავლებლები და სკოლის დირექტორები გამოკითხვაში პოზიტიურად აფასებდნენ პროექტის წვლილს. მრავალენოვანი განთლების პროექტში მონაწილე მასწავლებლებმა მიიღეს

შემდეგი სარგებელი: ისწავლეს ინტარაქტიული დიდაქტიკა, საგნის სწავლების მეთოდოლოგია და ენობრივი უნარ-ჩვევების შეფასება.

მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ, რომ მათ ბევრი შეიძინეს ასევე პიროვნულადაც – გაუძლიერდათ საკუთარი ღირსების გრძნობა, შეგრძნება, რომ ისინი კარგ სამსახურს უწევენ იმ ქვეყანას, რომელშიც ცხოვრობენ. მნიშვნელოვანი იყო მასწავლებელთა თანამშრომლობის ხელშეწყობაც. შესამჩნევი იყო ცვლილებები მოსწავლეთა მიერ მეორე ენის ათვისებაშიც. შესასწავლი ენების მზარდი მოტივაციის, ქართული ენის შესწავლისას შესამჩნევი წარმატების გარდა ისინი ასახელებდნენ მოსწავლების აქტიურობას და სწავლის პროცესისა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. კავშირი მშობლებსა და სკოლას შორის უფრო მეტად მჭიდრო გახდა, მშობლები მონაწილეობას იდებდენ სასწავლო პროცესში.

სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული გამოკითხვით შეფასდა მოსწავლეების ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარების დონე. გამოირკვა, რომ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საპილოტე სკოლის მოსწავლეების მიერ მეორე ენის ფლობის უნარ-ჩვევები სწრაფად განვითარდა იმ მოსწავლეებთან შედარებით, რომლებიც სწავლობდნენ იმავე რეგიონის ისეთ სკოლებში, სადაც ორენოვანი პროგრამა არ ხორციელდებოდა. მოსწავლეებმა საგრძნობლად გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი და შეძლეს სხვადასხვა ენობრივი ფუნქციების გამოყენება. მათმა მეხსიერებამ მოკლე პერიოდის განმავლობაში აითვისა მეორე ენა საკმაოდ დიდი დოზით. იმის გასარკვევად, თუ როგორია მშობლების დამოკიდებულება განათლების ამ ტიპისადმი, „სიმერას“ პროექტით (მრავალენოვანი განათლება საქართველოში“) სასწავლო წლის დასასრულს შეიქმნა კითხვარი, რომელიც მოიცავდა კითხვებს: მშობელთა განათლებულობასა და ენის ფლობასთან დაკავშირებული მოსაზრებების შესახებ, მათ მიერ საქართველოში მრავალენოვანი განათლების შეფასებასა და ამის შესახებ ინფორმირებულობის ირგვლივ, მათი შვილების მიერ სკოლაში მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშირებით. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მშობლების დამოკიდებულება ზოგადად დადებითია. ისინი იცნობენ განხორციელებულ საქმიანობებს და კმაყოფილნი არიან პირველი შედეგებით.

როგორც ლიგიტა გრიგულე აღნიშნავს, კმაყოფილების ძირითადი უპირატესობა არის ნდობა იმისადმი (90%), რომ მათი შვილები, როგორც შესაბამისი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, კარგად გრძნობენ თავს

სკოლაში (გრიგულე 2008ბ: 184). გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მშობლები არასაკმარისად არიან ინფორმირებულნი იმის შესახებ, მათი შვილები სწავლობენ თუ არა სხვა ერების კულტურას. რაც შეეხება სასწავლო საგნებს, მშობელთა უმეტესობა ფიქრობს, რომ მათ შვილებს მოსწონთ ზოგიერთი საგნის მეორე ენაზე სწავლა, ისინი აქტიურები არიან და საკმაოდ კარგად ითვისებენ ამ საგნებს.

ზოგიერთმა ოჯახმა აღიარა, რომ დასაწყისში ისინი დალავდნენ მშობლიური ენის არასათანადოდ შესწავლის, აგრეთვე ასიმილაციის საშიშროების გამო, თუმცა, მრავალენოვანი განათლების პროექტის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ მშობელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი შვილები მშობლიურ ენას და მასთან ერთად, ქართულ ენასაც საკმაოდ კარგად სწავლობენ.

მშობელთა უმრავლესობას გაცნობიერებული აქვს და ინფორმირებულია იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც „საქართველოში მრავალენოვანი განათლების“ პროექტმა შეიტანა სკოლაში და ფიქრობენ, რომ ასეთი ცვლილებები საჭირო და აუცილებელია მომავალშიც.

კითხვაზე: „რომელი ენებია ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენი შვილებისთვის მომავალში?“ – პასუხის გაცემისას ქართულ ენას ყველაზე ხშირად მოიხსენიებდნენ შესაბამისი მშობლიური ენის წინ ან შემდგომ. მაშინ, როცა თავად მშობლები აქტიურად ცდილობენ შეინარჩუნონ მშობლიური ენა, ხოლო ქართული, რუსული, ინგლისური (მცირე შემთხვევებში გერმანული და ფრანგულიც კი) ენები ყველაზე ხშირად მოიხსენიება მათ პასუხებში, როგორც მათი შვილებისათვის მნიშვნელოვანი ენები. ეს გვიჩვენებს იმას, რომ მშობლების აზრით, მრავალენოვნება საუკეთესო გარანტიაა საქართველოში მათი შვილების მომავლის უზრუნველსაყოფად.

ფსიქოლოგთა დასკვნები გარკვეულად აისახა სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე. დღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმების ფარგლებში ჯავახეთის სკოლებში მეორე ენის ათვისება უახლესი მეთოდოლოგით მიმდინარეობს. უურადღება კომუნიკაციურ გრამატიკაზე მახვილდება. იმედია, ეს ჯავახეთში ქართულის, როგორც მეორე ენის, ათვისების პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს, რაც საბოლოოდ შედეგებში აისახება.

## თავი 4

### ორენოვნება ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში

#### 1. ორენოვანი სიტუაციის არსებობის ისტორიული პირობები ჯავახეთში.

ისტორიულად ჯავახეთი ზემო ქართლის ნაწილია. ესაზღვრება სამცხე, ჩრდილო-აღმოსავლეთით ქართლი. სამხრეთ აღმოსავლეთით სომხეთი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით თურქეთი.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო ფარავანის დასავლეთით და მტკურის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 234).

ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა მნიშვნელოვანი ცნობები, რომელთა თვალის მიდევნებითაც შეიძლება აღვადგინოთ, როგორ იცვლებოდა ჯავახეთის იერსახე ენობრივი თუ ეთნიკური თვალსაზრისით.

თურქების შემოსევამდე, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, ჯავახეთი მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული. რაკი თურქებმა (ოსმალებმა) დაიჭირეს საქართველოს ეს კუთხე, ხალხიც აირია და აჭრელდა. „ყველაზე უწინარეს ჯავახეთს შემოეპარნენ ოსმალეთიდან ქურთები, თარაქამები. როგორც ქურთი, აგრეთვე თარაქამა მომოაბარე და ეული იყო, ესე იგი, მოხეტიალე და ერთ ადგილას არ ჩერდებოდა. რაკი მოსწყინდებოდა ხოლმე რომელსამე ადგილს დგომა, აიყრებოდა, აიკრეფდა ბარგ-ბარხანას და გასწევდა სხვაგან. როგორც ძველ სამშობლოში, ისე ჯავახეთში ეს ველური ხალხი მწყემსობას დაადგა. სადაც საქონელს მირეკავდა და დროებით ბინას დაიდებდა, იმის სოფელიც იყო. სახლების აშენებით თარაქამა და თურქი თავს არ იცხელებდა“, - აღწერს ალ. ფრონელი (ფრონელი 1991გ: 170).

სამაგიეროდ, ოსმალეთის მთავრობით განწესებულ მოხელეებს დიდი გავლენა ჰქონდათ ჯავახეთის ქართველობაზე.

„ოსმალონი ფიქრობდნენ, ჯავახი მაშინ იქნება ჩვენი ერთგული და ჩვენგან განშორებას არ მოისურვებს, თუ რჯულს გამოიცვლის და მაპმადის სარწმუნოებას მიიღებსო. ეს ყალბი და შემცდარი აზრი გახდა ამის მიზეზი, რომ ოსმალოს მოსახლეებმა სახტიკი ძალმომრეობა იხმარეს და ჯავახეთი გაამაჟმადიანეს, რაკი რჯული შეუცვალეს ჯავახს, სახელიც გამოუცვალეს და ქართველის მაგიერ დაუძახეს თათარი“ (ფრონელი 1991გ: 170).

რელიგიის, ანუ ღვთისმსახურების ენა ლინგვისტების მიერ ორენოვანი სიტუაციის შესწავლისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იჭერს. ამიტომ ჩვენ ისტორიული წყაროებზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად დაწვრილებით აღვწერთ იმ პროცესებს, რომლებიც სხვადასხვა დროს განაპირობებდნენ ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის შემადგენელი კომპონენტების, გამოყენების სფეროების ცვალებადობას.

თურქები ესწრაფვოდნენ მხარის მთლიან გამაჰმადიანებას. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, მესხეთის ფეოდალები მთლიანად მოიცვა მაჰმადიანურ-სუნიტურმა რელიგიამ, მაგრამ გლეხობა ჯიუტად იცავდა თავის რწმენას. ფრანგი მოგზაური შარდენი ამ ტერიტორიაზე ხშირად ხვდებოდა ქრისტიან მოსახლეობას. მისი დაკვირვებით დაბლობში უფრო ჭრელი მოსახლეობა იყო, ხოლო მთაში თითქმის ყველა ქრისტიანი სახლობდა, როგორც ჩანს, მესხი გლეხების გამაჰმადიანება დაიწყო მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში და გაგრძელდა მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებამდე (საქართველოს . . . 1970: 367).

შ. ლომსაძე წიგნში „მესხები და მესხეთი“ აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ გლეხები გამაჰმადიანდნენ, მათ მშობლიურ ენად მაინც რჩებოდა ქართული. ოდონდ, როგორც აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, დღესასწაულებსა და კრებებზე თავადაზნაურობა ლაპარაკობდა თურქულად, მხოლოდ სახლში ქართულად“ (ლომსაძე 1975ა: 30).

მეჩვიდმეტე საუკუნის ორმოციან წლებში ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს სამეფოს ცნობილი აღწერის მიხედვით მესხთა ყოფა, ენა ღვთისმსახურება და ტანსაცმელი არ განსხვავდებოდა ქართლელებისა და კახელებისაგან, ხოლო კილო, როგორც აღნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილი, გამოირჩეოდა ნელი ტაქტითა და სიტკბოთი: „მესხებს ძველებურად უყვართ ხელოვნება და მეცნიერება, მაგრამ პირობების უქონლობის გამო მოკლებულნი არიან მათ დაუფლებას. გამაჰმადიანდა ქართველების მხოლოდ მაღალი საზოგადოება. გლეხები კი ნაწილობრივ ქრისტიანებად რჩებოდნენ“.

1769 წ. საფაშოს მიწა-წყალზე იმოგზაურა რუსეთის მთავრობის „სტატსკი სოვეტნიკმა“ თავადმა ამილახვარმა. წარდგენილ მოხსენებაში იგი წერდა: „ყველა ქალაქის მაცხოვრებელი, როგორც თვით ფაშაც, ლაპარაკობს თურქულ და ქართულ ენებზე თანაბრად“ (თამარაშვილი 1995ა: 43).

როგორც ვხედავთ, თურქული ენა ნელ-ნელა იმპერიულებდა ფეხს ქართულ ენობრივ სივრცეში. ამის ძლიერი ხელისშემწყობი ფაქტორი კი რელიგია იყო.

ისტორიამ შემოგვინახა ზუსტი ცნობები იმის შესახებ, რომ მეთვრამეტე საუკუნის შუა სანებში იქმნებოდა სასულიერო სასწავლებლები, სადაც სალაპარაკო ენა თურქული იყო და ბავშვებს არაბულ ლოცვებს აზეპირებინებდნენ. მოლები მათ შთააგონებდნენ, რომ ქართული ენა ურწმუნოთა ენა იყო და ამ ენაზე ლაპარაკიც შესაბამისად უდიდესი ცოდვა იქნებოდა ალაპის წინაშე.

დროთა განმავლობაში ამ პროპაგანდას თავისი შედეგი მოჰქონდა. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ამ ტერიტორიას რუსები არ დაეპატრონენ. თუმცა არც მათი შემოსვლის შემდეგ აღდგენილა და დამკვიდრებულა ქართული ენის ადგილი ჯავახეთის ენობრივ სივრცეში. პირიქით, იქ განვითარებული მოვლენების შემდეგ ბილინგვიზმისთვის უფრო ნოენიერი ნიადაგი შეიქმნა.

1828-29 წლებში ომის დროს გათავისუფლებული სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ქართველებს დასახლების ნება არ მისცეს.

პასკევიჩის ინსტრუქციის თანახმად დროებითი მმართველობის მიზანს წარმოადგენდა ესარგებლათ საომარი მდგომარეობით და რაც შეიძლება მეტი გამაპმადიანებული ქართველი გადაესახლებინათ თურქეთში. 30-იან წლებში ჯავახეთისკენ მოისწრაფვოდნენ ერზრუმიდან სომეხი კოლონისტები, რომელთა შორის ბევრი ვაჭარი და გრიგორიანული ეკლესიის მდიდარი მსახური იყო. რუსი მოხელეების ხელშეწყობით 30 ათასი სომეხი ჩასახლდა იქ და უმრავლესობაც უკვე მათ შეადგინეს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ახალქალაქის მაზრაში თურქეთიდან გადმოასახლეს ბერძნებიც (წალკაში), 50-მდე ოჯახი ახალქალაქში დაბინავდა და მათი ნაწილი გასომხდა.

შ. ლომსაძეს ამ მოვლენებთან დაკავშირებით სომეხი პუბლიცისტის, ვერმიშეს ნაწერებიდან მოჰყავს შემდეგი ნაწყვეტი: „სომხები გადასახლდნენ თურქეთიდან ჯავახეთის მხარეში. მათ ეს ტერიტორია დაფარეს მჭიდრო მოსახლეობით მათ შორის ქართული სოფლები მცირე თაზისებად ჩანდნენ. ზაგურსკის სიტყვებით, ქვეყნამ ისეთი იერი მიიღო, თითქოს იგი უძველესი დროიდან სომხებით ყოფილიყო დასახლებული“ (ლომსაძე 1975ბ: 60).

ჩვენთვის საინტერესო ენობრივ არეალში თურქული ენის პოზიციები უსაშველოდ გაძლიერდა. ამას ხელს უწყობდა მეფის ადმინისტრაციის მიერ თურქეთიდან ჩამოსახლებული ყარაბაღელი, ქურთი და სომეხი მოსახლეობა.

მათი ერთმანეთში სასაუბრო ენა მხოლოდ თურქული იყო. ამ მხრივ საყურადღებოა ზაგურსკის ცნობა: „მე მარწმუნებდნენ, რომ ადგილობრივი ახალგაზრდობა უკვე აღარ სწავლობს ქართულად. რა თქმა უნდა, შექმნილი ატმოსფერო თავის დაღს ასვამდა ქართველ ახალგაზრდებს. ეს ახალგაზრდები თავისი ფიზიონომიით და გვარებით წმინდა წყლის ქართველები იყვნენ, მაგრამ სრულიად არ იცოდნენ ქართული, მშობლიური ენა (თამარაშვილი 1995გ: 60).“

უნდა აღინიშნოს, რომ XVIII-XIX საუკუნეებში ჯავახეთის კულტურული დონე მნიშვნელოვნად დაბალი იყო. პარადოქსული ის იყო, რომ მესხი ბაგშვების სასწავლებლად ხელისუფლება ანატოლიიდან იწვევდა თურქ სამღვდელოებას, რომელიც თავის საქმიანობას წარმატებით ასრულებდა. ბუნებრივია, ამ სიტუაციაში ქართული ენა სრულიად კარგავდა თავის ოდინდელ ფუნქციას.

1939 წელს გამოვიდა ბრძანებულება რუსი სექტანტების, დუხობორების ჯავახეთში ჩამოსახლების შესახებ. ამ რაიონში მანამდე რუსული მოსახლეობა არ ცხოვრობდა. ისინი დაამკვიდრეს ქართველთა ნასახლარებზე.

საყურადღებოა ალ. ფრონელის შემდეგი ცნობა: „რუსებმა რომ დაიჭირეს ჯავახეთი 1828 წელს, საქართველოს ეს ძირძველი კუთხე თითქმის სრულიად გადარჯულებული იყო. გამაპმადიანებულ ჯავახს არ მოეწონა რუსობა და მისი ბატონობა. მოშორდა სამშობლოს და ოსმალეთში გადაიხვეწა. დარჩნენ მხოლოდ ჩუმი მართმადიდებელი ქრისტიანენი, ქართველი კათოლიკენი სომხის ტიპიკონისა ქურთი, თარაქამანი და გამპმადიანებული ქართველების სულ მცირე ნაწილი. დაცარიელებულ ჯავახეთში რუსის სარდალმა პასკევიჩმა მოიყვანა დიდალი სომხობა და დააბინავა ქართველების ნასოფლარებში. 10 წლის შემდეგ გ. ი. 1840 წელს რუსის მთავრობამ კიდევ მოუმატა ხალხი ჯავახეთში. რუსეთი დევნიდა დუხაბორებს, ანუ მწვალებლებს. თავისუფალი ცხოვრების ნებას არ აძლევდა. ადგა და შინ დაწუნებული დაასახლა ჯავახეთში.“

ამგვარად, დღევანდელ ჯავახეთში ცხოვრობენ: 1. ოსმალების ბატონობის დროიდან დარჩენილი ქურთები, 2. თარაქამანი, 3. არზრუმიდან მოსული სომხები, 4. რუსეთიდან გადმოსახლებული დუხაბორები და 5. მკვიდრი ქართველები“ (ფრონელი 1991დ: 119) .

ჩამოთვლილ ხალხთა თანაცხოვრება, ფაქტობრივად, ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის თავისებურებების განმსაზღვრელად იქცა.

მე-19 საუკუნის შუა წლებში მისი შემადგენელი კომპონენტები იყო: თურქული ენა, სომხური ენა, ქართული ენა, რუსული ენა (თითოული თავისი ნაირსახეობით).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ენის გამოყენების სფეროების გასარკვევად, ერთი ენის სხვა ენებთან დამოკიდებულებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფების ცხოვრების პირობებს, წესებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ინტერესმოკლებული არ იქნება ჯავახეთში მცხოვრებ ხალხთა მაშინდელი ყოფის (ფრონელის ცნობების საფუძველზე) აღწერა:

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სომხები ჯავახეთში 1830 წელს გადმოასახლა რუსის მთავრობამ. გადმოსახლებული სომხების დიდი ნაწილი აღიარებდა წმინდა გრიგოლის სარწმუნოებას, ხოლო მცირე ნაწილი კათოლიკობის მიმდევარი იყო. ორივე რჯულის სომხები მშვენივრად ლაპარაკობდენ თათრულად. ქართულიც იცოდნენ იმათ, ვინც ქართველებთან ერთად დაბინავდნენ. მაგალითად, ბარალეთის სომხობა ისევე კარგად ლაპარაკობდა ქართულად, როგორც ქართველები. ისიც სათქმელია, რომ ჯავახეთისა და საათაბაგოს ქართველობა კარგად ლაპარაკობდა თათრულად. იცოდნენ აგრეთვე სომხური, თუ სომხებთან ერთ სოფელში ცხოვრობდნენ. ერთ კუთხეში მოქცეულ სხვადასხვა ტომის ხალხს შუდლი არ მოსდიოდა და მშვიდობიანად ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს.

ჯავახეთში მოსული სომხობა განთქმული იყო თავისი შრომისმოყვარეობით, ტანსაცმელი სომხისა იგივე იყო, როგორც ქართველი ჯავახისა, ხოლო სომები ქალის ტანსაცმელი ცოტათი განსხვავდებოდა ქართველი ქალის ტანსაცმლისგან.

დუხობურები ჩამომავლობით (მათ ავტორი უწოდებს დუხაბორებს) რუსები იყვნენ (ველიკორუსი). ამათ უარყვას რუსეთში გაბატონებული წესები, უარი თქვეს ეკლესიასა და მღვდელ-დიაკვნებზე, ეკლესიური წესით ნათლობა-ქორწინებაზე და თავისებურად დაიწყეს ღვთისმსახურება.

„დუხაბურებს დიდად სწამო და უყვართ ღმერთი. მთავრობა გაუწყრა, როგორ თუ ბერები, მღვდლები, ეკლესია და ეკლესიური წესები არ გინდათო, აიღო და გადმოასახლა 1840 წელს ჯავახეთში. მაშინ ჩვენი საქართველო რუსებს ისე მიაჩნდათ, როგორც დამდუპველი ქვეყანა, საიდანაც რუსი კაცი შინ გეღარ დაბრუნდებოდა. ახლა რუსები ისე ეტანებიან საქართველოს, როგორც ბუზი თაფლს. დუხაბურები დაასახლეს ჯავახეთის თოვლიან-ყინულიან

ადგილებში იმ განზრახვით, რომ გაწყვეტილიყვნენ. მთავრობას სძულდა ურჩი, პირქუში და შეუპოვარი დუხაბორები, მწვალებელი და უარისმყოფელი ეკლესიის გარებანი წესებისა. იმ წესებისა, რომელთაც დაფარეს და სავსებით ჩანთქეს კაცომყვარე ქრიტიანობის სული და არსება. მთავრობას იმედი გაუცრუვდა. დუხაბორები არ გაწყდნენ. გაუძლეს სასტიკ ბუნებას და დღეს ისე კარგად ცხოვრობენ, რომ ქართველი დიდხანს ვერ მოესწრება ამგვარ კეთილ ცხოვრებას. მთავრობამაც ამჟამად აზრი შეიცვალა და დუხაბურებს დღეს თავზე ხელს უსვამს, რაც უნდა იყოს, მაინც რუსები არინ და, მაშასადამე, სისხლ-ხორცნიო“ (ფრონელი 1991: 177).

დუხობორებმა რვა სოფელი გააშენეს ჯავახეთის აღმოსავლეთ ნაწილში: ბოგდანოვკა, გორელოვკა, ეფრემოვკა, ორლოვკა, როდიონოვკა, სპასკაია ტამბოვკა, რტოიცკაია. მათი ნაწილი რამდენიმე წლის წინათ ამერიკაში გადასახლდა, მაგრამ არც ერთი დასახლებული სოფელი სავსებით არ დაცარიელებულა. ასეთი იყო ალექსანდრე ფრონელის თანამედროვე ჯავახეთი თავისი მოსახლეობით.

რუსეთის მხარდაჭერის წყალობით სომხური გრიგორიანული ეკლესია აქტიურად მოქმედებდა. ეკლესიის მესვეურები ცდილობდნენ თავისი სარწმუნოების გამტკიცებას. სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებისთანავე სომხური ტიპიკონი დააკანონეს. იმ ადგილებშიც კი, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, გახსნეს სომხური სასულიერო სასწავლებლები.

„ცარიზმა უარყო იქაურ ქართველ კათოლიკეთა ქართველობა და ისინი ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადა. საგანგებო დადგენილებით აიკრძალა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე და ძალდატანებით სომხურად შეიცვალა“ (თამარაშვილი 1995: 321).

ჯავახეთის ენობრივი მდგომარეობა ამგვარი დარჩებოდა, რომ არა კვლავ ისტორიულ-პოლიტიკურ ფაქტორთა ცვლილება.

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში დიდი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები მოხდა. ამ გარდაქმნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბატონიშვილის გაუქმება და მასთან დაკავშირებული ცვლილებები ქვეყნის ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის ყველა სფეროში.

60-იანი წლების რეფორმებს რუსეთის განაპირა მხარებშიც მოჰყვა მნიშვნელოვანი გარდაქმნები. ენობრივი სიტუაციის ცვლილების დასაწყისისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1867 წ. 25 ივნისს

დამტკიცებულ „კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის დებულებას“. ამ დებულებით კავკასიის სკოლებში პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. რუსული ენა ისწავლებოდა როგორც ერთ-ერთი საგანი (თავზიშვილი 1948: 109).

მშობლიურ ენაზე სწავლების დაწყება უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და სამოცდაათიანი წლების დებულებებს რუსეთის ნაციონალურ უმცირესობათა სრული იმედგაცრუება მოჰყვა. 1871 წლის წესდება არ ითვალისწინებდა ეროვნულ თავისებურებებს.

განათლებაში ამგვარმა ცვლილებებმა თავისი გავლენა იქონია ენობრივ სიტუაციაზე. უკელა დისციპლინის სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართული ცალკე საგნად არ ისწავლებოდა (რა თქმა უნდა, არც სომხური და თურქული) ეროვნულ უმცირესობათა ენებისადმი ასეთი დამოკიდებულება ცარიზმის პოლიტიკის შედეგი იყო. მართალია, სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთ სასწავლებელში ქართული ენის სწავლება ძალაში დარჩა, მაგრამ ძალიან შემცირებული პროგრამით. კვირაში დათმობილი პქონდა ერთი ან ორი გაკვეთილი, ისიც მხოლოდ უმცროს კლასებში. სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ქართული ენის გაკვეთილზე ერთად სხდებოდნენ. მათი დონე განსხვავებული იყო, რის გამოც მასწავლებლები ხეირიანად ვერაფერს ასწავლიდნენ (ივანიძე 1959: 98).

სწორედ ამ პერიოდს ასე აღწერს პავლე ინგოროვა: „მთელი ქართველი მუსულმანობისათვის ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის კრებამდე, და მეცხრამეტე საუკუნეშიც დედა ენა იყო ქართული, ბოლო დროებში – წარსული საუკუნის მანძილზე ქართული ენის ცოდნა ზოგ ადგილზე შემცირდა. ამაში დიდი „ლვაწლი“ მიუძღვის რუსულ რეჟიმს. რუსეთის მმართველობა, რომლის პოლიტიკა მიმართული იყო ქართველობის დასუსტებისაკენ, ყოველნაირად ხელს უშლიდა მუსულმანი ქართველების დაახლოებას მათ ქრისტიან მომექინან. ყველაფერი ქართული აქ დევნას განიცდიდა, თუ სადმე მიდიოდა ქართული ენის შევიწროვება - ამ მხარეში. ადგილი წარმოსადგენია მარტო იმ ფაქტიდან, რომ აქ თურქების მფლობელობის დროს სოფლის სამმართველოსა და სამსჯავროში ქართული ენა იხმარებოდა, რუსეთის მმართველობამ კი რუსული და თურქული ენები შემოიღო. რუსულ-თურქული ენები შემოიღეს აგრეთვე სკოლებში. ქართული ენის ასეთ დევნას შედეგად ის მოჰყვა, რომ ახალციხე-ახალქალაქის

მხარეში – მაგალითად, სადაც მთელი მუსულმანი ქართველობა მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენა აქ ზოგ კუთხეში დავიწყებას მიეცა (ინგოროვა 1990: 22).

საბჭოთა პერიოდში, მისი დამყარების პირველივე დღეებიდანვე სახალხო განათლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა სკოლის სრული ჩამოშორება ეკლესიისაგან, რაც იმთავითვე განხორციელდა. გაჩნდა ტენდენცია ყველა ენაზე დვთისმსახურების შეწყვეტისა და გატარდა კიდეც. მესხეთში არსებული მუსლიმანთა სასწავლებლები, სომები კათოლიკეთა სასწავლებლები ერთიანდებოდნენ და მათ ბაზაზე საბჭოთა ეროვნული სკოლები ყალიბდებოდა.

ჩვენ არ გვაქვს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ჯავახეთის რეგიონში არსებული სხვადასხვაენოვანი სკოლების შესახებ. ქვემოთ წარმოვადგენთ ცხრილს, რომლი მონაცემებიც მთელ საქართველოს ეხება. ამ ცხრილიდანაც კარგად ჩანს, რამდენად დიდი იყო მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა.

#### **დაწებითი და საშუალო სკოლები საქართველოში 1934-35 წლებში**

სწავლების ენა	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეთა რაოდენობა	მათ შორის I-IV კლასები	V-VII კლასები	VIII-X კლასები
ქართული	2 593	378 294	273 047	93 885	11 362
ოსური	334	20 565	18 465	2062	38
თურქული	312	31 014	28 707	2 307	-
სომხური	279	46 856	37 228	8 563	1 065
რუსული	193	39 090	30 335	7 402	1 353
ბერძნული	95	8 709	7 539	1 042	-
აფხაზური	69	4 552	4379	173	-

გერმანული	12	1 608	1 128	377	103
ქურთული	8	485	485	-	-
ესტონური	5	231	231	-	-
ლეკური	3	700	700	-	-
ასირიული	1	58	58	-	-
ქართულ-უდიური	1	59	59	-	-

(სტატისტიკური . . . 1935: 47-48)

საბჭოთა ხელისუფლების ეგრეთ წოდებული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის „წყალობით“ ამ მხარეში კიდევ უფრო მეტად გაუარესდა მკვიდრ ქართველთა დემოგრაფიული სურათი. ქართველ მაჟმადიანთა მიმართ ტარდებოდა ანტიქართული პოლიტიკა და მათ მიიჩნევდნენ როგორც თურქებს: კიდევ მეტი, მათ შთააგონებდნენ და ყოველდღიურად უჩიჩინებდნენ, რომ ქართველები კი არა, თურქები იყვნენ.

საქართველოს მთავრობის ამ პოლიტიკის წყალობით ადგილობრივი ქართველი მაჟმადიანები კიდევ უფრო გადაგვარდნენ და მათში მინავლული ქართული სული სრულიად ჩაქრა. სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგი იყი ის ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც 1944 წელს დატრიალდა მესხეთში და, აქედან გამომდინარე, გაჩნდა „მესხეთელი თურქების“ პრობლემაც.

ეს სხვა პრობლემაა და ჩვენი კვლევის სფეროს სცილდება, თუმცა ჯავახეთის ენობრივი სიტუაციისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა მეოცე საუკუნის 40-იან წლებში რეგიონიდან მათი გასახლება. ამ მოვლენამ, ფაქტობრივად, საბოლოოდ განსაზღვრა თურქულის, როგორც ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის შემადგენელი კომპონენტის, ადგილი და არსებული პოლიტიკური გითარების გამო გამოყენების სფეროები რუსულს დაუთმო. თურქული ენა დარჩა ეთნიკურად არათურქი ენობრივი კოლექტივების ყოველდღიური ცხოვრების გიწრო სფეროში გამოსაყენებელ ენად.

თუ როგორ შეცვალა შემდგომ საბჭოთა პერიოდმა ენობრივი სიტუაცია არა მხოლოდ ჯავახეთში, არამედ სრულიად საქართველოში, ამაზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია დაწერილი. მკვლევართა შეფასება ერთგვაროვანია – რუსულთან არათანაბარ პირობებში ჩაყენებული ენები „დამარცხედნენ“. არათანაბარი პირობები კი კონკრეტული ფაქტორებით იყო გამოწვეული:

რუსულმა ენამ საგრძნობლად გაიფართოვა გამოყენების სფეროები. ამას კი, როგორც მ. ტაბიძე აღნიშნავს (ტაბიძე 2005ბ: 189-192), ხელს შემდეგი გარემოებები უწყობდა:

რუსული ქართულ სკოლებში პირველიდან ბოლო საფეხურამდე ყველა ფორმით ისწავლებოდა;

ყველა ადმინისტრაციული სისტემა დამოკიდებული იყო მოსკოვზე და ამიტომ რუსული გამოიყენებოდა მმართველობის ორგანოებსა და საქმის საწარმოებლად;

ნებისმიერი დისერტაცია, როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო, ითარგმნებოდა და იგზავნებოდა დასამტკიცებლად მოსკოვში. არსებობდა ერთადერთი უმაღლესი საატესტაციო კომისია, რომელიც მოსკოვში მდებარეობდა;

ქართულის სწავლება რუსულ თუ არარუსულენოვან სკოლებში ძირითადად ფორმალობას წარმოადგენდა. უმაღლესი განათლებისათვის საჭირო სპეციალური ლიტერატურა უმეტესწილად რუსულ ენაზე გამოდიოდა, ხოლო ყველა სახელმძღვანელო ნათარგმნი იყო რუსულიდან განათლების ცენტრალიზებული სისტემის გამო. მაგალითად, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში მხოლოდ რუსეთის ისტორიაზე იყო საუბარი, ხოლო საქართველოს ისტორიის საკითხები გვხვდებოდა მხოლოდ საბჭოური რესპუბლიკების კულტურული ცხოვრების მიმოხილვაში. საქართველოს ისტორია ე.წ. კლასგარეშე, არასავალდებულო საგნების ნუსხაში იყო.

ეროვნული უმცირესობებისათვის ძნელი იყო რამდენიმე ენის შესწავლა (მათი მშობლიური ენა, რუსული ენა, ქართული ენა და ერთ-ერთი ევროპული ენა). რადგანაც რუსულის გავლენა უფრო ინტენსიური იყო, ბუნებრივია, რუსულის შესწავლას ამჯობინებდნენ. ეს მათვის მუტად მოსახერხებელი იყო. ქართულის არცოდნა მათ ხელს არ უშლიდა, საქართველოში ეცხოვრათ. ყველა სპეციალობას ჰქონდა რუსული სექტორი და ამ სექტორების

კურსდამთავრებულებმა არ იცოდნენ ქართული, სამსახურში ისინი თავისუფლად იყენებდნენ რუსულს. დიდი ტრასების, სარკინიგზო ხაზების, პიგროელექტოსადგურების მშენებლობა იმ ტერიტორიებზე იგეგმებოდა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქართველები. ამგვარად ხერხდებოდა იქ რუსულენოვანი ჯგუფების ჩასახლება;

ზოგიერთ ქართულ ოჯახს შვილები რუსულ სკოლაში მიჰყავდა, რათა უზრუნველეყო მათი მყარი საზოგადოებრივი მომავალი;

ფაქტია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არსებობდა ქართულ ენაზე, თუმცა მხოლოდ ფილმებს (გარდა ქართულისა), მხოლოდ რუსულად აჩვენებდნენ.

ეპლესია, რომელმაც თავის დროზე გადაარჩინა ქართული ენა და ქართული ხელოვნება, ქართული სულიერება საბჭოთა კავშირში უფუნქციოდ დარჩა;

ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების უმაღლესი ინსტანციები მოსკოვში მდებარეობდა და, რა თქმა უნდა, მხოლოდ რუსულ ენაზე ფუნქციონირებდა. მაღალი დონის ყველა ოფიციალური შეკრება რუსულ ენაზე ტარდებოდა.

რუსული იდეოლოგიის დანერგვას ემსახურებოდა მკაცრი ცენზურა (ტაბიძე 2004); ამავე მიზნით გამოიყენებოდა სხვა საშუალებებიც როგორიც არის დამწერლობის ცვლა (ისაევი 1979, 251-170; კომრი 1981, 23, 33; გვანცელაძე 1998, 30-31).

ამგვარ ზეგავლენას თავისი ლოგიკური შედეგები ჰქონდა, როგორც მთელი საქართველოს, ისე მისი ცალკეული რეგიონების მასშტაბით. ქვეყნის ზოგიერთ რაიონში რუსულის ზეგავლენა კიდევ უფრო დიდი იყო. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში რუსული ქართულ სახელმწიფო სამსახურებთან ურთიერთობის ერთადერთი საშუალება იყო. ასეთი რეგიონების რიცხვს მიეკუთვნებოდა ჯავახეთი.

თუ XIX საუკუნეში აშკარად იდევნებოდა ქართული, 1921 წლის შემდეგ ახალი, უფრო მოქნილი პოლიტიკა გამოიყენეს. კერძოდ, ქართული საქართველოს ტერიტორიაზე იმავე უფლებებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც ოსური, აფხაზური, სომხური, აზერბაიჯანული თუ რომელიმე სხვა ენა საქართველოში. უნდა შექმნილიყო ორსაფეხურიანი იურაქია ენებისა: ერთი მხრივ, რუსული ენა, და, მეორე მხრივ, ყველა სხვა ენა.

არ შეძლება არ დავეთანხმოთ მ. კობაიძის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ასეთი მრავალფეროვნების ხელშეწყობა მიზნად ისახავდა არა ამ მრავალფეროვნების შენარჩუნებას, არამედ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საერთო ნარევის შექმნას, სადაც ყველა ენა ნებისმიერ ტერიტორიაზე თანაბარი უფლებებით ისარგებლებდა და მხოლოდ ერთ ენას, რუსულ ენას ექნებოდა განსაკუთრებული უფლება და ფუნქცია ერთა შორის ურთიერთობისა (კობაიძე 2008: 4).

თუ ამ კონკრეტულ ფაქტებს განვითარებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსული ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო (საქართველოში და, შესაბამისად, ჯავახეთში) ენათა ურთიერთობის თავისებური იერარქიის ჩამოყალიბება, რაც განაპირობებდა რომელიმე ერისათვის (არა ქართველი ერისათვის) „შედავათიანი“ ფუნქციონირების სათანადო პირობების შექმნას. ეს გულისხმობდა ბილინგვიზმის შესაბამისი ფორმის ეტაპობრივ დანერგვას. საზოგადოების არასასურველი რეაქციის ასაცილებლად პირველ ეტაპზე გამოცხადდა ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული“ ტიპის ეროვნულ-რუსული ბილინგვიზმი, რომელიც დროთა განმავლობაში შეიცვალა რუსულ-ეროვნულით, ხოლო ბოლო ეტაპზე იყო მცდელობა, რუსულისათვის მიენიჭებინათ „მეორე დედაენის“ სტატუსი. გასაგებია, რომ ეს გულისხმობდა რუსული ენის სახელმწიფო სტატუსის შემოღებას.

ამგვარმა პოლიტიკამ თავისი უარყოფითი გავლენა, უდავოდ, იქონია, თუმცა საბოლოო გადაგვარება ვერ მოხერხდა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მანანა კობაიძის შენიშვნა: „საბჭოთა ერის“ ჩამოყალიბების გზაზე დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ საკმაოდ მოკლე დროში მოხერხდა ტერიტორიის შემოსაზღვრა და საერთო კონომიკური წყობის ჩამოყალიბება, ასე ვთქვათ, მატერიალური სხეულის შექმნა. უფრო ხანგრძლივი და მძიმე პროცესი აღმოჩნდა სულის გადასხვაფერება - საერთო ტრადიციების, ისტორიის, კულტურის ჩამოყალიბება, და ველაზე მეტად ძნელი და შეუძლებელიც - ერთი ენის გავრცელება და მშობლიურ ენად ქვევა“ (კობაიძე 2008: 6).

ჯავახეთის ტერიტორიაზე ყოველთვის ვრცელდებოდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი, მაგრამ ჩვენ უნდა გავმიჯნოთ სახელმწიფო ენის ოფიციალური და ფაქტობრივი მდგომარეობა. პირველი გულისხმობს ენის სტატუსის განსაზღვრას საკანონმდებლო აქტებში, ხოლო მეორე დამოკიდებულია ისეთ პარამეტრებზე, როგორიცაა, მოლაპარაკეთა რაოდენობა,

ფუნქციური გამოყენების დიაპაზონი, სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია, პრესტიჟის მომენტები, პოლიტიკური ტენდენციები და სხვა.

საინტერესოა მ. კობაიძის თვალსაზრისი იმ იერარქიაზე, რომელიც საბჭოთა რეჟიმის გამო ჩამოყალიბდა: „19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე რუსულმა ენამ დაიკავა უფლებების მიხედვით ძირითადი ენის აღგილი. თუმცა კი ქართულმა შეინარჩუნა უმრავლესობის ენის სტატუსი საქართველოში სხვა ენების მიმართ (სომხურის, აზერბაიჯანულის და ა.შ.). ამგვარად, რუსეთისა და, შემდგომ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქცეულ საქართველოში ენათა იერარქიის სულ ცოტა სამი დონე ჩამოყალიბდა: 1. რუსული, 2. ქართული და 3. სხვა ენები. თუ აქ კიდევ რამდენიმე პარამეტრს გავითვალისწინებთ, სურათი კიდევ უფრო გართულდება: რუსული - მეორადი დონის უმრავლესობის ენა, ფაქტობრივად სახელმწიფო სტატუსისა და ფუნქციების მქონე ენა საქართველოში, საქართველოში დემოგრაფიული უმცირესობის ენა.

ქართული - პირველადი დონის უმრავლესობის ენა, სახელმწიფო ენის იურიდიული სტატუსი საქართველოში, სომხური - საქართველოს მასშტაბით უმცირესობის, და რეგიონის უმრავლესობის ენა, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ, სომხეთის დამოუკიდებელ სახელმწიფო სახელმწიფო ენას წარმოადგენს” (კობაიძე 2008გ: 16).

საქართველო ერთდროულად იყო ხანგრძლივი იტორიის, კულტურისა და ტრადიციების, მქონე ქვეყანა და საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი. მისმა ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა სომხურსა და რუსულ ეთნიკური შგუფის სტატუსის ორმაგი, ურთიერთწინააღმდეგობრივი ხასიათი:

- ჯავახეთში ქართულს ერთდროულად ჰქონდა როგორც უმრავლესობის (ქვეყნის მასშტაბით), ასევე უმცირესობის ენის ფაქტობრივი სტატუსი.
- ჯავახეთში მცხოვრები რუსები ობიექტური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნებოდნენ უმცირესობას საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებით (დემოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით). ამავე დროს ისინი თავს მიაკუთვნებდნენ საბჭოთა კავშირის უმრავლესობას - რუსულ მოსახლეობას და მათ მშობლიურ ენას - რუსულს ენათა იერარქიაში პირველი ადგილი ეპავა.
- სომხები ბუნებრივად ამჟღავნებდნენ მიდრეკილებას, რომ თავისი სტატუსი როგორც უმცირესობისა, განეხილათ არა საქართველოს მიმართ, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირის და, კერძოდ, რუსეთის მიმართ. ამ

მიზანს ემსახურებოდა ეროვნული მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყვიტების მიზანის საშუალებით, როგორიც არის იდეოლოგია, პასპორტი, ენა, დემოგრაფიული პოლიტიკა და ა.შ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ფარგლებში მცხოვრები ეს ეთნიკური ჯგუფები აღმოჩნდნენ ახალი სინამდვილის პირისპირ. ეს ჯგუფები აღმოჩნდნენ სრულიად ახალ სიტუაციაში. ახლა ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ საქართველოს ფარგლებში, თავისი ყოფილი თანამომმის მიმართ, რომელსაც პქონდა თავისი მკვეთრად გამოხატული თავისთავადი ენა, დამწერლობა, კულტურა და ისტორია და სადაც ნაკლებად იყო ხაზგასმული რაიმე უშუალო თანაზიარობა ერთმანეთთან, არამედ კულტურული ურთიერთობაც და ისტორიული მეგობრობაც მოაზრებული იყო საბჭოთა კავშირის გამაერთიანებელი ფუნქციის ფარგლებში

ასეთი ორმხრივობა იურიდიულ და ფაქტობრივ სტატუსებს შორის შეინიშნებოდა ჯავახეთშიც, რასაც მოჰყვა მეტად დამაფიქრებელი შედეგები: ქართული „სახელმწიფო ენა“ სავალდებულო იყო თვით სატიტულო ერის წარმომადგენლებისთვის, ანუ ქართველებისთვის. არაქართული მოსახლეობა ან ვერ ფლობდა, ან მისმა ძალიან მცირე ნაწილმა იცოდა მხოლოდ ყოფით დონეზე და განათლებას ჩვეულებრივ იღებდა რუსულ ენაზე.

სომხური მოსახლეობის ნაწილი სწავლობდა დედაენაზე, თუმცა თეორიულად ქართული სავალდებულო საგნად ითვლებოდა. შედეგად ჩამოყალიბდა სიტუაცია, როდესაც ეროვნული ენის მატარებლისთვის რუსული ენის ცოდნა გახდა აუცილებელი და არა პირუკუ (შევნიშნავთ, რომ ასეთი დაცილება ოფიციალური და ფაქტობრივი სტატუსებისა არ არის საკუთრივ საბჭოური მოვლენა. იგი იჩენს თავს ბევრ სხვა ქვეყანაში და მათ შორის ისეთებშიც, რომლებსაც მიაკუთვნებენ განვითარებულ ქვეყნებს).

ჯავახეთის ენობრივი სიტუაცია გართულდა, პირობითად რომ ვთქვათ, „მეორე“ და „მესამე“ დონეების (ბილინგვიზმი დ ტრილინგვიზმი) ენების არსებობის გამო. ნიშანდობლივია, რომ ჯავახეთში მცხოვრები არაქართველები უნდა ყოფილიყვნენ ტრილინგვები (1. მშობლიური ენა 2. „რესპუბლიკის“ ანუ სახელმწიფო ენა და 3. რუსული). მაგრამ სინამდვილეში ბილინგვიზმის კომპონენტად გვევლინებიან – მშობლიური და რუსული, რომელზეც უმრავლესობა სწავლობს სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში.

ასეთი მძიმე ენობრივი მემკვიდრეობა მიიღო რეგიონმა საბჭოთა კავშირისაგან. ამ უკანასკნელის დანგრევა ახალი რეალობის შემქმნელი აღმოჩნდა.

მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა კიდევ ერთხელ შეცვალა ენობრივი სიტუაციის შემადგენელი კომპონენტების მდგომარეობა.

ჯავახეთში, რომელიც უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა, ქართულმა ენამ ერთადერთი სახელმწიფო ენის სტატუსი მიიღო. თუმცა ამ სტატუსის სრულფასოვნად ამოქმედება მრავალ ფაქტორსა და პირობაზეა დამოკიდებული. ამჟამად ჯავახეთში არსებულ ენობრივ სიტუაციაში დასტურდება ერთენოვნება, ორენოვნება (იშვიათ შემთხვევაში სამენოვნებაც). რუსული ენის (დამპყრობლის ენა) პოზიციები ჯერ კიდევ საკმაოდ მყარია და იქ დადასტურებული ორენოვნების შემთხვევების უმრავლესობის შემადგენელი კომპონენტია.

ისტორიულ ძიებას გარკვეულად შველის ენობრივი ანალიზები, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ტოპონიმიკა, რომელიც საიმედო ორიენტირია ისტორიულად ნავარაუდევი ენობრივი კოლექტივის გარკვეულ არეალში სახლობა-არსახლობის დასამტკიცებლად (ბერიძე 2005). ამ შემთხვევაში ენობრივი ანალიზი მთლიანად ექვემდებარება ისტორიის მიზნებს, ხოლო ანალიზის ენობრივი შედეგები ვერ გასცდება ენათა ურთიერთობაში სხვაგან დადგენილ კანონზომიერებს.

თანამედროვე ეტაპზე ენობრივი სიტუაცია ჯავახეთში (ზუსტად ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, მხოლოდ ოდნავ შენელებული ტემპებით) იცვლება. ის ივსება ახალი კომპონენტით - ინგლისურით. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სავსებით შესაძლებელია რეგიონში ბილინგვიზმის ახალი ფორმების დანერგვა. ამჟამად ყველაზე გამოკვეთილია ქართულ-ინგლისური, ან სომხურ-ინგლისური ბილინგვიზმი, რომელიც დამახასიათებელია ახალგაზრდობისთვის. საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლები უწინდებურად რუსულკომპონენტიან ბილინგვებს მიეკუთვნებიან.

ქვეყნის ინტენსიური ინტერნაციონალიზაციის პირობებში შესაძლებელია სხვა სახის ბილინგვიზმის გავრცელებაც, მაგალითად, ქართულ-ჩინური (სომხურ-ჩინური) ან ქართულ-თურქული (სომხურ-თურქული). ეს უკანასკნელი ცალკეული ინდივიდების დონეზე დღესაც დასტურდება.

## 2. კვლევის მეთოდები

სოციოლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინის მეთოდები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად. პირველს მეცნიერები მიაკუთვნებენ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება მასალის შესაგროვებლად, მეორეს – მასალის დასამუშავებლად და მესამეს – მიღებული მონაცემების შესაფასებლად და ინტერპრეტაციისათვის. პირველი ჯგუფის მეთოდები მონათესავე დისციპლინებიდან - სოციოლოგიიდან, სოციალური ფსიქოლოგიიდან და ნაწილობრივ დიალექტილოგიიდან ნასესხებია (დეშერიევი 1977: 334-338). სწორედ ამიტომ ამ მეთოდებს შევიცერი ლინგვისტური და სოციოლოგიური პროცედურების სინთეზს უწოდებდა. მეცნიერი მათ ყოფდა საგელე კვლევებისა დ ენობრივი მასალის სოციოლინგვისტური ანალიზის მეთოდებად. საველე კვლევის მეთოდებში აერთიანებდა ანკეტირებას, ინტერვიუებს, უშუალო დაკვირვებას (შვეიცერი 1977გ: 181-184).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესი იყო ის თავისებურებანი, რომლითაც მეცნიერი განასხვავებს სოციოლინგვისტური კვლევისას გამოსაყენებელ მეთოდებს სხვათაგან: „კითხვარები, რომლებიც გამოიყენება ანკეტირების დროს არსებითად განსხვავდება სიციოლოგიური ანკეტებისაგან კითხვების რაოდენობითა და ხასიათით. ასევე გამოკითხვის სტრატეგიით, რომელიც განსაზღვრავს მის ამოცანას – მიიღოს ინფორმატორის მეტყველების შესახებ ცნობები. დიდი ურადღება ეთმობა პროგრამის შედგენასა და ინტერვიუს ტექნიკის შემუშავებას. სარწმუნო ცნობების მისაღებად იმის შესახებ, თუ ინფორმატორის მეტყველებაზე რა გავლენას ახდენს სიტუაციური პარამეტრები, გულდასმით აკონტროლებენ ენობრივ სიტუაციას, ახდენენ ბუნებრივი ძალდაუტანებელი მეტყველების სტიმულირებას. ინფორმატორის სამეტყველო ქმედებაზე დაკვირვება ხდება იმგვარად, რომ გამოირიცხოს ან მინიმუმადე დავიდეს დამკვირვებლის გავლენა სამეტყველო ქმედებაზე“ (შვეიცერი 1977გ: 182). მეორე და მესამე ჯგუფში სჭარბობს მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები.

შვეიცერის ზემოთმოყვანილი შეხედულება გახდა ჩვენთვის ამოსავალი, როდესაც თვითონ დავიწყეთ საკვლევი მეთოდების შერჩევა. ინფორმაციის შეგროვების ეტაპზე უფრო ხშირად მივმართავდით დაკვირვებასა და სხვადასხვა

სახის გამოკითხვებს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ კვლევის მიმდინარეობისას თვითონ ვცხოვრობდით ჯავახეთში და ვითვლებოდით იმ საზოგადოების ნაწილად, რომლის სამეტყველო ქმედებები ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ხელი მიგვიწვდებოდა სხვადასხვა წერილობით მასალაზე (სტუდენტების დაწერილ რეფერატებზე, საჯარო მოხელეთა შექმნილ დოკუმენტაციაზე, ექიმების გამოწერილ რეცეპტებზე და ა. შ.) ხშირად ხდებოდა, რომ წერილობითი მასალის ანალიზისას მიგდიოდით გარკვეულ პიპოტებამდე, შემდგომ დაკვირვებით ან სპეციალური კითხვარებით ვამოწმებდით მის სისწორეს. ჩვენი სტატუსი – ქართული ენის მასწავლებელი - საშუალებას გვაძლევდა, ჩაგვეწერა ინტერვიუები ისე, რომ ინტერვიუერის სამეტყველო ქცევაზე გავლენა არ მოგვეხდინა. ინტერვიუს ჩაწერა შეგვეძლო აპარატურითაც და ხელითაც, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უკანასკნელი ბევრად მოსახერხებელი იყო და ნაკლებ დაძაბულობას იწვევდა. განსაკუთრებით ეფექტური გახლდათ ის იშვიათი ენობრივი ერთეულების დასაფიქსირებლად (სიტყვები, სინტაქსური კონსტრუქციები).

მნიშვნელოვანი იყო დიქტოფონზე ჩაწერილი მასალაც, რომელიც სხადახსხვა თემაზე აგებულ დიალოგებში გაბმულ ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვების საშუალებას გვაძლევდა. ჩვენ ამას ვიყენებდით დიადაც და ფარულადაც.

ხშირად მივმართავდით ანკეტირებასა და ტესტირებასაც. ვითვალისწინებდით სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს და სხვადასხვა ენობრივი კოლექტივისთვის სხვადასხვა სირთულის ანკეტებს ვიყენებდით. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ მასალა ყოფილიყო სანდო და ობიექტური, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ სუბიექტურობის მომენტსაც.

### 3. ინდივიდისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთმიმართების საკითხი

ბილინგვიზმი ჯავახეთის ენობრივი სიტუაციისთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენაა.

ზემოთ განხილული სხვადასხვა თვალსაზრისის გათვალისწინებით ჩვენთვის საინტერესო ენობრივ არეალში ტერმინ „ორენოვნების“ ქაშ გვულისხმობთ მხოლოდ კოლექტიურ ორენოვნებას. ე. ი. შემოვიფარგლებით იმ შემთხვევებით, როდესაც ერთ ენობრივ კოლექტივში (და არა მხოლოდ მის

ცალკეულ წევრებში) გამოიყენება და არსებობს ორი განსხვავებული ენობრივი სისტემა, ორი განსხვავებული ლექსიკონი.

ასეთი ორენოვნების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით შერეული სოფლების როგორც ქართულ-სომხური (იგულისხმება ქართველების მიერ სომხური ენის ფლობა), ასევე სომხურ-ქართული (სომები მოსახლეობა ფლობს ქართულს) ბილინგვიზმის შემთხვევები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამგვარი სოფლების მოსახლეობის 83% ორენოვანია (ზოგიერთ შემთხვევაში სამენოვანიც). სოფლებში ენობრივი ერთობა ემთხვევა ეთნიკურ ჯგუფებს. იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალურ ორენოვნებას არ განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ ენობრივი კოლექტივების დონეზე რუსულ-ქართული და რუსულ-სომხური ორენოვნების შემთხვევები არ დასტურდება.

ენობრივი კონტაქტების პროცესის სხვადასხვაგვარ განვითარებას თუ რა ზომით განსაზღვრავენ სხვადასხვა ენების მატარებლის ურთიერთობის სოციალურ-ისტორიული პირობები, ირკვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ცნობიერდება ორგანული კავშირი ორენოვნების სოციალურ სიტუაციებსა და ორენოვანი მატარებლის ენობრივ ქცევებს შორის. ორენოვანი მატარებლის ენობრივი ქცევის შესწავლა არ უნდა შემოისაზღვროს ყოველთვის ერთი ადამიანით.

ჯავახეთში მჭიდრო გეოგრაფიულ სიახლოვეს ცხოვრობენ ეთნიკურად ქართველი, სომები და რუსი ადამიანები, რომლებიც განსხვავდებიან რელიგიური და კულტურული თვალსაზრისით. ისინი ურთიერთზემოქმედებენ და თავისუფლად ურთიერთობენ ერთმანეთთან საზოგადოებრივ ადგილებში.

ისინი ემორჩილებიან ერთსა და იმავე ხელისუფლებას და ხშირად სწავლობენ ერთსა და იმავე სკოლაში. თუმცა ხშირი და რეგულარული ურთიერთგავლენა მათ შორის უმნიშვნელოვანებისა და კულტურულ განსხვავებებს ვერ შლის. თითოეული ჯგუფი ძველებურად ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ ტრადიციებს, დირებულებებს, მისწრაფებებს, რომლებიც ვლინდება სხვადასხვაგვარ თავისებურებებში.

სახლი, ოჯახი და ახლობლების გარემო ძველებურად რჩება ცალკეული ადამიანის ცხოვრებში ყველაზე მნიშვნელოვნად. ურთიერთობები, კავშირები, ქორწინებით შექნილი და მეგობრული დამოკიდებულებები იშვიათად არღვევს ამ ჩაკუტილ სისტემას.

ეოველდღიური ცხოვრება იქ მცხოვრებ ადამიანს უეჭველად ახვედრებს უცხო ადამიანებს, მაგრამ საზოგადოებაში მისი ქცევა მკაცრად გამიჯნულია იმ ახლო, ნათესაური კაგშირებისაგან, რომლებიც მას აქვს თავის ახლობელთან, ხოლო უფრო ფართოდ თავის კლანთან.

თითოეულ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად პქონდეს ურთიერთობა სხვა წრის ადამიანებთან. სკოლასა თუ საზოგადოებაში ბაძავდეს კიდეც მას, მაგრამ შინ სულ სხვა გარემო ელის. ეს გარემო სთხოვს მას შინ გამეფებულ ნორმებსა და ქცევის წესებს დაუბრუნდეს.

ასე რომ, საზოგადოებრივი და კერძო სისტემების დაყოფა იწვევს ინდივიდის გარკვეულ იზოლაციას და გარედან სიახლეების შეღწევას ხელს უშლის.

კერძო, პირადი ცხოვრების სფეროში ამგვარი წარმომავლობის ჯგუფების არსებობას თან სდევს გარკვეული კოლექტივის ხელში ამა თუ იმ სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მობილიზება. მაგ., საბითუმო და საცალო ვაჭრობა სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად დახურულ ჯგუფებშია განფენილი და ჯავახეთში ამით სომეხი მოსახლეობაა დაკავებული.

სხვა ჯგუფები ადმინისტრაციულ თუ სამართლებრივ მოხელეებს წარმოადგენენ. მოხელეთა, ანუ სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანების (საჯარო მოხელეთა) კოლექტივი ეთნიკური თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. ბილინგვიზმიც, თავისი საქმიანობის გამო, ყველაზე მეტად სწორედ ამ ჯგუფს ახასიათებს.

სხვადასხვა საზოგადოებრივ ფუნქციებს, რომელსაც ესა თუ ის პირი ასრულებს, განსაზღვრავს იმ საზოგადოებრივი ქცევების რიცხვს, რომლებსაც უნდა ფლობდეს იგი.

გ. პალიდეი მიიჩნევს, რომ ადამიანთა ურთიერთზემოქმედება საზოგადოებაში მნიშვნელოვანწილად ხასიათდება იმით, რასაც ეთნოგრაფები „სპეციფიკურ ფუნქციას“ უწოდებენ (role specificity) – ყოველდღიური საქმიანობის წრე სხვადასხვა სფეროებად იყოფა. ისინი ხშირად ითხოვენ სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაპირისპირო ქცევებსაც კი. „ამ ტიპის სოციალური სტრუქტურა მით უმეტეს გამოხატული მრავალენოვანი საზოგადოების პირობებში, ისწრაფვის არსებული ენობრივი და დიალექტური სხვაობები იმაზე მეტად შეინარჩუნონ, ვიდრე ეს დასავლეთის რომელიმე ქვეყანაშია“ (პალიდეი 1978: 191).

მსოფლიოში ჩვენ შეგვიძლია შევხვდეთ ემიგრანტთა ჯგუფებს, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ინახავენ თავის ენას. მაშინაც კი, როცა ის მრავალრიცხოვანია.

ენობრივი კოდების კონკრეტული რიცხვი და მათი ერთობლიობა (რაოდენობა), რომელიც მოცემულ კოლექტივში გამოიყენება, ასევე მათი გენეტიკური ფესვები, ჯავახეთისთვის დამახასიათებელი ისტორიული შემთხვევითობით განისაზღვრება, მაგალითად, თურქული ენის იქ დადასტურებული ნაირსახეობა ან სომხური ენის ნაირსახეობა, რომელსაც პირობითად „ბოშათა მეტყველება“ შეიძლება ეწოდოს.

ისინი ისტორიული პირობების გამო დასტურდება ჯავახეთში, მაგრამ რადგან დამკვიდრდნენ, ზემოთ მოყვანილი ორივე ენობრივი კოდი იწყებს იმ მთლიანი ჯგუფის ქცევასთან ასოცირებას, რომელიც რეგულარულად იყენებს მას. შემდეგ ეს კოდი თვითონ ამ ჯგუფის სიმბოლოდ იქცევა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ჯგუფი ეთნიკურად ერთგვაროვანია.

ენის ერთი ან რამდენიმე ოფიციალური სტილი შეიძლება გამოიყენებოდეს ჯგუფის იმ წევრების მიმართ, რომლებიც თავისი საქმიანობის პარალელურად გარშემომყოფ ჯგუფებთან კონტაქტში ყოველდიურად შედიან. აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანი უნდა ფლობდეს კოდებს იმდენად, რამდენადაც ის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში მონაწილეობს. ენობრივი კოდები, ბუნებრივია, ამ ასპექტებთანაა დაკავშირებული.

როგორც ქართველი, სომები, ისე რუსი მოსახლეობა ფლობს ენათა იმ ნაირსახეობებს, რომელიც მათ სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება. აქვე, შენიშვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ორენოვანი კოლექტივი ფუნდამენტურად განსხვავდება ელიტარული საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის ინდივიდუალური ორენოვნების ან მეტენოვნებისაგან, რომელიც, საერთო ჯამში ერთენოვანია.

#### 4. ერთენოვანი და მრავალენოვანი კოლექტივის ურთიერთობის საკითხი.

წინა თავში ჩვენ ვისაუბრეთ ინდივიდისა და ენობრივი ერთობის დამოკიდებულებაზე. ამჯერდ გვინდა შევეხოთ ორი კოლექტივის ურთიერთობას, რომელთაგან ერთი მრავალენოვანია, მეორე კი არა.

მრავალენოვან კოლექტივებში თავისი, საკუთარი ნორმების ჩამოყალიბების ტენდენცია შეინიშნება. ისინი ხშირად ძალიან განსხვავდებიან იმ ნორმებისაგან, რომლებიც ერთენოვან კოლექტივს ახასიათებს.

ჯერ კიდევ პოლივანოვმა გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ერთი და იგივე ინდივიდი შეიძლება რამდენიმე ისეთი ენობრივი კოლექტივის წევრი იყოს, რომელთაგან თითოეული თავის სააკუთარ ენას მოიხმარს. პოლივანოვს ამ დროს მხედველობაში მეტყველების ლოკალური და სოციალური თავისებურებები ჰქონდა (პოლივანოვი 1968: 180).

ანალოგიური იდეა გამოთქვა გ. სტეპანოვმა. მან აღნიშნა, რომ მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილი შეიძლება რამდენიმე სოციალური ჯგუფის წევრი გახდეს და ურთიერთობა ჰქონდეს რამდენიმე ენობრივ სისტემასთან (სტეპანოვი 1976ა: 25).

ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ სიტუაციაში მოცემული ენის რომელიმე ვარიანტული ფორმის მატარებელი, მაგალითად, დიალექტისა, თავისუფლად შეიძლება სხვა ფორმაზე გადავიდეს, მაგალითად ხალხურ-სასუბრო კოინეზე ან სალიტერატურო ენაზე.

დღეს ჯავახეთში სომები ეროვნების ზოგიერთ ადამიანს შეუძლია რუსულად ისევე თავისუფლად ისაუბროს, როგორც მშობლიურ ენაზე. მას რუსულად წერა, კითხვა და ლექციების ჩატარება ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეუძლია. მაგრამ თუ ის რუსულად რუსეთში საუბრობს, მისი მეტყველება იზიარებს ჯავახეთის სხვა ენობრივი კოდების თავისებურებებს. იმ ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის დროს ამ თავისებურებებთან რუსულს დათმობა უწევს. ასე რომ, „ჯავახური რუსული“ იმ ნორმებისაგან, რომლებიც, ვთქვათ, რუსეთის დასავლეთ ნაწილშია მიღებული, მნიშვნელოვნად გადახრილია.

გადახრის ეს ტიპი სულაც არ ნიშნავს რუსული ენის სუსტ ან ცუდ ცოდნას, არამედ წარმოადგენს იმ სოციალური მოვლენების ბუნებრივ შედეგს, რომელიც არის იმ გარემოში, სადაც ხდება რუსულის ფუნქციონირება. ამ შემთხვევაში გარემო ჯავახეთია.

სოციალური პირობები, არსებული ჯავახეთის მრავალენოვან საზოგადოებაში, ყოფისადმი სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებულ ტენდენციებს იწვევს. ენობრივი კოდების ხშირი ჩანაცვლების აუცილებლობა, რომელიც მონაწილეობა უდიდესი ნაწილისთვის არის დამახასიათებელი,

მოქმედებს კოდებს შორის სხვაობათა შემცირების მიმართულებით. ენობრივი დაახლოება განსაკუთრებით იმ სიტუაციაში შეიმჩნევა, სადაც ჯგუფებს შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა.

გარემოსაგან ნაკარნახევი იყო ჯავახეთში რეგიონული უმრავლესობის მიერ ბერძენი ლტოლვილების მცირე ჯგუფის მიმართ განხორციელებული ასიმილაციური პროცესები, რომლებმაც შეცვალა ამ უკანასკნელთა მახასიათებლები. ბერძენთა ჯგუფი 1830 წელს თურქეთიდან საქართველოში შემოვიდა და დასახლდა ახალქალაქთან, სადაც ცხოვრობდნენ ასევე თურქეთიდან ლტოლვილი სომხები. ამ რეგიონში დაახლოებით 50 ბერძენი ოჯახი გასომხდა (ლომსაძე 1975გ: 337). ეს არის ასიმილაციის საინტერესო შემთხვევა, რომელსაც „ფარული ასიმილაციას“ უწოდებენ: უმცირესობის ერთი ჯგუფი უმცირესობის მეორე უგუფის მიმართ უმრავლესობის როლში აღმოჩნდება და ახდენს მის ასიმილაციას (კობაიძე 2008დ: 13).

ჯავახეთშივე, სადაც ქართველები დემოგრაფიული თვალსაზრისით უმცირესობას წარმოადგენენ, მათ შეიძინეს უმცირესობისათვის დამახასითებელი ნიშნები (ლორთქიფანიძე 1994: 100-103). ზოგ შემთხვევაში მოხდა მათი ასიმილაციაც: ბერძენების მიერ სამცხეში, სოფელ ციხისჯვარში XIX საუკუნეში (ლომსაძე 1975დ: 337) და სომხების მიერ სამ სოფელში ახალქალაქის გარშემო, სადაც ქართველები გადმოვიდნენ თურქეთის ქართული სოფლიდან მე-19 საუკუნეში (ლომსაძე 1975დ: 363-364).

მატარებლის ენობრივი ქცევის შესწავლა არ უნდა შემოისაზღვროს ყოველთვის ერთი ადამიანით. როდესაც ადამიანთა ჯგუფების დონეზე ენებს შორის კონტაქტი მიმდინარეობს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ჯგუფები მრავალრიცხვანია, ინდივიდის დონეზე ქცევის ინდივიდუალური თავისებურებები ქრება და მათ სანაცვლოდ ჩნდება სოციალური გარემოთი განპირობებული ენობრივი პროცესები. ისინი მთლიანობაში ამ ჯგუფის მახასიათებელი ხდება.

ბევრი ფაქტორი, რომელიც ჯავახეთის ორენოვან სიტუაციაში ამა თუ იმ ენას ანიჭებს უპირატესობას და მას მნიშვნელოვან სტატუსს უნარჩუნებს (ურთიერთობისას მისი განსაკუთრებული როლი, სოციალური განვითარების სფეროში მნიშვნელობა და ა. შ.), იქ მცხოვრებ ადამიანებს გარემოსაგან ეხვევა თავს. ამიტომ მოცემულ სიტუაციაში ენობრივი მატარებლებისთვის ენებს შორის ურთიერთმიმართებები ხშირად ერთი და იგივე აღმოჩნდება.

მიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ენები შეისწავლება, ასაკი, როდესაც ისინი შეითვისება, ნაკარნახევია არა თვით ენობრივი მატარებლისაგან (თუმცა არსებობს ამგვარი შემთხვევებიც, მაგრამ იშვიათად და არ ვრცელდება კოლექტივის დონეზე), არამედ გარემოსაგან. მეტიც, თვით ორენოვნების მიმართ დამოკიდებულებაც კი შეიძლება იყოს განსხვავებული: ერთ შემთხვევაში პატივისცემას იწვევდეს, მეორე შემთხვევაში არაპეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. შესაძლოა, გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფებში ერთი ენიდან მეორეზე გადართვა დასაშვები იყოს, სხვა ჯგუფებში - პირიქით.

წვენთვის საინტერესო ენობრივ არეალში ამ საკითხისადმი ცალსახად დადებითი დამოკიდებულება არსებობს. ჯავახეთის მცხოვრებნი თვლიან, რომ ურთიერთობის პროცესში ენიდან ენაზე, კოდიდან კოდზე გადართვის უნარი მეტყველებს ინდივიდის მიერ ენის ფლობის საკმაოდ მაღალ დონეზე, მის კომუნიკაბელურ ხასიათსა და საერთოდ, ხაზს უსვამს მის კულტურულ დონეს. რაც ვთქვით ინდივიდის დონეზე შეიძლება განვაზოგადოთ ენობრივ ერთობაზეც.

ჯავახეთში მცხოვრები ბილინგვი ენობრივი კოლექტივის წევრების განცხადებით, კოდების გადართვის მექანიზმი ადამიანებს შორის გაგებას განაპირობებს და სამეტყველო კომუნიკაციის გარკვეულ კომფორტს ქმნის და პირიქით, შესაბამის სიტუაციაში საკუთარი მეტყველების ვარირიების თვალსაზრისით ადამიანის უუნარობა, მხოლოდ ერთი კოდისადმი მიჯაჭვულობა ანომალიად აღიქმება და კომუნიკაციური კონფლიქტის წარმომშობიც შეიძლება გახდეს.

ორენოვანი მატარებელი ყოველთვის ცდილობს, იმ ჯგუფის წევბი დაიცვას, რომლის წევრიც არის.

ენამ შეიძლება შთააგონოს ორენოვან მატარებლებს პატრიოტიზმი. ენა, სხვა ენებთან დაპირისპირებული, ქცეული ხელშეუხებელ მოვლენად, ფასეულობათა რიგში მაღალ ადგილს იკავებს. იმ ზეწოლის საპასუხოდ, რომელიც მას ემუქრება, აამოქმედებს და ააქტიურებს ისეთ ძალებს, რომლებიც საფრთხის ქვეშ მყოფის გადარჩენისკენ არიან მიმართულნი.

## 5. სოციალურ-კომუნიკაციური სისტემა.

ვიდრე უშალოდ ორენოვნების სხვადასხვა შემთხვევების დახასიათებას შევუდგებით, უნდა განვიხილოთ ისეთი უმნიშვნელოვანების საკითხი, რომელიც

პირდაპირ კავშირშია მასთან. საკითხი ჯავახეთში არსებულ სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემას ეხება.

ენათმეცნიერთა მიერ ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა მათ საშუალება მისცა, თეორიულად გაეანალიზებინათ განვითარებული ნაციონალური ენების არაერთგვაროვნებისა და მათი შინაგანი ფენების არსებობის საკითხი. დადგინდა, რომ ეს ენები შედგებიან არსებობის დიფერენცირებული ფორმების გარკვეული ერთობლიობისაგან, რომლებიც იმავდროულად ეგზისტენციალურ ფორმებად იწოდებიან, ან ენობრივ ვარიანტებად. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი და იმავე ენის ნაირსახეობას სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ: ერთი ავტორები მას ეგზისტენციალურ ფორმებს უწოდებენ, ან ენის არსებობის ფორმებს, მეორენი ვარიანტებს, ვარიანტულ ფორმებს, ან ქვესისტემებს, ქვეენებსაც კი. ყველა ეს ტერმინი გარკვეული დონეზე შესაბამისია თავისი აღსანიშნის, მაგრამ უპირატესობას ვერც ერთს ვერ მივანიჭებთ. ჩვენ მათ როგორც სინონიმებს ისე გამოვიყენებთ.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე იმ კომპონენტთა რიცხვს, რომლებიც შედიან ჯავახეთში არსებული ეროვნული ენების შემადგენლობაში, განეკუთვნებიან მათი ლიტერატურული ფორმები, ტერიტორიული დიალექტები, ქალაქური კოინკ, სოციალური ჯარგონი, არგო. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, თვითონ სალიტერატურო ენა, რომელიც ჩამოთვლილი ნაირსახეობებიდან ერთ-ერთია, არაერთგვაროვანია. ის სხვადასხვა ფორმით ვლინდება: არსებობს მსატვრული, საკანცელარიო ანუ საქმიანი, სამეცნიერო, რელიგიური და ასე შემდეგ. თუ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში დავაკვირდებით, არა ენების, არამედ მათი ნაირსახეობების არსებობას, დავასკვნით, რომ ქმნიან რა საერთოეროვნული ენის ფარგლებში მთლიანობას, მითითებული ნაირსახეობები თუ ქვესისტემები ნაწილდებიან ფუნქციონირების სფეროების მიხედვით, ემსახურებიან ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებს, არც თუ იშვიათად თანაარსებობენ ერთსა და იმავე კოლექტივის ფარგლებში. ისევე როგორც ნებისმიერი სისტემის ელემენტები, ნაციონალური ენის ეს კომპონენტებიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან, გააჩნიათ ორგანიზების კანონზომიერებები.

ეროვნული ენის ქვესისტემებად დაშლას „ენის მდგომარეობასაც“ უწოდებენ. გ. სტეპანოვის აზრით, კომპონენტები, რომლებიც ქმნიან ენის მდგომარეობას,

სამ რიგად ლაგდებიან. პირველია ფუნქციური სტილი, რომელშიც შედის ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, მხატვრული და ა. შ. მეორე – არსებობის ფორმები, იგულისხმება დიალექტი, საერთო სახალხო ენა, ნაციონალური ენა, და ა. შ. მესამე კი რეალიზაციის ფორმებია – ზეპირი, წერილობითი (სტეპანოვი 1976ბ: 30).

სოციალურ-კომუნიკაციური სისტემა ზოგადად იმ კოდებისა თუ სუბკოდების ერთობლიობაა, რომელიც მოცემულ ენობრივ ერთიანობაში გამოიყენება და ერთმანეთთან ფუნქციური დამატების მდგომარეობაში იმყოფება. ფუნქციური დამატება კი ნიშნავს, რომ თითოეული კოდი თუ სუბკოდი, რომელიც ქმნის სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემას, ასრულებს თავის ფუნქციას ისე, რომ არ ავთს სხვა, მეორე კოდისა თუ სუბკოდის ფუნქციას. ამით ისინი გარკვეულად ავსებენ ერთმანეთს.

ერთგვარი შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციური დამოკიდებულება ჯავახეთში არსებული სოციალურ-კომუნიკაციური სისტემის კომპონენტებს შორის იქ მოქმედი ენობრივი ერთიანობის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე ქმნის ჯავახეთის ენობრივ სიტუაციას. ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის აღწერამდე მოკლედ შევხებით „ენობრივი სიტუაციის“ ცნების გაგებას.

მეცნიერები მეტ-ნაკლები განსხვავებების მიუხედავად „ენობრივი სიტუაციის“ ცნების განმარტებისას ძირითად საკითხებში ერთსულოვანნი არიან.

ენობრივი სიტუაცია სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. ენობრივი სიტუაცია ბევრ მკვლევარს ესმის როგორც ერთობლიობა ენებისა, რომლებიც ჩართულნი არიან კომუნიკაციის პროცესში მოცემულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გაერთიანებაში.

ვ. ბარნეტის განსაზღვრებით ენობრივი სიტუაცია გულისხმობს ეროვნული ენის სხვადასხვა ფორმის ფუნქციონირებას მოცემულ ნაციონალურ საზოგადოებაში (ბარნეტი 1988: 188).

ა. დ. შვეიცერი ენობრივ სიტუაციას განსაზღვრავდა, როგორც „სოციალურ-ფუნქციური განაწილებისა და სოციალურ-კომუნიკაციური სისტემების და ქვესისტემების იერარქიის მოდელს, რომლებიც თანაარსებობს და ურთიერთზემოქმედებს მოცემული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გაერთიანებისა და კულტურული არეალის ფარგლებში ამა თუ იმ პერიოდში“ (შვეიცერი 1977დ: 133-134; იხილეთ ასევე ნიკოლსკი 1976ბ: 79-80).

თუმანიანის თვალსაზრისით, შესაძლებელია ამ ფორმულირების რამდენადმე გამარტივება. ენობრივი სიტუაციის ქვეშ ის მოიაზრებს ერთი ან რამდენიმე ენის ყველა ეგზისტენციურ ფორმის ერთობლიობას, რომელიც სრულად ემსახურება გარკვეულ საზოგადოებას ისეთი მოცემული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და ტერიტორიული გაერთიანების ფარგლებში, როგორიც არის სახელმწიფო და ურთიერთდამატებითი ფუნქციით ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან (თუმანიანი 1981გ: 74).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუმანიანის აზრით, ენობრივი სიტუაციის შემადგენელ კომპონენტებად გვივლინება ბილინგვიზმი და დიგლოსია. ეს კი თვალნათლივ მოწმობს, რომ უმრავლეს შემთხვევებში საზოგადოებაში მოიხმარება რამდენიმე ენობრივი ერთეული, რომლებიც ერთმანეთს ფუნქციურად უკავშირდება.

ტ. სიხარულიძის აზრით, იგი გულისხმობს სახელმწიფოში წარმოდგენილი ენის (ენების) და მონათესავე და არამონათესავე ენობრივი ერთეულების ფუნქციონირებასა და ურთიერთობას (სიხარულიძე 2008: 84).

ჩვენ ყველაზე უფრო ზუსტ განმარტებად ამერიკელი მეცნიერის ჩარლზ ფერგიუსონის ნააზრევი მივიჩნიეთ: „ენობრივი სიტუაცია“ მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციას აღნიშნავს. იგი მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა – რამდენი და რომელი ენები გამოიყენება მოცემულ არეალში. რამდენი ადამიანი, რა ვითარებაში ლაპარაკობს ამ ენებზე. რა დამოკიდებულები აქვთ მოცემული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ“ (ფერგიუსონი 1959გ: 157)

განმარტებიდან კარგად ჩანს, რომ ენობრივი სიტუაცია საკმაოდ კომპლექსური ხასიათის მოვლენაა. ის ერთი ენის სხვადასხვა ფორმათა, სტილთა, ხშირად სხვადასხვა ენათა ერთობლიობას გულისხმობს გარკვეული ტერიტორიულ-სოციალურ-გეოგრაფიული, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური წარმონაქმნების ფარგლებში.

„ენობრივი სიტუაცია“ გულისხმობს ჩვეულებრივ დიდ ენობრივ ერთიანობებს – ქვეყნებს, რესპუბლიკებს, რეგიონებს, დიდ რაიონებს.

ჯავახეთში არსებული სოციალურ-კომუნიკაციური სისტემა ძირითად კომპონენტებად მოიცავს ქართულ, სომხურ და რუსულ ენებს. (მათ გვერდით გვხვდება თურქული ენის სახესხვაობა, ასევე „ბოშათა მეტყველება“).

ჯავახეთში ქართულენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი სკოლები ფუნქციონირებენ. უმაღლესი განათლების ენას კი წარმოადგენს ქართული და სომხური. პრიორიტეტი ამ უკანასკნელს ენიჭება (დღეს ერთადერთი ქართულენოვანი უმაღლესი სკოლა—კოლეჯი არსებობს, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმების შედეგად თსუ ჯავახეთის ფილიალის ბაზაზე შეიქმა). რაც შეეხება ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო სფეროს, ენის არჩევა დამოკიდებულია მოსაუბრის უნარზე, ადრესატის ტიპზე, საურთიერთო სიტუაციის ხასიათზე და ა.შ.

სოციალურ-კომუნიკაციური სისტემის კომპონენტები მეტ-ნაკლებად სტაბილურია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი უცვლელია. ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობა (რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ასე ნიშანდობლივია საქართველოსთვის) – სახელმწიფო წყობის შეცვლა, ეკონომიკური გარდაქმნები, სოციალური და ნაციონალური პილიტიკის ახალი ორიენტირები და ა. შ. – ყველაფერი ეს გარკვეულ გავლენას ახდენს სოციალურ-კომუნიკაციური სისტემის მდგომარეობაზე, მის შემადგენლობაზე, მისი კომპონენტების ფუნქციებზე.

არსებობს ამგვარი ცვლილების უამრავი მაგალითი. ისეთი, რომელთაც გარკვეული ანალოგიაც კი მოეძებნებათ საქართველოში განვითარებულ პროცესებთან. მსგავსება განსაკუთრებით თვალშისაცემია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან.

უკრაინაში სოციალურ-კომუნიკაციური სისტემა მთავარ კომპონენტებად მოიცავს უკრაინულსა და რუსულ ენებს (მათ გარდა არის ბელორუსული, ბულგარული, უნგრული, ჩეხური და ზოგიერთი სხვა). ამ ორ ენას შორის შეინიშნებოდა გარკვეული წონასწორობა.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე არსებობდნენ როგორც უკრაინულენოვანი, ასევე რუსულენოვანი სკოლები. მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროში განსაზღვრული დოზით ორივე ენა მოქმედებდა (საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებები უპირატესად რუსულს იყენებდნენ), ყოველდღიურ ყოფაში ენის არჩევა მოსაუბრის ინტერესებზე იყო დამოკიდებული. 1990-იანი წლებიდან რუსული ენის ფუნქცია უკრაინაში იზღუდება, ის შეავიწროვა უკრაინულმა საშუალო და უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კულტურის სფეროში (დირექტი 2001გ: 17).

ნათელია, რომ ჯავახეთში ქართული ენის სხვა ენებთან უფლებრივი და ფუნქციური გათანაბრება ხორციელდებოდა არა ქართული ენის ფუნქციების აშ-კარა შეზღუდვით, არამედ სხვა ენებისა (პირველ რიგში რუსულის, შემდეგ სომხურის) და ქართულისთვის თანაბარი ფუნქციების მინიჭების გზით. ეს იყო საშუალება იმისათვის, რომ შეჯიბრის მდგომარეობაში ჩაეყენებინა არა ქართული ენა სხვა ენების მიმართ, არამედ ქართული (ყველა სხვა ენასთან ერთად) რუსულის მიმართ. ეს მიზანი არც არასოდეს ყოფილა დაფარული. ამრიგად, ჩამოყალიბდა ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში მოქმედ ენათა გარკვეული იერარქია.

1990-იანი წლებიდან რუსული ენის ფუნქციები იცვლება ჯავახეთშიც. მცირდება რუსული ენის გამოყენების სფეროები (განსაკუთრებით ზოგიერთი ენობრივი კოლექტივის დონეზე) ან, რაც კიდევ უფრო ხშირი და მნიშვნელოვანია, რუსული თავის პრიორიტეტულ სფეროებს (იგულისხმება ადრე ამა თუ იმ სფეროში მხოლოდ ის რომ მოქმედებდა) უკვე უნაწილებს ბილინგვიზმის სხვა კომპონენტებსაც. მართალია, ის ისევ მყარ კომპონენტად რჩება, მაგრამ სანაცვლოდ სხვა ენები იძენენ მოხმარების ახალ სფეროებს.

ეს ცვლილებები საქართველოში მიმდინარე ზოგად პროცესებს უკავშირდება. ისინი გარკვეულწილად დღემდე გრძელდება და ნელ-ნელა ცვლიან ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის იერსახეს მაშინ, როდესაც სოციალურ-კომუნიკაციური სისტემის შემადგენლობა ჯერ კიდევ უცვლელი რჩება.

## 6. ენობრივი ერთობა.

ენობრივი კოლექტივი ანუ ენობრივი ერთობა ადამიანთა ჯგუფია, რომელთაც აერთიანებთ საერთო სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები. ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთმანეთსა და სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებს ეკონტაქტებიან ერთ ან რამდენიმე ენაზე.

ენობრივ ერთობად შეიძლება განვიხილოთ ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც რაოდენობრივად სხვადასხვა შეიძლება იყოს - დაწყებული, მთელი ქვეყნის მოსახლეობიდან, დამთავრებული ე.წ. პატარა სოციალური ჯგუფებით (მაგალითად ოჯახი, სპორტული გუნდი): გამოყოფის კრიტერიუმი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს სოციალური ცხოვრების ერთიანობა და რეგულარული კომუნიკაციური კონტაქტები (გამყრელი გ. 2003: 427).

ისეთი ენობრივი ერთობის ფარგლებში, როგორიცაა კოლექტივი ქარხნის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საშუალო სკოლის, უფრო ხშირია ერთ ენაზე ურთიერთობები. თუმცა მცირე ენობრივ ერთობებში, მაგალითად ოჯახში, სადაც უშუალოდ მიმდინარეობს კომუნიკაცია, გამოიყენება არა ერთი, არამედ ორი ენა.

დღეს ჯავახეთის ტერიტორიაზე ენობრივი მრავალფეროვნება არათანაბრად არის განაწილებული. ის უფრო მკვეთრად არის გამოსახული რაიონულ ცენტრებში (ქ. ახალქალაქი, ქ. ნინოწმინდა) ამ ცენტრებთან ახლოს მდებარე სოფლებში მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის თვალსაზრისით შერეულ სოფლებში (სოფ., ხოსპიო, დილისკა..) აქ სოფლის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით დიდია ორენოვნების პროცენტული მაჩვენებელი.

რაც შეეხება სახელმწიფო საზღვართან ახლოს მდებარე სოფლებს, ისინი ამ თვალსაზრისით შედარებით ერთფეროვანია.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯავახეთის ტერიტორიაზე ენობრივი ერთფეროვნება ძირითადად გამოიხატება ერთენოვნებით, მრავალფეროვნება კი ორენოვნებით.

რაც შეეხება ქართულ-რუსულ ან სომხურ-რუსულ ორენოვნებას, რამდენიმე შემთხვევა უნდა განვიხილოთ:

**ა. ეთნიკური ჯგუფების დონეზე** (ეთნიკურად ქართველი, სომები, რუსი მოსახლეობის ენობრივი ერთობები). ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ ეთნიკურად ერთგვაროვან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გაერთიანებებს, ვთქვათ, კონკრეტული ერთი სოფლის მოსახლეობას.

**ბ. სოციალური ჯგუფების დონეზე** (სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანების, იგივე საჯარო მოხელეების, სტუდენტების, ბიზნესით დაკავებული ადამიანების - მცირე მეწარმეების, სოფლის მეურნეობით დასაქმებული მოსახლეობის, პენსიონერების ენობრივი კოლექტივები). აქ ჩვენი კვლევის ობიექტი იყო როგორც ეთნიკურად ჰომოგენური ერთობა, ისე ეთნიკურად არაერთგვაროვანი ჯგუფებიც.

**გ. ასაკობრივი ჯგუფების დონეზე** (სასკოლო ასაკის, საშუალო და უფროსი ასაკის მოქალაქეთა ჯგუფები). განვიხილოთ ისინი ცალკ-ცალკა.

**ა. ეთნიკური ჯგუფები:** ორენოვან ენობრივ კოლექტივებს, რომლებიც ეთნიკური ნიშნით განსხვავდებიან, ძირითადად ნინოჭმინდისა და ახალქალაქის რაიონების სოფლების მოსახლეობა ქმნის. ორენოვნება დასტურდება ე.წ. შერეულ სოფლებში, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ქართველი, სომები და რუსი ეროვნების ადამიანები. ასევე იმ სოფლებში, რომლებიც მხოლოდ ქართული ან სომხურია, მაგრამ ტერიტორიულად ერთმანეთის მეზობლად მდებარეობს.

გამოვყოფთ ეთნიკურად ქართველთა ბილინგვურ ენობრივ ერთობას (ქართულ-სომხური ბილინგვიზმი), ეთნიკურად სომებთა ორენოვან კოლექტივს (სომხურ-ქართული და სომხურ-რუსული ბილინგვიზმი).

რაოდენობრივი თვალსაზრისით ეთნიკურად ერთგვაროვანი ბილინგვი ენობრივი კოლექტივები ყველაზე მრავალრიცხოვანია. მათი საქმიანობის სფერო ძირითადად სოფლის მეურნეობაა (ამ თვალსაზრისით სხვადასხვაენოვანი ენობრივი კოლექტივები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან). ამგვარ ენობრივ ერთობებზე დაკვირვებისას ყურადღება გავამახვილეთ რამდენიმე საკითხზე. პირველი ის მიმდევრობაა, რომლის მიხედვითაც კოლექტივის წევრები შეისწავლიან ენებს.

ენათა მიმ- დევ- რობა	ქართველთა ეთნიკ. ჯგუფი	სომებთა ეთნიკური ჯგუფი	
	ქართ.-სომხური ბილინგვიზმი	სომხ.-ქართული ბილინგვიზმი	სომხ.-რუსული ბილინგვიზმი
1	ქართული	სომხური	სომხური
2	სომხური (თურქული)	ქართული (თურქული)	რუსული (თურქული)
3	რუსული (ნაკლებად)		ქართული (ნაკლებად)

ქართველთა ეთნიკურ ჯგუფში დასტურდება ქართულ-სომხურ ბილინგვიზმი, როგორც ძირითადი, ანუ ბილინგვი კოლექტივისთვის განმსაზღვრელი. რადგან ჯავახეთში სომები მოსახლეობის რაოდენობრივი სიჭარბე სომხურენოვან ენობრივ გარემოს ქმნის, ქართველი მოსახლეობა ყოველდღიური კომუნიკაციის პირობებში ბუნებრივად ეუფლება სომხურ ენას. (რომ არაფერი ვთქვათ ადგილობრივ ქართველებზე, ჩამოსახლებული აჭარელი მოსახლეობა გარემოს წყალობით ძალიან მოკლე დროში გადის ენის ათვისების სხვადასხვა ფაზას და იწყებს მის გამოყენებას). იქვე შევნიშნავთ, რომ ქართველთა ბილინგვურ ენობრივ კოლექტივში შეიძლება დადასტურდეს თურქული და რუსული ენების გამოყენების შემთხვევებიც. მაგ., სოფელ ხოსპიოში თურქული ენას თავისი გამოყენების სფერო აქვს, მართალია, ის ვიწრო და საერთო ენობრივი სიტუაციისთვის ნაკლებად არსებითია, მაგრამ ამ ენის ფუნქციას გარდავულად განაპირობებს.

თურქულ ენას დღეს უმეტესად უფროსი ასაკის ადამიანები იყენებენ, აუცილებლად ძალიან ახლო ნათესავთა წრეში. ამ ენაზე საუბრით ახლობლობას თითქოს კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს. საუბრობენ იმ საკითხებზე, რომელიც „საიდუმლოა“ და სხვათაგან დასაფარავი (კომენტარი რამე მოვლენაზე თუ ადამიანის საქციელზე, მითითება ოჯახის წევრისთვის, საყვედური ან შენიშვნა, საკუთარი ფარული განწყობის გამოხატვა).

რუსულის იშვიათად გამოიყენება. მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანები გასხვავებულ კომუნიკაციურ გარემოში ხვდებიან (მოსაუბრემ არც ქართული იცის და არც სომხური), ან როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ უწევთ გასვლა. ქართულ მოსახლეობაში ასეთი ნაწილი მცირეა, ამიტომ ქართულ-რუსულ ბილინგვიზმს ეთნიკურად ქართველი ენობრივი კოლექტივის დონეზე ვერ განვაზოგადებთ. თურქულ ენასთან მიმართებით იგივე ითქმის ეთნიკურად სომებთა ენობრივ კოლექტივზე, მაგრამ განსხვავებული ვითარებაა რუსული ენის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედების გამო (ფაქტორებზე ქვემოთ ვისაუბრებთ), რომელიც ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაზე ახდენს გავლენას, სომები მოსახლეობის უმეტესობა რუსულ ენას აქტიურად იყენებს, ამიტომ სომხურ-რუსული ბილინგვიზმი საკმაოდ მყარია. სომხურ-ქართული ორენოვნების ძირითადი გამსაზღვრელი კი ისეთი აუცილებელი პირობების არსებობაა,

როგორიცაა ქართველებთან ერთ სოფელში ან ქართულ სოფელთან ტერიტორიული სიახლოეს.

როგორც ქართველთა, ისე სომებთა (ქართველებთან მეტად) ბილინგვურ ენობრივ კოლექტივში არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთსა და იმავე კომუნიკაციურ სიტუაციაში ურთიერთობებს წარმართავს როგორც ქართულად, ასევე რუსულად და სომხურად.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ასეთ ჯგუფს ძირითადად შერეული ოჯახების წარმომადგენლები ქმნიან. როგორიც არ უნდა იყოს ენობრივი გარემო, დედის ენას ადამიანები ბავშვობიდანვე უუფლებიან. ჩვენ ცალკე ამგვარ სამენოვან ენობრივ ერთობას არ გამოვყოფთ. მიგვაჩნია, რომ ის ქვეჯგუფია როგორც ქართულ-სომხური, ისე სომხურ-რუსული ბილინგვური ენობრივი კოლექტივებისა.

მეორე საკითხი, რომელზეც ეთნიკურად ერთგვაროვანი ენობრივი კოლექტივების დაკვირვებისას გავამახვილეთ ყურადღება, არის ასაკი, როდესაც კოლექტივის წევრები ენებს შეისწავლიან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თვალსაზრისით ერთფეროვნება შეინიშნება. ენობრივი ერთობის წევრთა უმრავლესობისთვის მეორე ენის ათვისების დრო ბავშვობის ხანაა. გამონაკლისს ქმნიან ისინი, ვინც ზრდასრულ ასაკში მოხვდა ჯავახეთში (ქართველები სომხურის ათვისებისას) და ვინც საქმიანობიდან გამომდინარე შეისწავლა მეორე ენა (სომხები რუსულის ათვისებისას).

შემდეგი საკითხი ენობრივი სისტემის იმ ნაირსახეობებს ეხება, რომელთა გამოყენებაც ეთნიკურად ერთგვაროვან ბილინგვურ ენობრივ კოლექტივში ხდება. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ ენობრივ კოლექტივს ძირითადად სოფლის მოსახლეობა ქმნის, მხოლოდ სამ ენობრივ ნაირსახეობას მოვიყვანო - სალიტერატურო ენა, რომელიც მასმედიის საშუალებით ვრცელდება და განათლების ენაა, დიალექტს, რომელიც ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის ძირითადი ენობრივი ნაირსახეობაა და ყოველდღიურ სასაუბრო ენას, რომელიც განსაკუთრებით მეორე ენის გამოყენების შემთხვევაში აქტიურდება.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ფრჩხილებში მოვათავსეთ ენები, რომელთა მოხმარება არ არის დამახასიათებელი ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისთვის, მაგრამ რომელიმე ქვეჯგუფს ახასიათებს, ვთქვათ ისეთს, რომელიც ასაკობრივი ნიშნით გამოირჩევა. პროფესიულ ნაირსახეობას, უარგონსა და არგოს ამ შემთხვევაში არ შევეხებით.

ენობრივი ნაირსახეობები	ქართ. ბილინ. კოდ. ქართულ-სომხური	სომებთა ბილინგვური კოლექტივი	
		სომხ.-ქართული	სომხ-რუსული
სალიტერატურო	ქართული (ნაწილ. რუსული მოსმენა, წაკითხვა)	სომხური (მოსმენა, წაკითხვა)	სომხური, რუსული (მოსმენა. წაკითხვა)
დიალექტი	ქართული, სომხური, (თურქული)	სომხური, (თურქული)	სომხური, (თურქული)
ყოველდღიური სასაუბრო	სომხური, (თურქული, რუსული)	ქართული, (რუსული, თურქული)	სომხური, რუსული, (თურქული)

საგულისხმოა ერთი საკითხიც, გამოკითხულ ქართველთაგან ყველამ მშობლიურ ენად დასახელა ქართული, მათ შორის ეთნიკურად შერეული ოჯახების წვერებმაც. სომხური დასახელა სომებთა აბსოლუტურმა უმრავლესობამაც. (გამოკითხულთა რაოდენობა თითოეულ ეთნიკურ ჯგუფში 100-ს შეადგენს).

**ბ. სოციალური ჯგუფები.** დავაკვირდით რამდენიმე სოციალურ ჯგუფს: სახელმწიფო სამსახურში მყოფ ადამიანებს, იგივე საჯარო მოხელეებს (ექიმები, ქალაქის გამგეობის თანამშრომლები), ქალაქში მცხოვრებ პენსიონერებს, სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალში. დაკვირვების ობიექტად საგანგებოდ ავირჩიეთ მეოთხეურსელი სტუდენტები, ისინი, რომელთაც ქართულის შესწავლა მხოლოდ ოთხი წლის წინ დაიწყეს და უნივერსიტეტს უკვე ამთავრებენ.

თავისი სოციალური დანიშნულების გამო ზემოხამოთვლილი ენობრივი კოლექტივები ბილინგვიზმისაკენ მეტად მიღრეკილნი აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით პირველი და მესამე ჯგუფი. შევნიშნავთ, რომ არც ერთი ენობრივი ერთობა ეთნიკური თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ ყოფილა.

მედიცინის მუშაკთა ენობრივ ჯგუფში და სტუდენტებში გამოიკვეთა ბილინგვიზმის რამდენიმე შემთხვევა – ქართულ-სომხური, სომხურ-რუსული.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალრიცხოვანი სამენოვანი, ქართულ-რუსულ-სომხური, ჯგუფები სწორედ ამ სოციალურ ჯგუფებში შეგვხვდა.

ენების შესწავლის მიმდევრობის თვალსაზრისით შემდეგი ვითარება გამოიკვეთა. (შენიშვნა: ფრჩხილებს გარეთ მოთავსებული რიცხვი მიუთითებს ენობრივი კოლექტივის წევრთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელ მიმდევრობას, ხოლო ფრჩხილებს შიგნით - უმცირესობისთვის. რიცხვები მიუთითებენ ენათა შესწავლის მიმდევრობას).

ენები	ქართულ-სომხური			სომხურ-რუსული			ქართ.-რუსულ-სომხ		
	მედი კოსი	სტუდ ენტი	პენსი ონერი	მედი კოსი	სტუდ ენტი	პენსი ონერი	მედი კოსი	სტუდ ენტი	პენსი ონერი
ქართ.	1	1	1	-	-	-	2(1,3)	2(1,3)	2 (1)
რუს.	-	-	-	2 (1)	2	2	2 (1)	2 (1)	2(1)
სომ.	2	2	2	1	1	1	1 (2)	1 (2)	1 (2)

საგულისხმოა, რომ მედიკოსთა ენობრივ ჯგუფში ეთნიკურად სომეხი ჯგუფის წევრების 23 %-მა მშობლიურ ენად დაასახელა რუსული, სომხურს მეორე ენად მიიჩნევს. ძირითადი განმსაზღვრელი მათვების საშუალო განათლების ენა გახდა. ქართულისადმი მათ ინტერესს კი სახელმწიფო ენის სტატუსი განაპირობებს (სახელმწიფო ენაზე საქმის წარმოების აუცილებლობა, პროფესიული კვალიფიკაციის ამ ენაზე ამაღლების შესაძლებლობა, პროფესიული ატესტაციების წარმატების გავლის სურვილი).

ამავე ჯგუფის წევრთა 34 %-ს რუსულენოვანი განათლება აქვს (უმრავლესობას საქართველოს გარეთ, მხოლოდ 3%-ს საქართველოში). არაქართველ სტუდენტთა 82 % მშობლიურ ენად სომხურს მიიჩნევს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ ენაზე აქვთ მიღებული განათლება. დარჩენილი 18 %-ისთვის განმსაზღვრელი ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ენა გახდა. მნიშვნელოვნად იმოქმედა განათლების ფაქტორმაც.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ადრინდელი მონაცემები რეგიონის მოსახლეობის მაგალითზე, მაგრამ საინტერესოდ გვეჩვენება მშობლიური ენისადმი დამოკიდებულების საჩვენებლად შემდეგი მონაცემები:

ქვემოთ ვიმოწმებთ ცხრილს, რომელიც აჩვენებს ცვლილების დინამიკას:

### თბილისში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის დედა ენა

დედა ენა	1922	1989
რუსული	6,8%	18,8%
ქართული	29,57%	10,15%
სომხური	63,26%	70,9%

(სტატისტიკური . . . 1927- 1991]

კონკრეტულად ამ ჯგუფის დონეზე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ოჯახებში ძირითადად, სომხურად და რუსულად საუბრობენ. ურთიერთობაშიც დიდია რუსული ენის მნიშვნელობა – მას მეზობლებთან ურთიერთობაში მეორე ენად ასახელებს გამოკითხულების 64%. ნელ-ნელა აქტიურდება ქართულიც - მეორე ენად მას რესპონდენტების 17% უთითებს.

საინტერესო ენობრივი სისტემების ნაირსახეობათა მიმართების საკითხი ზემოჩამოთვლილი სოციალური ჯგუფების მაგალითზე. ჯგუფის ქართველი წევრები ძირითადად სამენოვნები არიან. ისინი იზიარებენ იმ თავისებურებებს, რომელიც ეთნიკურად ერთგვაროვანი ჯგუფის დონეზე გამოვლინდა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ არაქართველი წევრების მონაცემებს წარმოვადგენთ. ენების ნაირსახეობათა მითითებული თანმიმდევრობა შეესაბამება მათი გამოყენების სიხშირეს.

ენობრივი ნაირსახეობები	მედიკოსები	სტუდენტები	პენსიონერები
სალიტერაცურო	რუს. სომ.	სომ. ქართ. რუს.	რუს. (სომ)
დიალექტი	სომ. (ქართ.)	სომ. (ქართ.)	სომ. (ქართ.)

სომ. რუს. (ქართ.)	სომ. ქართ. რუს	სომ. რუს.(ქართ)	
ყოველდღიური	რუს. ქართ. სომ	ქართ. (რუს)	სომ. რუს.

(შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული ენა წარმოდგენილი ორენოვნების (სამენოვნების) მერყევი კომპონენტია. ფრჩხილებს გარეთ მოცემული ენები თავისი შესაბამისი ნაირსახეობებით კი მყარი კომპონენტები).

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, ქართული ენა ყველაზე მყარი კომპონენტია იმ ორენოვნებისა (სამენოვნებისა), რომელიც სტუდენტთა ენობრივი ერთობისათვის არის დამახასიათებელი. ბუნებრივია, ამას თავისი მიზეზები აქვს.

მათთვის ქართული უმაღლესი განათლების ენაა, რაც ნიშნავს, რომ

1. სხვა არაქართული ენობრივი კოლექტივებისაგან განსხვავებით სალიტერატურო ენას მოიხმარენ.

2. ქართულ ენას უკავშირდება ამ ენობრივი კოლექტივის წევრთათვის (ზოგადად ყველა ადამიანისათვის) უმნიშვნელოვანების პროფესიული საქმიანობა.

3. ის, რომ ენობრივი ერთობის წევრთა უმრავლესობამ შესაძლოა ქართულის ჯავახეთში დადასტურებული დიალექტური ნაირსახეობა არ იცის, ხელს ვერ შეუშლის მათ, საჭიროების შემთხვევაში კომუნიკაციურ სიტუაციაში მშობლიური ენიდან ქართულზე გადაერთონ ე.ი. გადაწყვეტონ კომუნიკაციური ამოცანა.

4. ის ფაქტი, რომ ამ ენაზე შეიძინეს პროფესიული ცოდნა, მიუთითებს მის საქმაოდ კარგად ფლობაზე. რაც კიდევ ერთი სტიმულია იმისა, რომ არაქართველი ბილინგვი ადამიანი დაბრკოლების გარეშე გადაერთოს მისთვის მშობლიური ენობრივი კოდიდან ქართულზე.

ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით ჯავახეთში რუსული და სომხური არხები ინფორმაციის მიღების, დაახლოებით თანაბრად მნიშვნელოვანი წყაროებია (რუსული არხები - 78%, სომხური არხები - 74%). ქართველთათვის გმატება ქართული. რუსულ და სომხურ ენებზე მიღებული ინფორმაციის ხვედრითი წილი თითქმის ერთმანეთის ტოლია. რესპონდენტებს ინფორმაციის მიღება იმავე ენებზე ურჩევნიათ, რომლებზეც ისინი მას რეალურად იღებენ კიდევ.

გამოკითხულები ყველაზე ხშირად გასართობ და მუსიკალურ გადაცემებს უყურებენ. დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სომხურ ენაზე მომზადებული გადაცემები. გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 29% სისტემატურად ან პერიოდულად უყურებს ამ გადაცემებს. მათ საერთოდ არ უყურებს 71%.

მონაცემების თანახმად, გამოკითხულები საკმაოდ აქტიურად ეცნობიან პრესას. განსაკუთრებით აქტიურობენ მედიკოსები და პენსიონერები. 50 გამოკითხულიდან გაზირებს მხოლოდ 26 არ კითხულობს. იმავე რაოდენობის გამოკითხული სტუდენტებიდან ასეთი 39 რესპონდენტი აღმოჩნდა.

გაზირის კითხვის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ რესპონდენტებისთვის ხელმისაწვდომ ენებზე იძებნება.

თუ ჩვენ მონაცემებს დავალაგებთ ენების მიხედვით, ქართველთა გამოკითხვის შედეგები იქნება შემდეგი:

#### **ინფორმაციას იღებს**

ქართულ ენაზე – 78%

რუსულ ენაზე – 17%

სომხურ ენაზე – 5%

სომებთა გამოკითხვის შედეგები კი ასეთია:

#### **ინფორმაციას იღებს**

სომხურ ენაზე – 45%

რუსულ ენაზე – 49%

ქართულ ენაზე – 6%

ოდნავ განსხვავებულია დამოკიდებულება სხვა სახის ინფორმაციის (ვთქვათ, სამეცნიერო ან პროფესიული) მიმართ. სტუდენტებისა და მედიკოსების გამოკითხვებით, უმრვლესობა ამ ტიპის ინფორმაციას რუსულ ენაზე იღებს, ხოლო აბსოლუტურ უმრავლესობას ურჩევნია, შეეძლოს ქართულ ენაზე ინფორმირება.

ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით ყოველდღიურ სასაუბრო ენას სამივე ჯგუფის ორენოვანი მატარებლები იყენებენ. მიუხედავად ამისა, ქართული მათი ბილინგვიზმის მერყევი კომპონენტია. ის ხშირად თმობს რუსულთან. როგორც ჩანს, ყოველდღიური ურთიერთობების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, ბილინგვიზმის შემადგენელი კომპონენტი ენების მყარ

მდგომარეობას ამ ენებზე სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ამოცანების გადაწყვეტა განსაზღვრავს.

ვფიქრობთ, ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის ფუნქციებთან და მისი გამოყენების სფეროებთან. ჩვენ მათ ქვემოთ შევეხებით. აქ შევნიშნავთ, რომ სტუდენტთა ჯგუფზე დაკვირვებამ ნათლად დაგვანახა განათლების, როგორც ენის გამოყენების ერთ-ერთი სფეროს, დიდი მნიშვნელობა.

**გ. ასაკობრივი ჯგუფები.** ასაკობრივი თვალსაზრისით სამ ჯგუფს გამოვყოფთ. პირველ ჯგუფში სკოლის მოსწავლეები შედიან. დასტურდება ადრეულ ასაკში, ბავშვობაში ჩამოყალიბებული ორენოვნება. მეორე ჯგუფში პირობითად საშუალო ასაკის ადამიანები, მესამეში კი უფროსი ასაკის ორენოვანი მატარებლები. ცხრილში მოყვანილი ციფრები თითოეული ასაკობრივი ჯგუფიდან 50 გამოკითხული წევრის მონაცემებს ეყრდნობა. სოციალური ჯგუფების დონეზე გამოყოფილი ორენოვანი კოლექტივების მსგავსად არც ასაკობრივი ენობრივი ერთობებია ეთნიკურად ერთგვაროვანი, თუმცა, ვეცადეთ, ეთნიკური თვალსაზრისით თანაფარდობა შეგვენარჩუნებინა (50/50%) (მონაცემები ქალაქის მცხოვრებთა გამოკითხვას ეყრდნობა).

ასაკობრივი ჯგუფები	ეთნიკურად ქართველი		ეთნიკურად სომები	
	ქართ.-სომხ. ორენოვ.	ქართ.-რუს. ორენოვ.	სომხ.-ქართ. ორენოვ.	სომხ.-რუს. ორენოვ.
სასკოლო 11-17 წელი	42	14	8	26
საშუალო 18-50 წლამდე	47	40	15	48
უფროსი 50 წლიდან	44	38	9	45

როგორც ცხრილიდან ჩანს, სხვა ჯგუფებთან შედარებით ორენოვნება საშუალო ასაკის ადამიანებისთვის ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი. პირველ ასკობრივ ჯგუფში კი რამდენიმე ტენდენცია იკვეთება:

ქართველი ბავშვები აქტიურად იყენებენ სომხურ ენას, მათთან ბილინგვიზმის ხარისხი მაღალია, სომები ბავშვები ქართულ ენაზე კომუნიკაციას ვერ ახერხებენ. ამ ჯგუფში ბილინგვი წევრების არსებობას ისეთი ფაქტორები განაპირობებს, როგორიცაა შერეული ოჯახი, ქართველი ნათესავები და ა.შ.

დავაკვირდით ერთ კანონზომიერებასაც – თუ ბავშვს რვა წლამდე კარგად ესმის მეორე ენა და ფლობს მას, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მისი ბილინგვიზმი მყარია და ხშირად ამ ასაკამდე შესწავლილ ენებს შორის ვერ აკეთებენ არჩევანს, როდესაც მშობლიური ენის დასახელების საკითხი დგება. შესამჩნევია, რომ 11 წლის ასაკიდან საგრძნობლად იზრდება ენათა გამოყენების სფეროები. ამის მიზეზად მივიჩნევთ იმას, რომ სწორედ ამ ასაკიდან ფართოვდება მათი ინტერესების სფეროც.

სომები ბავშვები ენის გამოყენების სხვადასხვა სფეროში ქართველებზე მეტად მოიხმარენ რუსულს, თუმცა იმაზე ნაკლებად, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები. მიზეზი ჯავახეთში რუსული ენის ფუნქციის შესუსტებასა და არაკონკურენტული გამოყენების სფეროების შემცირებაში უნდა ვეძებოთ. გამოკითხულთაგან გოგონები მეტად მომართულნი არიან მეორე ენაზე კომუნიკაციისაკენ, ვიდრე ბიჭები. მიმართება ამგვარია: 28 % გოგონები, 23% ბიჭები. ეს განსხვავება სტატისტიკურად უმნიშვნელოა.

უმეტესობა იმ სომები ბავშვებისა, რომლებიც სომხურ-რუსული ბილინგვები არიან, რუსულ ენაზე მამას უფრო ხშირად ელაპარაკება, ვიდრე დედას: ბავშვების 38,5%-მა განაცხადა, რომ რუსულად ძირითადად მამას ელაპარაკება, 24%-მა - დედას. დანარჩენები მშობლებთან რუსულად არ ლაპარაკობენ. მათთვის რუსული თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან და ზოგჯერ სხვა ნათესავებთან სასაუბრო ენაა.

კითხვაზე რა ენაზე (ენებზე) საუბრობთ ოჯახს გარეთ, გაცემული პასუხებიდან აშკარა ხდება, რომ სომები ბილინგვი ბავშვებიდან სომხურს, იყენებს რესპონდენტთა 97%, რუსულს - 7%, ქართულს - 3%.

ქართველებიდან ურთიერთობებში ქართულს -18%; რუსულს - 3%, ხოლო სომხურს - 48%. ჩვენ იქვე დაგსვით კითხვა: რა ენაზე გსურთ, რომ ისაუბროთ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან? საკმაოდ საინტერესო იყო შედეგი – გამოკითხულ ქართველთა 41-42% ფიქრობს, რომ პირველ რიგში, ეს ქართული ენა უნდა იყოს და შემდეგ სხვა ენები. სომხებიდან სასურველ

პირველ ენად გამოკითხულების 33%-მა – სომხური, 19%-მა - რუსული, 34 %-მა ქართული დაასახელა. პასუხებში შეთავაზებული ვარიანტი - მათვის მისაღებ ნებისმიერ ენაზე - რესპონდენტების მხოლოდ 14%-მა პროცენტმა მიუთითა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქალაქ ახალქალაქისა და ნინოვმინდის სომხური და რუსული სკოლის მოსწავლეების უმრავლესობა არაქართულენოვან სკოლაში სწავლას და ენის არცოდნას საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრკოლებად არ მიიჩნევს. 50 რესპონდენტიდან 28-ს ქართულის არცოდნა არანაირ პრობლემას არ უქმნის. ქართულის არცოდნა შედარებით პრობლემატურია მაშინ, როდესაც ისინი საკუთარი დასახლების, რაიონის გარეთ გადიან. როგორც აღმოჩნდა, 28 მიიჩნევს, რომ პრობლემას არ უქმნის, 12-ის აზრით, რეგიონის გარეთ ექმნება პრობლემა, ხოლო 10 ფიქრობს, რომ ქართულის არცოდნა პრობლემების შემქმნელია.

რეგიონში გამოკითხული არაქართველი მოსწავლები აქტიურად ფიქრობენ სწავლის გაგრძელების პერსპექტივებზე როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლის გაგრძელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ გეგმავენ (ძირითადად, სომხეთსა და რუსეთში), ყველაზე ხშირად ორ მიზეზზე მიუთითებენ: ქართული ენის არცოდნის გამო ეროვნულ გამოცდებს ვერ ჩააბარებენ და იქ, სადაც სწავლას გააგრძელებენ, ახლობლები პყავთ და მათი დახმარების იმედი აქვთ.

ცხრილში წარმოვადგენთ დაკვირვების შედეგებს, რომლის მიზანი იყო ახლობელთა წრეში მეორე ენის გამოყენების გარკვევა. პირველ ცხრილში სომები ეროვნების ბილინგვი ბავშვების მონაცემებია, მეორეში ქართველი.

ეს მონაცემები თვალითივ აჩვენებენ, რომ რუსულ ენას მეორე საუკუნის ბოლოსათვის ისევ ძლიერი პოზიციები ჰქონდა საქართველოს არაქართველ მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსული კოლონიური რეჟიმი წარსულს ჩაბარდა, ქართულ-რუსული და სომხურ-რუსული ენობრივი კონტაქტების პრობლემა მაინც ძალიან აქტუალური დარჩა.

## ცხრილი 1

ვლაპარაკობ	ქართულად	რუსულად
დედასთან	+	+
მამასთან	-	+
პაპა-ბებიასთან	-	+
თანატოლებთან სკოლ.	-	+
ქართველ თანატოლებ.	+ (-)	-
სხვა ნათესავებთან	+ (-)	+ (-)

## ცხრილი 2

ვლაპარაკობ	სომხურად	რუსულად
დედასთან	+	-
მამასთან	-	-
პაპა-ბებიასთან	+	-
თანატოლებთან სკოლ.	+	-
ქართველ თანატოლებ.	+ (-)	-
სხვა ნათესავებთან	+ (-)	-

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მომავალი განვითარების თვალსაზრისით ქართულს და ინგლისურს აშკარად უძლევა უპირატესობა რუსულთან და სხვა ენებთან შედარებით. რუსულ და სომხურ სკოლებში გამოკითხულთაგან შეკითხვაზე რომელი ენის ცოდნის გაუმჯობესებას ისურვებდა, პასუხები ასე განაწილდა: ქართული (48), ინგლისური (46), სომხური (18), რუსული (18), გერმანული (9), ფრანგული (3), ბერძნული (5).

ეს ციფრები, ერთი მხრივ, გამოხატავენ ქართულისა და ინგლისურის მართ მზარდ ინტერესს და, მეორე მხრივ, იმაზეც მეტყველებენ, რომ სწორედ ეს ენები იციან ბავშვებმა ყველაზე ცუდად და აქვთ მათი ცოდნის გაუმჯობესების სურვილი. თვით ეს სურვილი ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს და შეიძლება საიმედო მომავლის საფუძვლადაც კი

გადაიქცეს, თუკი ამ სურვილს მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და ეპონო-მიკური ცხოვრების მოწესრიგებაც გაამყარებს.

დღევანდელ რეალობაში მხოლოდ ეპონომიკურად და პოლიტიკურად წარ-მატებული საზოგადოების ენას აქვს განსხვავებული დედა ენის და ეროვნული ვინაობის მქონე მოსახლეობისათვის მეორე ენად ფუნქციონირების რეალური პო-ტენცია. თვითონ მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის კარგად ცოდნის სურვი-ლი რამდენიმე მიზეზით იხსნება: ძირითადია ის, რომ ამ ენის დაუფლებასთან ერთად დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობას მაჩვენებელი იზრდება, ამა-ვე დროს, უჩნდებათ ინგლისურენოვან ქვეყნაბჭი სამუშაოდ წასვლის შენსიც; ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების სურვილი კი მათი თქმით, საქართველო-ში სიტუაციის შეცვლის გამო უჩნდებათ. რაც შეეხება სომხურს, ბერძნულს და სხვა ენებს, გაუმჯობესების სურვილი ახსნილია იმით, რომ ეს ენები მშობლიურ ენებს წარმოადგენენ.

ჩვენ შეგვიძლია ჯგუფების გამოკითხვის საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ ძირითადი ტენდენციები, რომელიც შეინიშნება ჯავახეთში მცხოვრებ არაქართველთა ენობრივ კილექტივებში.

გამოკითხულების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოება ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, თუმცა გარკვეულ რაოდენობას (20%-დან 30%-მდე) სასურველად მიაჩნია, რომ საქმის წარმოება ქართულთან ერთად სომხურად ან/და რუსულადაც ხდებოდეს; იმის მიზეზად, რომ არაქართველი რესპონდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა – 40% ქართულ ენას არ ფლობს, ის სახელდება, რომ მათ არ პქონდათ საშუალება ესწავლათ ქართული, თუმცა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის გარემოებაც, რომ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ქართული ენა ნაკლებად სჭირდებათ; არაქართველები ქართული ენის არცოდნის გამო მომავალში პრობლემებს მოელიან. ძირითადად, ფიქრობენ, რომ პრობლემური იქნება დასაქმება ქართულ ორგანიზაციებში და მიუთითებენ სირთულეებზე უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისას (დიდია სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა);

ფიქრობენ, რომ ქართულის სწავლისთვის საუკეთესო გზაა მეტი ყურადღება ქართულის გაკვეთილებზე სკოლაში; ჯავახეთში ყოველ მეოთხე გამოკითხულს სამშობლოდ სომხეთი მიაჩნია, საქართვლოს კი მეორე სამშობლოდ მიიჩნევს. ამის მიუხედავად, ორივე დასახელებულ რეგიონში საკუთარ და ოჯახის

მომავალს საქართველოს მკაფიოდ უკავშირებს გამოკითხულთა დაახლოებით, თანაბარი რაოდენობა - ნახევარზე ოდნავ მეტი;

ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით - ჯავახეთში დაახლოებით თანაბრად იღებენ ინფორმაციას სომხურ და რუსულ ენებზე. რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ გადაცემებს სომხურ ენებზე, მათ გამოკითხულების 68% მათ სისტემატურად ან პერიოდულად უყურებს.

ადგილობრივი ტელევიზია პროექტის ფარგლებში მოსახლეობას სთავაზობს

საინფორმაციო გადაცემა „პურიერის“ სინქრონულ სომხურ თარგმანს.

გადაცემისადმი ინტერესი გამოკითხილთა 82 %-მა გამოთქვა, თუმცა არასათანადო დონეზე შესრულებული თარგმანის გამო მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი განაგრძობს მის ყურებას. კვლევის შედეგების თანახმად, ჯავახეთში მოსწავლეები ეცნობიან პრესას – ძირითადად კითხულობენ გაზეთ „ვრასტანს“. მიუხედავად იმისა, რომ ხელი მიუწვდებათ რეგიონულ გამოცემა „სამხრეთის კარიბჭეზე“, რომელიც ორივე ენაზე გამოდის, მას ნაკლებად ირჩევენ.

## 7. ენები და მათი ნაირსახეობანი (კოდი, სუბკოდი).

ორენვან (მრავალენოვან) სიტუაციაში სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემას ქმნიან ენები. თითოეული მათგანი იყოფა სუბკოდებად, დიალექტებად, უარგონებად, სხვადასხვა სტილებად. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ორი ნაციონალური ენის (ქართულის და სომხურის) ერთ-ერთი ფორმა - სალიტერატურო ენა. სალიტერატურო ენის სტილს ჯავახეთში გააჩნია თავისი სპეციფიკური ფუნქცია, რომელიც არა აქვს რომელიმე სხვას (მაგალითად კანცელარიის, საქმიანი ქაღალდებისა და რელიგიურ-ქადაგებითი სტილი).

ეს ორი სტილი ფუნქციურად ერთმანეთს ავსებს და სხვებთან ერთად ქმნის ერთიან სისტემას, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ჯავახეთში არსებული ენობრივი ერთიანობის გარკვეული კომუნიკაციური საჭიროება და ურთიერთობის შესაბამისი სფერო. ამ შემთხვევაში კოლექტივს, რომელიც ზემოთ მოყვანილ ენობრივ ნაორსახეობას რეგულარულად მოიხმარს, პირობითად შეიძლება ვუწოდოთ სალიტერატურო ენის მატარებელი ერთობა. ამის გარდა იქ არის დიალექტთა მატარებელი ერთობა და სხვა.

კოდი (ენები) და სუბკოდები (დიალექტი, სტილი), რომელიც ჯავახეთში სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემას ქმნის, ფუნქციურად გადანაწილებულები

არიან. ეს ნიშნავს, რომ მოსაუბრეთა ერთი და იგივე კონტიგუნტი, რომლებიც ქმნიან ენობრივ ერთობას, ფლობენ კომუნიკაციური საშუალებების კრებულს, გამოიყენებენ მათ ურთიერთობის პირობებიდან გამომდინარე. მაგალითად: კვლავ სალიტერატურო ენის სუბკოდებს თუ მივუბრუნდებით, საქმის წარმოებისას ენის მატარებელი გამოიყენებს საქმიანი ქაღალდების სტილს, მაშინ როდესაც პირადი მიმოწერისას სხვა სტილს შეარჩევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოყენების სფეროდან გამომდინარე მოსაუბრე ერთი ენობრივი საშუალებიდან მეორეზე გადაერთვება.

ზემოთქმული შეიძლება გავრცელდეს არა მხოლოდ ერთი ენის ნაირსახეობებზე, არამედ თვით ენებზეც. ზუსტად ასევე იყოფენ გამოყენების სფეროებს თვით ენებიც.

სპეციალურ ლიტერატურაში არც ისე მრავლადაა ისეთი გამოკვლევები, რომლებშიც აღწერილია მიცემულ საზოგადოებაში მოქმედი ორი ან მეტი ენის ნაირსახეობათა თანაარსებობის კანონზომიერებანი.

ლ. ნიკოლსკი „სინქრონიულ სოციოლინგვისტიკაში“ საკმაოდ ვრცელ ადგილს უთმობს ბილინგვიზმისა და ენის ვარიანტულ ფორმათა დამახასიათებელ ნიშნებს (ნიკოლსკი 1976: 96-100). ამ საკითხს ჩვენ ბილინგვიზმისა და დიგლოსიის ურთიერთმიმართებამდე მივყავართ.

## 8. ბილინგვიზმი და დიგლოსია.

თუ ტერმინებს „ბილინგვიზმი“ და „დიგლოსია“ განვიხილავთ წმინდა ფილოლოგიური თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ ისინი ერთი და იგივე. ორივე აღნიშნავს ორენოვნებას. განსხვავება ის არის რომ ერთი ლათინური წარმოშობისაა, ხოლო მეორე ბერძნული. სოციოლინგვისტიკა კი ამ ტერმინებს დიფერენცირებულ ცნებებად განიხილავს. პირველი გილისხმობს ორი არამონთესავე ენის გამოყენებას, (მაგალითად ქართული და სომხური), ხოლო მეორე - ორი მონათესავე ენის, ან ენისა და დიალექტის, ან დიალექტების გამოყენებას (მაგალითად, ქართული და მეგრული. . .) (ნიკოლსკი 1976; შვეიცერი 1977; ფერგიუსონი 1962)

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ეთნიკურად ვერთგვაროვან, ერთენოვან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გაერთიანებებშიც კი, სადაც ერთი ენა ფუნციონირებს, შეიძლება იქმნებოდეს საკმაოდ რთული ენობრივი სიტუაცია,

სადაც ენის არსებობის თითოეული ფორმა საკუთარ დამოუკიდებელ როლს ასრულებს თავის სოციუმში, და გამოიყენება ურთიერთობის საშუალებად. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხსენებული ენობრივი სიტუაცია მნიშვნელოვანწილად რთულდება, როდესაც ერთ ენასთან ერთად დასტურდება მეორე, მესამე ან მეტი ენა.

თუმანიანის აზრით, დიგლოსიად იწოდება ინდივიდის, როგორც გარკვეული ენობრივი კოლექტივის წევრის უნარი, სიტუაციიდან გამომდინარე ურთიერთობა დაამყაროს ერთი და იმავე ენის ორი ან მეტი, ნაირსახეობის საშუალებით (თუმანიანი 1981ბ: 78).

მხოლოდ დიგლოსიის არსებობის ფაქტები დამახასიათებელია ეთნიკურად ერთგვაროვანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაერთიერებისთვის. ჯავახეთში ასეთად შეიძლება დავასახელოთ რეგიონის ცენტრებიდან საკმაოდ შორეულ სოფლებში დასახლებული ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობა, რომელიც მხოლოდ სომხური ენის დიალექტურ ფორმას ფლობს, თუმცა ინდივიდის დონეზე ორენოვნებას (ძირითადად სომხურ-რუსულს) ვერც იქ გამოვრიცხავთ.

აქვე დავძენთ, რომ ერთენოვნების მიზეზად ჩვენ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით განპირობებულ ენობრივი მატარებლების ცხოვრების იზოლირებულ წესს მივიჩნევთ, რაც ურთიერთობების სიმცირით ხასიათდება. როგორც ვთქვით, ეთნიკურად ერთგვაროვანი კოლექტივების გარდა არსებობენ ეთნიკურად არაერთგვაროვანი ერთობები, რომლებშიც ძირითადი ენის გარდა ფუნქციონირებს მეორე ენაც. ვიზიარებთ რა გამპერცის აზრს, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთობათა უმრავლესობისთვის საერთო ორენოვნება ანუ მრავალენოვნება წესს უფრო წარმოადგენს, ვიდრე გამონაკლისს (გამპერცი 1975: 186).

ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში კომუნიკაციურ საშუალებად მეორე ენის ჩართვა იქ არსებულ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს. ერთი შეხედვით, მოქმედებს ერთი ენა თავისი ენობრივი ნაირსახეობებით (ვთქვათ, ქართული ენა, მისი სალიტერატურო, დიალექტური და სხვა ფორმები) და მეორე მხრივ, რომელიმე მეორე ენა (სომხური ან რუსული, ან ორივე ერთად).

ჯავახეთის ენობრივი სიტუაცია ხასიათდება იმით, რომ ენობრივი კოლექტივის გარკვეულ ნაწილს შეუძლია პირველ ენასა და მის ნაირსახეობებთან ერთად საკომუნიკაციო სიტუაციის საჭიროებიდან გამომდინარე გამოიყენოს მეორე, ათვისებული ენა. სწორედ ამ დროს იჩენს თავს ბილინგვიზმი. ორენოვნების ქვეშ ჩვენ მოვიაზრებთ ადამიანთა ჯგუფის

მხრიდან საურთიერთოდ ორზე მეტი დამოუკიდებელი ენობრივი სისტემის გამოყენებასაც (პოლილინგვიზმს).

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ერთსა და იმავე ენობრივ კილექტივში, როგორც უშუალო ურთიერთობების საშუალება, შესაძლებელია თანაარსებობდეს ერთდროულად ბილინგვიზმიცა და დიგლოსიაც. ამის მაგალითები ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში მრავლად გვხვდება.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბილინგვიზმი, როგორც სოციოლინგვისტური მოვლენა, არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა ინტერესის საგანი, შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი დიგლოსია. რაც შეეხება დიგლოსისა და ბილინგვიზმის ურთიერთმიმართების საკითხების განხილვას, ჩვენთვის ცნობილ სამეცნიერო ლიტერატურაში იშვიათად ვხვდებთ. დიგლოსისა და ბილინგვიზმის დახასიათებისას ენობრივი ვარიანტების თანაარსებობა შედარებით ვრცლადაა აღწერილი ნიკოლსკის „სინქრონიულ სოციოლინგვისტიკაში“ (ნიკოლსკი 1976), საინტერესოა ქართველ მეცნიერთა კვლევებიც (ბოლქვაძე 2007).

ეთნიკურად ერთგვაროვანი და ერთენოვანი კოლექტივების ანალიზი ჩვენს ინტერესს სცილდება. ჩვენ გვაინტერესებს ის შემთხვევები, როდესაც მეორე ენას უპირისპირდება პირველი ენის ენობრივი ნაირსახეობები, (სოციალური და ტერიტორიული დიალექტები, ლიტერატურული ფორმა და ა.შ.). ვინაიდან კონკრეტული კოლექტივის მაგალითზე მეორე ენას თვითონაც შეიძლება გააჩნდეს ეგზისტენციური ფორმები, პირველ ენას დაუპირისპირდება მეორე ენის ნაირსახეობა. ამავე დროს არ არის აუცილებელი, რომ ინდივიდი აღნიშნულ რთულ ენობრივ ვითარებაში კომუნიკაციისთვის ფლობდეს ყველა ენას და ენობრივ ვარიანტს. ზოგადად ასე ხასიათდება ენებისა და ენობრივ ნაირსახეობათა თანაარსებობა ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში.

ჩვენ ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ენობრივი კოლექტივების უმრავლესობა, რომლებიც შემოსაზღვრულია ჯავახეთში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრებით, ურთიერთობისას, იყენებს ფაქტობრივად, ერთზე მეტ ენას თუ ენობრივ ვარიანტს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალქალაქში მვხრები სომეხი ეროვნების ბილინგვი ადამიანის მეტყველებაში გარკვეულ სოციალურ-კომუნიკაციურ სფეროში საურთიერთოდ ერთმანეთს ენაცვლება რამდენიმე ენის ენობრივი ნაირსახეობა. მის გარდა განსაკუთრებით გამოვყოფთ ერთ საკითხს, რომელსაც მნიშვნელოვნად მივიჩნევთ.

ერთი ენის ნაირსახეობები არა მხოლოდ უბრალოდ მიესადაგება მეორე ენას, არამედ მის ერთ-ერთ ნაირსახეობას, რაც კანონზომიერებადაც კი შეიძლება ჩამოყალიბდეს. ჩვენ შევეცდებით, განვიხილოთ სხვადასხვა ჯგუფების მაგალითზე გამოვლენილი კანონზომიერები. ამ კანონზომიერებებს უკავშირდება ენობრივი ვრიანტების თანაარსებობის კიდევ ერთი თავისებურება.

ამა თუ იმ კოლექტივში გამოყენებული ენობრივი ქვესისტემებიდან ერთ-ერთი ფუნქციურად დომინირებს (მხოლოდ ამ ენობრივი კოლექტივის დონეზე და არა საერთოდ. (ზოგადად დომინანტი ენის საკითხს ჩვენ ზემოთ შევეხეთ). ანუ იღებს თავზე ძირითად ფუნქციურ დატვირთვას, გამოიყენება ურთიერთობების სფეროების დიდ უმრავლესობაში. დანარჩენი ვარიაციული ფორმები კი ხშირად დამხმარენი ან სიტუაციურად შეპირობებულები არიან. მაგალითისთვის ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ სოფელ ბარალეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა. მავე სოფელში მათ გვერდიგვერდ ცხოვრობენ სომხებიც.

ქართველთა ენობრივი კოლექტივი ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს ქართული ენის ჯავახურ დიალექტს, რომელიც მათვის ფუნქციურად დომინანტი ენობრივი ნაირსახეობაა, ხოლო მეზობლებთან შეხვედრისას სომხურს, უფრო ზუსტად, სომხური ენის ჯავახურ დიალექტს, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც დამხმარე ან სიტუაციურად განპირობებული ენობრივი ვარიანტი.

დიგლოსიის პირობებში მოცემული ჯგუფის წევრებს შეუძლიათ ურთიერთობის მიზნით გამოიყენონ ენის ეგზისტენციური ფორმები სხვადასხვაგვარი აქტივობითა და მისადაგებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიგლოსიის ტიპები აღწერილია ლ. ბ. ნიკოლსკის მიერ (ნიკოლსკი 1966: 103) ჩვენ მეცნიერის მიერ მოცემულ დიფერენციას მივუსადაგებთ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციას და ჯავახეთის მაგალითზე შევეცდებით, აღვწეროთ სხვადასხვა ენობრივი კოლექტივისათვის დიგლოსიის რომელი ტიპია ნიშანდობლივი.

ჩვენც ენობრივ კოლექტივში მოქმედ დომინირებულ ენას აღვნიშნავთ პატარა ლათინური ასო-ნიშნით, ხოლო მათ ვარიანტულ სახესხვაობებს რიცხვთა ინდექსებით 1 - სალიტერატურო ენა; 2 - დიალექტი; 3 - ყოველდღიური სასაუბრო ენა; 4 - პროფესიული უარგონი და არგო.

ქვემოთმოყვანილი მოდელები გამოხატავენ ერთი და იმავე ენის ქვესისტემების თანაარსებობის პრინციპებს, ქმნიან გარკვეულ ოპოზიციებს. აქვე

მივუთითებთ, რომ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში ენა, რომელსაც ქვესისტემები არ გააჩნია. (ასეთ ენას დეშერიევი მინიმალური სოცილური ფუნქციის მქონე ენებს უწოდებს. დეშერიევი 1976: 391) არ დასტურდება.

პირველია მოდელი, რომელიც სქემატურად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად: **a1 - - - a2.** ეს ჯავახეთში დაღასტურებული დიგლოსიის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, განსაკუთრებით ეთნიკურ ქართველთა ენობრივ კოლექტივში. იგი ენის სალიტერატურო ფორმისა და დიალექტის ურთიერთობას გამოსახავს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დიგლოსია არის შედეგი იმისა, რომ ადამიანები, რომლებიც ფლობენ, ქართული ენის ჯავახურ დიალექტს, ითვისებენ იმავდროულად სალიტერატურო ენას, რომლის სამეტყველო ფორმებიც არც თუ იშვიათად შეფერილია, დიალექტის, როგორც მშობლიური ენის მეორე სოციალური ვარიანტის, ადგილობრივი თავისებურებებით. ამას დიდწილად ხელს უწყობს სკოლა, ეკლესია, ქალაქში სამსახური, წიგნები, გაზეთები, რადიო და ტელევიზია. ენის სალიტერატურო ფორმას თან ახლავს ავტორიტეტული საერთონაციონალური და სოციალური როლები საზოგადოებაში.

ჯავახეთის ენობრივ სუტუაციაში სახეზეა სომხური ენის დიალექტური ფორმისა და სალიტერატურო ფორმის თანაარსებობაც. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ქართული და სომხური ენების სალიტერატურო ფორმები თანაბრად თანაარსებობენ. მათ ფუნქციურ გადანაწილებებს შორის შეიმჩნევა მსგავსებები და განსხვავებები, რომლებიც ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული.

სომები ეროვნების ადამიანები შედარებით სუსტად ფლობენ სომხურ სალიტერატურო ენას, ვიდრე ქართველები ქართული ენის სალიტერატურო ფორმას. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა თვითონ ენობრივი თავისებურებაცაა (განსხვავება დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის), ამას ხელს სომხურ მოსახლეობაში დამკვიდრებული რუსული განათლების მიღების ტენდენციაც უწყობს. მართალია, ბოლო ხანს ეს ტენდენცია თითქოს შესუსტდა და სომხური სალიტერატურო ენისადმი ინტერესი, სკოლაში მისი სწავლისა და სწავლებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ ამ ცვლილებას ჯერ რეალური შედეგები არ მოუტანია.

თვალშისაცემია ისიც, რომ სასაუბრო მეტყველების ფუნქციით ორივე ენის დიალექტი შესაბამის სალიტერატურო ფორმებთან მიმართებით ძალიან მყარად ინარჩუნებს საკუთარ პოზიციებს, რის შედეგადაც ფუნქციურ-სოციალური

სტრატიფიკაცია იძენს შემდეგი ოპოზიციის სახეს: სალიტერატურო ენა წერილობითი (მხატვრული ლიტერატურა, სასწავლო ლიტერატურა, რეგიონული გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“, რომელიც იბეჭდება როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე) და ზეპირი (განათლება, რადიო და ტელევიზია, სამსახური) ფორმებით / დიალექტი.

მეცნიერის მიერ გამოყოფილი დიგლოსიის მეორე ტიპი – **ა1 - - ა3**, ჩვენი აზრით, ჯავახეთის ენობრივ რეალობაში დასტურდება რეგიონის ცენტრალურ ქალაქებში არსებული ენობრივი კოლექტივების დონეზე.

იქ, სადაც შედარებით სუსტია დიგლოსიის პირველი ტიპი, მის ადგილას სწორედ სალიტერატურო ენა და ყოველდღიური სასაუბრო ენა ერთმანეთის მიმართ ოპოზიციურად თანაარსებობენ. ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ქალაქში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მეტყველებაში სულ უფრო მცირდება დიალექტური ფორმების გამოყენება. ასევე იმ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის მეტყველებაში, რომლებმაც აითვისეს ქართული, როგორც მეორე ენა, არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ ფორმალურ გარემოში (სკოლაში, ენის შემსწავლელ კურსებზე, საშუალება აქვთ ქართული არხების ყურებისა).

**ა1 - - ა3** ოპოზიცია დამახასიათებელია ქალაქ ახალქალაქსა და ნინოწმინდაში მცხოვრები სასკოლო და უმცროსი ასაკის ადამიანების, სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანების, იგივე საჯარო მოხელეების, სტუდენტების, ბიზნესით დაკავებული ადამიანების - მცირე მეწარმეების ენობრივი კოლექტივებისათვის.

დასკვნის სახით რომ ვთქვათ, ყველგან, სადაც სუსტდება დიალექტის მოხმარება, პირველი ტიპის დიგლოსიას ენაცვლება მეორე და ვიდებთ შემდეგ დაპირისპირებას: სალიტერატურო ენა / ქალაქური ყოველდღიური სასაუბრო ენა.

მესამე მოდელი, სადაც სალიტერატურო ენას უპირისპირდება არგო ჯავახეთში ძალიან სუსტად არის გავრცელებული. იგი შეიძლება დავაფიქსიროთ ისეთი ძალიან მცირერიცხოვანი კოლექტივის მეტყველებაში, როგორიც არის ექიმთა სოციალური ჯგუფი. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ არგოსა და უბრალო მეტყველებას შორის მკვეთრი ზღვარი არც არსებობს (ბერეგოვსკაია 1979: 9-10).

დოგლოსის მეოთხე ტიპი გულისხმობს ერთი ენის ორი დიალექტის თანაარსებობას. დღეს ჯავახეთის რამდენიმე სოფელში ცხოვრობს საქართველოს, კერძოდ აჭარის დამეწყრილი რაიონების მოსახლეობა. ისინი

ქართული ენის აჭარულ დიალექტზე მეტყველებენ. დღესდღეობით ნაკლებად, მაგრამ სამომავლოდ, გარკვეული თანაცხოვრების შემდეგ, არ არის გამორიცხული ჯავახეთში მცხოვრები აჭარლების მეტყველება გახდეს მეოთხე ტიპის დიგლოსის მაგალითი, თუმცა აჭარული, რა თქმა უნდა, დარჩება დომინანტ დიალექტად.

აქ ჩამოთვლილი ყველა ტიპი ერთ-ერთ კომპონენტად შეიცავდა სალიტერატურო ენას. პოზიციის ცალკე სქემას ქმნის დიგლოსის ის ტიპი, სადაც არა სალიტერატურო ენასთან, არამედ დიალექტთან თანაარსებობს პროფესიული ჟარგონი და არგო. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ის ენობრივი კოლექტივი, რომლებსაც ჯავახეთში „ბოშებად“ მოიხსენიებენ. ისინი სომები ეროვნების ადამიანები არიან და მათ მეტყველებას ახასიათებს სპეციფიკური გამოქმები, ფრაზები, რაც განასხვავებს ჯავახური სომხურისაგან.

ამავე ტიპის დიგლოსიად მივიჩნევთ იმ ქართველი ან/და სომები ეროვნების ადამიანების ენობრივ კოლექტივებს, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ შესაბამისად ქართულ და სომხურ ენებს, ასევე შეუძლიათ თურქული ენის ჯავახეთში დადასტურებული დიალექტის გამოყენება. ეს უკანასკნელი ცალსახად სიტუაციურად განპირობებულია (იგი ოჯახურ ენადაა ქცეული, გასაიდუმლების ენაა. მის ფუნქციებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. შევეხებით გამოყენების სფეროებსაც), ამ ენობრივი კოლექტივების დონეზე საკმაოდ ხშირად დასტურდება ოპოზიცია: დიალექტი / არგო, ანუ **ა2 - - ა4**.

ჩვენ შევხეთ დიგლოსის ტიპებს ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში მოქმედი რომელიმე ერთი ენის ფარგლებში (ცალკე ქართულის, ცალკე რუსულის). უკვე აღვნიშნეთ, რომ იქაურ ენობრივ სიტუაციას ართულებს ის, რომ დიგლოსიასთან ერთად იქ არსებულ ენობრივ კოლექტივებს ახასიათებთ ორენოვნებაც.

ამ სიტუაციის ზოგადი აღწერა შეიძლება შემდეგნაირად: **A -- B**, ან **A -- C**.

ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყველაზე ღირებული მოდელების ტიპობრივი ნიმუშების ჩამოსაყალიბებლად კ-თუმანიანის დებულებებია. პირველი მათგანი გულისხმობს იმას, რომ სამეტყველო ერთობათა უმრავლესობაში, როგორც წესი, საურთიერთოდ გამოიყენება მის ფარგლებში მოქმედი ენის (ან ენების) რამდენიმე ეგზისტენციური ფორმა, რაც იმასაც არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელი იყოს მათი ერთიერთჩანაცვლება. ამასთანავე მკვლევარი გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს კიდევ ერთ ფაქტორს (რაც, მისი აზრით, მაინცა და მაინც ხშირად არ

განიხილება ბილინგვიზმის პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლეულში); ეს არის მეორე ენის ეგზისტენციური ფორმების გათვალისწინება.

„კომპლექსური მოდელების ჩამოყალიბების მცდელობისას დადგინდა, რომ ავტოქთონური ენის ეგზისტენციური ფორმები კი არ თანაარსებობენ მეორე ენასთან მთლიანობაში, არამედ ამ ენის არსებობის გარკვეულ ფორმებთან, რადგან მავან სამეტყველო ერთობაში ეს მეორე ენაც შეიძლება წარმოადგენდეს ერთობლიობას ხსენებული ეგზისტენციური ფორმებისა, სახესხვაობებისა, ქვესისტემებისა. ამიტომაც დასადგენია ის ფორმებიც, როგორც მოცემული სოციოლინგვისტური ოპოზიციის წევრები.

კიდევ ერთი ამოსავალი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ავტოქთონური ენის ეგზისტენციურ ფორმებს შორის, ასევე მეორე ენის (თუკი ასეთიც არის) ფორმებს შორის არსებობს მიმართებები, რომლებიც შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ფუნქციურად დამატებითი. ამასთანავე ერთ-ერთი ეგზისტენციური ფორმა ჩვეულებრივ ფუნქციურად გაბატონებული ენის როლს თამაშობს, რადგანაც სწორედ მას „აწევს ზურგზე“ ძირითადი საზოგადოებრივი დატვირთვა ურთიერთობის სფეროთა უმრავლესობის მომსახურების საქმეში“ (თუმანიანი 1981გ: 72-73).

თუმანიანის მიერ განხილული მოდელების ჯავახეთის ენობრივი სიტუაციისთვის მისასადაგებლად არ გამოგვადგება ზემოთ მოყვანილი აღნიშვნები, სადაც ლათინურ ასოებს კონკრეტულ ენებს ვუსადაგებთ. აუცილებელია ავტორისეული აღნიშვნების შემოტანა.

A არის სიმბოლო ავტოქტონური ენისა; a1 - ავტოქტონური ენის სალიტერატურო ფორმა; a2 - დიალექტური ფორმა, a3 - ქალაქური კოინკ ა4 - პროფესიული ჟარგონი და არგო;

B სიმბოლო მეორე ენისა, b1 სალიტერატურო ენა, b2 დიალექტი, b3 ქალაქური კოინკ, b4 პროფესიული ჟარგონი და არგო;

C არის სიმბოლო მესამე ენისა c1 სალიტერატურო ენა c2 დიალექტი, c3 ქალაქური კოინკ, c4 პროფესიული ჟარგონი და არგო (თუმანიანი 1981დ: 80).

აგტორი გამოყოფს ექვს მოდელს. ჩვენ მათ ცალ-ცალკე განხილვას არ შევუდგებით. მე-6 მოდელს იგი საქართველის ენობრივი სიტუაციას უსადაგებს. მოდელი გილისხმობს ისეთ ენობრივ სიტუაციას, სადაც ბილინგვი მშობლიურ ენასთან ერთად ორ სხვა ენასაც იყენებს. სქემატურად იგი შემდეგნაირად გამოიყერება:

**B****a1, a2 - - -****C**

თუმანიანის აზრით, ამ ენობრივ სიტუაციაში ცხოვრობენ საქართველოში და აზერბაიჯანში მცხოვრები ინტელიგენციის სომები წარმომადგენლები. სომხურ ენასთან ერთად (რომელიც ხშირად თბილისურ კონესა და სომხური ენის თბილისური დიალექტით გამოიხატება) ისინი საურთიერთოდ იყენებენ ქართულს და, როგორც წესი, ფლობენ რუსულსაც, რომელსაც სიტუაციიდან გამომდინარე იმავე კომუნიკაციურ სიტუაციებში ხმარობენ (თუმანიანი 1981გ: 87).

ჯავახეთის ენობრივ სიტუაციისათვის ერთი მოდელის მისადაგება გაგვიჭირდება, გვიქრობთ, ცალკე უნდა განვიხილოთ, ის ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ცხოვრობენ ქართველები და ის სიტუაცია, რომელშიც ცხოვრობენ სომხები.

ქართველთა ეთნიკური ჯგუფი ჯავახეთში საურთიერთოდ იყენებს ქართული ენის ჯავახურ დიალექტს, ფლობს სალიტერატურო ენას. უმრავლესობისთვის მეორე ენა სომხურია, უფრო ზუსტად, მისი ჯავახური დიალექტი. ქართველთათვის მესამე ენა რუსულია. რაც შეეხება სომხებს, ისინი ურთიერთობენ სომხური ენის ჯავახურ დიალექტზე, სკოლაში ეუფლებიან სალიტერატურო ენას, უმრავლესობის მეორე ენაა არა ქართული, არამედ რუსული. მათი მესამე ენა ქართულია (თურქულის დიალექტური ფორმა). ასე, რომ მივიღებთ შემდეგ სურათს (ა - აღნიშნავს მოდელს ქართველებისთვის, ბ - სომხებისთვის. ეს მოდელები სხვადასხვა ჯგუფის დონეზე შეიძლება შეივსოს კიდეც, მაგრამ მცირე ენობრივი კოდექტივებისთვის) :

**b2, b3 (სომხური)**ა. **a2, a1, - - -****C (რუსული)****B (რუსული)**ბ. **a2, a1 - - -****C2, c3, (ქართული)**

იმისათვის, რომ ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის შემადგენელი სხვა ენები და მათი ნაირსახეობები ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს, აღნიშნებს მცირედ

შევცვლით და მთავრული ლათინური ასოებით კონკრეტულ ენებს აღვნიშნავთ, მათ გარიანტულ სახესხვაობებს შესაბამისი პატარა ასოებითა და ქვემოთ მოყვანილი ინდექსებით. ქართული ენა - A, სომხური ენა - B, რუსული ენა - C, თურქული ენა - D.

ენობრივი ნაირსახეობა

1 - სალიტერატურო ენა

2 - დიალექტი

3 - ყოველდღიური სასაუბრო ენა

4- პროფესიული ჟარგონი და არგო

მივიღებთ შემდეგ შესაბამისობებს:

ენები	1	2	3	4
A	a	a	a	-
B	b	b	b	b
C	c	c	c	-
D	-	d	-	d

ეს ყოველივე ჯავახეთში არსებული სიტუაციის ზოგად სურათს შეესაბამება. თუ კონკრეტული ენობრივი ერთობის დონეზე აღვწერთ, მაშინ განსხვავებულ სურათს მივიღებთ.

ქართულ-რუსული ბილინგვური ენობრივი ერთობის დონეზე დადასტურდება:  
a1, a2, a3, a4, c1, c3

ქართულ-სომხური a1, a2, a3, a4, b2, b3

სომხურ-რუსული: b1, b2, b3, b4, c1, c3

ქართულ-სომხურ-თურქული: a1, a2, a3, b2, b3, d2, d4

ბილინგვი ადამიანები, ანუ ადამიანები, ერთ ან რამდენიმე ენას ფლობენ, ჩვეულებრივ, „ანაწილებენ“ მათ გამოყენებას ჯავახეთში არსებული ურთიერთობის პირობებიდან გამომდინარე.

ოფიციალურ ვითარებაში (ჯავახეთში) ან სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობისას, ოფიციალურ შეხვედრებზე, თათბირებზე უპირატესად რუსული ენა გამოიყენება. ოჯახში, მეზობლებთან კონტაქტში ქართული ან სომხური, უკვე საურთიერთო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ერთი ენობრივი კოდიდან მეორეზე გადართვას.

კოდების თუ კოდური გადართვა ეს არის სამეტყველო ურთიერთობის დროს მოსაუბრის გადართვა ერთი ენიდან (დიალექტიდან, სტილიდან) მეორეზე კოდური გადართვა შეიძლება გამოწვეული იყოს ადრესატის შეცვლით ე. ი. მოსაუბრის შეცვლით. თუ ადრესატი ორი ენიდან, რომელიც მოსაუბრები იცის, მხოლოდ ერთს ფლობს, ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, იძულებულია, გამოიყენოს სწორედ ის, ადრესატისთვის ცნობილი ენა, თუმცა ამ დრომდე ორენოვან მატარებელთან მოსაუბრეს შეეძლო სხვა ენის ან ორივეს გამოყენება.

თანამოსაუბრისათვის ცნობილ ენობრივ კოდზე გადართვა ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ მათი შემაღვენლობაც იცვლება: თუ ორი ბილინგვის საუბარს მესამე ისეთიც შეერია, რომელმაც ყველასთვის ცნობილი სამი ენიდან მხოლოდ ერთი იცის, ურთიერთობაც სწორედ მასზე ეწყობა. თუ ამგვარ შემთხვევაში გადართვა არ მოხდა, ეს მიზანმიმართული იქნება, ვთქვათ, იმის მიზეზით, რომ არ ჩართონ კომუნიკაციურ სიტუაციაში. რაც ინდივიდის დონეზე ვთქვით, თავისუფლად შეიძლება განვავრცოთ ენობრივი ერთობის დონეზე.

ფაქტორად, რომელიც კოდების გადართვას განაპირობებს, შეიძლება იქცეს მოსაუბრის როლის ცვალებადობაც. ვთქვათ, მამის როლში ოჯახში ურთიერთობისას ან შინაურ სიტუაციაში, მეზობლის როლში შეიძლება გამოიყენებოდეს ქართული ენა (უფრო ზუსტად ქართული ენის ჯავახური დიალექტი ა2). ხოლო რეგიონულ სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას შეიძლება გადაერთოს მეტ-ნაკლებად მიღებულ ენაზე – თუ სომხური იცის, მასზე, თუ არა - რუსულზე. ასეთ შემთხვევაში თავს ასაკობრივი ფაქტორიც იჩენს. უფროსი ასაკის ადამიანები სომხურ ენას არჩევენ, საშუალო ასაკის ადამიანები რუსულს, ახალგაზრდები კვლავ სომხურს მიმართავენ.

ამგვარი გადართვა თუ არ მოხდება, ერთმანეთს ვერაფერს გააგებინებენ და კომუნიკაციური მიზანიც მიუღწეველი დარჩება. შედეგად თხოვნა, საჩივრის წაკითხვა – დაუკმაყოფილბელი, ე. ი. კომუნიკაციურ წარუმატებლობას მივიღებთ.

საყურადღებოა, რომ კოდების არჩევანზე ასევე ზემოქმედებს საურთიერთო ენა. გამოკვლევების თანახმად, რომლებიც ენობრივი არაერთგვაროვნების გარემოში საურთიერთო პირობებს ეხება, „საწარმოო“ თემების განხილვას ენობრივი ერთობების წევრები არჩევენ იმ ენაზე, რომელსაც აქვს შესაბამისი სოციოლოგიური ტერმინოლოგია, ვთქვათ, ტექნიკური პირობების, ეკონომიკური თუ იურიდიული საკითხების განხილვისას საჭირო.

როგორც კი იცვლება თემა და საუბარი საყოფაცხოვრებო საკითხებს ეხება, ერთვება სხვა ენა - მშობლიური თუ დიალექტი. ერთენოვან საზოგადოებაში ამგვარი ცვალებადობა, გადართვა ხშირია პროფესიული ენიდან საყოველთაოდ გამოყენებად ენობრივ საშუალებებზე.

თუ ჯავახეთის ფილიალის სამართალმცოდნეობის სპეციალობის სომები ეროვნების სტუდენტთა ჯგუფის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ იურიდიულ საკითხებზე მსჯელობისას ისინი იყენებდნენ ქართულს, იშვიათად გადაერთვებოდნენ რუსულზე, ზოგად პრობლემებზე რუსულ ენაზე საუბრობდნენ, ხოლო ყოველდღიურ საკითხებზე, ვთქვათ, საკუთარი დღის განრიგსა თუ სამეგობრო წრეზე, სომხურ ენაზე საუბარს არჩევდნენ.

აქვე გვინდა გავიხსენოთ ენობრივი კონტაქტების ერთი საყოველთაოდ ცნობილი თავისებურება. საზოგადოებრივი კონტაქტების წყალობით ნებისმიერ ენაში უხვადაა საერთაშორისო სიტყვები (ტერმინები, სახელწოდებები და ა. შ.). ენათა უმრავლესობა მათ გამცემი ენიდან პირდაპირ იღებს და საკუთარი ფონემატური სტრუქტურის შესაბამისად ახმოვანებს ისე, რომ პირველწყაროსთან კავშირი აშკარა რჩება. ასეთი სიტყვები გარკვეული ხიდის როლს ასრულებს ორენოვან მატარებლებს შორის.

## 9. ენათა გამოყენების სფეროები.

ერთი და იმავე საკომუნიკაციო მოთხოვნიდან გამომდინარე ორენოვანი კოლექტივი ირჩევს ენობრივ საშუალებებს და ათანხმებს მათ ერთმანეთთან. ამგვარი ენობრივი საშუალებების და მათი შეთანხმების წესების შერჩევისას დროთა განმავლობაში ფორმირდება მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის საკმაოდ მყარი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ადამიანთა საქმიანობის გარკვეული სფეროს გარკვეული ენობრივი კოდი (შეიძლება ეს იყოს დამოუკიდებელი ენა, ან ნაციონალური ენის ქვესისტემა) შეესაბამება.

ცნობილია, რომ შუასაუკუნეების ევროპაში ლათინური ენა კომუნიკაციის საშუალება იყო. გამოიყენებოდა აგრეთვე დვოისმსახურებაში, ასევე მეცნიერებაში. საქმიანობის სხვა სფეროებს ემსახურებოდნენ შესაბამისი ნაციონალური ენები და მათი ქვესისტემები. რუსეთში საკულტო საკომუნიკაციო საშუალება დიდი ხნის განმავლობაში იყო საეკლესიო სლავური ენა.

ენებისა და მისი ქვესისტემების საქმიანობის სფეროების მიხედვით გადანაწილება ყოველთვის არ არის მკაცრად ცალსახა. ერთ-ერთი ენა ან ერთ-ერთი ქვესისტემა შეიძლება მოქმედებდეს მოცემულ სფეროში, მაგრამ დასაშვებია სხვა ენებისა და მათი ქვესისტემების მოქმედებაც. ერთ-ერთ ჯავახურ სოფელში, ხოსპიტი, სადაც ცხოვრობს ოოგორც ქართველი, ისე სომები მოსახლეობა, ქართულ ენობრივ კოლექტივში სომებ მეზობელთან ურთიერთობისას უპირატესობს სომხური ენის ადგილობრივი დიალექტი, ოჯახურ წრეში – ქართული, უფროსი თაობის წარმომადგენლებთან გარკვეულ შემთხვევაში თურქული ენა. იმის დასტურად, რომ ენები ინაწილებენ სფეროებს და ხშირად დიდხანს ინარჩუნებენ კიდეც, მოვიყვანთ ბელორუსის მაგალითს.

ბელორუსში პუმანიტარული განათლების სფეროში გამოიყენება ბელორუსული ენა, იქვე შეინიშნება ახლომონათესავე რუსული ენის ელემენტებიც. წარმოების სფეროში, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მიუხედავად, უპირატესობა რუსულ ენას ენიჭება (სპეციალურ ტერმინლოგიაში, ტექნიკურ დოკუმენტაციაში, სპეციალისტებს შორის პროფესიული ურთიერთობებისას), რა თქმა უნდა, არც ბელორუსულის გამოყენება იკრძალება (დირექტი 2001)

ორენვნების სიტუაციაში გამოყენების მიხედვით ენათა არჩევის გამოსავლენად ჩვენ გამოვიყენებთ ჯერ ჯ. ფიშმანის, შემდეგ კი ჟ. რემანის მიერ ნაცად მეთოდს, კონკრეტულად კი გამოყენების კლასიფიკაციას. მეცნიერები ასხვავებენ კონკურენტულ გამოყენებას (emplois concurrentiels), როდესაც რამდენიმე ენა გამოიყენება და გამორიცხვითს (emplois exclusifs), როდესაც მხოლოდ ერთი ენა გამოიყენება, დანარჩენი ყველა ირიცხება (გრინბერგი 1972ა : 155).

იქვე გავამახვილებთ ყურადღებას გამოყენების შემდეგ ტიპებზე: ზეპირი ტიპი (usage oral) და გრაფიკული ტიპი (usage graphique) იგივე სალაპარაკო კოდი და წერილობითი კოდი. ასევე გავითვალისწინებთ მათ აქტიურსა და პასიურ ხასიათს: დიალოგის ენაა, თუ მონოლოგისა.

თურქული ენის ჯავახეთში დადასტურებული დიალექტი, როგორც ქავებით გნახავთ, მხოლოდ დიალოგში გამოიყენება. სხვა სახით ის არ გამოიყენება.

აუცილებლად მიგვაჩნია იმ ენობრივი კოლექტივის დაკონკრეტება, რომელზე დაკვირვებასაც უფუძნება ცხრილში მოყვანილი მონაცემები. ამჟამად ისინი ჯავახეთის ეთნიკურად შერეული სოფლების ორენოვან კოლექტივებში

დადასტურებული სიტუაციას შეესაბამება. ანუ ისეთ კოლექტივებში, სადაც ენობრივი ერთობა ემთხვევა ეთნიკურ ჯგუფს. ცხრილში პირველი მონაცემები შეესაბამება ენობრივ კოლექტივს, რომლის წევრების მშობლიური ენა სომხურია, მეორე კი იმ ენობრივ ერთობას, რომლის შემადგენელი წევრების მშობლიური ენა ქართულია.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ ენები გამოყენების სფეროებს ინაწილებენ. საყურადღებოა, რომ ლვოისმსახურების ენა ნებისმიერი ენობრივი კოლექტივისთვის მხოლოდ არაკონკურენტული (გამორიცხვითი) გამოყენების სფეროს განეკუთვნება.

მონაცემები ადასტურებს იმასაც, რომ რუსული ენა ჯავახეთში არსებული ბილინგვიზმის არა დომინანტი, მაგრამ საკმაოდ მყარი კომპონენტია. საინტერესოა დარჩენილ კომპონენტებს შორის მიმართებაზე დაკვირვება.

არაქართულენოვანი ენობრივი კოლექტივისთვის ქართული ენა დღეს ძირითადად ყოველდღიურ-სასაუბრო სფეროში გამოიყენება. ის თმობს ისეთ პრიორიტეტულ და ძირითად სფეროში, როგორიცაა თანამედროვე ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (სულ რამდენიმე წლის წინ გავრცელდა ჯავახეთის მთელ ტერიტორიაზე ქართული მაუწყებლობა), განათლება (ახალქალაქში ერთადერთი ქართული სკოლა და ერთადერთი ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებელი არსებობს), საქმის წარმოება. ამ სფეროებში ქართული მხოლოდ დღეს, ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს და ამაში მას სხვა ენებისგან განსხვავებული, სახელმწიფო ენის სტატუსი უწყობს ხელს. შეიძლება იყო დრო, როდესაც ამ სფეროებს დიდი მნიშვნელობა არ პქონდათ, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებისთვის თითოეული პრიორიტეტულია.

ბუნებრივია, რომ ერთი გამოყენების სფეროში მოქმედი ენები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გამოყენების სიხშირის მიხედვით. სატელევიზიო გადაცემის ნახვის, წერილის კითხვის შემთხვევითობა თანხვდება ენის ამორჩევის შემთხვევითობას. ბილინგვი ადამიანი არ გეგმავს, რომ უნდა უყუროს თანაბარი რაოდენობის ქართულ ან სომხურ ფილმს. ფილმის ნახვის საშუალებას მას შემთხვევითობა აძლევს. ენის არჩევასაც ეს განაპირობებს. რა თქმა უნდა, ამას ვერ ვიტყვით გამოყენების ყველა სფეროზე.

ჯავახეთის ბილინგვიზმის სოციალურ-კომუნიკაციური სისტემის თვისებურებებიდან გამომდინარე, მისი შემადგენელი კომპონენტი ენების

გამოყენების სფეროების გადანაწილების თვალსაზრისით შემდეგი სურათი დასტურდება:

	ენის გამოყენების სფეროები (სომებ.ეთნიკ. ჯგ.)	ენები (ქართ. ეთნიკ. ჯგ.)
1.	<b>ყოველდღიური ყოფითი სიტუაციები:</b>  (მისალმება, მილოცვა, სურ- ვილის გამოხატვა)	ს. რ. ქ. ო.  ქ. ს. რ.
2.	<b>მასობრივი ინფორმაციის საშუალებები</b>  ტელევიზია, რადიო რესპუბ. ურნალ-გაზეთი რეგიონული გაზეთი	რ. ს. ქ.  რ. ს.  ს. რ.
3.	<b>გა ნ ა თ ლ ე ბ ა</b>	ს. რ.  ქ.
4.	<b>ლეთისმსახურება</b>	ს  ქ.
5.	<b>საზოგადოებრივ-პოლიტიკურისაქმიანობა</b>  რეგიონულ სახელმწიფო სა- მსახურებთან ურთიერთობა, სიტყვით გამოსვლა	რ. ს.  ს. რ. ქ.
6.	<b>ხელოვნება, ძულტურა, მეცნიერება</b>  თეატრი, კინო, მხატვრული ლიტერატურა	რ. ს.  ქ. რ.
7.	<b>სამეურნეო საქმიანობა</b>	ს. რ.  ქ. ს. რ.
8.	<b>საქმისწარმოება, კანცელარია</b>  სავაჭრო დაწესებულებები, ბანკი, სანოტარო კანტორა რეკლამა, წარწერა, გან- ცხადება	რ.  რ.ს.  რ. ქ.  ქ. ს.
9	<b>პირადი მიმოწერა</b>	ს. რ.  ქ.

(თითოეულ გამოყენების სფეროს შეესაბამება ენები, რომლებიც სახელწოდების პირველი ასოთია წარმოდგენილი: ქართული – ქ, სომხური – ს, რუსული – რ, თურქული – თ. ენებს ვუთითებთ იმ თანმიმდევრობით, რა ინტენსივობითაც გამოიყენება, მაგ: ქ.რ.ს. მიმანიშნებელია, რომ ყველაზე ხშირად იხმარება ქართული, შემდეგ რუსული, შემდეგ სომხური).

ქართულმა ენამ შეიძინა ერთი ახალი ფუნქცია - იგი გახდა სამხედრო სამსახურის ენა და, ასევე, სწავლების ენა სამხედრო აკადემიაში. სომები ეროვნების ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, სამხედრო ვალდებულებას საქართველოს შეიარაღებული ძალებში იხდიან. დღეს მათი საერთო რაოდენობა საკმაოდ მცირე (კანონმდებლობა მათ საშუალებას აძლევს ფულადი გადასახადის ხარჯზე თავი აარიდონ სამხედრო სამსახურს), თუმცა ჩვენ მაინც მივიჩნიეთ საჭიროდ ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, რადგან ქართულ ჯარში მოხდილი სავალდებულო სამხედრო სამსახური შეიძლება იქცეს სახელმწიფო ენის შესწავლის მიზეზადაც და გარემოდაც.

ენათა გამოყენების სფეროებთან ძალიან მჭიდრო კავშირშია ენათა ფუნქციების, სტატუსისა და სხვადასხვა ფაქტორის მოქმედების საკითხები

## 10. ენათა ფუნქციები.

ორენოვნების სოციოლოგიური თვალსაზრისით ანალიზის უმნიშვნელოვანეს ასპექტად ვთვლით მრავალენოვან კოლექტივში ენათა ფუნქციის საკითხის გარკვევას. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ფუნქცია ცალსახად კონსერვატორულ ზემოქმედებას ახდენს ენობრივ ნორმებზე. ხშირად ზოგიერთი ისეთი ფუნქციის არქონა, რომელიც მას პრესტიჟს მატებს (მაგალითად, სახელმწიფო ენის როლის ან სტატუსის არქონა), ამცირებს მის ავტორიტეტს და მეტად ხდება სხვა ენათა გავლენის საგანი, ვიდრე თვითონ ზემოქმედებს რომელიმე მათგანზე.

ერთი ენიდან მეორეზე გადართვა თავითავად რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო: ის შეიძლება მოხდეს მხოლოდ ზოგიერთ საკომუნიკაციო სფეროში და სოციოლოგიური თვალსაზრისით საჭიროებს ორენოვნებისას ამა თუ იმ ენის ფუნქციათა იერარქიის გამოკვეთას. ენათმეცნიერულ ლექსიკონში ენათა ფუნქციური იერარქია შემდეგნაირადაა მოცემული:

„1. შიდაჯგუფური ურთიერთობის ვიწროლოკალური საშუალებები (საშინაო ენები).

1. ჯგუფთაშორისი ყოფითი ურთიერთობის ლოკალური საშუალებები (ეგრეთწოდებული „ბაზრის ენა“ სხვადასხვა ტომით დასახლებულ სასოფლო რეგიონებში)
2. ადმინისტრაციული (ან ეროვნული ) ენა
3. მრავალეროვანი რეგიონის ენა

ერთიანი სახელმწიფო ენა (შეიძლება იყოს “ზესახელმწიფოებრივი“ ანუ საერთაშორისო) (ლელ. 2000: 303).

თუ პირველ ორ საფეხურში შემავალი ენები ძირითადად არაფორმალური ზეპირი ურთიერთობის მიზნებს ემსახურებიან, შემდგომ საფეხურებზე მოთავსებული ენებისთვის დასახელებულ ფუნქციებთან ერთად სულ უფრო იზრდება მასობრივი და ოფიციალური, უმეტესწილად წერითი კომუნიკაციის ფუნქციები – ესაა განათლების, ინფორმაციის საშუალებების, ლიტერატურის, კულტურის, მეცნიერების ენები.

ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებში სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოში ენათა დღეს არსებული იერარქიისა და სტატუსის გადახედვის სურვილი, ანუ საკითხი სახელმწიფოებრივ ხასიათს იძენს. არსებობს ეთნიკური უმცირესობის საკითხებთან დაკავშირებული (მათ შირის ენის საკითხებთანაც) არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, თუმცა ვერც ერთი მათგანი - ვერც ერთი მსოფლიო, თუ რეგიონული ინსტრუმენტი ვერ გვაძლევს რაიმე ავტორიტეტულ განსაზღვრებას, თუ რა არის „სახელმწიფო“ ან „ოფიციალური“ ენა (ევროპის ქარტია რეგიონული თუ უმცირესობის ენებისათვის არ განსაზღვრავს ამ ტერმინებს, თუმცა 1-ლ პუნქტში ის განსაზღვრავს „რეგიონალურ თუ უმცირესობათა ენებს“, როგორც ენებს) უფრო მეტიც, ეს ტერმინები ზოგჯერ ურთიერთშენაცვლებადიც არის სახელმწიფოების მიერ.

როგორც, მაქს ვან დერ შტოლი მიუთითებს (მაქს ვან დერ შტოლი 1999: 14) „სახელმწიფოებს შეუძლიათ ასევე გამოიყენონ პირველი ტერმინი ისტორიულ, ეროვნულ ენასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე ტერმინი შეიძლება იყოს დაკავშირებული სხვა სახელმწიფოს ენასთან, რომელიც ისე ხშირად არის ყოველდღიურ ხმარებაში, რომ ამჟამად გამოიყენება მთავრობის მიერ, როგორც ფორმალური (ოფიციალური) კომუნიკაციის საშუალება თავის მოქალაქეებთან“. უფრო მეტიც, არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტები იმაზე, უნდა მიიღონ თუ არა სახელმწიფოებმა ერთზე მეტი ოფიციალური ენა,

რათა უპასუხონ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების საჭიროებებს (მოთხოვნებს) და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს ოფიციალური ენის ქონის, ასევე არ არსებობს სპეციალური სტატუსის მქონე ენების ვალდებულების განსაზღვრა.

მსოფლიოში დაახლოებით 5000 თუ 6000 ენას ითვლიან, სახელმწიფოების რიცხვი კი 200-ზე ნაკლებია. ამავე დროს, „მსოფლიოს სახელმწიფოთა მხოლოდ დაახლოებით ერთ მეოთხედს აქვს ერთზე მეტი სახელმწიფო ენა, თუმცა კი სრულიად აშკარაა, რომ დანარჩენი სამი მეოთხედი ნაწილი სახელმწიფოებისა სრულიადაც არ არის მხოლოდ ერთენოვანი სახელმწიფოები“ (ედვარდსი 1994: 35).

საქართველო მსოფლიოს სახელმწიფოთა იმ ერთ მეოთხედ ნაწილს მიეკუთვნება, სადაც ერთზე მეტი სახელმწიფო ენა არის აღიარებული და ენათა იერარქიის საკმაოდ რთული სისტემა არსებობს.

თუ ზემოთ მოყვანილ ფუნქციათა ჩამონათვალს გავითვალისწინებთ, ორენოვანი სიტუაციის კომპონენტები ენებთან მიმართებით შემდეგ სურათს მივიღებთ: პირველ ჯგუფს შეესაბამება თურქული ენა (ადგილობრივი დიალექტი), „ბოშათა მეტყველების“ ნაირსახეობა.

მეორე ჯგუფს - სომხური და ქართული ენები;

მესამე ჯგუფს – ქართული, სომხური;

მეოთხე ჯგუფს – ქართული, სომხური, რუსული ენები;

მეხუთე ჯგუფს – ქართული ენა.

## 11. კომუნიკაციური სიტუაცია, სოციალური როლი და სტატუსი.

თითოეულ ინდივიდს, ცხოვრობს რა საზოგადოებაში, ეკუთვნის რა სხვადასხვა ჯგუფს, ამ საზოგადოებაში რამდენიმე სოციალური პოზიცია გააჩნია. მაგალითად, ჯავახეთის ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი (რაც თავისთავად უკვე გარკვეული სოციალური პიზიციაა), შეიძლება იყოს რომელიმე იქ არსებული პოლიტიკური პარტიის აქტივისტი, ინსტიტუტის ჩემპიონი, ვთქვათ, ჭადრაკში, ქალაქში არსებული ხელოვნების წრის წევრი. სახლში ის შვილია, მმაა, სამეგობროში მეგობარია და ა.შ.

მისი თითოეული პოზიცია დაკავშირებულია გარკვეულ უფლებებთან, მოვალეობებთან ანუ ინდივიდს ანიჭებს სოციალურ სტატუსს.

თავისი სტატუსებიდან უმრავლესობას ადამიანი თვითონ ირჩევს და იღწვის კიდეც მის მოსაპოვებლად, ანუ იგი ფლობს შეძენილ სტატუსს. იმავე სტუდენტის სტატუსი მიიღწევა უნივერსიტეტი მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების გზით, ჩემპიონის სტატუსი შეჯიბრებებში გამარჯვებით, ქმრის სტატუსი – ქორწინებით.

სტატუსთა ერთი რიგი, ისეთები, როგორიცაა სქესი, ეთნიკური თუ რასობრივი კუთვნილება, დაბადებიდან თანდაყოლილია. სოციოლოგები მას მიწერილ სტატუსს ეძახიან. ზოგიერთ ამგვარ სტატუსს ადამიანი მოგვიანებით იღებს (უფროსი ძმის სტატუსი ოჯახში მეორე შვილის დაბადების შემდეგ, სრულწლოვანების სტატუსი – გარკვეული ასკობრივი ზღვარის მიღწევის შემდეგ).

მიწერილი სტატუსის არსი ის არის, რომ ისინი ადამიანს ენიჭება ავტომატურად, მისი ნებისა და სურვილის გარეშე. მინიჭების შემდეგ კი, როგორც წესი, გაჰყვება მთელი ცხოვრების განმავლობაში. თუ ინდივიდი მიწერილ სტატუსს დაკარგავს, ესეც გარკვეული წესების დაცვით ხდება, ამასთანავე მისი ნების გარეშე (ასეთია, მაგალითად, სამხედროვალდებულის სტატუსი).

ზოგიერთი სტატუსი თავის თავში მოიცავს შეძენილი და მიწერილი სტატუსების თავისებურებებს (მახასიათებლებს). ადამიანის გარკვეულ ძალისხმევას საჭიროებს უმაღლესი სამხედრო სამსახური, ხოლო შედეგად მიღებული სამხედრო წოდება მას მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვება.

მეორე მაგალითია დამნაშავის სტატუსი, რომელიც ადამიანს სამართლებრივ სახელმწიფო კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო სასამართლოს მიერ მიენიჭება. ზოგიერთი სტატუსი სოციალურია, ხანმოკლეა: ტრამვაის მძღოლი, მაღაზიის მყიდველი, სამეცნიერო კონფერენციის მომსენებელი. ამგვარი სტატუსებიდან უმრავლესობის მნიშვნელობა იზრდება მათი პერიოდული განმეორების შემდეგ.

სოციალური სტატუსი განსაზღვრავს ინდივიდის დამოკიდებულებას საზოგადოების სხვა წევრებთან, მის შედარებით მუდმივ და დროებით მდგომარეობას განსხვავებული ტიპის სოციალურ იერარქიაზე. ნებისმიერი სტატუსი გულისხმობს უფლებებს, მოვალეობებს და მათთან შესაბამის ნორმატიულ ქმედებებს. ადამიანისაგან, რომელსაც გააჩნია სტატუსი, გარშემომყოფები ელიან სტატუსის შესაბამის ქცევას. ასეთ სტატუსს შეიძლება

შეესაბამებოდეს რამდენიმე როლი. მაგ. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლისაგან განსხვავებული მოლოდინი აქვთ სტუდენტებს, კოლეგებს, ტექნიკურ თანამშრომელს, სამინისტროს წარმომადგენელს.

ვთვლით, რომ სტატუსი და მასთან დაკავშირებული სოციალური როლები კომუნიკაციის პროცესში ხშირად ხდება ენის არჩევის განმსაზღვრელი. აქვე დგება მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასევე ბილინგვისაგან ენის არჩევას განაპირობებს. ეს არის ჯავახეთის ენობრივი სიტუაციისათვის ნიშანდობრივი საკომუნიკაციო სიტუაციები (იქმნება ბაზარში, საავადმყოფოში, სადგურში, საჯარო სამსახურში). ჯავახეთში ენობრივი ერთობის წევრთათვის რამდენიმე ძირითადი როლია დამახასიათებელი: მამა, დედა, შვილი, ნათესავი, თანაკლასელი, თანაკურსელი, მეზობელი, მასწავლებელი, მყიდველი, პაციენტი, მგზავრი, კლიენტი, საჯარო მოხელე, ბიზნესმენი, მეურნე).

ბილინგვი ადამიანების ენობრივ ქცევებზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ სხვებთან შედარებით ზოგიერთ სოციალურ როლში ისინი ხშირად გადაერთვებიან ერთი ენიდან მეორეზე. ასეთია ბიზნესმენი, საჯარო მოხელე, მგზავრი, კლიენტი, მყიდველი, ანუ ხშირად კომუნიკანტები ენას ირჩევენ საკუთარი სოციალური კუთვნილებიდან ან სოციალური როლიდან გამომდინარე. ენის ათვისება მოცემულ საზოგადოებაში, მისი გამოყენების წესები და სოციალურ როლებთან მათი შესაბამისობა განპირობებულია გარემოთი. გარემოზე კი ზემოქმედებენ ფაქტორები.

იმისათვის, რომ სტატუსზე, სოციალურ როლსა და კომუნიკაციურ სიტუაციაზე მსჯელობა უფრო ნათელი გახდეს, წარმოვადგენთ მათ ერთმანეთთან კავშირში. მეორე ენაზე ენობრივ საშუალებათა გამოყენება კონტექსტზეა დამოკიდებული. ის სტრუქტურები, რომლებიც წარმოიქმნება ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში (პირადი, საზოგადოებრივი ანუ სოციოკულტურული, პროფესიული, საგანმანათლებლო) შეიძლება შემდეგნაირად აღვწეროთ:

1. ადგილი და დრო;
2. ის საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომელთა ფუნქციონირების სტრუქტურა და წესები დიდად განსაზღვრავს მოვლენათა მსვლელობას;
3. კომუნიკაციის წევრები და მათი სოციალური როლი ენის მომხმარებელთან / შემსწავლელთან მიმართებით.

ქვემოთ მოვიყვანთ სიტუაციური კატეგორიების ნუსხას, რომლებიც ჯავახეთის ენობრივი სიტუაციისათვის არის დამახასიათებელი. იგი არ არის ამომწურავი (მაგ., მასში არ ჩანს დიალოგის დინამიკა). ჩამონათვალში აღვნიშნავთ ჯერ ურთიერთობის სფეროს (პირადი, საზოგადოებრივი), შემდეგ იმ საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, სადაც კომუნიკაცია ხორციელდება, ბოლოს ჩამოვთვლით კომუნიკაციის მონაწილეებს (კომუნიკანტებს).

**პირადი ურთიერთობის სფეროში** კომუნიკაციის შესაძლო ადგილებია: საკუთარი ოჯახის წევრების, მეგობრების ან სხვისი სახლი, ოთახები, ეზო, ბაღი;

საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ორგანიზაციები – ოჯახი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

კომუნიკანტები – მშობლები, ბებია-ბაბუები, დები, ნათესავები, მეუღლეები, მეგობრები, ნაცნობები.

**საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში** კომუნიკაცია შემდეგ საზოგადოებრივ ადგილებში მიმდინარეობს: ქუჩა, მოედანი, პარკი, ტრანსპორტი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მაღაზია, ბაზარი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, სტადიონი, სპორტული დარბაზი, კინოთეატრი, საკონცერტო დარბაზი, რესტორანი, სასტუმრო, ეკლესია;

საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ორგანიზაციები – ხელისუფლება, პოლიტიკური ორგანიზაცია, იურიდიული ორგანიზაცია, კლუბი, არასამთავრობო ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია;

კომუნიკანტები - ოფიციალური პირები, გამყიდველები, პოლიციელები, სამხედროები, მძღოლები, მგზავრები, მოთამაშეები, თაყვანისმცემლები, მსახიობები, მაყურებლები, ოფიციანტები, ბარმენები, ტელევიზონისტები, მღვდლები, მრევლი;

**პროფესიული ურთიერთობის სფეროში** კომუნიკაცია ხდება ოფისებში, სახელოსნოებში, ფირმებში, მაღაზიებში, ბაზრებში, სასტუმროებში.

საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ორგანიზაციები – ფირმები, შეიარაღებული ძალები, სხვადასხვა კორპორაციები, პროფკავშირი;

კომუნიკაციის მონაწილეები - მასწავლებლები, სასწავლო პერსონალი, აღმზრდელები, ასისტენტები, მშობლები, თანაკლასელები, ლექტორები, სტუდენტები, მდივნები, დამლაგებლები, კარისკაცები.

საგანმანათლებლო სფეროში კომუნიკაციის ადგილებია: სკოლა: სააქტო დარბაზი, საკლასო ოთახები, სათამაშო მოედანი, სპორტდარბაზი, დერეფნები, კოლეჯი, უნივერსიტეტი, აუდიტორიები, საერთო საცხოვრებელი, სასადილო.

საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ორგანიზაციები - სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სასწავლო დაწესებულებები მოზრდილთათვის;

კომუნიკანტები - მასწავლებლები, სასწავლო პერსონალი, აღმზრდელები, ასისტენტები, მშობლები, თანაკლასელები, პროფესურა, ლექტორები, სტუდენტები, მდივნები, დამლაგებლები, კარისკაცები.

## 12. ენის ფლობის დონე.

მეორე ენის გამოყენება სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში, საჭიროების შემთხვევაში ერთი ენიდან მეორეზე რეგულარული გადართვა ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს კომუნიკაციური ამოცანის გადაწყვეტას, დიდად არის დამოკიდებული მეორე ენის ფლობის დონეზე. ჩვენ ამ თვალსაზრისითაც დავაკვირდით ენობრივ კოლექტივებს. ენობრივი ერთობის ბილინგვ წევრებს შევთავაზეთ ტესტები, რომლებიც ზოგადევროპული ენობრივი კომპეტენციების შესაბამისად არის შემუშავებული.

კომუნიკაციურ ამოცანათა შესრულებისათვის საჭირო ენობრივი კატეგორიების, ფუნქციების, გრამატიკისა და ლექსიკის ანალიზის საფუძველზე ენის ფლობის დონეები შემდეგნაირად არის განსაზღვრული (ოძელი 2005: 7-13):

A1 დონე - „გასაღები“ ითვლება ენის ფლობის ყველაზე დაბალ დონედ. ეს არის ეტაპი, როდესაც შემსწავლელს შეუძლია მარტივ დიალოგში მონაწილეობა. პირადი ხასიათის შეკითხვების დასმა, ან მათზე პასუხის გაცემა. შემსწავლელი არ ეყრდნობა მხოლოდ დაზეპირებულ ფრაზათა შეზღუდულ რაოდენობას, რომელიც ეხება განსაზღვრულ სიტუაციას.

A2 დონე შეესაბამება „საფუძვლის“ დონის სპეციფიკას. სწორედ ამ დონეზე წარმოჩინდება იმ დისკრიპტორთა უმეტესობა, რომელიც ენის სოციალურ ბუნებას ასახავს. მოსაუბრეს შეუძლია ყოველდღიური მარტივი, მისალმებისა და მიმართვის ზრდილობიანი ფორმების გამოყენება, საყოფაცხოვრებო ხასიათის მოკლე საუბარში მონაწილეობა და ა. შ.

B1 დონე შეესაბამება „ზღვრული“ დონის იმ სპეციფიკას, რომელიც უცხო ქვეყანაში მოკლე დროით ჩამომსვლელთადმია მიმართული. ეს დონე ორი განსხვავებული ნიშნით ხასიათდება. პირველი ნიშანია ის, რომ მოსაუბრვ, რომელიც ამ დონეს ფლობს, შეუძლია დიალოგის წარმართვა და კომუნიკაციის მიზნის მიზნის მიღწევა მთელ რიგ განსხვავებულ სიტუაციებში. მაგ., ესმის მიმდინარე ხანგრძლივი მსჯელობის ძირითადი არსი. მეორე მახასიათებელია ის, რომ შეუძლია დაძლიოს ყოველდღიური ცხოვრებისული ამოცანები. მაგ., შეუძლია თავი გაართვას საზოგადოებრივ ტრანსპორტში წამოჭრილ ნაკლებ სტანდარტულ სიტუაციებს.

B2 დონე დგას ზღვრულ და საფუძველ დონეებზე მაღლა და ეწოდება „ზღვრული განვითარებული“. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო დონის დაუფლებისას შემსწავლელი ხვდება, რომ მიაღწია ხარისხობრივად მაღალ საფეხურს, საიდანაც ახალი პორიზონტები იკვეთებადა მას შეუძლია ახლებურად შეხედოს საგნებსა და მოვლენებს. ამ დროს მოსაუბრებს შეუძლია საკუთარი თვალსაზრისის დაცვა სათანადო არგუმენტებისა და განმარტებების მოშველიებით, საკუთარი კომენტარების დემონსტრირებით.

C1 დონეს უწოდებენ ენის ფლობის „მაღალ“ დონეს. მას აქვს ერთი ძირითადი მახასიათებელი. მისთვის მისაწვდომია ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრი. აქედან გამომდინარე შემსწავლელს შეუძლია სწრაფად და მოუმზადებლად დაამყაროს ურთიერთობები, გადმოსცეს საკუთარი აზრები მოუმზადებლად და თითქმის წინასწარი მომზადების გარეშე. თავისუფლად ფლობს დიდი რაოდენობის ლექსიკურ ერთეულებს და სიტუაციიდან გამომდინარე არჩევს საჭირო სიტყვებს.

C2 დონეს, მართალია, „სრულყოფილი“ ფლობის დონე ეწოდება, მაინც არ ითვალისწინებს შემსწავლელთა ენობრივ კომპეტენციას ენის მატარებლის დონეზე. იგი წარმოაჩენს სიზუსტესა და ენობრივ საშუალებათა დაუბრკოლებლად გამოყენების იმ ხარისხს, რომელსაც ყველა წარმატებული შემსწავლელი ფლობს. შეუძლია მნიშვნელობის ნებისმიერი მაღალი ხარისხის სიზუსტით გამოხატვა, სხვადასხვა ხერხის მეშვეობით იყენებს მრავალ იდიომატურ და ზეპირმეტყველებაში ხმარებულ გამოთქმას.

ამგერად გამოიყურება ენის ფლობის დონეთა სისტემური თანმიმდევრული პროგრესული აღწერილობა ელემენტარულიდან სრულყოფილამდე.

მეორე ენა	ელემენტარულად ფლობა A		დამოუკიდებლად ფლობა B		თავისუფლად ფლობა C	
	გასაღები A1	საფუძვლი A2	ზღვრული B1	ზღვრ.განვ. B2	მაღალი C1	სრულყოფ C2
ქართული	+	+	+			
სომხური	+	+	+	+	+	
რუსული	+	+	+	+	+	

### 13. ენობრივ სიტუაციაზე მოქმედი ფაქტორები.

ფაქტორებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაზე, გამოვყოფთ ზოგადი და კერძო ხასიათის ფაქტორებს. ზოგადი ფაქტორებია:

**საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა.** სომხეთთან და რუსეთთან მეზობლობა სერიოზულ გავლენას ახდენს ენობრივ სიტუაციაზე. ტერიტორიული სიახლოებები განაპირობებს ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის მჭიდრო და ხშირ კონტაქტს წარმოშობის ადგილთან. ბუნებრივია, ეს მათ ენობრივ ორიენტაციას განსაზღვრავს.

**მეზობელ სახელმწიფოთა მიზნები და ამოცანები.** სომხეთისა და რუსეთის ჯავახეთისადმი ინტერესი არ ნელღებოდა ისტორიულად და დიდია დღესაც. პოლიტიკურ ძალთა მიერ პოლიტიკური და პულტურული ავტონომიის მოთხოვნების, ტერიტორიულ, ისტორიულ ძეგლებთან და მოვლენებთან დაკავშირებული სადაცო საკითხების გვერდით სომხური და ქართული ენების ფუნქციონირების საკითხს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა, ხშირად ენობრივი პრობლემა სოციალურსა და ეკონომიკურზე პირველადად ცხადდებოდა. რუსული და სომხური მასმედიის გავრცელება,

არაქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებლების გახსნა და ა. შ. სომხურ-რუსული ბილინგვიზმს ხელს დღესაც უწყობს.

**ქართული სახელმწიფოს ინტერესები.** ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის ცვლილების ტენდენციები იმიტომ როდი შეიმჩნევა, რომ მეზობელ სახელმწიფოთა დამოკიდებულება და ინტერესები შეიცვალა. მიზეზი რეგიონში ქართული სახელმწიფოს ინტერესების გაძლიერება გახლავთ. 90-იანი წლების შემდეგ ქართული სახელმწიფო პირველად „ეპატრონება“ ამ კუთხეს, იღებს ვალდებულებებს, იწყებს საკუთარი ინტრესების განმტკიცებას. ენობრივი სიტუაციის ცვალებადობის ხასიათი, სიჩქარე და მიმართულება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად თანმიმდევრული, გააზრებული და რეგიონის სპეციფიკის შესაბამისი პოლიტიკა გატარდება, განსაკუთრებით ენობრივი.

**მიგრაციული პროცესები და დემოგრაფიული ვითარების ცვალებადობა.** მიგრაციული პროცესები ჯავახეთში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. (სტატისტიკური მონაცემებით ბოლო ოთხ წელში ჯავახეთიდან წამსვლელთა რაოდენობა ახალქალაქის რაიონში 21%-ით გიზარდა. ცნობები ადგილობრივმა სტატისტიკის სამსახურმა მოგვაწოდა). დემოგრაფიულ ვითარებაზე გარკვეული გავლენა იქონია დუხობორების მასობრივმა მიგრაციამ, თუმცა მათ ნასახლარებზე საქართველოს სტიქიით დაზარალებული რაიონებიდან მოსახლეობის დასახლებამ საერთო სურათი ვერ შეცვალა.

**სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.** მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო მოსახლეობა საარსებო წყაროს ჯავახეთის (საქართველოს) გარეთ ემებს. ეს არაქართულ გარემოსთან მჭიდრო და ხანგრძლივი კავშირის კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. მით უმეტეს, რომ ჯავახეთში მცხოვრები სომები მოსახლეობა ყოველთვის ორიენტირებული იყო სომხეთსა და რუსეთზე. მათი „ეკონომიკური ერთგულება“ რუსული რუბლისა და სომხური დრამისადმი კიდევ ერთხელ მეტყველებს ამაზე. ეს „ერთგულება“ ძლიერია იმის მიუხედავად, რომ ბოლო დროს ლარის მოხმარების ინტენსივობა გაიზრდება და ჯავახეთი უბრუნდება ქართულ ეკონომიკურ სივრცეს.

ზოგადი (გლობალური) ფაქტორები აისახება კონკრეტული ენობრივი ერთობის დონეზე და მისი ბილინგვიზმის განმსაზღვრელი ხდება. ასეთი ფაქტორებია:

**საცხოვრებელი ადგილი.** რაიონის ცენტრთან (ახალქალაქი, ნინოწმინდა) ახლოს მდებარე სოფლების მოსახლეობა მეტად მიღრეკილია ბილინგვიზმისკენ,

ვიდრე შორს მცხოვრები. გავლენას ახდენს აგრეთვე სხვაენოვან სოფელთან მეზობლობა.

**საქმიანობის ადგილი და სფერო.** ბიზნესით დასაქმებული ადამიანების ენობრივი კოლექტივი ძირითად საქმიანობას სომხეთსა და რუსეთში ახორციელებს. ამიტომ მათთვის სომხურ-რუსული ბილინგვიზმია დამახასიათებელი. მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობით დაკავებული ენობრივი ერთობის ბილინგვიზმის ხარისხი ნაკლებია.

**განათლების ადგილი.** განათლება ენის გამოყენების სფეროდაც დავასახელეთ. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მისი ადგილიც, რაღაც მასზეა დამოკიდებული ენის არჩევა და შესაბამისად, მისი შესწავლა. რუსეთზე ორიენტირება რუსულ-სომხურ ბილინგვიზმს ხელს დიდად უწყობს.

**მასმედიის გავრცელების პირობები და ხარისხი.** XXI საუკუნეში ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანებია. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ გავრცელების პირობებსა და ხარისხზე ვამახვილებთ.

ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, რომ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაზე მოქმედი ფაქტორები სრულად ჩამოვთვალეთ. მიგვაჩნია, რომ ისინი ძირითადია.

#### 14. თანამედროვე ენობრივი პოლიტიკის საკითხები ჯავახეთში.

ენობრივი პოლიტიკა ამა თუ იმ სახით ტარდება ნებისმიერი (მონოლინგური, ბილინგვური თუ მულტილინგვური) სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მონოლინგვური სახელმწიფოს შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გადატანილია ლიტერატურული სტანდარტის შესწავლა-დამუშავებაზე და მის დაცვაზე, ხოლო ბოლო ორი გულისხმობს უმნიშვნელოვანები საკითხის გადაწყვეტას, სხვადასხვა ენებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის მოგვარებას, რაც უშუალოდ უკავშირდება შესაბამის ეროვნულ პოლიტიკას

**საქართველოში ენობრივ პოლიტიკას უძველესი ტრადიციები აქვს.**

ჯავახეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენენ, სწორად დაგეგმილ და განხორციელებულ ენობრივ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ენობრივი პოლიტიკის ცნება უშუალოდად დაკავშირებული ენობრივ დაგეგმვასთან, რაც ორი მიმართულებით ხორციელდება: ა) სახელმწიფო გეგმავს სახელმწიფო ენის განვითარების კურსს. სახელმწიფო ენასთან ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა ენების

დამოკიდებულების საკითხს, ენათა ფუნქციონირების არეებს, და ბ) გარეგანი ფაქტორების სხვადასხვა ტიპის ზემოქმედებით იცვლება ენობრივი სიტუაცია სახელმწიფო და ენობრივი დაგეგმვა სხვა მიმართულებას იდებს, მეტნაკლებად გარედან მართული ხდება (ტაბიდე 2005გ: 10).

ენობრივი პოლიტიკა ქვეყნის პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხია. ხშირ შემთხვევაში ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა პირდაპირაა მიბმული სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტიდან გამომდინარეობს. საქართველოს ოეალობაშიც ენობრივი პოლიტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის და, შესაბამისად, კომპლექსურ და ერთიან მიღებობას მოითხოვს.

ჩვენი ქვეყნისთვის სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნებათშორისი ურთიერთობები სტრატეგიული მნიშვნელობის მქონეა. საქართველო წარმატებით ასრულებს ეუთოს მიერ 1996 წელს მიღებულ პაგის რეკომენდაციებს. გააზრებულია, რომ ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია არ უნდა ნიშნავდეს მათ ძალდატანებულ ასიმილაციას. ლოიალობა ქართული სახელმწიფოს, ენისა და კულტურის მიმართ ორგანულად უნდა იყოს შეხამებული ეროვნულ უმცირესობათა ენის, კულტურისა და თვითმყოფადობის დაცვასთან.

ჩვენი მიზანია, საქართველოს ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა პოლიტიკურ, კულტურულ თანხმობაში იყოს ერთმანეთთან და სახელმწიფოსთან.

საკანონმდებლო კონტექსტი ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა საქართველოში. საქართველოს კანონმდებლობა ცალსახად უსვამს ხაზს სახელმწიფო ენის მნიშვნელობას სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროში და, ამასთანავე ქმნის გარანტიებს ეთნიკური უნცირესობების უფლებების დასაცავად. დღევანდელ ეტაპზე, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ორივე საკანონმდებლო მიმართულების აღსასრულებლად რეალური მექანიზმების შექმნა და ამოქმედება. ორივე მიმართულების აღსრულება და განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით.

ამ გარემოებების ფონზე მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი განვითარდეს პარმონიულად ორი კომპონენტის ურთიერთშეთანხმებით: 1) სახელმწიფო ენის სწავლების უზრუნველყოფა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება; 2) ეთნიკური სხვაობების მხარდაჭერა,

კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და დაცვა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო პირველი საკითხია.

სახელმწიფო ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები შესაძლებელია განვიხილოთ შემდეგი მიმართულებებით: а) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები; ბ) ზრდასრული მოსახლეობის ენობრივი პრობლემები.

განათლების სამინისტრო, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის დახმარებით სამცხე-ჯავახეთში ახორციელებს პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის სტანდარტებისა და პროგრამების შეცვლას და გამარტივებას არაქართულენოვანი სკლებისათვის, ქართული ენის პედაგოგთა გადამზადებას და მათთვის სპეციალური მეთოდური სახელმძღვანელოს შექმნას. აღნიშნული პროექტის განსახორციელება დიდად შეუწყობს ხელს ქართული ენის სწავლების ხარისხის გაზრდას.

ამ ღონისძიების შემდეგ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ბილინგვურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ბილინგვური სწავლება და ადგილობრივი არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ინტეგრაციის მისაღწვევად. აღნიშნულ დებულებებს უარყოფითად ეკიდებიან არაქართველი მოსახლეობის წარმომადგენლები. ამიტომ მნიშვნელოვნანია საინფორმაციო და პროპაგანდისტული პოლიტიკის წარმოება, რათა მოსახლეობა თვითონ მიხვდეს ბილინგვური სწავლების აუცილებლობას და მოთხოვნა ბილინგვური სწავლების შესახებ მათგან მოდიოდეს. ამ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა პირობა, რათა სკოლას შეეძლოს, მოსწავლეს არჩევანის საშუალება მისცეს.

ჩვენთვის მისაღწებია თვალსაზრისი, რომ ბილინგვურ განათლებასთან არის დაკავშირებული, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პაკეტის შექმნა, რომელიც ბილინგვური საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. ამ პოლიტიკის განსახორციელებისთვის კი აუცილებელი წინაპირობაა, ზუსტად იყოს განსაზღვრული მისი მიზნები და მიმართულებები. როგორც პორბერგერი აღნიშნავდა, ბილინგვური განათლება არის „რესურსი და არა პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას“ (პორბერგერი 2000: 173). ხოლო ვარგესი კი ხაზს უსვამს ბილინგვური განათლების აღქმისას ორ განსხვავებულ მიდგომას: პირველი მიდგომა გულისხმობს, რომ ბილინგვური

განათლების მთავარი მიზანი მშობლიური ენიდან მეორე ენაზე გადასვლაა. მეორე მიღება რადიკალურად განსხვავდება პირველისაგან და გულისხმობს, რომ ბილინგვური განათლების მთავარი მიზანი ორი ენის ერთდროული სრულყოფაა (ვერგესი 2004: 14).

ჩვენთვის მისაღება ის ხუთი მიზანი, რომელსაც ბილინგვური განათლების პოლიტიკა უნდა უსვამდეს ხაზს და რომელზეც ყურადღებას ამახვილებს ტრილოსი (ტრილოსი 1998: 6) 1. ბიკულტურიზმი, ანუ უნარი თავი იგრძნო საზოგადოების სრულფასოვან წევრად, როგორც საკუთარ ეთნიკურ ჯგუფში, აგრეთვე დომინანტი ეთნიკური ჯგუფის გარემოცვაში; 2) ბილინგვიზმი, ანუ მაღალპროფესიული უნარი, ფლობდე თრ ენას; 3) ორი კულტურის ფუნდამენტური ლირებულებებისადმი ზიარება; 4) კეთილგანწყობილი დამოკიდებულება განსხვავებული ლინგვისტური და კულტურული ჯგუფების მიმართ; 5) ეთნიკური უმცირესობებისთვის თანასწორი განათლების მიღების საშუალება.

ასევე ყურადსადებად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბილინგვურ სწავლებაზე გადასვლა უნდა მოხდეს არა ერთბაშად და ძალადობრივად, არამედ ეტაპობრივად. საქართველოს შეუძლია სხვა ქვეყნების (ბალტიისპირეთის, ამერიკის) გამოცდილება გაიზიაროს და პირველ ეტაპზე ნებაყოფლობითი ბილინგვური პროგრამები დაგეგმოს, ამავდროულად მოექმნადოს მეორე, სავალდებულო ეტაპისათვის „უფრო მიზანშეწონილია, რომ მულტილინგვური განათლება სკოლის ნებაყოფლობით არჩევანს ეყრდნობოდეს და მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში სკოლები თანდათან გადავიდნენ მულტილინგვური განათლების სხვადასხვა მოდელზე, რაც თავიდან აგვაცილებს იმ შესაძლო პოლიტიკურ გართულებებს, რაც შეიძლება მოიტანოს მულტილინგვურ განათლებაზე გადასვლის სავალდებულო მოდელმა“, - აღნიშნავს შ. ტაბატაძე (ტაბატაძე 2008: 22).

ორენვანი განათლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ის არის, რომ იგი მოსწავლეს უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციის მაღალი ხარისხით. დღეს აღარავინ დავობს, რომ ენობრივი კომპეტენცია სხვა უნარებთან, ჩვევებთან და კვალიფიკაციასთან ერთად წარმოდგენს ადამიანის პირად კაპიტალს. სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას ქ. გოჩიტაშვილი, როდესაც ფრანგი სოციოლოგის, პიერ ბურდიეს მიერ ჩამოყალიბებული და დღეისათვის გავრცელებული ცნების - „ლინგვისტური (ენობრივი) ბაზრის“ მნიშვნელობის

გააზრებით ბილინგვური სწავლების უპირატესობის ხაზს უსვამს. „ინდივიდის უნარი, შეინარჩუნოს ან გაზარდოს თავისი სოციალური მდგომარეობა, განისაზღვრება იმ კაპიტალის მოცულობით, რომელსაც ისინი ფლობენ. მოლაპარაკის პრაქტიკული კომპეტენციის ნაწილს წარმოადგენს იმის ცოდნა, სად და როგორ მიანიჭოს ამა თუ იმ ენას უპირატესობა, რათა პრაქტიკულად მიიღონ ამ ენისგან სარგებელი“ (გოჩიტაშვილი 2008: 172-173).

ამგვარად, ნათელია, რომ ლინგვისტური ბაზრის სტრუქტურა განსაზღვრავს, რამდენად მისაღებია ესა თუ ის ენა, და რამდენად საჭიროა ის მოცემულ შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, საზოგადოებას მკაფიო წარმოდგენა უნდა პქონდეს ე.წ. „ლინგვისტურ ბაზარზე“. გაითვალისწინოს პიროვნული ინტერესები, რეგიონის მოთხოვნები და ამის მიხედვით გააკეთოს არჩევანი, როგორ საგანმანათლებლო სისტემას მიანიჭოს უპირატესობა – მონოლინგვურს თუ ბილინგვურს. ეს არჩევანი უნდა ემყარებოდეს ოჯახის ან ინდივიდის ნებას და მხარდაჭერილი უნდა იყოს სახელმწიფოს, განათლების სისტემის მიერ. საზოგადოდ, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობისთვის მისაღებია ბილინგვური განათლების ისეთი მოდელი, რომელიც ხელს უწყობს ენობრივი მრავალფეროვნების, ეროვნულ უმცირესობათა მიერ საკუთარი ენის შესწავლასა და შენარჩუნებას.

ჩვენი აზრით, ბილინგვური განათლების კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ ამაღლებს ინდივიდის სოციალურ პრესტიჟს სახელმწიფო ენის ფლობის ხარჯზე, უიოლებს რა სოციალიზაციის პროცესს და ზრდის მის სოციოკულტურულ კომპეტენციას.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ წამოწყებული განათლების რეფორმის ეროვნულ დონეზე განხორციელების პარალელურად დამატებითი რესურსები იქნას მობილიზებული ჯავახეთის რეგიონშივე.

გასათვალისწინებლია იმ ადამიანთა პრობლემებიც, რომელთაც საბჭოთა პერიოდში მიიღეს განათლება და ქართული ენის არასათანადოდ სწავლების გამო ამჟამად მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგან ვერ ახერხებენ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების სრულ რეალიზაციას. ზრდასრულ მოსახლეობაში რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფი გამოიყოფა (მაგ: საჯარო მოხელეები, პედაგოგები). მათ აქვთ სახელმწიფო ენის დაუფლების სურვილი.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით უკვე ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი პროექტები.

მნიშნელოვნად მიგვაჩნია იმის გააზრება, რომ ენის გამოყენება არ განისაზღვრება მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ როდესაც ინდივიდს აქვს რომელიმე ენის დაუფლების სურვილი, სარგებელს, რომელსაც ის მიიღებს, შეიძლება ჰქონდეს სიმბოლური, ან ხოციოგულტურული ხასიათი. როგორც შენიშნა ფიშმანმა, „იმ ენებმა, რომლებიც ძალით არ არის თავზე მოხვეული, უნდა უზრუნველყონ (ან უზრუნველყოფენ პერსპექტივაში) დეფიციტური შესაძლებლობებისა და რესურსების ხელმისაწვდომობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძირეულ მოსახლეობას არ ექნება ამ ენების გამოყენების საფუძველი. ენებს იშვიათად ეუფლებიან მხოლოდ საკუთრივ ამ ენათა ინტერესის გამო“ (ფიშმანი 1960: 56)

დღეს ჯავახეთში მიმდინარე ყვალა პროცესი სახელმწიფოებრიობის გამტკიცებისაკენ, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული. გათვალისწინებულია ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და საჭიროებანი.

ალბათ ურიგო არ იქნებოდა, რომ საქართველოს გაეზიარებინა იმ უცხო ქვეყნების გამოცდილება, სადაც სახელმწიფო ენის არმცოდნე მოსახლეობისათვის არსებობს გაზეთები და ყოველდღიური საინფორმაციო რადიოპროგრამები, სადაც მარტივი ენითა და ნელი ტემპით, ადვილად აღსაქმელი წარმოთქმით გადაიცემა ახალი ამბები. საინფორმაციო საშუალებებს ხომ რეალური ძალა აქვს საზიარო კულტურული სივრცის შესაქმნელად. არც ის იქნებოდა ურიგო, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ქართული ენის გაკვეთილები გადაიცემოდეს რადიოთი და თუნდაც ტელევიზიით.

თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა ჯავახეთში სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სამოქალაქო ინტეგრაციის მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილია, რომელიც ცალსახადაა მიმართული ერთი მხრივ, სახელმწიფო ენის რეალური ფუნქციონირებისკენ და, მეორე მხრივ, მის დასაუფლებლად ყველა პირობის შექმნისკენ. პროცესების განვითარება კი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად აქტიურად ჩაერთვება არაქართველი მოსახლეობა ინტეგრაციაში, რამდენად დიდი იქნება მათი სურვილი, რომ ქართული სახელმწიფოს სრულუფლებიან მოქალაქეებად იგრძნონ თავი.

15. በየዚህበት የሚከተሉት ስም ተመዝግበ ነው፡፡

ჯავახეთის ორენოვანი სიტუაციის აღწერის შემდეგ საინტერესოა მისი დახმასიათება ტიპოლოგიური თვალსაზრისით. ორი ენის მჭიდრო კონტაქტი გულისხმობს ამ ენათა მატარებელი კოლექტივების, ხალხების ურთიერთობას. ამ ურთიერთობის, ურთიერთშეღწევის ორი ძირითადი სახე განაპირობებს ორენოვნების ორი ტიპის არსებობას.

პირველი წარმოადგენს იმ დინამიკური პროცესის გარდამავალ ეტაპს, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს ერთეულოვნებისკენ. მას განეკუთვნებიან ენობრივი უმცირესობები, რომლებიც ცენტრისკენული ძალების გავლენას განიცდიან და არსებობენ სხვა ხალხების ზემოქმედების ქვეშ, იმ ხალხებისა, რომლებსაც ისტორიული მიზეზების გამო მეტი გავლენა ან მეტი პრესტიჟი აქვთ. ამ შემთხვევაში, მართალია, ადგილი აქვს ხალხთა და ენათა შერევას, მაგრამ მაინც რჩება ორი ეთნიკური კოლექტივი და ორი ენა. ამ დროს შერევის ხარისხი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ იგი არ მიღის ეთნიკურ კოლექტივთა და მათ ენათა შორის ზღვარის გაქრობა-წაშლამდე. ამ შემთხვევაში ორენოვანი კოლექტივი სრულიად დასაშვებია.

ივარაუდება, რომ ასეთი ორენოვანი კოლექტივი იყენებს ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სისტემას. რა თქმა უნდა, თითოეული სისტემა ბილინგვი კოლექტივის მეტყველებაში გარკვეულ ცვლილებას განიცდის მეორე სისტემის გავლენით.

ორენვნების პირველ ტიპს ჩვენ მივაკუთვნებთ ჯავახეთის ქართულენოვან მოსახლეობას, ანუ იმ ენობრივ კოლექტივს, რომლის მშობლიური ენა ქართულია. მათ რიცხვი შედის ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკურად ბერძენი ქართულენოვანი მოსახლეობაც.

ჯავახეთში ორენოვნების ეს ტიპი ძირითადად შემდეგი ასპექტებით ხასიათდება - სოციალური ჯგუფების თვალსაზრისით საყურადღებოა ის, რომ ისინი (ჯგუფები, სადაც ორენოვნება შეიმჩნევა) შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც საზღვართან, სავაჭრო გზებთან ახლოს ცხოვრობენ. ორენოვანი ჯგუფებისა და ხალხების კულტურა შეიძლება იყოს განსხვავებული (აღვნიშნეთ, რომ განსხვავება შეიმჩნევა იმდენად, რამდენადაც იგი თითოეული ეთნიკური ჯგუფის თვითმყოფადობას უსვამს ხაზს) ერთი მხრივ, ეს შეიძლება

დაკაგშირებული იყოს ოჯახთა სოციალურ სტრუქტურებთან, მის ადათ-წესებთან, მეორე მხრივ, რალიგიასთან. ერთი (მიმღები, სომეხთა) ენობრივი კოლექტივის ასიმილაცია ნელ-ნელა მოიცავს მთელს მის ინტერესებს და საქმიანობას. მეორე ენის ათვისებას, მის პირობებს აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ასიმილაციური პროცესები ლოკალიზდება (თავს იყრის) მიმღები კოლექტივის რაიონში და რადგანაც ამ კონტაქტების მთავარი სტიმული ჩვენ დროში უმთავრესად ეკონომიკური ხასიათისაა, ყველაზე უფრო მყარი სავაჭრო-ეკონომიკურ პუნქტებთან კონცენტრირებულ მოსახლეობას შორის არის.

გ. სტეპანოვი ამგვარი ტიპის ორენოვნების დროს ენათა ურთიერთობის მხრივ საგულისხმო დასკვნას აკეთებს. იგი მიიჩნევს, რომ მეორე ენის ასე ფართოდ მიღების პარალელურად მიმდინარეობს ენობრივი დიფერენციაციის პროცესი, რომელიც პირველ ენასაც ეხება. მ უკანასკნელმა განიცადოს ზოგიერთი სტრუქტურული ცვლილება, მაგრამ არ შეერწყმება მეორე, უფრო გავლენიან ენას: ის განაგრძობს არსებობას, ვიდრე არსებობენ ადამიანები, რომლებიც მასზე ლაპარაკობენ (სტეპანოვი 1976გ: 79-80). თანდათანობით მას უჩნდება შესაძლებლობა, დაკმაყოფილოს ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც ურთიერთობისას იჩენს თავს. თუ ადამიანი მოცემულ ტერიტორიას დატოვებს, მაშინ ის ხდება პირველთან შედარებით მეორე ენის უკათ მცოდნე, რადგან პირველს, ფაქტობრივად, აღარ იყენებს.

ორენოვნების მეორე ტიპი მანიშნებელია იმისა, რომ საზოგადოებაში შეიმჩნევა პროცესები, რომლებსაც შემდგომ კოლექტიური ორენოვნებისაკენ მივყავართ. ამ ტიპსაც თავისი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია. მაგალითად შეიძლება ის კოლექტივი დასახელდეს, რომელთაც გარკვეული საჭიროებიდან გამომდინარე ისწავლეს „შუამავალი“ ენა.

ხდება ორი ენობრივი კოლექტივის შერწყმა, მაგრამ ასიმილაციას განიცდის მხოლოდ A კოლექტივი. ასიმილატორი არის B ენის კოლექტივი. ეს იმას ნიშნავს, რომ ორენოვანი ხდება A კოლექტივი. როგორც თ. უთურგაიძე აღნიშნავს, ამის მშენებელ მაგალითს წარმოადგენს ბაცბური ენა და ამ ენაზე მოლაპარაკე ბაცბთა კოლექტივი კახეთში. „პროცესი შესაძლოა იქამდე მივიდეს, რომ A კოლექტივში მათ მხოლოდ B ენა გამოიყენონ ურთიერთობის საშუალებად და თავდაპირველი ენა სრულიად დაკარგონ“ (უთურგაიძე 1966: 9). ჯავახეთის ენობრივ სინამდვილეში ასეთი ორენოვნების მაგალითია

არაქართველთა ენობრივი კოლექტივებისთვის დამახასიათებელი ბილინგვიზმი. ესენია – ენობრივი ერთობა, რომლის წევრთა მშობლიური ენა სომხურია და ენობრივი ერთობა, რომლის წევრთა მშობლიური ენა რუსულია (ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, ძალიან მცირერიცხოვანია).

ვთვლით, რომ თუ ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო ენის რეალური ფუნქციონირებისკენ იქნება მიმართული, შესაძლოა ამავე ეთნიკურ ჯგუფში ამ ტიპის სომხურ-ქართული ორენოვნება ჩამოყალიბდეს.

სოციალური ჯგუფები ამ სახის ორენოვნების დროს უფრო ვიწრო, შემოსაზღვრულია, ვიდრე წინა შემთხვევაში. ისინი მოსახლეობის შედარებით აქტიური ნაწილია. კულტურა, როგორც წესი, განსხვავებულია. მართალია, ორენოვანი ენობრივი ერთობის კულტურა არ არის „გათქვეფილი“ სხვათა კულტურასთან, მაინც შედარებით დაბალი მდგომარეობა უჭირავს. თანაც ეს ასე არა მხოლოდ თანამედროვე სიტუაციაში, არამედ კოლონიალურამდე პერიოდშიც. ეს გამოწვეულია იმით, რომ გავლენიანი ენა ეკუთვნის საზოგადოებას, რომელიც პოლიტიკურად კარგად არის ორგანიზებული. კოლექტივში შეინიშნება დიალექტებად დაყოფა.

როგორც გ. ბელი შენიშნავს, რაც უფრო მცირდება ცენტრალური ხელისუფლების როლი, ეს პროცესი მით უფრო ძლიერდება. საზოგადოება, სადაც სხვადასხვაენოვანი ჯგუფები იყენებენ ე.წ. „შუამავალ“ ენას, ნელ-ნელა ორენოვნებიდან ერთენოვნებისკენ მიდის. ეს უკვე შემდგომ ეტაპად ითვლება. ასე რომ, ორენოვნება, თავიდან მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებზე დაფუძნებული, ნელ-ნელა გადადის ერთენოვნებაში. ამ დროს უდიდეს როლს სოციალური და კულტურული ფაქტორები თამაშობენ (ბეჭი 1989დ: 137). ამგვარი ორენოვნება დასახლებული პუნქტების ცენტრალური რაიონებისთვისაა დამახასიათებელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ ენობრივი კოლექტივის წევრებმა „შუამავალი“ ენა ინტენსიურად გამოიყენეს, მაშინ სიტუაცია ზემოთმოყვანილს დაემგვანება.

ამ ტიპის ორენოვნების დროს ინდივიდის მიერ მეორე ენის ათვისება ხდება ადრეულ ასაკში, ჯერ კიდევ ბავშვობაში. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება დედის ფაქტორს. ყოველ შემთხვევაში, ხშირად ბავშვი ლაპარაკობს დედის ენაზე მაშინ, როდესაც შეიძლება საერთოდ არ იცოდეს მამის მშობლიური ენა. დედა, თავის მხრივ, ხელს უწყობს შვილს, ისწავლოს ის ენა, რომელიც სამომავლოდ საზოგადოებაში მისი შვილის თანასწორუფლებიანობისა და

წინსვლის გარანტი იქნება. მეორე ენა შეისწავლება არა სრულად, არამედ მისი მხოლოდ ძირითადი, საბაზო ნაწილი. ზუსტად იმდენი, რამდენიც კომუნიკაციისთვის არის საჭირო. საბაზო ნაწილში იგულისხმება სალექსიკონი ერთეულთა გარკვეული რაოდენობა. მეორე ენის ფლობის ხარისხი დამოკიდებულია გარკვეულ საჭიროებებზე, რომელიც იქმნება კონკრეტულ ადგილზე. ეს შეიძლება იყოს ტრანსპორტი, დროებით სამუშაოზე მოწყობა, საცხოვრებელი ადგილი, განრიგები, ვაჭრობა, წონა, ფულის სისტემა, ხელისუფლებასთან ურთიერთობა. ორენოვნების ამ შემთხვევაში ენა ისეთი გლობალური და გარეგანი ფაქტორების გავლენით კი არ შეისწავლება, არამედ ყოველდღიური საჭიროებიდან გამოდინარე და დამოკიდებულია მოსაუბრეთა მეტ-ნაკლებად აქტიურ ჩართულობაზე იმ საქმიანობაში, რაც ორენოვნებას განაპირობებს.

აქვე ძალიან მოკლედ შევეხებით ჩვენთვის საინტერესო ენობრივი არეალის ზოგადად ენობრივ სიტუაციათა ტიპოლოგიურ მოდელებთან შესაბამისობის საკითხს.

იმის გამო, რომ ენათა კონტაქტებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებდა, ენობრივი სიტუაციები განსხვავებულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ენობრივი სიტუაციის შეისწავლის სხვადასხვა თვალსაზრისსა და მიდგომას ვხვდებით. ერთ შემთხვევაში ყურადღება რაოდენობრივი განზომილებების გამოკვეთასა და წარმოჩენაზე მახვილდება, მეორე შემთხვევაში შეფასებას ექცევა დიდი მნიშვნელობა, მესამე მიდგომა კი თვისებრივი თავისებურებების გამოვლენას გულისხმობს.

ენობრივი სიტუაციის რაოდენობრივი აღწერა მოიცავს იმ ნიშან-თვისებების გამოვლენას, რომლებიც მას ახასიათებს. არკვევს – ა) კონკრეტული ენობრივი სიტუაციისთვის ნიშანდობლივი იდიომების (ამ შემთხვევაში იგულისხმება ენობრივი სისტემების, ქვესისტემების) რაოდენობას; ბ) თითოეული შესიტყვების მიერ მომსახურებული საკომუნიკაციო სფეროს რაოდენობას, მასთან მიმართებით განიხილავს გამოყენების სფეროების საერთო რაოდენობას; გ) ფუნქციურად გაბატონებული იდიომების რაოდენობას; დ) თითოეულ იდიომზე მოსაუბრეთა რიცხვს განიხილავს ენობრივ არეალში მცხოვრებთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით. ამ მონაცემებზე დაყრდნობით გამოყოფენ ბალანსირებულ და არაბალანსირებულ ენობრივ სიტუაციებს.

თუ სიტუაციის შემადგენელ კომპონენტებს თანაბარი საკუმუნიკაციო სფეროები და ენობრივი მატარებლები ჰყავთ, მაშინ სიტუაცია ბალანსირებულია. არაბალანსირებული ენობრივი სიტუაციებისთვის გვაქვს გაბატონებული იდიომები. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე.

ენობრივი სიტუაციის შეფასებითი მიღგომა გულისხმობს იმ ნიშან-თვისებათა გამოვლენა-წარმოჩინებას, რომლებიც იდიომთა გარეგანი და შინაგანი შეფასებიდან გამომდინარეობს. ენა ფასდება თავისი ძირძველი მომხმარებლებისა და სხვა ენებზე მოლაპარაკების მიერ მისი საკომუნიკაციო გამოსადეგობის თვალსაზრისით, ესთეტიკური, კულტურული, პოლიტიკური პრესტიულობის ჭრილში (ჩაჩანიძე 2005: 38).

რაც შეეხება ენათა შესაფასებელ კრიტერიუმებს, სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად მხოლოდ სუბიექტური შეფასებები გვხვდება (გრინბერგი 1972გ: 204-214). უდავოა, შეფასებითი მიღგომა მნიშვნელოვანია. თუმცა ენობრივი სიტუაციის შესასწავლად ერთადერთ საშუალებად ვერ გამოგვადგება.

ენობრივი სიტუაციის საყოველთაო ტიპოლოგიური მოდელის დასადგენად ასევე აუცილებელია მესამე მიღგომის გათვალისწინება. იგი **თვისებრივი ნიშნების** გამოვლენას გულისხმობს. არკვევს – ა). ენობრივ სიტუაციაში შემავალი კომპონენტების ენობრივ ხასიათს (სხვადასხვა ენებია, ერთი ენის ქვესისტემებია); ბ). იდიომებს შორის სტრუქტურულსა და გუნეტიკურ დამოკიდებულებებს (მონათსავე ენებია, არამონათესავეა, მსგავსია და ა. შ.). გ). რამდენად თანაბარი მნიშვნელობის მატარებლები არიან იდიომები ფუნქციური თვალსაზრისით; დ) რომელია სახელმწიფო (შესაბამისად რეგიონის, რაიონის) მასშტაბით გაბატონებული იდიომი. ადგილობრივია ის თუ „მოსული“ (პავრანევი 1972).

თითოეული ნიშნის მიხედვით გამოიყოფა ენობრივი სიტუაციების სხვადასხვა სახეები. მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა კონკრეტული ენობრივ სიტუაციების აღწერა მეცნიერთა წინაშე დაისვა ზოგადი ტიპოლოგიური მოდელის შექმნის საკითხი. ამგვარი ტიპოლოგიური მოდელის შექმნის მცდელობა პირველად უ. სტიუარტს (სტიუარტი 1968) მიეწერება. ასევე ცნობილია ჩ. ფერგიუსონის, კლოსის, რასტოუს, ჰ. ჰაიმსის, გ. ავრონინის, ე. თუმანიანის მოდელები.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა ისეთი ნაშრომები, რომლებშიც აისახებოდა მოცემულ ენობრივ არეალში მოქმედი ორი ან მეტი ენისა თუ მათი ნაირსახეობების თანაარსებობის თავისებურებანი.

რადგან ენობრივი სიტუაციაში შემავალი კომპონენტები ერთმანეთის მიმართ არაერთგვაროვან დამოკიდებულებაში არიან, მეცნიერები ზემოაღნიშნულ კლასიფიკაციას უმატებენ კიდევ რამდენიმე ნიშანს და თითოეულ ჯგუფს კიდევ ორ-ორ ქვეჯგუფად ყოფენ. ასე, რომ მივიღებთ -

- ა). ენდოგლოსურ ბალანსირებულს;
- ბ). ენდოგლოსურ არაბალანსირებულს;
- გ). ეგზოგლოსურ ბალანსირებულს;
- დ). ეგზოგლოსურ არაბალანსირებულს (სტეპანოვი 1976დ: 79-80).

**ა ტიპის** ენობრივ სიტუაციაში მოიაზრება ერთი ენის რამდენიმე ქვესისტემის არსებობა. ისინი ფუნქციური თვალსაზრისით თანაბარზომიერნი არიან. ამგვარი ენობრივი სიტუაცია უფრო თეორიის სფეროს განეკუთვნება და რეალურად მხოლოდ ისეთ ერთენოვან ქვეყნებში დაფიქსირდება, რომელთაც დღესაც კი ძალიან მცირე ან საერთოდ არავითარი კავშირი არა აქვთ გარე სამყაროსთან, ცივილიზაციასთან.

**ბ ტიპის** სიტუაციები გვხვდება როგორც ერთენოვან ისე მრავალენოვან საზოგადოებაში. ენდოგლოსური არაბალანსირებული სიტუაცია გულისხმობს იმას, რომ მოცემულ საზოგადოებაში მოქმედი ენა წარმოდგენილია თავისი არსებობის რამდენიმე ფორმით (ქვესისტემით).

**გ ტიპის** სიტუაცია გულისხმობს რამდენიმე სხვადასხვა ენის ფუნქციონირებას ერთ ენობრივ ერთობაში. ეს ენები თანასწორნი არიან ფუნქციური თვალსაზრისით. ყველაზე ხშირად ამ ტიპის მაგალითად ასახელებენ შვეიცარიას (გერმანული, ფრანგული, იტალიური, რეტო-რომანული).

**დ ტიპის** ენობრივი სიტუაციები ყველაზე გავრცელებულია და გამოირჩევა მრავალფეროვნებითაც. ამ ტიპისთვის დამახასიათებელია შემადგენელ კომპონენტთა არათანაბარზომიერება. ფუნქციურად ისინი განსხვავებული არიან. მეცნიერები გამოყოფენ ორ, სამ ოთხ და მეტკომპონენტიან არაბალანსირებულ ენობრივ სიტუაციებს.

ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაცია სწორედ ამ უკანასკნელ ტიპს მიეკუთვნება. ამთავითვე შეიძლება გამოკვეთილად ითქვას, რომ იგი საქართველოში არსებული ენობრივი სიტუაციის ყველა თავისებურებას

იზიარებს ანუ, აქ დადასტურებული ენობრივი სიტუაცია ყველა ნიშნით საქართველოსია.

თუ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციას ზოგადად დავახასიათებთ, პირობითად მას შეიძლება „გარდამავალი“ გუწოდოთ. დღეს ის ორენოვნების (რიგ შემთხვევაში სამენოვნების) ცოცხალი ლაბორატორიაა. ლაბორატორია, სადაც შეიძლება თვალი მიადევნო, როგორ იქცა ერთ კოლონიზატორთა ენა (თურქული) მკვეთრად ლოკალიზებული, მცირერიცხოვანი კოლექტივის გამოყენების ვიწრო სფეროში გამოსადეგ ენად.

მეორე კოლონიზატორთა ენა (რუსული) როგორ ნელ-ნელა თმობს გაბატონებულ მდგომარეობას, გამოყენების სფეროებს და ორენოვნების ერთ-ერთ კომპონენტად რჩება. არსებობს დიდი ალბათობა, რომ მანაც წინამორბედი კოლონიური ენის ბედი გაიზიაროს.

ასევე ჩვენ თვალწინ ხდება ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაციის შემადგენელი კომპონენტი ენების გამოყენების სფეროების ცვლილებები. სახეს იცვლიან ორენოვნების განმაპირობებელი ფაქტორებიც, რაც პირდაპირ აისახება თითოეული ენის ფუნქციაზე. განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ორი ისეთი უმნიშვნელოვანები სფერო, როგორიცაა განათლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ჯავახეთში დაწყებულია პროცესი, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით კომპონენტი ენების გამოყენების სფეროების ახლებურ გადანაწილებას იწვევს, რაც თითოეული ენის ფუნქციებზე პირდაპირ აისახება. წინასწარი პროგნოზის გაკეთება ნაადრევია. სხვა ქვეყნების ენობრივი გამოცდილება გვიჩვენებს, პროცესის სასურველი გზით წარმართვა დროის და ამ დროში სწორად გატარებული ენობრივი პოლიტიკის საკითხია.

## დასკვნა

- ენათა კონტაქტების, მისი სპეციფიკისა და კანონზომიერებების კვლევა თანამედროვე ლინგვისტიკის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც ენათა კონტაქტების შესწავლისას იჩინა თავი, არის ორენოვნება ანუ ბილინგვიზმი.
- თანამედროვე ლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ბილინგვიზმის ცნების უდავო განსაზღვრება. ვეთანხმებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ბილინგვიზმი ორი ენის ფლობასთან ერთად საურთიერთო სიტუაციიდან გამომდინარე ერთი ენიდან მეორეზე რეგულარულ გადართვას გულისხმობს. ორენოვნების შესწავლისას აუცილებლად მივიჩნევთ მისი სოციალური ასპექტების განხილვას.
- ჯავახეთის ენობრივი იერსახე მრავალგზის იცვლებოდა. ორენოვნება დღეს იქ არსებული ენობრივი სიტუაციის შემადგენელი ნაწილია. ჩვენთვის საინტერესო ენობრივ არეალში ტერმინ „ორენოვნების“ ქვეშ გვილისხმობთ მხოლოდ კოლექტურ ტერმინ „ორენოვნებას“. ე. ი. შემოვიფარგლებით იმ შემთხვევებით, როდესაც ერთ ენობრივ კოლექტივში (და არა მხოლოდ მის ცალკეულ წევრებში) გამოიყენება და არსებობს ორი განსხვავებული ენობრივი სისტემა, ორი განსხვავებული ენის ლექსიკური მარაგი.
- ორენოვნებისა და ორმაგი კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მივიჩნევთ უურადღების გამახვილებას რამდენიმე საკითხზე: ა) კომუნიკაციური სიტუაციების განსხვავების ხარისხი; ბ) კულტურული ფორმების ანალიზი – ენობრივი ფორმები; სოციალური როლები. გ) სოციალური სივრცე და დრო.
- ეთნიკური და ენობრივი სხვადასხვაობის მიუხედავად ჯავახეთის მოსახლეობას აქვს მსგავსი ტრადიციები, რიტუალები, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სისტემები და ა. შ. ეს ადასტურებს, რომ ორენოვნება გვაქვს ერთი, ქრისტიანული, კულტურის

ფარგლებში. ისევე როგორც მთელს ქრისტიანულ ადმოსავლეთში, იგი მშობლიურენოვანია და არსად არ უშვებს უცხო ენის პრიმატს.

- არსებობს ორენოვნებასთან დაკავშირებული ბევრი ფსიქოლოგიური პრობლემა. ჯავახეთის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად და ხელშესახებად მივიჩნიეთ ორი საკითხი: а) ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით დომიმანტი ენის განსაზღვრა; ბ) მეორე ენის ათვისების ასაკი და პირობები.
- მისაღებად მიგვაჩნია აზრი, რომ დომინანტობა წარმოადგენს ფაქტორების რთულ კომბინაციას, სადაც თითოეულ მხარეს თავისი წონა და მნიშვნელობა აქვს და სადაც თითოეული მხარე თავის მოთხოვნებს უყენებს დომინანტ ენას. გამოიგვთა, რომ მკვერთად განსაზღვრული დომიმანტი ენა ჯავახეთში არ არსებობს.
- რაც შეეხება მეორე ენას, მისი ათვისება ჩვენ გვეხმის როგორც ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ისეთი ენის დაუფლების პროცესი, რომელიც განსხვავდება შესწავლილი მშობლიური (ან პირველი) ენისაგან. მეორე ენის ათვისება რომ უკეთ გავიაზროთ, საჭიროა გავიგოთ, კონკრეტულად რას სწავლობს ადამიანი მეორე ენის ათვისებისას (ლინგვისტური ასპექტი), რა პროცესებს გაივლის ის მეორე ენის ათვისებისას (ფსიქოლოგიური ასპექტი), რა განაპირობებს მეორე ენის ათვისების დროს მეტ ან ნაკლებ წარმატებულობას (სოციალური ასპექტი). ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში ქართველ და სომეხ ბავშვებს მეორე ენის ათვისების თვალსაზრისით განსხვავებული გარემო ექმნებათ.
- სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების თანაცხოვრება, რომლებიც რეგიონში ისტორიით განპირობებული მოვლენების გამო მოხვდნენ, ფაქტობრივად, ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის თავისებურებების განმსაზღვრელად იქცა. უკვე მე-19 საუკუნის შუა წლებში მისი შემადგენელი კომპონენტები იყო: ქართული ენა, თურქული ენა, სომხური ენა, რუსული ენა.
- ჯავახეთის ტერიტორიაზე ყოველთვის ვრცელდებოდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი, მაგრამ ჩვენ უნდა გავმიჯნოთ სახელმწიფო ენის ოფიციალური და ფაქტობრივი მდგომარეობა. ასეთი ორმხრივობას იურიდიულ და ფაქტობრივ სტატუსებს შორის მოჰყვა

მეტად დამაფიქრებელი შედეგები: ქართული „სახელმწიფო ენა“ სავალდებულო იყო თვით სატიტულო ერის წარმომადგენლებისთვის, ანუ ქართველებისთვის. არაქართული მოსახლეობა ან ვერ ფლობდა, ან მისმა ძალიან მცირე ნაწილმა იცოდა მხოლოდ ყოფით დონეზე და განათლებას ჩვეულებრივ იღებდა რუსულ ენაზე.

- ჯავახეთის ენობრივი სიტუაცია გართულდა, პირობითად რომ ვთქვათ, „მეორე“ და „მესამე“ დონეების (ბილინგვიზმი დ ტრილინგვიზმი) ენების არსებობის გამო. ნიშანდობრივია, რომ ჯავახეთში მცხოვრები არაქართველები უნდა ყოფილიყვნენ ტრილინგვები (1. მშობლიური ენა 2. „რესპუბლიკის“ ანუ სახელმწიფო ენა და 3. რუსული). მაგრამ სინამდვილეში ბილინგვიზმის კომპონენტად გვევლინებიან – მშობლიური და რუსული, რომელზეც უმრავლესობა სწავლობს სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში.
- ყურადღებას იქცევს ინდივიდისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთმიმართების საკითხი. ენობრივი კოდების კონკრეტული რიცხვი და მათი ერთობლიობა (რაოდენობა), რომელიც მოცემულ კოლექტივში გამოიყენება, ჯავახეთში ისტორიული პირობების გამო დასტურდება, მაგრამ რადგან დამკვიდრდნენ, იწყებენ იმ მთლიანი ჯგუფის ქცევასთან ასოცირებას, რომელიც რეგულარულად იყენებს მას. შემდეგ ეს კოდი თვითონ ამ ჯგუფის სიმბოლოდ იქცევა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ჯგუფი ეთნიკურად ერთგვაროვანია.
- სოციალური პირობები, არსებული ჯავახეთის მრავალენოვან საზოგადოებაში, ყოფისადმი სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებულ ტენდენციებს იწვევს. კოდების ხშირი ჩანაცვლების აუცილებლობა, რომელიც მონაწილეობა უდიდესი ნაწილისთვის არის დამახასიათებელი, მოქმედებს კოდებს შორის სხვაობათა შემცირების მიმართულებით. ენობრივი დაახლოება განსაკუთრებით იმ სიტუაციაში შეიმჩნევა, სადაც ჯგუფებს შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა.
- ჯავახეთში არსებული სოციალურ-კომუნიკაციური სისტემა ძირითად კომპონენტებად მოიცავს ქართულ, სომხურ და რუსულ ენებს. (მათ გვერდით გვხვდება თურქული ენის სახესხვაობა და სომხური ენის

სახესხვაობა - „ბოშათა მეტყველება“. ძირითადად დასტურდება ქართულ-სომხური და სომხურ-რუსული ბილინგვიზმი.

- დღეს ჯავახეთის ტერიტორიაზე ენობრივი მრავალფეროვნება არათანაბრად არის განაწილებული. ის უფრო მკვეთრად არის გამოსახული რაიონულ ცენტრებში (ქ. ახალქალაქი, ქ. ნინოწმინდა) ამ ცენტრებთან ახლოს მდებარე სოფლებში მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის თვალსაზრისით შერეულ სოფლებში. აქ სოფლის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით დიდია ორენოვნების პროცენტული მაჩვენებელი.
- ქართულ-სომხურ და სომხურ-რუსულ ორენოვნებას განვიხილავთ ეთნიკური, სოციალური და ასაკობრივი ჯგუფების დონეზე. რაოდენობრივი თვალსაზრისით ეთნიკურად ერთგვაროვანი ბილინგვი ენობრივი კოლექტივები ყველაზე მრავალრიცხოვანია. მათი საქმიანობის სფერო ძირითადად სოფლის მუსიკობაა (ამ თვალსაზრისით სხვადასხვაენოვანი ენობრივი კოლექტივები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან).
- სომეხი მოსახლეობის უმეტესობა რუსულ ენას აქტიურად იყენებს, ამიტომ სომხურ-რუსული ბილინგვიზმი საკმაოდ მყარია. სომხურ-ქართული ორენოვნების ძირითადი გამსაზღვრელი კი ისეთი აუცილებელი პირობების არსებობაა, როგორიცაა ქართველებთან ერთ სოფელში ცხოვრება ან ქართულ სოფელთან ტერიტორიული სიახლოება.
- თავისი დანიშნულების გამო სოციალურად ერთგვაროვანი ენობრივი კოლექტივები ბილინგვიზმისაკენ მეტად მიღრეკილნი აღმოჩნდნენ. დაკვირვების საფუძველზე სამენოვნება (სომხურ-რუსულ-ქართული) ყველაზე მეტად სწორედ სოციალური ჯგუფების დონეზე დასტურდება.
- ასაკობრივი თვალსაზრისით სამ ჯგუფს გამოვყოთ. პირველ ჯგუფში სკოლის მოსწავლეები შედიან. დასტურდება ადრეულ ასაკში, ბავშვობაში ჩამოყალიბებული ორენოვნება. მეორე ჯგუფში პირობითად საშუალო ასაკის ადამიანები, მესამეში კი უფროსი ასაკის ორენოვანი მატარებლები. სხვა ჯგუფებთან შედარებით ორენოვნება საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებისთვის ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი.

- ბილინგვი ადამიანები, ანუ ადამიანები, ერთ ან რამდენიმე ენას ფლობენ, ჩვეულებრივ „ანაწილებენ“ მათ გამოყენებას ჯავახეთში არსებული ურთიერთობის პირობებიდან გამომდინარე. ოფიციალურ ვითარებაში (ჯავახეთში) ან სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობისას, ოფიციალურ შეხვედრებზე, თათბირებზე უპირატესად რუსული ენა გამოიყენება. ოჯახში, მეზობლებთან კონტაქტში ქართული ან სომხური, უკვე საურთიერთო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.
- ჯავახეთის ბილინგვიზმის სოციალურ-კომუნიკაციური სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე მისი შემადგენელი კომპონენტი ენების გამოყენების შემდეგ სფეროებს გამოვყოფთ: ყოველდღიური ყოფითი ურთიერთობები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ლგონისმსახურება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა, ხელოვნება, კულტურა და მეცნიერება, სამეცნიერო საქმიანობა, საქმისწარმოება და კანცელარია, პირადი მიმოწერა. დაკვირვების მონაცემები ადასტურებს, რომ რუსული არა დომიმანტი, მაგრამ ორენოვნების საკმაოდ მყარი კომპონენტია.
- ბილინგვი ადამიანების ენობრივ ქცევებზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ სხვებთან შედარებით ზოგიერთ სოციალურ როლში ისინი ხშირად გადაერთვებიან ერთი ენიდან მეორეზე. ასეთია ბიზნესმენი, საჯარო მოხელე, მგზავრი, კლიენტი, მყიდველი, ანუ ხშირად კომუნიკანტები ენას ირჩევენ საკუთარი სოციალური კუთვნილებიდან ან სოციალური როლიდან გამომდინარე. ენის ათვისება მოცემულ საზოგადოებაში, მისი გამოყენების წესები და სოციალურ როლებთან მათი შესაბამისობა განპირობებულია გარემოთი. გარემოზე კი ზემოქმედებენ ფაქტორები.
- გლობალური ფაქტორებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაზე, გამოვყოფთ: ა) საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, ბ) მეზობელ სახელმწიფოთა მიზნებსა და ამოცანებს, გ) ქართული სახელმწიფოს ინტრესებს, დ) მიგრაციულ პროცესებსა და დემოგრაფიული ვითარების ცვალებადობას, ე) სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. კერძო ხასიათის ფაქტორებია: საცხოვრებელი ადგილი,

საქმიანობის ადგილი და სფერო, განათლების ადგილი, მასშედიის გავრცელების პირობები და ხარისხი.

- მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ბილინგვურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ბილინგვური სწავლება და ადგილობრივი არაქართულებრივი სკოლების რეფორმირება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ინტეგრაციის მისაღწევად.
- მნიშვნელოვანია საინფორმაციო და პროპაგანდისტული პოლიტიკის წარმოება, რათა მოსახლეობა თვითონ მიხვდეს ბილინგვური სწავლების აუცილებლობას და მოთხოვნა ბილინგვური სწავლების შესახებ მათგან მოდიოდეს. ამ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო უნდა უზრუნველყოს ყველა პირობა, რათა სკოლას შეეძლოს, მოსწავლეს არჩევანის საშუალება მისცეს.
- ბილინგვურ სწავლებაზე გადასვლა უნდა მოხდეს არა ერთბაშად და ძალადობრივად, არამედ ეტაპობრივად. საქართველოს შეუძლია სხვა ქვეყნების გამოცდილება გაიზიაროს და პირველ ეტაპზე ნებაყოფლობითი ბილინგვური პროგრამები დაგეგმოს, ამავდროულად მოქმედოს მეორე, სავალდებულო ეტაპისათვის. უფრო მიზანშეწონილია, რომ მულტილინგვური განათლება სკოლის ნებაყოფლობით არჩევანს ეყრდნობოდეს.
- ჯავახეთში სწორად დაგეგმილ და განხორციელებულ ენობრივ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა პოლიტიკურ, კულტურულ თანხმობაში იყოს ერთმანეთთან და სახელმწიფოსთან. ჯავახეთში თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სამოქალაქო ინტეგრაციის მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილია, რომელიც ცალსახადაა მიმართული ერთი მხრივ, სახელმწიფო ენის რეალური ფუნქციონირებისკენ და, მეორე მხრივ, მის დასაუფლებლად ყველა პირობის შექმნისკენ.
- ურიგო არ იქნებოდა, რომ საქართველოს გაეზიარებინა იმ უცხო ქვეყნების გამოცდილება, სადაც სახელმწიფო ენის არმცოდნე მოსახლეობისათვის არსებობს გაზეთები და ყოველდღიური საინფორმაციო რადიოპროგრამები, სადაც მარტივი ენითა და ნელი ტემპით, ადგილად ადსაქმელი წარმოთქმით გადაიცემა ახალი ამბები. საინფორმაციო სა-

შუალებებს ხომ რეალური ძალა აქვს საზიარო კულტურული სივრცის შესაქმნელად. არც ის იქნებოდა ურიგო, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ქართული ენის გაკვეთილები გადაიცემოდეს რადიოთი და თუნდაც ტელევიზიონ.

- ჩვენ თვალწინ ხდება ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაციის შემადგენელი კომპონენტი ენების გამოყენების სფეროების ცვლილებები. სახეს იცვლიან ორენოვნების განმაპირობებელი ფაქტორებიც, რაც პირდაპირ აისახება თითოეული ენის ფუნქციაზე. განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ორი ისეთი უმნიშვნელოვანები სფერო, როგორიცაა განათლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.
- ჯავახეთში დაწყებულია პროცესი რომელიც ენობრივი თვალსაზრისით კომპონენტი ენების გამოყენების სფეროების ახლებურ გადანაწილებას იწვევს, რაც თითოეული ენის ფუნქციებზე პირდაპირ აისახება. წინასწარი პროგნოზის გაკეთება ნაადრევია. სხვა ქავების ენობრივი გამოცდილება გვიჩვენებს, პროცესის სასურველი გზით წარმართვა დროის და ამ დროში სწორად გატარებული ენობრივი პოლიტიკის საკითხია.
- ჯავახეთის ენობრივი სიტუაცია ივსება ახალი კომპონენტით - ინგლისურით. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სავსებით შესაძლებელია რეგიონში ბილინგვიზმის ახალი ფორმების დანერგვა. ამჟამად ყველაზე გამოკვეთილია ქართულ-ინგლისური, ან სომხურ-ინგლისური ბილინგვიზმი, რომელიც დამახსიათებელია ახალგაზრდობისთვის. საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლები უწინდებურად რესულკომპონენტიან ბილინგვებს მიეკუთვნებიან.
- თუ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციას ზოგადად დავახასიათებთ, პირობითად მას შეიძლება „გარდამავალი“ ვუწოდოთ. დღეს ის ორენოვნების (რიგ შემთხვევაში სამენოვნების) ცოცხალი ლაბორატორიაა.

## ლიტერატურა

- ანსპოკა 2005: Анспока З. Психолингвистические аспекты освоения языка, Рига, 2005.
- ბარნეგტი 1988: Барнет В. Дифференциация национального языка и социальная коммуникация. Новое в зарубежной лингвистике, XX. М., 1988.
- ბელლი 1989: Белл Г. Т. Принципы и методы социолингвистических исследований. Москва: 1989.
- ბელლი 1980: Белл Р.Т. Социолингвистика, цели, методы и проблемы. Перевод с англ. Москва: 1980.
- ბერეგოვსკაია 1979: Береговская Э. М. Язык художественной литературы и социальный диалект. Москва: 1979.
- ბერიძე 2005: ბერიძე მ. სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიკა. სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი: 2005.
- ბლუმფილდი 1933: Bloomfield L. Language. New-York: 1933.а
- ბოდუენ დე კურტენ 1963: Водуен де Куртене. Избранные труды по языкознанию. 1. Москва: 1963.
- ბოკი 1972: Бок Ф.К. Структура общества и структура языка. Новое в лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.
- ბოლქვაძე 2007: ბოლქვაძე თ. ქართველური დიგლოსია, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები. ისტორია და თანამედროვეობა. თბილისი: 2007 .
- გამპერცი 1975: Гамперц Дж. Переключение кодов Хинди-Пенджаби в Дели. Новое в лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.
- გამყრელიძე .. 2003: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: 2003.
- გვანცელაძე 1998: გვანცელაძე თ. ანბანთა ლათინიზაციის ისტორიისათვის. არჩოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი: 1998.
- გოჩიტაშვილი 20008: გოჩიტაშვილი ქ. ორენოვანი განათლების უპირატესობაზე. სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საქართველოს საგანმანათლებლო სიკრცეში. I სამეცნიერო კონფერენციის

- მასალები. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“, 2008.
- გრიგულე 2008:** გრიგულე ლ. მრავალენოვანი განათლების მოდელის განხორციელება, საქართველოს სიტუაცია საერთაშორისო კონტექსტში, ბილინგვური სწავლება. სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. I სამეცნიერო კონფერენციის მასალები.
- თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“, 2008.
- გრინბერგი 1972:** Гринберг Дж. Определение меры разноязычия. Новое в лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.
- დეშერიევი 1976:** Дешериев Ю.Д. Теория языка и речевая практик. Теоретические проблемы социальной лингвистики. Москва: 1981.
- დეშერიევი 1958:** Дешериев Ю.Д. Развитие младописьменных языков народов СССР. Москва: 1958.
- დიაჩკოვი 2002:** Дячков М.Б. Социолингвистика. Материалы для лекций и семинарных занятий. Москва: 2002.
- დირექტი იანდექსი 2001:** დირექტი იანდექსი. სოციოლინგვისტიკის პრობლემები. [ონ-ლაინ წიგნი] (განთავსებულია 2001 წლიდან); მის.: [www.krugosvet.ru/articles/69/1006978/1006987a1.htm](http://www.krugosvet.ru/articles/69/1006978/1006987a1.htm)
- დიბოლდი 1961:** Diebold A.R. Jr. Incipient bilingualism. ``Language`` 37. 1961.
- ედვარდსი 1994:** Edwards J., Multilingualism , London: Routledge, 1994.
- ვაინრაიხი 1953:** Weinreich U. Languages in Contact. New York: 1953.
- ვაინრაიхи 1972:** Вайнраих У. Одноязычье и многоязычие. Новое в лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.
- ვანდრიესი 1937:** Вандриес Ж. Язык. 1937.
- ვარგესი 2004:** Varghese M.M (2004). Professional development for Bilingual Teachers in the United States: BILINGUAL EDUCATION AND BILINGUALISM. Vol 7. no.2-3.
- ვახუშტი ბატონიშვილი 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973. .
- ვინოგრადოვი ... 1984:** Виноградов В. А. Коваль А.И. Порхомовский В. Я. Социолингвистическая типология, Москва: 1984.
- თავზიშვილი 1948:** თავზიშვილი გ. სახადხო განათლებისა და პედაგოგიური

- აზროვნების ისტორიასაქართველოში 1801-1870. თბილისი: 1948.
- თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი გ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბილისი: 1995.
- თუმანიანი 1981:** Туманян Э. Г. Типология языковых ситуаций, Комплексные модели форм существования языка. Теоретические проблемы социальной лингвистики. Москва: 1981.
- იაკობსონი 1931:** Якобсон Я. К. Характеристике евразийского языкового союза. Париж: 1931.
- ივანიძე 1859:** ივანიძე გ. განათლების კერები მესხეთში. თბილისი: 1859.
- ინგოროვა 1990:** ინგოროვა პ. საქართველოს ისტორიის საზღვრების შესახებ. თბილისი: 1990.
- ისაევი 1979:** ისაევი მ. ენობრივი მშენებლობა საბჭოთა კავშირში. მოსკოვი: 1979 (რუსულ ენაზე).
- იუნესკო 1953:** The Use of Vernacular Language in Education. UNESCO. 1953.
- კიტროსკაია 1978:** Китроская А. Р. Современный английский язык. Москва: Высшая Школа, 1978. [ონ-ლაინ წიგნი] (განთავსებულია 2001 წლიდან); მის.: [http://base.pi.sph.ru/cgi-bin/irbis64r\\_71/cgirbit](http://base.pi.sph.ru/cgi-bin/irbis64r_71/cgirbit).
- კობაიძე 2008:** კობაიძე გ. ვინაობისა და ენის პოლიტიკის დაგეგმვის ისტორიიდან საქართველოში. [ონ-ლაინ წიგნი] (განთავსებულია 2008 წლიდან); მის.: <http://www.ice.ge/GAMOCEMEBI/ICE/pdf/15%20.kobaiZe.pdf>.
- კომრი 1981:** Comrie. The languages of the Soviet Union. Cambridge: Cambridge University Press, 1981.
- კროუფორდი 2003:** Crawford Alan . Communicative approaches to second language acquisition: The bridge to second language literacy.. In G Garcia(E.D) Newark, D E: International Reading Association, 2003.
- ლაბოვი 1972:** Labov W. Sociolinguistic patterns. Philadelphia: 1972.
- ლექ. 2000:** Лингвистический энциклопедический словарь. Москва, 2000.
- ლერნერი 1989:** ლერნერი, ენის სოციალურობის ორგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ლინგვისტიკაში. Iკე. XXVIII. თბილისი: 1989.
- ლექ. 1990:** Лингвистический энциклопедический словарь. Москва: 1999.
- ლიბერსონი 1960:** Lieberson S. An extension of Greenbergs diversity measures. Language. 40. 1960.
- ლომსაძე 1975:** ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან

- XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბილისი: 1975.
- ლომსაძე 1975:** ლომსაძე შ. მესხები და მესხეთი, თბილისი: 1975.
- ლორთქიფანიძე 1994:** ლორთქიფანიძე ვ. სამცხე-ჯავახეთი XIX-XX საუკუნეებში. თბილისი: 1994.
- მაისურაძე 1982:** მაისურაძე გ. ქართველი და სომები ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში. თბილისი: 1982.
- მაქს ვან დერ შტოლი 1999:** მაქს ვან დერ შტორლი. ანგარიში ეუთოს რეგიონში ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი უფლებების შესახებ.  
[ონ-ლაინ წიგნი] (განთავსებულია 1999 წლიდან) მის.:  
<https://www.osce.org/inst/hcnm/index.thm>
- მორტონი 1957:** Merton R.K. Problems in Sociology. 8. 1957.
- ნადელი 1957:** Nadel S.F. The Theory of Social Structure. Glencoe: Free Press, 1957.
- ნიკოლასკი 1976:** Никольский Л. Б. Синхронная социолингвистика (Теория и проблемы). Москва: 1976.
- ობოლაძე 1961:** ობოლაძე უშ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში. თბილისი: 1961.
- ოძელი 2005:** ოძელი მ. ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემა, მერმისი. 3. თბილისი: 2005.
- პაული 1960:** Пауль Г. Принципы истории языка. Перевод с нем. Москва: 1960.
- პოლივანოვი 1968:** Поливанов Е.Д. За марксистское языкознание. Москва: 1968.
- ჟირმუნსკი 1936:** Жирмунский В. Национальный язык и социальные диалекты. Ленинград: 1936.
- ჟორდანია 1975:** ჟორდანია ა. ორენოვნების შესწავლისათვის. მაცნე. 3. თბილისი: 1975.
- რემანი 1972:** Реман Жан Рене. Очерк одной ситуации многоязычия. Люксембург. Новое в лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.
- რედფილდი 1941:** Redfield R. The folk Culture of Yucatan. Chicago: University of Chicago press, 1941.
- როზენცვეიგი 1972:** Розенцвейг В. Вопросы теории языковых контактов. Новое в лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.
- საქართველოს...** 1970: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბილისი: 1970.
- სირაძე 2001:** სირაძე რ. კულტურის პალეონტოლოგია და კულტურის

- ურთიერთმიმართებათა სისტემები ენაში. შჯანი. II. თბილისი: 2001.
- სიხარულიძე 2008:** სიხარულიძე გ. ენობრივი სიტუაცია საქართველოში.
- გულანი. 1. ახალციხე: 2008.
- სოსიური 2002:** სოსიური ფ. ზოგადი ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: 2002.
- სტატისტიკური... 1927:** სტატისტიკური ცენტრალური სამმართველო.
- სტატისტიკური კრებული 1922-1926, თბილისი: 1927..
- სტატისტიკური . . . 1935:** საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, სტატისტიკური კრებული. თბილისი: 1935.
- სტატისტიკური . . . 1991:** საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1989 წლის აღწერის მასალები. თბილისი: 1991..
- სტეპანოვი 1976:** Степанов Г.В. Типология языковых ситуаций в странах романской речи. Москва: 1976.
- სტიუარტი 1968:** Stewart W. A. sociolinguistic typology for describing national bilingualism. Mouton: 1968.
- სტოკველი 2005:** Родной язык. [ონ-ლაინ წიგნი] (განთავსებულია 2005 წლიდან)
- მის.: [http://www.mirslovarei.com/content\\_soc/SOCIOLINGVISTIKA/5640.htm](http://www.mirslovarei.com/content_soc/SOCIOLINGVISTIKA/5640.htm).
- ტაბატაძე 2008:** ტაბატაძე გ. ენობრივი პოლიტიკა და საქართველოს განათლების სისტემა. სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. I სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“, 2008.
- ტაბიძე 1999:** ტაბიძე გ. ენობრივი პოლიტიკის საფუძვლები, მიმართულებები და შედეგები//ახალი პარადიგმები, 3, 1999.
- ტაბიძე 2004:** ტაბიძე გ. ენობრივი ცენტურა, როგორც ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. კრებული: ქართველური მემკვიდრეობა VIII. ქუთაისი: 2004.
- ტაბიძე 2005:** ტაბიძე გ. ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები. თბილისი: 2005.
- ტრაგერი 1959:** Trager G.L. The Systematization of Whorf hypothesis. Anthropological linguistics. I. 1959.
- ტრასკი 2004:** Trask. D. L. Language, the basics. Routledge. London and New York. 2004.
- ტრილოსი 1998:** Трилос Ю. Билингвизм и проблемы социальной лингвистики. [ონ-ლაინ წიგნი] (განთავსებულია 2007 წლიდან) მის.:

- უდაკინი 1981:** Юдакин А. П. Билингвизм и проблема связи языка и мышления. Теоретические проблемы социальной лингвистики. Москва: 1981.
- უზნაძე 1967:** უზნაძე დ. შრომები. ტომი 5. + ვ3 „ 99ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბილისი: 1967.
- უთურგაიძე 1966:** უთურგაიძე თ. მთის კილოთა ზოგიერთი თავისებურება. თბილისი: 1966.
- უ 1972:** Уи М. Социолингвистический очерк двуязычия в черной Африке. Новое в лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.
- უორფი 1941:** Whorf B. L. The relation of habitual thought and behavior to language. In "Language, Culture and Personaliti". 1941.
- ფერგუსონი 1959:** Ferguson C. Diglossia. Word:1959.
- ფიშმანი 1960:** Fishman J.A. The sistematization of Whorf hypothesis. "Behavioral Science". 1960.
- ფრონელი 1991:** ფრონელი ალ. დიდებული მეცნიერებები. თბილისი: 1991.
- შვეიცერი 1977:** Швейцер А. Д., Современная Социолингвистика. Теория, проблемы и методы. М.: 1977.
- შვეიცერი . . . 1978:** Швейцер А. Д. Никольский Л.Б. Введение в социолингвистике. Москва: 1978.
- შუხარდტი 1950:** Шухардт Д. Избранные статьи по языкознанию. Перевод с нем. Москва: 1950.
- შჩერბა 1958:** Щерба Л. В. Избранные работы по языкознанию и фонетике. 1. Ленинград: 1958.
- ჩაჩანიძე 2005:** ჩაჩანიძე ი. ენობრივი სიტუაციის პრობლემა მეოცე საუკუნის ენათმეცნიერებაში. საკანდიდატო დისერტაცია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი: 2005.
- ძიძიგური 1974:** ძიძიგური შ. ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები. თბილისი. 1974.
- ჯორბენაძე 1989:** ჯორბენაძე ბ. ენა და კულტურა. თბილისი: 1989.
- ჰავრენაკი 1972:** Гавренак Богуслав. К проблематике смешения языков. Новое в лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.

- პაიმსი 1961:** Hymes D. H. On typology of cognitive styles in Language. *Anthropological Linguistics*. 3. 1961.
- პაიმსი 1972:** Хаймс Х, Два типа лингвистической относительности, Новое в лингвистике. Выпуск VII. Москва: 1972.
- ჰალიდეი 1978:** Halliday M.A.K. *Language as a social semiotic. The social interpretation of Language and meaning.* Balt: 1978.
- ჰაუგენი 1953:** Haugen E. Norwegian Language in America. I-II. Philadelphia: 1953.
- ჰაუგენი 1972:** Хауген Э. Языковый контакт. Новое в лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.
- ხომსკი 1972:** Хомский Н. Язык и мышление. Москва: 1972. [ობ-ლაბ წიგნი] განთავსებულია 2005 წლიდან) მის.: <http://www.censura.ru/articles/girenokandhomsky.htm>.
- ჰორნბერგერი 2000:** Hornberger H. *Sociolinguistics and teaching*/adited by Sandra Iee McKay. Cambridge [ englend] New York. Cambridge University Press.[book on-line] Accesed 2000. available from <http://www.Bibliotecas.unc.edu.ar/cgi-bin/libreoEsi?accion>.